

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველო
კულტურისა და სპორტის
მინისტრი

N5

5/2007

1522
2007

ს3

მრავალ

მრავალ

გურამ

ვაჟა

დოჩანაშვილი

ოთარაშვილი

გაეფუძნობა

თელეფონი

გია გუგუშვილი

ეროსი მანავალაძე

წრილი

კონკრეტული

ნინო

ნათია

მამარდაშვილი

ამირეჯიბი



გია გუგუშვილი

სიტარისტი



კარეტა



გარეუბანი

ლიტერატურა და ხელოვნება

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა იოანე შვილი

მთ. რედაქტორი
ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორი
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი
მალხაზ თავაძე


გარეკანის მხატვრობა
გია გუგუშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru
Web: www.litandart.com.ge

გამოცემის სპონსორია



მარტინ აბაშიძე

N5(17)

05/2007



ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

სარჩევი

რეკლამა, წყვეტილი

- ჩას უფრო მასშოვს,
ია მეტად მაგონება /hmənə/
- ღესები
- სხვისი ცხოველია
- ღესები
- ციც ღესები გადავით წარი...
- ღესები

ლიტერატურის

- პუშკინის შესახებ
/თაჩიგმა ნანა ნოზაძე/
- ილი კლებია ჯონ ემნს
/თაჩიგმა ბათუ ლანელიამ/

წერილები

- ვაჟას პოეტები „ანახეალი“
- ილია ავიცა გებელება...

იური

- ექვსი მანჯარაძე

კინომსახური

- ქათური კინო 50-იან წლებში

მუსიკა

- „მოცახუის პატახა და“

მხატვრობა

- ფერწერის აღიმია
- ემშვენიერები ცაბიჩინთი

სამუშაოები

- ჩევოლეტი და პოეტები


2638 წლის 28,

- ღესები

- 3 ბუქამ ეორეანაშვილი
- 20 ვაჟა იოანე შვილი
- 24 ბოოჩი შეჩვაშიძე
- 36 შოთა უმბონიძე
- 38 ნათია გოგიაშიძე
- 39 ბოოჩი ჩოხელი
- 41 ვიავიმე სოლოგუბი
- 49 იოსით ბერიძე
- 53 იუზა ევგენიძე
- 56 ნინო მამახედაშვილი
- 60 ნათერა უჩეშაძე
- 67 ნათია აშოხიშვილი
- 72 მაია გოგონიშვილი
- 75 ქისიუნე ღაჩინა
- 78 გია გუგუშვილი
- 79 კიციან ქაბიძე
- 82 ზურაბ გომიგიაძე
- 84 ფოსტარქივილან

საქართველოს საზოგადო საზოგადო:

ჭარუა ამინისტრი, წარმანი პრეზიდენტი, წარმანი პრეზიდენტი,
მეცნიერებლივი კურსები, მასში ცენტრალური, მუსიკური კონცერტები,
ნორდიკური კონცერტები, თეატრ ჩხეიძე,
თეატრ ჩხეიძე, გოვი წერილები.



ეურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



გურიაშვილი

ერისთავის, ლ

ჩა უფრო მასში, ღ
მას უდინებება:

(ეგრეთოდებული
„ავტოპილოგიული რომანი“)

თავი IV
(გაგრძელება)

როგორ-ქართულად, ქართული-როგორ ეს
რა უბრალო და ვრცელი სიტყვა ეს მოხდენი-
ლი, — წუთისოფელი...

მე ხან ვითომდაც-გაევრით და ხან შეძლე-
ბი-სამებრ საფუძველისა-მოძიებით მოვაფა-
თურებ ხოლმე გონებისა თვალს ამ ტევადს-
როგორ, სიტყვაზე და, აი, ახლაც, ჰო — ეს მე-
რამდენედ მივადგები და, ვიმეორებ:

აი ხომ რა ლამაზად რადგან ლამაზად-და-
ნანებითი წუხილით გვუდერს რომ, რა ხანმოკ-

ლეა ჩვენი სიცოცხლე, რაღაც ჩქამობით ჩამ-
ჩურჩულებელ-აღმაზევებელი, ვითომ და ხომ
კარგია ახალგაზრდობა და მისი ჯანი და რა
ნელა გადის ჭაბუკობისას, დრო და მაგრამ მა-
ინც როგორ ვითომდაც მითომითურ-ჩუმჩუმე-
ლურად მაგრამ როგორის სიჯიუტით გვეპარე-
ბა სიბერისაკენ ჩვენი როგორი განუხრელად
დამძვრელი და რა სწრაფად გადის ასე-60-ს
თუ გადასცდები და მერე მთლადაც გაგვეპა-
რება ესი-ხანმოკლე წუთისოფელი და ამქვეყ-
ნად კი აღარ ვიქნებით მაგრამ — ვიქნებით,
იმა უდიდეს და უვრცეს და ნათელს-როგორ
მაგრამ ანდაც-და ცეცხლითაც ვერ-განათე-
ბულ იმ შავქვეყანაში რადგანაც ცეცხლი ეს
აქაა რომეი აალებითა რომ ბრიალებს და იქ კი
ცეცხლის კიდება თუ ანათებს, მთლად უარესი
და რაგინდ ტევადი, ვრცელი სინორჩე და ბავ-
შვილი და ყრმობა და სიყმანვილე და მონიფუ-
ლობა და ჭაბუკობა და კაცობა გვქონდეს მერე
მაინცალ ვწუხვართ ეს ჩვე-ბერიკაცები რომ ეს
მაინც რა-სწრაფად, როგორ უჩუმრად და უც-
ნაურად, კი, გაგვსვლია გინდაც იმდენ-დღეება
და თვეება-და-ნელინადება სიცოცხლე, ჩვენი,
და როგორ-მართლიად ყოფილა გამოთქმა ეს
— „წუთისოფელი, რომელიც მარადიულობას-
თან წუთი კი არა მთლადაც ცალ-ნამის ნაპობ-
ნამსხვრევების ანატკერების ჩრდილიც ვერაა,
ხომაა ასე, ეს და მაინც, მაგრამ, ჩვენი ვერ-რა-
ძალიან განსხვავებული თავებისა არჩასაქინ-
დრად, შევხედოთ მოდით ისეც-ახლურ რომ
— რა ტევადია, რა ფართოდ ვრცელიდა დიდო-
ნია ვითომც ეს ჩქამად-წუთისოფელი,
რადგან,

სხვა თუ არაფერი, კუთვნილ მიწაზე ხომ
ვადგამთ ფეხს და ვდგამთ ჩვენ, ხეიბარებიც
კი ასიათასობით ჩვენს-ჩვე ნაბიჯს და, ხომ
არაა უმნიშვნელო და კნინი-რიცხვი ეს, თავისი
ნაღმა-უკულმურ მიმოსავლელი ფართით ბენ-
ვისოდენა კი არა და, რარიგ ტევადად აუარება
და ზღვა-ნაბიჯია ეს ის მერე რა რომ თვალით
ხილული ნაკვალევებით — დასაშრეტი მაგრამ
როგორ სამინყივ-ისოდ დამღა-ესი სამარადი-
ულედ და, როგორ მყარად უნდა აღვითქვათ
რომ — არ გადადგმულა არც ჩვენამდე და
ვერც ვერასოდეს გადაიდგმება ისეთი ნაბიჯი
რომ ან სიკეთისაკენ ან ბოროტებისკენ არ მივ-
ყავდეთ რადგან საშუალო რამ-რამისკენ მიმა-
ვალი ნაბიჯი — არ არსებობს, არა, არაა რად-
გან ეს ორი ბატონის მსახურება იქნებოდა —
ესა „ვითომცი“-საშუალებისაკენ მიმავალი ბი-
ჯი რადგან თვალთმაქცევი და რაისი ორპირი
— ბევრპირულად გაიძვერები აკი-ხომ ვითო-
მსახურებენ ორ ბატონს: სიტყვით — სიკეთეს
და საქმით კი — ბნელს მაგრამ მო „საშუალო“
ნაბიჯს ამადაგვარი „ვითომ“-ითაც ვერ ნარ-
სდგამენ ფეხს ღმერთისაკენ რადგან ღვთის
ნინარენი ვართოგორ, სუსველანი-ჩვენ, რად-

გან, ღმერთო რომელიც რომ „მაღალთა შინა მკვიდრ-ხარ და ყოველსავე მდაბალთა ხედავ, რომელიც დაფარულთა კაცთასა მეცნიერ ხარ, და გულთა და გონებათა მოქმედებანი უნყონი“, და მაღალი რადგან „სუსოველივეს მდაბალთა ხედავს“ როგორის ვრცელი გამუდმებით, ამ-რა უნყვეტი მარადისობით სუმუდამ მყოფი მიწყივობაში აქაც, დაა — იიქ, და კი „გვეთქვა“ — გვებოძა-სი გარდა „აგვეხსნა“ კიდეც, გადასარჩენად, გარდაუვალობა ამ-ქვეყნიდა იმ-ქვეყნისაკენ რომელიც, რომ, რაცაა სულსუ სუსოველაფერზე მყარად და სანდოდ უცილობელი ასახდენ-ობა, ეს,

ასე რომ ესი ვითო-პანუა წუთისოფელი რა ვრცელია-სი გარდა უდიადესი გამოცდაცაა დიდად გაბმულინამისნამობით, დაწუთისოფელით დადგინება იმისა თუ სად უნდა მოვხვდეთ და დავდგინდეთ იმ განუზომელს წუთის კი არა არამედ ყოვლითურ-ყოვლად განუზომელ, რადგან ნალდად, კი, იმ უტყუარსა და უკუნითი უკუნისამდე-ში რადგან ეს ამქვეყნიური ცხოვრება-ჩვენი მხოლოდდა ამქვეყნიური კი არაა, — არა, იმდენად ვრცლადა გვაქვს რომ მთლა-დაც ყოვლად-განუზომელ იმქვეყნიურობად დასამკვიდრებელი იქნება ჩვენი და აბა ვინა თქვა მარადისობის გონებით გინდა თუ სიტყვითა გვსურს და თვალით მოგვსურდ-მოგვინდა ჩადენა იმისა რომ — რომ ულირსებმაც შევიცნოთ იგი — კიგვაქვს იმდენი ჭკუა ამ-ჩვენთ, რომ არ ვითვალოთ ზღვების ფსკერზე ის მრავალი ქვიშა რომელიც ამ ჩვენს მარადიულობასთან რომ — ოკეანეში წვეთიც ვერაა თან სანახევროდაც კი არა და მთლად სულისლაფვა-მდე აორთქლებული მაგრამ გვაქვს გული რადგან გვგონი რომ სამარადისოდ მიღრეკილება უფრო მზეა ვიდრელ სხვა-რამ როყიოდნათება და დაბინდულობაც ხომ მთლადაც არა — მზე თუ არა-და, — მთლად კუნაპეტი ვიქნებოდით უკიდეგანოდ და მზე ხომ — გულია, — თვალით ხილული სამყაროსი, მე ასე მგონი კი არა და — მარადიული წიგნით ვიცი ეს, და,

და, ამდენ ლაპარაკს ის არ მიჯობდა რომ მხოლოდ ასე მეთქვა:

„სწორად გვევლოს“

მაგრამ, ვირწმუნებდით კი, ორიოდ სიტყვას?

მოსახვედრად-მთლად იმა-ვრცელსა მარადისობაში, იმ? —

სადაც უმზეოდ ალბათ უფროც როგორი მზეა,

ხოლო ამას რომ გულით რამდენად უფრო ვყვები ვიდრე გონებითა და, ხელით, არ გეგონოთ რომ მომაქვს თავი იმით რომ მე სწორად ვვლიდიამჩვენსქვეყანას, საქართველოს, თუმცა როგორ წყალობად მებოძა რომ იმ-ჩემსა ნარსულისეულ არქეოლოგიით რამდენი ნაბიჯი გადამიდგამს იმ ქვეყანაში სადაც რომ...

რომელი ერთი! — ეს მე არ მომდის იმით რომ: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ არა-მედ იმით, რო, რომ, თუ არა ჩვენი რწმენა — მართლმადიდებლური ქრისტიანობა და ჩვენი ბუნება — მთავორიანი, მწვერვალებ-როგორ-დათოვლილი და ზღვიანი და ჩანჩქერებიანი და უდაბნოც კი, ყოვლად-მრავალფეროვნები-სათვის, ჩვენს, ბოძებული გვაქვს და რა მიწა გვაქვს, რა ნოუიერი იმდენად რომ თავად ვაზის ქვეყანა ვართ და მაინც-რა გარეგნობის ხალხი, ხალხნო, აქ გლეხთა შვილებიც ნარჩინებულთა შვილებს რომ ჰგვანან ეს დიდმა ქართველმა კი-ბრძანა და ხოლო ქართველი ნალდად არ იყო დიუმა, გადავიკითხოთ რომ განვმტკიცდეთ დაროგორიძელისილრმეებიდანვე ამკინძავები ვართ იმისა რომ — ვერავინ მღერის, და ვერც ვინ ცეკვავს მთელს ქვეყანაზე ამ-ჩვენსავით და ეს მხოლოდ ჩვენი შეხედულება რომ იყოს — როგორ დავძრავდი-აპ, ამაზე კრინტს — მაგრამ იკითხეთ, გაიკითხეთ რომელ ქვეყანას ალიარებენ სუ-მთლადაც უცხოელები მთელი მსოფლიოს დედაქალაქად ჩვენი ხალხური, სიმღერებით და ცეკვით-ჩვენით, —

დედაქალაქად, კი, კი,

და რომ თანაც გვაქვს ხალხურ-გლეხური პოეზია ისეთ-ისეთი, რომ?

და, რატაძრები გვიდგას მრავლად, გარეთუშიდა მტერთა მიერ გინდ დანგრეულნი? — არა, —

ტაძარის გინდაც რომ საძირკველი-ლა აჩნდეს მიწას, ის ხომ მაინც სავსებით, ვსებით დგას, როგორ, —

ვინა თქვა ქრისტეს სულის და იესუსი სხეულის აღგვა და რამდენ-იმდენად მყარად და ბუნებრივად გვიდგას სალოცავად ჩვენი ტაძრები რომ ზოგს როგორის გაუმჯრიახობით ისეც გვგონია, რომ... მაგრამაც არა, არა, — თავისით არ აშენდებოდა ჩვენი ჯვარი და სვეტიცხოველი, ალავერდი და მოწამეთა და რაოდენი, რამდენი, კიდევ, და მთლად აგერ, დღეს, ჩვენი სრულიად საქართველოსი უნმიდესის და უნეტარესის როგორი წვითა და რუდუნებით წმიდა სამება რომ აგვიშენდა — მადლობა ყველას, იმ დიდ ერის შვილს ჯვარით შუბლზე ვინც უდიდესი წვლილი შეიტანა აღმშენებლობაში წმიდა სამების და როგორ გმადლობთ, შეძრული ვარ დიდ-ქვრივო, შენით, შენი როგორი ნაკლულოვანებიდან ორი წულილი ერთი აგურის ფინჩხად რომ დასდე, წმიდა უნმიდეს სამებაში რომ შეიტანე შენი წვლილი, და, —

არ გადავრჩებით?

და ეგება ესაც ლტოლვაა-ჩემი ჩემი გინდაც ნაკლებად-ლირისი მარადისობისაკენ, რადგან, ერთმა დიადმა ოკეანისა-გადაღმელმა იმ მნერალმა, რომელსაც რაღაცა-ისეთი ჰქონდა კი არა და — აქვს ყოველ სიტყვაში, თარგმანშიაც კი, მბრძანებლური, და პროზის იმა ერთ-ერთმა დიადმა ჯადოქარმა დაახლოებით ასე თქვა

რომ რომე მწერლობა ეს ისაა რო ისე აღნერო მოძრაობა რომ ბევრი წლის შემდეგ, როცა ამ- ქვეყნად აღარ იქნები და თუ გადაგშლის და წაგიკითხავს ნდომის-და-ნდობის კარგიმკითხ- ველი ეს თავად სიტყვებით გაქვავებული უმოძ- რაობა რომ ისევ ძალიან უნდა ამოძრავდეს ოლონდაც, — ნალდად,

და თუ იმასაც აღმოვაჩინთ და მივხვდებით რომ სახარების ყოველი ლექსი ეს — მხატვრუ- ლი პროზის, რაც დანერილა — გადამწონია,

და თუმცა ვაჟას არ გამოუთქვამს იმ მწერ- ლის ეს აზრი სიტყვით მაგრამ თავისის გლეხუ- რის ხელით? —

გამოხატა და, და მერე, როგორ, —

მთლად გულით, კაცოო,

და ფიროსმანმაც მხოლოდ ისა თქვა რომ ყველა მხატვარი უნდა შევიკრიბოთ ხოლმე ერთ სახლში და ერთად ვსვათ ჩაი, და ვილა- პარაკოთ მხატვრობაზე, ო და ამით, თვით მან, ფიროსმანმა —

უბრალოებით? — ჩვენიც ურთიერთ-თანად- გომა ბრძანა, დიდი, არა მგონია წაკითხული ჰქონოდა სადმე მას ეს, ეს —

თანადგომა, ეს,

და ხოლო ჩვენი ეკლესიაში თანადგომა? —

ნუ ეწყინებათ ჩემს ძმებს მხატვრებს და...

რამდენად მეტი, მეტი, მეტია,

თანა-ყოფნობა სულიერებით ადამიანებისა, ჩვენი,

ხოლო შენ, ნმიდავ, ნმიდაო სულო, უდიადე- სო, ეს თვით თავად შენ გაქებ ულირსი — უსათ- ნოესო, —

ეს ხომ თავად შენ გამოჩერიკნე უფაქიზესი თითოთ-შენით ვაჟა-ფშაველა, —

ბედნიერებავ, ჩვენო, და რა გავბედე და შეგბედე კიდეც — რომ თავად ეს თვით-შენ შემიშინაურე და ვერც მეშინია იმისაც კი ვინ- მე-ჩემზედაც კი ულირსმა რომ თქვას რომ ეს რა შეგკადრე მაგრამ ეს შებედვა კი არა და, ეს ქებათა-ქება არის შენდამი, შენი, და ჩემ თავს მივმართავ — გავიტვრინე, ხომ? ხომკი გავ- ტვრინდი, მთლად, ხომ? — მე შენთა ფერხთა მტვერმა როგორ უვრცესად ულირსმა-მე-მ, დიდოო, დიადად უდიადესო, — შენ!, უზესთა- ესოვ, რას გიბედავ და რომ ეს თვით გლახაკი შეძლებისამებრ ჩაგეირკიტებ, უუმთავრესო ავლადიდებავ, ნაბოძებო — ღვთით, და გლა- ხაკურადვ მაგრამ მთელ-ჩემიგულით გაქებ და გაქებ შევრდომილი, შენ, და თუ შემიბედავს შენთვის რაიმე, — თუ რატომ? — რატომ? — რადგანაცა ვაარ, ეს მე-ულირსი შენივ წყალო- ბით — შენი ჯიბგირი! — და ოლონდ ისევ, ისევ- და შენით, ვ...,

ბედნიერებავ, ჩვენო!

და მე, ვისაც მსმენია ჩვენი საგალობლებისა და სიმღერების გარდაც ბახი, ჰენდელი

ვისაც მინახავს ფიროსმანის გარდა ველას- ესი, ბრეიგელი,

მე, ვინც კითხულობს გურამიშვილის მთლად გვერდიგვერდ სალტიკოვ-შჩედრინს რომე- ლიც რომ მხოლოდ თავისი ერის კი არა ჩემიც, ჩემია,

და, კიკოდ-მწერლობას ამა-ჩემსას, არც შე- ვეჭიდო? —

დიდი ამბავი...

და ნუ ჩავიქნევთ ხელს იმაზე რომ რაოდენ- რამის რომ ვერ გავვაჩინია ჩვენის-ჩვენითი შე- ფასებისა კი არა და,

მხოლოდ სწორ-ალქმისა რომ ვერ, არ შეგ- ვნევს შენ და უნარი,

და მაგრამ, მაინც, ნუ ჩავიქნევთ ამაზე ხელს, რადგან მშველელად კი არა და მთლადც გადა- სარჩენად?

ჩვენს ხელთაა, კი, დიადი წიგნი, რარიგ წყა- ლობად ჩამობოძებული

თქვენგან —

სამებავ, —

ერთიანო და,

განუყოფელო...

* * *

ნინასნარ უნდა გამოგიტყვდეთ და მოგახსე- ნოა რომ აქ, ქვემორედ, ეგებ არამცოუ ძნელი არამედ ვაითუ მოსაბეზრებელიც კი წასაკითხი მასალა გელით მაგრამ რაც იყო და როგორც იყო ხომ ვერ გადავალ ამას, და ამიტომაც, მა- ინც ჩემსას უნდა ვეცადო...

მერე, გურამ სხირტლაძეც რომ ველარ მო- დიოდა რაღა თქმა უნდა დიდად არ გამკვირ- ვებია ეს, და საახალწლოდ ცოტათიც გამოვი- ხედე კიდეც და გამეხარდა, ალბათ ჩქარა მეც ბიჭებთან ვიქნები-მეთქი და, 31 დეკემბერს რადიოთი მეთორმეტე ზარს წამომდგარიც კი შევხვდი რადგან მამას ვთხოვე პალატის კარ- თან მიმიყვანე და გამახედე სად ვარ-მეთქი და, მხარში შემიდგნენ და იქით-აქეთ ათიოდ ნაბი- ჯი გადამადგმევინეს, სიცხეც — მხოლოდლა ჩემთვის მოგრილო 38,5 მქონდა და ორიოდ ყლუპი ღვინოც შევსვი — იმ ახალ წელიწადს სრულწლოვანი, 18 წლისა უნდა გავმხდარიყავ და ამიტომაც შევეგებე ამა-წელიწადს, ფეხზე.

მერე კი, აღარ მახსოვს პირველ თუ ორ იან- ვარს სხვასთან მისული მნახველი თანაგრძნო- ბით მომიბრუნდა და მითხრა ეს რა ოხრობა დაბეჭდეს შენს ამხანაგებზე და შენზე და თან მთელი გვერდი და თანაც კომუნისტშიო (იმ- დროინდელი დიდად წამყვანი ის მერე რა რომ „პრავდა“-სი თელათნაბიჭვარი, გაზეთ-ორგა- ნო), და, ავტყვდი, გინდა თუ არა წამაკითხეთ ის გაზეთი-მეთქი და, მამასაც, სხვა რა გზა ჰქონ- და, მომიტანა დიდათე-მსუყე (ბევრგვარია) სტატია სახელწლოდებით „სარეველა“.

დიდად უნიჭო (ესაცა აგრეთვ-ბევრგვარია) ვიღაც ნაძირალასი მთლად ძაგებათა ძაგება იყო ჩვენზე მაგრამ ბოროტებით სუმთლად უნიჭო არ უნდა ყოფილიყო ისი-ავტორი რადგან იმავ საღამოს ისეთი კრიზი და კრიზისი დამენც რომ... თუმც, დიდად არ შეგანსყენთ თავს, მაგრამ არ შემიძლია უღრმესი მაღლობით არ მახსენდებოდეს ჩვენი (—ჩვენი, კი, მართლა!) საავადმყოფოს ექიმებიდა, აგრეთვე, გამოჩენილი, მართლა — აკადემიკოსები ბატონები კონსტანტინე ერისთავი და ეგნატე ფიფია, რომლებმაც მამაჩემის ხათრით გამოძებნეს დრო და დიდად-გულდასმით გამსინჯეს — საერთოდ კი ექიმები დიდად ერიდებიან მათვის „სხვა“ საავადმყოფოში მისვლას რადგან ეს „სხვა“ საავადმყოფოს ექიმებისადმი ავადმყოფების თავზემდგომი ახლობლებისაგან გარკვეულნილად რაღაც უნდობლობისადაგვარს ნიშნავს ეს მაგრამ ჩემები — ჩემები იყვნენ აბარა? — ნება მომეცით, კვლავ ჩამოვთვალო მხოლოდ ჩემთვის კი არა, საერთოდაც დიდბატონები:

იოსელიანი,
გორდეზიანი,
ტყემალაძე,
მესხი,
კუზანოვი

და ახალგაზრდა ქალბატონი ლორთქიფანიძე,

და, თეთა აზა, ჩემი ძვირფასი გადია-ჩემი, ბებიაჩემის მარჯვენა ხელი ძალიან დიდის პატივისცემით შეხვდნენ მათ, და სამსახურში საერთოდ კი სიტყვაძუნნმა ბატონმა დავითიოსელიანმა — რაც მეტნი ვუმკურნალებთ უკეთესიაო მაგრამ მოსულებს სხვადასხვა, დიდად განსხვავებული მეთოდებით მკურნალობა შეუთავაზებიათ დამხვდურებისათვის, ჩემს თაობაზე სამი საკმაოდ განხვავებული აზრი შექმნილა, აი ასეთი გამოცდილი ქირურგებიც კი — იოსელიანი, ერისთავი, ფიფია — ვერ შეთანხმებულან ისეთ — მარტივად რომ ვთქვათ — ისეთ რთულ მდგომარეობაში ვიყავ, და ისევ თუ ამევსებოდა პლევრა-ფილტვი უუმური სითხით და ძალიან გამიჭირდებოდა სუნთქვა, ჩემიერთ-ერთიც განსაკუთრებით-მაცოცხლებელი ისევ პუნქციას მიკეთებდა და ვეღარ ადგა საშველი ჩემს იმა-ყოფას

ხოლო ერთიც რომ კიდევ ახალი ჯერ მთლად-უცნობითეთრ ხალათიანი მოვიდა ჩემთან მაგრამ რატომლაც ყოვლად უთანმხლებლოდ — მხოლოდ პალატის ექიმი ძია მესხი ახლდა, როგორლაც ძან ხამუშიანად ეჭირა თავი — მაგრამ ჯერ მხოლოდ ერთი კი გავიფიქრენეტავ ვინაა ასეთი შედარებით ახალგაზრდა და უკვე თვით ერისთავსა და ფიფიაზე-დ მაგარი-მეთქი და თვით იმანაც კი მომაყურადა, გახედა ბატონი მესხით მიწოდებულ რენტგენის სურათს, განსაკუთრებულ-დალიანობით შეამონმა სანოლის ფეხებთან ჩამოკიდებული სიცხის აღმნუსხავი აღმავალ-დაღმავალი ხაზებით დაღარული ფურცელი, — რაც მე საღამოს 5-7 საათი არა მსურდა — იმ დროს დამდალავ მწვერვალს აღნევდა სიცხე; და ერთი ის-კი გამიკვირდა ფონენდოსკოპირომარამცულია ჩამოკონნიალებულიც არქონდა, გულზე და ამით იქვე გულიც კი მომეცა — ალბათ ისეიი მაგარია რომ უფონენდოსკოპოდაც იოლას გავა-მეთქი, გავა, მარა, ამა-გავაზე თუ გამახსენდა:

პატარახანშითვალთასინათლეიმდენად მოვიკრიბე რომ ამ ახალი მედიცინისა-დიდოსტატის სახის ნაკვთების გარჩევა რომ მკაფიოდ შევძელ? — დიდად გამიკვირდა, — რატომლაც სულ ვერა ჰგავდა ექიმს ანუ ჰიპოკრატესა ფიცის მიმდევარს:

მკურნალისა და გადამრჩენის თვალები სულ ვერა ჰქონდა — უშნოდ ყავისფერ რადგან ბლანტედ ბინდდაკრულ თვალებში სულ ვერა-ედგა მკურნალის რაცგინდ დაღლილი მაგრამ მკაფიო მაინც, შუქი, თვალები ძლიერ მიბნედოდა რადგან თვალებით მე კი არა როგორლაც თავის შიგანში უფრო იცქირებოდა რაღაცისა-და-ჭკვისმოსაკრეფად რომელი შიგანიც ნაღდად ვერ უნდა ჰქონებოდა სანიმუშეთე-ანიკნიკებული

რადგან ძლივსგამჭვირვალედ ლიბრ-გადაკრული თვალებისა სამაგიეროდ როგორ ბილნურ-დალუმად ულაპლაპებდა როგო-აშკარად სარიდალ-ზეთებით უსვად ცხებული რაზადიანი, იქამდისინა ზადიანი რომ (რომე — „ზადნიცა“ - სახე? — ეგებ...) იმ ლაპლაპობით — უზადოდ (აქ — „უ-ზადნიცოდ?“ — ამდენი რავი...), თან პირის ნაცვლად შიგნი-და-შიგან სულაცე-თლათე დახშულ-ნცხვირითა ლაპარაკს-ჰქამდა და გაოცებას ვიყავ-ვიყავი-ვიყა იქამდე რომ, რომ, რა მეშველებოდა თუ არა რომ — ყელთან ძალიან მჭიდროდ შებნეული თეთრი ხალათი არ შეხსნოდა თუ, ეგებ განგებაც შეიხსნა და სამხედროული ღილისაც აგრეთვე ყალბ-ბზინვა რომ ვაიკლაკნა, მივხვდი მაშინვე — ასე განსაჯეთ რაღაც მოუცნაურო შვებითაც კი რომე-ექიმი არა ჰყოფილა არა-მედ მთლადაც ძალიან სუკ-ა, ხოლო იმისისაც-კი დასაზუსტებლად ისაც გავიგე პატარა ხანში რომ, რომა, რომ — ვინა-ვინა და, კერძოდ, თურმე, სრულად-მაიორ-საპოდპოლკოვნიკე (ეს რავარცმინიმუმ) და, ეგებ, ჩემისთანების დაკითხვებისა მახვილგონივრულ-ნარმართვისათვის საპოლკოვნიკეც კი — ესი უ.გ.-ა —

ბებიაჩემის ძველი დოსტი.

თურმე. კი. კი-კი. დოსტი.

იმდენადდოსტი, რომეე, რომაა, დოსტაქარობამდეც კი ჩამოლეიტენანტებული — ოღონდ,

კაგებესი, ბესიი, ე... ე, ეგიდი-თო თუ რა სიტყვაა ამდენი აბა საიდამ ვიცი და ხედავთ ხომე აი აქაც კი, ამდენ-ნლის შემდეგ იმისი ლი-ლის დანახვითე აი ახლაც კი როგორ-მაინცა ვიკატუნებ, თავს, — როგორც სრულიად ყოვე-ლისფერში რაღაც მაინც ძევს კაგებეს ლილი იქნება ეს თუ ფოლაქი და, —

სადაურსა სად მიიყვანო და ვინ ალარ შემოგ-ხვდებაო-კი იმან გამახსენა რომ, აბა სად უ.გ.-ა და სად ბებიაჩემი კ. (ორძაი)-ა, რამ დაადოს-ტათ... —

ის მერე რა რომ ხევსურულთ-წესით და-მობილების განსამტკიცებლად — თავს ვდებ ამაზე — ნამდვილად არა-გაუჭრიათ კავკასიუ-რი ხანჯლით — თითები.



გურამ დორჩანაშვილის ბებია —
მერი (ფაცა) კორძაია-ემხვარისა

თურმეე, ყმანვილს-ს, როგორც ასევე შემ-დგომ გავიგე განსაკუთრებით მყარებისოსები-ან (— „ვაჟკაცსა გული რკინისა გისოსი თუნდა თეთრ-ხალათისაო“⁽³⁾) საავამყოფოში გადაყვა-ნაი ჰსურვებიაყე, ჩემი, მაგრამ ვინ გამატანდა მაიორს კი არა გინდც თლათ-პალკოვნიკ-მეტ-ვნუშიტელნის — მფარველებად და დამცვე-ლებად ყველა ექიმი და მათ სათავეში კი თვით ბატონი დავით იოსელიანი, რადიდი კაცი, მყავ-და,

მერე კი, კიდევაც მეტად განსაკუთრებით დიდად სასტიკსა „კრიზის“ში რომ ვიყავ (არ შემიცოდოთ, ეს იმდროინდელი 17 ნლისა აგერ 67-ს გახლავთ უკვე) — ვიმეორებ, იმა სტატიის დამსახურებით, ახლაც არ ვიცი იმ კაგებეშნი-კისათუ კაგებესიდამქაშ-მონა-მესტატიესივი-ნაობა — დროდადრო სხვასა და სხვაზე ამბობ-

დნენ რაღაც-რულაცებს მაგრამ რა მნიშვნე-ლობა ჰქონდა მისსა გვარ-სახელს ანკეტაურსა — იმასაც, ერთ-ერთც-უანრისა იქ-კალამ-კალ-მისტაროსანსა მეშენგეტყვიდა მიგელ სერვან-ტეს საავედრა-II ერქმეოდა თუ რა თუმც სერ-ვანტესი ჩამორჩენილურის ბატის ფრთითა თუ რაცხაამგვარით, ნერდა, ხოლო ესი-კი ვეჩნი-ავტო-რუჩქაიანი უპასპორტ-უგვანრსახელი-ანოდაც აკი ისედაც როგორ საკმაო-მშვენივ-რადა — ისე რომ ჩანდა რომ იდგა-კიდეც მისი ლორწოთი შეეონინებული სულის ყრალისუნი და, ხანდახან კი მაინც ითქმევა ხოლმე იმისთა-ნებზე ორგვარი რამ-რამ, ჯერ — ერთგვარად? — ვიცით იმათ როგორც იმათე-ვიხსენიებთ და მეორეგვარად კი, ააი, ასე:

„და რა ექნა იმასაც, ოჯახი ყავდა სარჩენი და რო მოეხსნათ შენ ურჩენდი იმას ოჯახს და აბა განა, ცოდო არ იქნებოდა-ო? სხვა რა გზა ქონ-და რომ არ გაკაგებებენიკებულიყოვო“-ო, ვოო, - ვუიმ, — არის ხომ, არსებობსა და გვხვდება აკიც ხომ, — ღხსნორ-გამართლება, ეს,

და, კი-ც დამეწყო ხანგრძლივი კრიზი მისი ოჯახის კარქა-ყოფნობით, ჩემი პირველი კრი-ზისისას რაღაცა-მაინც გამოყოლილი მქონდა ნინა-სიჯანმრთელიდან, ახლა კი, იმა სულ-ლაფვას გამოვლილი, ძალიან ძლიერ უმნეოდ ვიყავ მაგრამ როგორი ზრუნვით დამცეროდ-ნენ და მესიტყვებოდნენ ექიმები — სიტყვავ, დიადო, ქრისტესმიერო!, — ჩემი კეთილი თეთ-რხალათება (ნეტა უ.გ.-ას თეთრსა ხალათს ამო-უყვანეს დაშხეფ-ზეთები?) — აჲ... გადააგდებ-დნენ ნაგვის ყუთში, და, იმა-ყუთმაც რა დააშა-ვა...) მხოლოდ თავთით მდგომი და კი არა და მთლად თანამდგომიც, ექიმები და გადიებიც, განსაკუთრებით თეთა ან, რომელსაც გული თურმე ძალიან ანუხებდა — რაც ეტყობოდა, ფერზეც... — მაგრამ სადღა ახსოვდა თავისი გული, — ჩემით... რამდენად მეტად, ჩემზე-იყო, კი... და ვინ-რომელმა ვიცოდით ჯერ, რომ, რომ თვით თავად ღვთით, რომ საკმარისი არ ყოფილა ის რაც გადამხდა ეს კი სწორედაც თურმე იმა-იმისათვის რომ შემდგომ ყოველი ყოვლად მორიგი და მორიგი გინდ მეათასე თოვლი და ნვიმა და მზე და ქარი და ნიავიც კი, მეასიათასე? — გამპირველებოდა, - და რა ძალიან, უკიდეგანოდ მესურვილება განმეორება, ამის...

და მაგრამ მაინც მაპატიეთ რომ, ვიმეორებ და ვიმეორებ ამას, მაგრამ წყალობა იმდენად დიდი იყო, ღვთით, ეს დაჭრა-ესი, და თვით ბუნების ლამაზი-როგორ — უნატიფესი გა-მოხდომების გარდა მე ჩემმა იმა-ძნელყოფამ თავად სრულიად-ადამიანიც როგორ ძალიან შემაყვარა ჩემ-ექიმებით და როგორ არ ვთქვა აი ისიც კი რომ —

„შენ კი გენაცვალე მაგ ბრძნულსა ხელში ჩემო დანით თუ ატვიორტკიით დამჭრელო“-

მეთქი, მაგრამ ამითე-ვაჲთუ არ მივადგე რაცხა-ნამეტნავს.

და, რა წყალობად ამავ მძიმედყოფნით, რა ვაუკაცობის მიზეზიც გავხდი ისეთადდაგვარისა, რომ, რომ რომელი ჩემი ბავშვობისეული და გმირობის მთლადაც დამამასნავლებელი თუ არა მაბიძებელი მაინც, გმირობისაკენ, რაინდობისაკენ, თავდადებისათვის მიმდრევნი როგორ-ლამაზად კეთილშობილი კინოფილმები „დედოფლის მეკობრეები“, „მრისხანების ველი“, „რობინ ჰუდი“ - რაიყვნენ იმასთან, რაც ვრცელმა ბატონმა დავით გიორგის დეიოსელიანმა — როგორძალიან მსიამოვნებს კი არა მთლადაც როგორსა სავსე-ბედნიერებამდე მიხარია მისია ასე ვრცლად მოხსენიება — არ ვიცი თორემ მისი ქალბატონ-დედის გვარსაც რა-მოწინებით, დავაყოლებდი ხოლო მთავარი მისი სიმაღლე — ეს ჭეშმარიტი ექიმის თავის-გადადება იყო ისეთი ყოველმხრივ რთული ავადმყოფისათვისაც კი, როგორიც მე ვყავდი ანუ ჩემთვის? —

რა ჩაიდინა? —

მოსულა თურმე მასთან შედარებით რამდენად-კნინაუ.გ.-ას შემდეგ კაგებესი-ბესიმთავარი თავმჯდომარე თუ მინისტრი თუ ვუმფროსი კონტრა-ადმირალი თუ თელათკამერპერ-დირექტორი თუ რაერქვა ამას არა-აქს-ქს დიდ-მნიშვნელობა, და ვერც თავ-კაცსა ვერ ვუწოდებთა. ინაურსა და ვერცაც ტვინ-კაცსარამედ მოსკოვიდანე-დამრიგებლურის საქციელებით გამომდინარეზედ? — ვთქვათ ასე: „იმოსკოვისე განმმართლებელი“ და „ცუდადამიან-ელემენტთა აღმომჩენ-და გასასამართლებელი“ ოლონდ სხვებისა უფრო, კი, იყო, ესა ხომ — კი და ჰო და ხო და მააშ და მეტიც, სამოსკოუროთ — ოჩინ კანეჩნა, მოკლედ, თვით-ისა-ა მოსულა ორი მანქანით და ამოუვლია თავისი საკუთარ-ფეხით-გენერალურით ძაანც-უბრალო მნახველსავითა კიბეები და შესულა მთავარ ექიმთან და, და საშუალოსა-ხმით უთქვამს რომ ეგ ავადმყოფი ჩვენს საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთ (ეს ორიოდ დღეში გავიგე),

არ შეიძლებაო, — ბატონ დავითს, იოსელიანს.

რაო? როგორ თუ არ შეიძლება კაგებეს გენერალიგეუბნებითამას. ქვემოთჩვენისასწრაფო დახმარების (— „დახმარების!“) მანქანა მიცდის და უნდა ჩვენთან გადავიყვანოთ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეა ეგა-ო, — ჩემზე.

რა და როგორი დამნაშავეა ეს მე არ ვიცი მაგრამ როგორც ექიმი გეუბნებით მისი ადგილიდან დაძვრა და მანქანით გადაადგილება არ შეიძლება, მერცხლის ბუდე აქვს ფილტვებში (ეს „მერცხლის ბუდე“-დ ნოდებული, რაღაც აპკისადამაგვარით გარსშემორტყმული ჩაჩირქება მართლაც მედგა და მცირედ შე-

ჯანჯლარებაზედაც კი შეიძლება გამსკდარი-ყო და ჩემს ფილტვებს და ლეიკოციტებს კიდევ ჩირქი უნდოდა? — მერე და მერე კი, შეუშფოთებლად თუ იქნებოდა გაინოვებოდა, თვით იმ უურთულესი მოწყობილობითა და მუშაკობით ადამიანის სხეული რომ ჰქვია).

არაფერი არ ვიცი, ახლავე ამოვაგზავნი სანიტრებს-ო, — შინაურ-ინაურს.

აქ კი ბატონ დავით, გიორგის ძე, იოსელიანს თავად კაგებეს-ს მინისტრისათვის კონტრულ-გენერალ ა. ინაურისათვის ფეხი მეკრად დაუბრახუნებია — დიდი, მძიმე, დარბაისელი კაცი ბრძანდებოდა, და ამდენი ლაპარაკიც თუ შეეძლო ვერ ვიფიქრებდი — ძლივს დაუუჯერე ეს ამას-შემსწრე ექთანს და, აი ასეც დაუყოლებია: სანიტრები მე მეტი მყავს ავადმყოფის გადასარჩენად და ვნახოთ როგორ წაიყვანთ, მე თქვენს სანიტრებს ჩემებს არ შემოვაშვებინებ, და თუ კი იკადრებთ საავადმყოფოში თქვენი შეიარაღებული ჯარისკაცები შემოიყვანეთ და ისე წაიყვანეთო.

აქ, ინაური, რაცგინდ ფრთამალი კავალერია, თვალსაჩინოდ შეფიქრიანებულა — ესლა უნდოდა, ისედაც როგორ-მყვირალა „ამერიკის ხმა“ - სადა „ბი-ბი-სი“ - ს, მასალად? — „ატეპლენიე“ - ს გზაზე დამდგარ საბჭოეთში მძიმე ავადმყოფის, გინდაც პოლიტიკურად-დამნაშავის, შეიარაღებული ჯარისკაცებით ასე სახიფათოდ და ძალით გადაყვანა? — არადა, მთელსაავადმყოფოს ხომ ვერ დააპატიმრებდნენ — არც ისე იყო საქმე — და, მთელ ქალაქში გავრცელდებოდა ანუ იმ რადიოსადგურების როგორ-დაცევეტილყურებიანთა (კაი ხვითოებია, ისინიც) სმენამდე ოუცილებლად მიაღწევდა ეს ამბავი.

და, ატსტუპლენიით დაუხევია, თვით გენერალსა და კაგებეს თავმჯდომარეს თუ ანტირაღაცას და ასე შემდეგ კამერპერულად, დიდი დავით იოსელიანის ნინაშე, რომელიც, მგონი, მლადში სერეანტიც კი არ იყო.

ასე გადაგირჩენივართ, როგორ ძვირფასო დავით გიორგის ძევ, იოსელიანო, როგორ-ად, გმადლობთ, და თანაც, როდის — 1957 წელს, როცა კვლავ იდგა ტავარიშჩ-სტალინის ჩვენ რომ ბოლომდე ახლაც ვერ აღვიქვამთ ის საზარელი, მყაყე სული რომელიც მგონი ახლაც-აგერ, დატივტივებს, კი...

და რაკი სიტყვამ მოიტანა, რაოდენ დიდი გაკვირვებით ისიც ხომუნდა გავიფიქროთ რომ ის „ამხანაგი“, ტავარიშჩ სტალინ თან რაოდენ დიდად ნიჭიერებით აღსავსე კი არა მთლადაც უუნიჭიერესი და გამჭრიახი თუმცა იყო მაგრამ აბა რა-ლ გამჭრიახი: საჯოჯოხეთოდ, ავტო-ურობით? — მილიონობით ადამიანს ისე განირავდა რომ შუბლის ძარღვი ერთხელაც არ შეუტოკდებოდა, რომ-კი ჰქონოდა.

რამ გამახსენა... რამდენად კარგი კი არა და, უკიდეგანოდ გასაბედნიერებელ გახსე-

ნებად მე ისა მაქვს, რომ, თუ როგორ აიი, ასე გაისტუმრ-გაუშვა, უფრო სწორად კი პირში როგორი ჩალაგამოვლებული გააგდო მისდამი რწმუნებული საავადმყოფოდან თვითე კაგებურ-სუკის თავმჯდომარე თუ რასედახიან არა და რაც გინდა ეძახონ კიიყო იკაცი დირეხტური ერთ-რაღაცისა და თავად კა-კამერ... არა, საკანთ-ჰერ-ინსტრუქტორულ-კონსტრუქტორულიც თვით იმა-შავი სესერასი, მოკლედ, ვინც იყო, იყო (— თუ, „რაც იყო — იყო“?!...)

ხოლო მესამე თუ მეოთხე დღეს სიმართლე სიმართლედადა, სულაც-არა მოგვდგომლარიან ვრცლად-გაყიდულთა-სავაჭროსის დირეხტორისაანტი-ნოქრული ჯარის-კაცები), მიუხედავად იმისა რომ თავად აღარ ატარებდა ქირურგიულ ოპერაციებს — თითები ძალიან დაუმსხვილდა და გაუუხეშდა მაგრამ არც ერთი ძნელი ოპერაცია არ იყო ის რომ ექიმისაც და ავადმყოფის თავთით არ მდგარიყო და სიტყვიერად არ წარემართა თავის ექიმთა ისედაც მაღალი ოსტატობა და თუმცა პუნქციის გაკეთებისა შემძლე ექიმების მეტი ვინ ჰყავდა მაგრამ პუნქცია თავად ჩამიტარა და, რომკი მოვედი ბოლო გულის-წასვლისა შემდგომ, გონზე, როგორ უზომოდ გახარებულმა რომ პუნქცია აკი დამთავრდა და მეც შვებით-როგორით, ამოვისუნთქებდი და მან კი, ბატონმა დავით, გიორგის ძემ, იოსელიანმა, მხარზე დამადო ხელი და ოდნავ, სულ ოდნავ გამიღიმა და საერთოდ კი ერთის შეხედვით ვითომდაც გოროზი, კუშტი კაცი იყო? — არა, აარა, მის მიერ ჩემს ტყავდა-ძვალა მხარზე დიდი და მძიმე ხელისგულის როგორ-მსუბუქად, რა-ჰაეროვნად ჩამოდება რომელ-ერთ გულში ჩახუტებას და კოცნა-ხვევნებს არა სჯობდა, —

დიდო ქირურგო, დიდო კაცო, ახლაც, 50 წლისა შემდგომ? — რა განუზომლად, როგორა, გმადლობთ...

აქ კი, პანუას-შესასვენებლად, მოდით ცოტათი გადავუხვიოთ, არა გვჩვევია ესა თუ რა... —

ზემორედ ასე ორ-სამგან მაინც ნახსენები სიტყვა „კამერჰერი“ თურმე გერმანულია (იმა „Словарь иностранных слов“-ის მიხედვით — სუსველაფერი მართლა ტყვილი კი არ წერია, იქა... ეე, არამედ - „იმაში“...), და თურმე ნიშნავს იმას რომე თურმე ამ-ესი სიტყვით გამოიხატებოდა ერთ-ერთი „პრიდვორნე ზვანიე“ (— ბიჭოს! პატარათი-მეც ხსნორი ვყოფილვარ შინაურულსა-ა.-ი.-ისადმი მიმართებაში, ვეპ... — რა აღარ ხთება,) მეფის რუსეთში, მაგრამ, —

კაცო, ეს გერმანული სიტყვა თუკია, პირველსა-რიგში მაშვინ რუსეთში საიდამლა ერქვათ კამერჰერებსა კამერჰერი, ჰა? — და კიდევ რომ იმ „словарь“-ს ამა-კონფუზის ყოვლად-ძალიან უნებურულად გამოსასწორებ-

ლად ისიც კი ააქვსაა რომ — რომ ეს ნოდება აგრეთვ-ჰყოფილა ზოგიერთულა სხვათაც მონარქიულსა ქვეყნებში.

მაშ.

და ასეცა, კიი, — დიდ-უცნაურად კიიციან ლექსიკონურის-მიერულა ზოგირუსებმა ზოგიერთულა სიტყვისა ახსნა:

ასე მაგალითად, სიტყვა „კომბაინ“-ი ისევ და ისევ იმავე ლექსიკონით (რას ჩავაცივდით...) ინგლისური-თუმც, ნაყოფილარა, მარა, თვარა ნუმერ-I კომბაინი გამოუგონია 1868 (რაკაი ციფრებია რაც მართალია მართალია...) წელს რუს ა.რ. ვლასენკოს — ?!

და კიდოვაი ის მაინც-რო დაგვინერეს (დაგვიბეჭდესაც), რომმა, რომაა „კომბაინი“-ეს ინგლ. — სიტყვაა, და კიდევ იმას დავეძებთ რომ სამაგიეროდ ის დაგვიმალეს რო „კომბაინ“-ი გვარი ჰყოფილა იმ ინგლისელისა ვისაცა-რომა იიმანქანა გამოუგონავს? და ესი-ამბავი კი ისე დამალ-მიჩქმალეს აგრეთვე სხვაცაც ლექსიკონებში რომ? მოგჭამაჭირი, მაგრამ (ჴ)ალალ-რუსებზე რამდენად მეტად ამდაგვარი კაზუს-შეგნებულ ლაფსუსებისა ჰეავ-ტორები შემფარებელსა რუსებს საერთო ჯამში რბილათ რომა ვთქვათ ძალიან ხშირად თავიანთს ბინძურ-ჭკვაზედა ატრიალებდნენ (- და ატრიალებენ-ც?), თან ისე რომა თვითი შეფარებულებს ცალწვეთი რუსული სისხლიც რომ არ ჰქონდათყე (— ლენინ-სტალინი და იმათი დროშა, ტროცკი, სვერდლოვი, კამენევ რიკოვი, იაგოდადა ვინ მოსთვლით, კიდევ რამდენ-რამდენნი-რაოდენნი ძალიან ბევრ-სხვა),

ხოლოო, ახლა კიი, ამ შედარებით უწყინარულსა იმა „словарь“-ისეული კამერჰერებისა და კომბაი-ბაი-ნებისა ნაცვლად საქმესა მივყოთ ძლიერ ერთგული ხელი (— ვითომ? — ნეტაი...) დაა, ახლაა, ისევ კა-გე-ბესს (-ესეს) დავუბრუნდეთ — არ მოგვანატრეს, ი-გოთურნებმა, გოთვურან-თავი?

ასე მაგალითად, ამ კაკა-გეგე-ბებე-სს-ს გამოჩინებულთ (გამოჩინებული-ც? — აგრეთვე კაი ბევრნაირია,) ამ შემთხვევაში კ.გ.ბ.-ს სუკ-თა დიად ნინაპართ — ჩე-კა-სა და ენკავედეში თურმე ძალიანც აუგი იყო და თავისმოჭრად ეთვლებოდათ აბა თუ იცით რა... — რა დაა — ჩე-კა-სისა თუ ენ-კა-ვე-დუ-ურისა მძლავრს ბუკეტიდამ უანრობრიულად ერთ-ერთიც ნაზ-ყოილისა ნარმომადგენელი სახეობით-იმ, რომ შენილბულად „გადაცმული“ რომ გაყიდულიყო ხალხისა თვალში ენკავედურის თუ ჩეკა-სის წევრობითა? — აჲ, დაუშვებელი იყო ყოვლად ესა, აპჲ, და, ამიტომაც, ამა-უანრნნოსანნი გრიმსაც ისობდენ თავ-თავიანთსა ჭკვურ-სახეზედა ხოლო ადეკალონ-კი არ ისხამდნენ ზედა-თავზედა რადგანაც სუნითა „ტრაინო“სა „ოდეკოლონი“საგან მეტ-ყურადღება არ გამუენვიათ ჰარიფებისა და, კიდევ-მეტად შესა-

ნიღბავად? — თუ გურულები იყვნენ, არა? — მთლადაც კახურად, „ბჯოო“-თი უქცევდნენა და კახელები კი თლათ-ნამდაუნუმ „გოლუაფირო“-ს გაიძახოდნენ დალბილებულის „ლ“-თითა და, თუ ქართლელები ან იმერლები — რაჭვულსა „ქვეშენიჭირიმე“-ს იფრქვეინებოდენ დალბილ-მოუბარად მეგრელები კიძაანაც მჭაბურ-თანხმოვნებიან სვანურსა სცრიდნენ სალგინაც-დამპალ კბილებშუა და ასე შემდეგ,

მაგრამ,

ნარმოიდგინეთ,

მაინც ვიყვენით მთათა-მკვიდრულა სალკლდეება ზოგ-მთიულები თუ მოხევეები თუ ბორცვებიან-ლეჩხუმელებიანტაფობისატეზე-რელები(სოფელიარისაშურისმახლოქვიშხეთან, კი, ოლონდ ქვიშხეთი მომაღლოდაა — ყიფიანების სოფელი იყო,) იმათიძირულ-ფესვისასა ამომცნობები... კი... და როგორ თუ რითა — კოჭებზედ, კაცო, ეტყობოდათ რაგინდ პაჭიჭიციც ორ-ორნი სცმოდათ პედიკურიან ფრჩხილ-კოჭებზედა ხოლო ამისი დიდოსტატი? — იმავოხების ამოცნობით? — მეგობრის, როგორი მხატვრის ვახტანგი თავისი კაცობით ძირითადულად მთლადაც ქალბატონ ფრანცოვნა-სი გაზრდილი იყო ვერისა უბნის ერთ-ერთ ჭერქვეშა, ქალბატონ ბებო-ფრანცოვნას კი, თავისი-ს სიკეთით, ჯერ კიდევ როდის, თავისი უსაყვარლესი შვილიშვილის, ვახტანგი-ვახოს დაბადებამდე რამდენად ადრე, თურმე ბევრ-ბევრი ისეთი-მნარე ხევდრი არგუნა ბედმა რომ სხვა მის ადგილას თუ მოტყდებოდა, ქალბატონი ელენე ფრანცისასული ბეთანელიარამცითუგაუბზარავი, სხვებისათვისაც კი რაღაცა დიდად უცნაური, როგორი მაღალი მადლისა-მფენი, მთლად მიმომფენი ირგვლივ, იყო, ეს ჩემს თავზედაც უხვად განვიცადე, უკვე სტუდენტი ვიყვავი, ბებო-ფრანცოვნა? — აჲ, რა ლამაზად რანატიფად შემართული რამხიარულად ცქვიტი მოხუცი ქალბატონი მაგრამ ამასთანავე რალაცნაირად უნებურად მაღლა-დგომა, გამომუშავებული და ამპარტავნული კი არა, ლვთით დაყოლილი ახლდა რადგან როგორ უბრალოდ და უშუალოდ — მაღალი იყო ის მერე რა რომ დაბალი, ტანად, და ამასთანავე როგორილაც თან აშვებული და თან ბრძნული მხიარულებით მუდამ თავთადგალვთისეს მადლიარადა, რეები, აღარ, გადაუტანია, ამ ყოვლად გაუბზარავ დიად ქალბატონს:

ბოლშევიკები იმთავითვე დიდად მტრობდნენ გვარ-ბეთანელი-ს მატარებლებს, იმიტომ, რომ:

ქველმოქმედება სჩვეოდათ და ძალიც შესწევდათ ამისა და ასე-მაგალითად დიდ ისტორიკოსს, მიხეილ თამარაშვილს საარსებო თანხას მუდამ უგზავნიდნენ იტალიაში;

მათი უახლოესი მეზობელი და მთელი მათი

ოჯახის მეგობარი დიდი ვანო სარაჯიშვილი მათ პირდაპირ ცხოვრობდა და მათი იმდენად უზომოდ მოყვარული ყოფილა რომ თუკი დროს ოდნავ მოიხელთებდა სულ მათთან იყო და ისე-უბრალოდ კი არა — ეს დიადი ვოკალისტი მოკინტაურო არღანის (—არადა, რა საკრავია!) თანხლებით მუდამ მღეროდა მათ სუფრაზე და როგორ ლხინობდნენ, ლხენდნენ,

მაგრამ, მომხდარა რევოლუცია „დიდი ოქტომბრის“-ა (ბრჭყალების ეულადაც კი? — ისემც!) და მერეც კი „იმ“ (და არა „ამ“) მენშევიკების ჯერი დამდგარა ქვეყნის დასაქცევად ხოლო მერე კი ჩამონილილა ბოლშევიკების კიდევაც-მეტად მნარედ დასაქცევი დრო — დაქცევას კიდევ ვინ დაეძებდა მთლად ამობუგვანანდომათ, ჩვენი, და, ბებო ფრანცოვნას ქმარი, გიორგი ჩიკაშვილი დაუხვრიტეს რომელიც რაშემართულად მებრძოლ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი ოცეულის, კერძოდ ვერისუბნის რაზმის მეთაური გახლდათ და იმავე რაზმში იბრძოდა ბებო-ფრანცოვნას ძმა, ფერდინანდი, რომელიც ძლივს ძლივობითლა გაუპარებიათ კეთილის მყოფელებს საფრანგეთში მანამდე კი ოჯახის მეგობარი — გამოჩენილი მხატვარი ვარლამიშვილი, რომელსაც ისეთი მაღალი, დახვენილი გემოვნების კაცი როგორიც ბატონი რეზო თაბუკაშვილი ბრძანდებოდა დიდ პატივს სცემდა ხოლო მთელი ჩეკა-კი (თუ, ჩექა-ქი,) ენაგადმოდგებული დაეძებდა მათ, ისეთები-რამ მნარედ ახსოვდათ მათგან მაგრამ რაცგინდა ჩე-ქაქი მაინც ძნელია ვერის უბანში საფრანგეთში მყოფი ამ-დიდ კაცებისა, აღმოჩენაი, და ჩავლება,

ბეთანელების დევნა 1951 წლამდე მთლად განუწყვეტლივ გრძელდებოდა რომელ ამნელსაც ბებო ფრანცოვნას ბიძაშვილები ჩვეულ-სიავით გადაუსახლებიათ ბოროტეულებს, ბებიაჩემის დოსტ-უ.გ.-სა უმფროსასა დმებსა

ხოლო ბებო-ფრანცოვნა აბა რაისი-ლ ვახტანგის აღმზრდელი შეიქმნებოდა მის დაბადებამდეც მასავით რომ არ ამოსდგომოდა როგორ-მებრძოლ, თავისიანებს:

1924-25 წელს, უუმძაფრესად ავზნიანსა დროს, დანაშაულისათვის კი არა ნარჩინებულიქართველების ყოვლადუმიზეზოდაცამოწყვეტის წლებში, რომელი წლების უბედურებები სიშორის გამო ნაკლებად ვიცით ისე კი 1936-37-38-39 წლებზედაც კი ტვინშეამიანადაც გულმანკიერი წლები ყოფილა და სწორედ იმ წლებში ქალბატონ ელენე ფრანცის ასულ ბეთანელს თავისი სახლის სარდაფში მძიმე საბეჭდ-მანქანებიანი სტამბა შეუთხზავს ვითომდაც სუსტი, ნაზი ხელებით რომელ სტამბაშიაც ანტისაბჭოთა პროკლამაციებს ბეჭდდნენ, ეს ახლახანლა გავიგე და, თავმოწონებად ნუ ჩამომართმევთ მაგრამ აღარ მიკვირს რატომ

შემხვდა ისე გულითადად მე, უკვე სტუდენტს, ვახტანგის ბავშვობის კი არა, მოგვიანებით-მე-გობარს, მაგრამ, რა-სიამაყით:

თურმეიმ-ჩემიპროკლამაციაობით თვითბე-ბო-ფრანცოვნას უმცროსი ყოვლად და ყოველ-მხრივ მაგრამ „კოლეგა“-სავით თანამდგომი მაინც, ვყოფილვარ

და ეს ყოვლად ძალიანაც-უდავო დასახვრე-ტობის ხიფათიანი (ცოტასიტყვაა, როგორ...) სტამბა ქალბატონ ელენეს, დაქვრივებულს რომ დაუარსებია ოთხი შვილის დედა ყოფილა, და, არ გაგვახსენდეს? — „სარეველა“-სი დამ-ნერზე გასამართლებლად თქმული: „რა ექნა იმასაც, ოჯახი ჰყავდა სარჩენი“, ღ.

და ხოლო დიდი ხნის შემდეგ, როცა ვახტან-გი უკვე მოზრდილი ჰყავდა, სამხატვრო გალე-რეის წინ ჩაუვლიათ და, ბებო-ფრანცოვნას დიდის გულისტკივილით უთქვამს: „აქა მარხია ჩვენი ბიჭის ცხედარი“ ღ, და დიდად გაკვირვე-ბულა კი არა მთლადაც გადანცვიფრებულა ვახტანგი: იქ, სამხატვრო გალერეასთან (-უპოვიათ, გამოუძებნიათ რაღა, შესაფერისი ადგილი...) მართლაცადა პირსისხლიანი, ხელ-სისხლიანობის გარდა კანიბალურიც მინადაყ-რილი კომუნისტებიც ჩალაგებულიყვნენ, იქა: ფაბრიციუსი, მოგილევსკი რომელი მოგილევ-სკიც ძნელი წარმოსადგენი კია მაგრამ სის-ხლისმსმელობის საქმეში თვით ორჯონიძეც კი სადღაც-მუცლამდისინ და იმისდაბლამდეც ჩამოუტოვებია არადა ხო-ნაქონებარა გვა-რი-შესატყვისი, და თავიანთი კი არა არამედ სხვათა, მაღალთა სისხლით დაძმაკაცებულ-დაძმობილებულ-დაჯალათებულები აგრეთვე მიასწიკოვი (თურმე მეცნიერებულა ყასბურის გვარით – მიასწიკოვი), ათარ-ბე-გოვი თუ ბეკოვი ერთი იმათიც... — ანტიკ-ტა-ლიკ ბიჭ-ნაბიჭვრები, ნაძირალები კი არა და, — ძანაც ბნელ-ბნელ უფსკრულეთელები — საჯოვლებეთოდ ბოლშ.კომ.-პარტ.სოც.-ები-სულითა და,

„ჩვენი ბიჭიო? — თვით ფრანცოვნამ და, რაში ყოფილა თურმე, საქმე:

იქვე, იმათთან დაკრძალული ყოფილა თურ-მე ბებო-ფრანცოვნას მაშინდელი იატაკევეშა წრის როგორი ერთგული და თავდადებული წევრი, „ბიჭი“ კი არა — ეს ბებო ფრანცოვნას მოფერებით უთქვამს — ნალდი ვაუკაცი, უვაუ-კაცესი კაცი მფრინავი ამბაკო საღარაძე, რო-მელსაც მარჯვე მფრინავობით იმიტომ გამოუ-ჩენია დიდად თავი, რომ, რომ ნდობოდნენ და აგრეთვე მფრინავისეული დიდი ოსტატობისა გამო ეს სოც.-ებისათვის მეტად ძვირფასი ჯა-ლათები (ოლონდ ეს — სანამ იმათაც დახვრეტ-დნენ, ალბათ... კიდოკაი რომ, ერთმანეთს არანაკლებ მტრობდნენ თორეე, ახლაა? — ბუნდღა ვეღარა იქნებოდა ვერც-ერთის, ჩვე-ნი... ვგულისხმობ მკითხველს, ისინი შვაგულ-

ბოლშევიკები ძირითადად ხომ უნიგნურები დიდათე, იყვნენ) და მნამებლები და დროებით ძვირფასი ჯალათ-ძალიან-ქონდაქარები, თუმ-ცა... ჰეეი, „ჯალათი“-ც კი თუ შეიძლება იყოს მორბილო სიტყვა ესა ხომ აკი ძალიან ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ, იმათისაგათვალისწი-ნებით? —

ყოფილა, კი,

რადგან ჯალათმა სხვისა-მიერ სიკვდილმის-ჯილს თავის მოჭრის წინ შესაძლოა თუთუნიც მოაწევინოს სხვისითმისჯილ მსხვერპლს და კონიაკიც კი აგემოს ორიოდ ყლუპი, ხოლო ყველა ისინი?

ყოვლად მიუსჯელ-უდანაშაულოთა მტარვა-ლებიც კიიყვნენ და, ახალგაზრდა ფრანცოვნა კი? — მაპროკლამაციათ-ბეჭვდით-საქმეში თურმე ჩვე-9-თა როგორი ნალდი წინაპარი და, წინამორბედი? — მაგრამ მგონი რომ არც მან იცოდა შთამომავლობითობა მისით ჩემი მაგ-რამ მცირე-უბრალოდ კი არა და, ალბათ თვით გულის მთავარი ძარღვით გავუგეთ ერთმა-ნეთს ეს — მე მასთან როგორმა დაბალმა (სიგ-რძეში აკი არაა საქმე) და მან კი, მაღალმა, მა-ღალმა-როგორ, ბებო-ფრანცოვნამ რომელმაც დიდად იცოდა თავისი ჯილა-ვახტანგის (თურ-მე სხვა ახლობლებივით არასოდეს დაუძახია მისთვის „ვახო“ არამედ — მუდამ ვახტანგ-ით მიმართავდა თურმე) ამხანაგების თვალით ერ-თადერთი მცირე-შევლებითაც კი ანონ-დანონ-ვა და შეფასება? — წამში:

ასე მაგალითად ერთი ჩვენი მართლა დიდი შემოქმედი (არაა აუცილებელი მისი ვინაობისა და ხელობის თქმა) ვახტანგთან ასულა და კი-ბის ხის კიბის თავთან მდგარ ფრანცოვნას ყუ-რი მოუკრავს რომ იმ შემოქმედმა (ვიმეორებ, ნამდვილად დიდი, მნიშვნელოვანი, საამაყო ხე-ლოვანია თავისი რთული ოსტატობით მაგრამ თითოჯერ ვის არ შეგვშლია...) — და რომელს არ წაგვცდება ხანდისხან ფეხი — თურმე ფრან-გულად რაღაცა უთხრა ვახტანგს არადა ბებო-ფრანცოვნამ აკი მშვენივრად იცოდა რომ თავი-სი მხრიდან იმ შემოქმედმაც კარგად უნყოდა ვახტანგმა ფრანგული რომ არ უნყოდა და, ასე არ უნდა ჩემი შვილიშვილის ვინდაც ამ-ერთი-კუთხით ანუ ფრანგულით დაჯაბნაო, და

სწორედ ფრანგულად ისეთ-ისეთები შეუგი-ნებია იმ ხელოვანისათვის, რისი 18 მთლად 38-სართულიანადაც, კი,

და იმ გაოგნებულსა ისე რომ მთლად გა-მოფრანგებულ-გაბითურებულს იმა-მომენტში ფრანცუზულათე დიდად განაფულს მაგრამ იმა-მამენტოში ექს-ხელოვანისა — აბა რომე-ლი დიდოსტატი გინახამთ თქვენე შეშინებუ-ლი-გაკვირვებისაგან ისე დამფრთხალი რომ? — პირდაფჩენილი — მერე და მერეე კი, თურმეე, ფრანგულისაგან მგონი თვით საფრანგეთშიაც კი შეძლებისგვარად იკავებდა თავს სადაცა

რომ, სხვათაშორის, სხვა განხრით ანუ მისადმი კუთვნილი ერთ-ერთი სახეობის შემოქმედებით და არა პოლიგლოტ(კ)ური ენათმეცნიერებით თავი ძალიანაც ისახელა და,

სამაგიეროდ კი, მადამ ფრანცოვნამ ისეთ მაღალ შემოქმედსა და პიროვნებასთან, როგორიც... — ვაჲ, ერთმაგულსა გადახვევასაც არ ვაცლი, თავს? ვინავარმაინც ესა-ასეთი მეტის-მეტი-ბრეტისბრეტი ყბედისყბედი... მაგრამ, გადავუხვევ კი არა, არამედ ძალიან მინდა რომ თქვენთან ერთად ჩავუდრმავდე ქალბატონი ელენე ბეთანელის გაუტეხელობას რაცგინდ იმ მძიმედ წყეულ ნლებში, თუმც, ამასთან ერთად, ეგებ მთლადაც წყეული ნლები არ იყო ის, რადგან — ასამაღლებელიც და ბედნიერების ნლებიც იყო რადგან მაშინდელ ელენეობას, ბეთანელობას იმა-სიძნელით რამდენად მეტი აღფრთოვანების მიზეზები რა მყარად აძევს:

მამამისი, ბატონი ფრანცი როგორც მოგახსენეთ გამოჩენილი (მაგრამ თვითონ და თავად კი არ ჰყენდა ქვეყანას ამას,) ქველმოქმედი ბრძანდებოდა და დიდ მიხეილ თამარაშვილზე მადლის დადების გარდაც — მთლად 1911 წლამდე, როდესაც თამარაშვილი გარდაიცვალა და ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა კი რამდენი ხნისაშემდგომ, იტალიიდან საქართველოში გადმოასვენა, და ბატონმა ფრანცმა რამდენ აუარება სიკეთესთან ერთად დიდი მხატვარი ვარლამიშვილი, რომელსაც, როგორც უკვე მოგახსენეთ მაგრამ სიხარულში მხვევს ამისი განმეორება — თვით ბატონ რეზო თაბუკაშვილს დიდად ეამაყებოდა და მონინებულ თაყვანს სცემდა, საფრანგეთში გაუპარებია, თავად კი ვერ დაუტოვებია მისი, ჩვენი-ეს სამშობლო, საქარათველო და რამდენი ბეთანელები რომ დახვრიტეს და მათი სიძეც, გიორგი ჩიკაშვილიც, მოკლეს — გამორჩეულად ცოდვილები აკი მთელის ნაწლავებიან-შიგანითაც და აღნაგურა-რელი-ეფურობითაც აპ-როგორ გლახათ ცახცახებენ მაღალი ხალხის არსებობით — ჭინჭარ-ბოროტის მთლად-ერთიანად ციებაა, ეს —

და, ქალბატონი ელენეს უფროს ქალიშვილს, ვახტანის დეიდას, ქალბატონ ნინოს დიდ-უცნაურად დასიზმრებია მამა-თავისი, გიორგი ჩიკაშვილი მაგრამ სიზმარსაც ხომ გააჩნია — ხანდახან სიზმარში ვეფხვი ან ურჩხული რომ მოგდევს გონგადასული ჩეკისტივით... — აჲ! — ვთქვი მეც, რაღა — ჩეკისტი ყველა გონ-სგადასულია რადგან რაღას არ სჩადიანა და იგონებენ სამარადისო, დ ჯოჯოხეთში რომეი გამნესდნენ, არამედ ვითო-უბრალოდ უნდა მეთქვა: ზოლებსა-გარდაც რომბიკ-ებიანი (ანუ ზვანიის აღმნიშვნელი) საყელოებით ყელ-სშემოჭერილნი აფთარებივით რომ მოგდევს დასალენად და შესახრამუნებლად და მთლა-დაც ძვლების გამოსატკევერად მაგრამ, რაც-გინდ ცივ-ოფლდასხმულს რომ გაგელვიძება

ხუთიოდ წამში აღარც კი გახსოვს სიზმარი-ეს მაგრამ ქალბატონ ნინოს არამცთუ დასიზმრებია, მამათავისის მაღლივი და როგორ მკაფიოდ გამონათქვამიც ჩაესმა თურმე: მოდით, მოგვხედეთ, სოღანლულის გზაზე მეცხრამეტე კილომეტრზე ვართ, მ

და, მთელი ოჯახი რომ წასულა იმ უკაცრიელ მე-19-ე კილომეტრზე, მიმოუხედავთ და გზიდან მოშორებით, ტანჯულ გიორგი ჩიკაშვილის გარდა სხვათა ცხედრების ნაფლეთებიც დაუნახავთ რომელთაც ღამით მგლები ჯიჯნიდნენ, დღისითძალლებიდა, მეორეგზაზე ბებო ფრანცოვნას და მის ქალიშვილებს — ვახტანგის დედა, როგორი სათნო დეიდა თათა მთლად ბავშვი ყოფილა — მიუტანიათ ბარი, ნერაქვი, ნიჩაბი და, აუკრეფიათ, დაუმარხავთ ჩეკისტებისა და მგლებ-ძალლების საკბილოები, და, მოუსვენია ბატონ გიორგი ჩიკაშვილის ხორცსა და, სულს —

თავის მინაში, იწვა,

... ფრანც ბეთანელი თურმე დიდად ამხანაგობდა ზაქარია ფალიაშვილთან, და ქუთაისში, დიდ ფისგარმოანიაზე დაკვრას როცა მოამთავრებდა „აბესალომ და ეთერი“ -სა და „დაისი“ -ს ავტორი, მერე თვითონაც უკრავდა, ფრანცი, მის შვილს ფერდინანდს კი მეფის დროში ასტრონომიული ფიზიკის ის სახელმძღვანელოები უთარგმნია გიმნაზიის უფროს კლასებში გიმნაზიელები რომ სწავლობდნენ,

ეს საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა ვახტანგმა, თავისი ნალდი-წინაპრების ნალდმა, მემკვიდრემ,

ხოლო ვახტანგი თურმე ბებია-სა და ბებიის კი არა ფრანცოვნა-ს გარდა ხანდახან დიდე-ედ-ოსა და ელენე-საც ეძახდა ხანდისხნობით, და ვახტანგისა დიდედოსი გამორჩეულად საყვარელი მნერლები კი თურმე ყოფილან დედანში-ფლობერი(!), დედანში — ჩეხოვი და რაღავ თქმა უნდა დედანშივ ჩვენი კლასიკოსები — ჩვენი ამაღზევებლები და, სენკევიჩი რომელიც ადრე თურმე გაცილებით ხშირად იკითხებოდა და ბატონ ავთანდილ ვარაზის მამასაც, ვახტანგი ვასო-პაპას რომ ეძახდა დიდად ჰყვარებია სენკევიჩი,

ხოლო დიდ-დედა-ფრანცოვნასთან ვახტანგის დაბადებამდე 15 წლით აღრე რომ მისულა ჩეკისტიმათიმოზრდილისახლისჩამოსართმევად — ერთადერთიდა მცირე ორი ოთახი დაუტოვებიათ და ჩეკისტს რომ ნაგონებარა და შიშობდა ვაიჲ ისე არ გადაირიოს ეს ოთხშვილიანი სახლჩამორთმეული ქალი თავში რამე არ ჩამიშვასო — მაგრამ ფრანცოვნას ჩაი-ზედ დაუპატიუნია თავისი მურაბით, და როგორ დიდად გაოგნებული ჩეკისტი-ისი, რადგან — სახლის ჩამორთმევის გამფორმებელს და, მურაბიანი ჩაი? — აჲ, არა, ვერა, — ჩეკისტამდეულ აბა ვით-როგორ დავიდოდა, ეს...

ფერდინანდს კი, რომელიც საფრანგეთიდან გერმანიაში გადასულა, 1941 წელს კი თურმე გულმა ვეღარ მოუთმინა და იანვარი მდგარა — საქართველოში ჩამოსულა — ფაშისტური გერმანიიდან! — ადრე ისედაც დევნილი, და ქალბატონმა ელენემ რაღა თქმა უნდა კი-ნახა ძმა მაგრამ რაღაც თქმა უნდა დიდად ფარულად და ენკავედესაც (თუ რა ჯახნაბა ერქვა მაშინ) უყნოსია მისი ჩამოსვლა და დიდი-დედო ფრანცოვნა თურმე მათი აივნისა-ნინ ატუზულ ჩეკისტს რომელსაც თურმე სიცივისაგან რაღაც-ნამეტურ აურიალებდა, თავიდან აივნიდანა ჯულიეტასავით კი არ გადადგებოდა და არც ჩეკისტი უხმობდა ასე:

ჩეკისტი, ანუ პირობითად-შეყვარებული რომეო: — ვინც არ დაჭრილა ის იარასაც არაფრად აგდებს.

(ფანჯარაში გამოჩეუბა პირობითი ჯულიეტა)

პირობითი რომეო: —

ეს რა ნათელი აელვარდა იმის სარქმელში?

აღმოსავლეთი არის იგი, მზე-ჯულიეტა.

ამოდი, მზეო, დააბნელე მოშურნე მთვარე,

ისედაც მკრთალი და მოშურნე მწუხარებისაგან,

მაგრამ პირობით ჯულიეტას ის კი არ უთქამს:

ოი რომეო, ო, რომეო, სად ხარ რომეო?

მამა უარჲყევ, დაპეტე გვარი, გამოიცვალე;

მაგრამ თუ არ გსურს, სიყვარულის მომეცი აღთქმა,

რომ შენი გავხდე, აღარ მერქვას მე კაპულეტი,

მაგრამ, რისი მონტეგი და რაისილ კაპულეტი, ქალბატონი ფრანცოვნა ბალკომ-აივანზე მართლაც კი-გამოდგებოდა ჩეკისტისაკენ და, არც ის უთქვამს:

შენი გვარი მმტრობს მარტოოდენ, შენ არ ხარ მტერი;

შენ ხომ — შენა ხარ. სრულებითაც არ ხარ მონტეგი!,

არამედ, მადამ ფრანცოვნასა?: შუალამობით? — ლამით ხმა აკი მეტად ისმის —

— ამოდი ბიჭო ის მერე რა რომ ჩეკისტი

ხარ (მუდამაც იმ ძველის-სახელნოდებით მოიხსენებდა იმ-„საგანგებო კომიტეტს“), მაინც ხომ ადამიანი ხარ შენცა და ჩემი ძმის გულისათვის ტყუილად აბა რატომ უნდა იკანკალო, და მეტი ჭკუა არა გაქვს? — ხომ იცი შინ რომ ნამდვილად არ მოვა, შენა სულელი ხომ არ გვინდინანდი, ამას ის არა სჯობიან ჩაი დაგალევინო ეგება გათბე შე საცოდავო, ო,

და, იმდენი უძახნია ეს მითომაც განზედ-შაჟურებლისათვის, რომ, ჩეკისტი მართლაც ასულა მასთან ოღონდ ჩვეულებრივი კიბეებით და არა თოეის კიბით ხოლო

დიდ-დედა ელენეს კი მისთვის ჩაი დაულევინებია და ლოლუებ-მრავლადდაკიდებულ ჩეკისტს რომეკი გახსნია სიცივით გათანგული კრიჭა და ენაც ძლივ-რო ამოუდგამს, უთხოვნია:

— თუ შეიძლებოდეს, ძალიან გთხოვთ აღარ დამიძახოთ, არ გამთქვათ, ო,

ქალბატონ ფრანცოვნას კი:



„ფრანცოვნა“ ელენე ბეთანელი —
ნახ. ვახტანგ რურუასი

— აბა რად გაგთქვამ, შვილო, ჩეკისტები ხომ აკი ისედაც სახელგანთქმულები ხაართ, ნადი შინა და არხეინად დაიძინევი, ოღონდ შენი ტელეფონის ნუმერი აუცილებლად დამიტოვე, ფერდინანდი თუ შეცდება და შინ მოვა, არა? იმ ნუთასვე დაგირეკავ და დაგაჭერინებ შენმა მზემა აი, ო, —

აიი, ასე გაუბითურებია თავისი ჭკუით „არალეგალური“ ჩეკისტ-მეკისტი,

ხოლო დიდ მფრინავს, ამბაკო სალარაძეს რომ აუფრენია მაღლა, ცაში ის არამცოთუ ხელ, — პირსისხლიანიც ჩეკისტები, მეორე პილოტისათვის, საქართველოში გაზრდილი გერმანელისათვის უთქვამს: „გადი იმათთან, შეასრულე ჩვენი საქმე“ ო და, იმ გერმანელსაც, ასევე დიდად-შენიღბულ ვითო-ბოლშევიკს, ყველასათვის გულში უსვრია და, მერე კი, — ვინა თქვა კამიკაძეები მხოლოდ იაპონიაში იაპონელებიარიანო — ქართველ ამბაკო სალარაძეს და იმ გერმანელს მინაზე დაუნარცხებიათ თვითმფრინავი, ხოლო მინამდისინა სხვათდამხვრეტავები იმიტომ დაუხვრეტიათ რომ აღარავის ჰერნებოდა ვითო-შემთხვევით განიცადეს ავია-კატასტროფა, — ჩეკისტებს აკი საგულდაგულოდ შეუსწავლიათ გვამები — აპაპატიეთ — ლეშები და, მართლა მთლად-აცგამოთაყვანებულები კი არ იყვნენა, მიპხვედრილანა ყველაფერს და, კაპიტალისტურებულებებში რომ არ მოსჭროდათ თავები, ვითომ შემთხვევით მოხდა ესაო და ცხედარში უ-ტყვიო სალარაძესაც დიდ-“პატივი” სცენა

იმით რომ იმა დიდად გამოჩენილი (სხვადას-ხვაგვარია) ბოლშევიკების გვერდით ისიც დაა-საფლავეს დაა მითომდაც დიდად საიმედორები-ნისა ფარდა გადააფარეს ამ ამბავს, მაგრამ — დიდმა ფრანცოვნამ ხომ იცოდა ეს ამბავი და, თავის ვახტანგს, უკვე მოზრდილს — „აქა მარ-ხია ჩვენი ბიჭი“, მ.

ხოლო ქალბატონ ელენეს ისე ეახლოებოდა და დიდედაობრივად უყვარდა ვახტანგის ის მერე რა რომ ასაკით კარგა-უფროსი, როგორი მეგობარი — დიდი მხატვარი და პიროვნება ბატონი ავთანდილ ვარაზი რომ — მის უნაპიროდ სევდიან-სახის კეთილშობილებაზე გული თუმცდიდად ეწვოდა მაგრამ ამას ხომარ დაიმ-ჩივდა და, მხოლოდ ფრანცოვნას თუ შეეძლო ეს — 80 წლის მოხუცს ავთოვარაზი ვალსის სა-ცეკვაოდ მიუწვევია და, რა უნახავს ვახტანგს უკეთესი: დიდედა ფრანცოვნა — მხნე, შემარ-თული, 40-ოდე კილოგრამი წონისა, დაბალი, ცქვიტი, ტანით რამდენად მაღალ, უკეთილშო-ბილეს და მარადდარდიან მაგრამ იმ ცეკვით თვალებში უჩვეულო სიხარულით თვალებგაბ-რწყინებულავთოვარაზთან — როგორ ცეკვავ-დნენ და რა ჩაუქად დატრიალებულან ის მერე რა რომ, მცირე ფართობზე, თანაც შტრაუსის ყველაზე ცნობილ ვალსს მთლადაც თავადაც გაიმღეროდნენ, თურმე,

და, წარმოიდგინეთ ჩემი როგორ-უზომო ბედნიერება როცა ვახტანგმა მხოლოდ ახლა-ხან მითხვა, რომ, თურმე ფრანცოვნა ვახტან-გის ყველა ამხანაგსა თუ ნაცნობს, მათ სახლში მისულთ, სუყველას საოცრად კვიმატ და ზედ-გამოჭრილ მეტსახელებს არქმევდა თურმე ოლონდ იმათ კი არ მიმართავდა მეტსახელე-ბით, მხოლოდლა ვახტანგს ეუბნებოდა და გუ-ლიანად აცინებდა, თურმე ყველანი, ბევრი-ძა-ლიან ჰყავდა ასე — “დახასიათებულები” გარდა ორისა, ეს ორნი კი, ყოფილან?

ავთო ვარაზი, და... მე, წარმოიდგინეთ ეს უდიდესი ბედნიერება, ჩემი, და მე, ვისაც რომ როგორ-დიადი ქალბატონი ელენე ბეთანელი მყავდა კი არა, მყავდა — ერთია და, — მყავს! — მე ამ-ულირსმა ავად თუ კარგად — საშუა-ლო აქ არ არსებობს — ესი პროზა-ეს, აი ესაც კი, არ უნდა ვწერო?

და, საერთოდაც როგორი უფროსი მეგობ-რები, მყავდა და მყავს, ახლა კი, მხოლოდ მათი სახელ-გვარების ჩამოთვლით მინდა, გავი-ხარო, დიდ-ბატონები, ეს:

რეზო თაბუკაშვილი,
რეზო ჩხეიძე,
ნიკო ჭავჭავაძე,
რეზო ინანიშვილი,
გურამ ასათიანი,
რეზო ჭიჭინაძე,
ჭაბუა ამირეჯიბი,
რომან მიმინოშვილი,
ოთარ ნოდია,

რამდენი მადლი მახსოვს მათგან,

მაგრამაც, კაცოო?

აღარ შემიშვებთ, გენაცვალეთ, კაგებეთ-სუკ-შიი?

და აქაც, ერთი გადახვევა — მე აკი დიდად გადამხვევი, ვარ...

ჩვენი გამოჩენილი მწერლების ერთი ჯგუფი, რომელთაც მწერალთა კავშირის იმდროინდე-ლი თავმჯდომარე, როგორი კაცი და პოეტი — სულზე მისწრება — ბატონი ირაკლი აბაშიძე თავკაცობდა, კონსტანტინე გამსახურდიას (და აგრეთვე დეიდა მირანდას პატივისცემით და სიყვარულით) ხათრით გადაუდიათ თავი და, მუავანაძისათვის უთხოვიათ როგორმე ეგებ თვით ხრუშჩიოვმა მიგვიღოსო და მუავანა-ძემ, რომელიც ბუნებით ნაღდად არ იყო ბორო-ტი, იმანაც გადადო თავი და ხრუშჩიოვისათვის უთხოვია ეს და, რომ შესულან დიდის ფეხაკრე-ფითად და მაგრამ მაინც როგორი დიდის-გამ-ბედაობით მოუხსენებიათ ჩვენი ამბავი, ხრუშ-ჩიოვს უკითხავს:

— რამდენი წლისა არიან? - მ.

აქ კი გახარებულებს უთქვამთ, 3 მათგანი მხოლოდ 16-საა, 6 კი — 17-საო, ყველანი არას-რულწლოვანები არიან, მ.

დააა, აქ ხრუშჩიოვს, „ატეპლენიე“ს ვითო-კა-პელმაისტერს, უთქვამს:

— არ გამომიჩდნენ მტრები? გაყარეთ ახ-ლავ-ახლავე, მ.

ბატონი ირაკლის კი:

— ჩვენ როგორ გავყაროთ ძვირფასო ნიკი-ტა სერგეევიჩ, მ.

აქ ხრუშჩიოვს უხვ-მეჭეჭებში ჩასცინებია და,

— წადით და მშვიდად იყავით, მ.

ასე გადაწყვეტილა ჩვენი ამბავი. — 1957, ანუ — „ვითო სრულწლოვანები“, ჩვენ არას-რულწლოვანები სრულწლოვანებიც კი ვართ, — ხანდახან,

დიახ, მ.

„ვითო არა სრულწლოვანობისა“ მიუხედავად, მ.

მე ბატონი ირაკლი აბაშიძეზე ბევრი რამ კარგი მსმენია თუნდაც მამაჩემისაგან, ვისი ამხანაგიც პოეტის ძმა, ბავშვთა ქირურგი, შესანიშნავი პიროვნება ბატონი ანდრო აბა-შიძე იყო, — იმ ძძიმე წლებში ყოვლად უხინ-ჯოდ იქცეოდა ხოლო ეს აზრი საბოლოოდ გამიმტკიცდა მწერალ მამია ასათიანის ქალიშ-ვილმა, ქალბატონმა მანანამ, კარგმა ფილო-ლოგმა და მოქართულემ:

როდესაც მამა გადასახლებიდან ჩამოვიდა, ახლო ნათესავებიც კი ერიდებოდნენ, ბატონმა ირაკლიმ კი, ქუთაისში, ზედ თეატრისნინა ბაღში რომ დაინახა მამაჩემი, მარტობაულ-

კაცობით უზომოდ დაღვრემილი, თურმე მივიდა და უთხრა: მამია, როგორ მომენატრედა მოდი და ბალის კიდეზე ერთად ავიარ-ჩავიაროთო და, გადაუხვევიახელიდა, დღისით-მზისით, ახლახან-გადასახლებიდან ჩამობრუნებულთან ერთად სახალხოდ ასეაუვლ-ჩაუვლიარამოდენიმეჯერ, - აი, ასეთი კაცი ბრძანდებოდა, და საერთოდაც როგორ ეხმარებოდა მწერლებს, იმათი ოჯახის ნევრებსაც კი მძიმე გასაჭირის დროს....

ხოლო რაც შეეხება ხრუშჩივს?

ცნობილია რომ ფაშისტებს, გესტაპოელებსაც კი, სხვათა-სანამებელი საკები-დან ("სხვათა")... რომ მიბრუნდებოდნენ შინ, ძალზე ძალიან მთლად ნაყვარებათ-არა მაგრამ დიდად კი, უნდებოდათ კლასიკური მუსიკა, განსაკუთრებით კი მოცარტის, შოპენის (— პოლონელობის მიუხედავად!)... და მათთვის ასე შემდეგ კომპ.-ტორების მოსმენა, ასეა —

დიდ-ცოდვიანებს, შვებისათვის, — რაღაც, სიკეთედ ამაღლებული მუდმივ უნდოდათ, ხრუშჩივსა კი, რომ ამოუხრჩვია სისხლში უკრაინა, სტალინი ამას როგორ დაუკარგავდა და მოსკოვსა და მოსკოვის ოლქის თავკაცად დაუნიშნავს, და მონდომებულ ხრუშჩივსა კი? — მოსკოვის ოლქში 10 ათასი კაცი უნდა გავაკულაკოვოდადავხვრიტ-გადავასახლოოდა, მოსკოვის ტელევიზიით ახლახანდა გამოამზეურა ესერთმა პოლიტოლოგმა და, დასძინარომისე-დაც უკვე გადაშენებული კულაკები და უფრო მეტად ყალბად-გაკულაკებული პატიოსანი შრომით შეძლებული მშრომელები როგორ შეიძლებოდა აღმოჩენილიყვნენ მოსკოვის ოლქში, ეს მხოლოდ ნოყიერ მინაზე მცხოვრებლებში შეიძლებოდა ვთქვათ-და მომხდარიყო და არა ისეთი მცირე შესაძლებლობების მინაზე როგორიც მოსკოვის-ირგვლივაა, და, თვით სტალინსაც კი აუკრძალავს მისთვის, ეს,

და იმავ სტალინს, ვისაც აგარაკზე მიუწვევია მაღალი სასულიერო პირი ხოლო გამომტყვრალ ხრუშჩივს იმ სესერეკასათვის მიუღებელი „მიმართულების“ პირისათვის მეტად უზრდელური შეურაცყოფა რომ მიუყენებია, სტალინს იქავე ისეთი სილა გაუნავს თავისი (ისემც ...) ნიკიტუშვასათვის რომ მაგიდაზე სიფათით ჩაუმხვია, —

უცნაურია, ნუთისოფელი ... ი-სტალინსაც კი, რაღაც ძალიან შორეული და უცხო მაგრამ სასულიერო სემინარიის მადლი გამოყოლილი, ჰქონდა,

თუნდაც ის რომ ილიჩის (ისემც ...) შემდეგ მართლმადიდებლური ქრისტიანული ტაძრების აფეთქება შეუწყვეტია,

და ხოლო ემ-ხრუშჩივმაც კი, რომელმაც თვით ბერიას აჯობა და მას კი, ბერიას მჯობნელს კი ყოვლად-მეტადაც გამოსადებილებელმა ბრეუნევმა გადაუჯოერა, ეს უცნაურიამ კი არაა, არა —

სესერეკაში სესერეკასი სათავეში მოსაქცე-ვად, არარსებობდა არავითარი კანონზომიერება ოლონდ ბოროტების გარდა,

ჩვენ კი, სწორედაც ამა-ხრუშჩივის, ამისთანასი მოჩვენებითი კეთილშობილებით, გათავისუფლება გადაგვეწყვიტა, იმ-სისხლიანით —

მოდი და ეცი, ჩემისთანას, ახლა, პატივი ...

საავადმყოფოდან რომ გამომწერეს, ყველას ცრემლები ადგა თვალზე, — შემომეჩვივნენ და შემიყვარეს იმ 55 დღეში, თან იქ დიადმა მსახიობმა, ფაცა-ბებიას მთელი ჩვენი ოჯახის ახლობელმა, მინახულა მაშინ როდესაც ძალიან ერიდებოდნენ ახლობლები ჩემს ნახვას — ჯერ, შორით რომ მოვეარი თვალი, მთელი საავადმყოფოს მედ.-პერსონალი მოსდევდა და, ნეტავ ვინაა ასეთი ექიმი-მეთქი, იმდენი ხალხი თვით ერისთავსა და თვით ფიფიას არ ასდევნებია (უ. გ. — ზე არაფერს ვამბობ) და, ჯერ ვერ ვიცანი — თვალებში მაშინ ბინდი მედგა და, რომ დამადგა თავთ და დაიხარა და მაკოცა, მერე-ლა გავარჩიე — თვით დიდი უორა ბრძანდებოდა, შავგულიძე, მასზე ნერილად ჩემს „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა პოლივუდი“-ში მაქვს საკმაოდ ვრცელი ადგილი — ეს ოდა გახლავთ გიორგი-უორა შავგულიძეზე, მაგრამ ოდა თუ ასე ვთქვათ „სერიოზულია“ აქ თავად უორა შავგულიძე მთელ თავის ნიჭთან და დიდ და მაღალ-კაცობასთან მისი უნიჭიერესი „ციგნობები“ თაცაა აღწერილი და იმედი მაქვს თავს დიდად არ შეგანყენთ თუ მოინდომებთ და ამა ურიგო ადგილს (— ჩემი დამსახურება არაა ეს, ბატონი გიორგი შავგულიძის მაღალმა მადლმა დამანერინა ეს) ნაიკითხავთ, — ბოლოსკენაა, აბა ისე „ომარა და გივია“ თავით-ბოლომდე აჲ!,

და მთელი ჩემი საავადმყოფო აღფრთოვანებული იყო იმით რომ თვით დიადმა-უორამ მინახულა — ახლაც და განსაკუთრებით მაშინ რა მსახიობები იყვნენ საქართველოში მაგრამ არასოდეს მგულებია ისეთი, ყოველი სპექტაკლის შემდეგ 200-მაინც თაყვანისმცემელი რომ არ დალოდებოდა და ასდევნებოდა, ჩემი „სამოქალაქო ნათლია“ უორა („ომარა და გივია“-ში მაქვს ახსნილი თუ რატომ იყო ძია უორა ჩემი „სამოქალაქო“ ნათლია,) კი მარჯანიშვილის თეატრიდან იქავე, ელბაქიძის ქუჩაზე, ბლარტ-ჩემთან აუცილებლად შემოივლიდადა, არ ვიძინებდი მის მოლოდინში და ვერც მაძალებდნენ, და

როგორ ულრმესად გმადლობთ, ძია უორა, თქვენ კი ჩემი მონახულების შემდეგ ორიოდ ნელინადში გარდაიცვალეთ და რითი მერე — ტროლეიბუსით, რომლის უდანაშაულო მძღოლიც თურმე კედელს როგორ-გამნარებული ურტყამდა თავს — ვინ გავიტანეო, არადა,

თურმე ისე-ძალიან დამთვრალი ყოფილხართ მაშინ? — მე მთლად-არასოდეს მინახიხართ მთვრალი ხოლო სუფრასთან კი, თქვენი თაყვანისმცემლების მიერ მორთმეული ღვინით შემოსული და მოლხენილი — როგორ რა-ხშირად და ბებია ფაცას და-ქალები — ყელ-ბაბთიანი გიტარებით აღჭურვილი დები იშხნელები რა გემრიელურ-მშობლიურად მღეროდნენ „სულიკო“სა და „ტურფავ, ტურფაავ“-ს, მაგრამ ყოველი სუფრის მთლადაც მთავარი სულის-ჩამდგმელი ეს თქვენ ბრძანდებოდით, ჩვენს თუმც ღარიბულსა მაგრამ თქვენითა და დებიშხნელებით და ძმებ-ძიძიგურებით როგორ მდიდარ, კი, ძლიერ, სუფრაზე,

ხოლო, ჩემი გამოწერისას ისეთი ზე-უცნაური ამბავი მოხდა, რომ? —

როგორ-ძალიან გულისამაჩუყებელი:

საავადმყოფოდან რომ გამოვედით და მამამ ტაქსით ჩემი მიცილება გადაწყვიტა, ბებიამ იმდენი ივაჟკაცა რომ, არ გადმოვარდნია წვეთიცრემლი და, მამაჩემს უთხრა:

— პეტრე, მე დავბერდი (არადა, 56 წლისა, 45-ოდეს ჰერცოგი), და ვეღარ ვუვლი... შენ ნაიყვანე, — და გულიც გაიმავრა, — თანაც, გურამის ხათრით ცოლი არ მოგიყვანია,-ო,

აშ, სასწაულთა სასტაული! — ბებიამ თვითონ დამთმო, მამასთან ...

მთელ სამიოდ დღეს კაგებეშნიკებიდან თვალნათლივ არავის მოუკითხავს, მამაჩემი კი? — ფრინავდა კაცი, მეორე დღესვე მაშინ დიდად უცხო-რამ ხილი — ტელევიზორი მომიტანა და, ვუყურებდი და, მაგრამ, თვით კაგებე-საც რად დავავინყდი, ნეტაც ბიჭები მაჩვენა-მეთქი,

ბებია მთელ-დღეს ჩემთან იყო, და, საღამოობითლა ბრუნდებოდა შინ, და სწორედაც იქ თავისი ნებით მტოვებდა, სადაც ბავშვობისას როგორი მნარე არჩევანის ნინ მაყენებდა მამაბებია,

და, როგორც იქნა და ამოვიდა ჩვენთან, ჩვენს სხვენში საპოდპოლკოვნიკე უ. გ. (ნეტაი როგორ იგებენ სახლთ-მისამართებსა კაგებეურნი მაიორები, — ჰა?), და ნამოდიო, მითხრა, მეც — „საგარეო“დ ჩავიცვი და, თვით თავის „პობედა“ში ჩამსვა ბებიაჩემისაც დოსტ-დაშოფერმა უ. გ.-მ, და, არავითარი ლენტი არავითარი მაკრატლით ჩემთვის არ გადაუჭრევინებიათ —

ისე-უბრალოდ შემიყვანეს კა-გე-ბე-ში, კი.

პირველ დაკითხვას სუკ-ის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი თუ პოდპოლკოვნიკი ნადირაძეც ესწრებოდა, და მაიორებმა, როცა მითხრეს — აბა აღიარე რას სჩადიოდით და აკეთებდითო,

ხალხი იძახდა ბიჭები არ ტყდებიანო და, მე იმისი ჩიტი ვიყავი ჩემიბიჭები რომ ჩამეშვა?

არაფერს-მეთქი, რაუნდამეკეთებინა — მეთქი, და ამაზე კი ჩვენი პროკლამაციები მაჩვენეს, სადაც 8-ვესი ხელმონერით იყო — ეს პროკლამაციები მე, ამა და ამ გვარ-სახელისამ დავბეჭდე და გავაკარიო, მაგრამ, ამას მათობლავებდნენ და, გამაცურებდნენ? — სუკ-ში ხომ აბა რა ენდომილებოდა ჩვენი ხელნერის მიმსგავსებას, და აქ კი, მეე-მ?

არ ვიცი ვისი-რა ხელმონერებია მაგრამ აბა რად გინდათ ბიჭებს ტყუილად რომ ადანაშაულებთ-მეთქი.

ერთიერთმანეთს გადახედეს — ნადირაძემ, თოფურიამ და უ. გ.-მ, — ეს ლანირაკი თავისი ჭეუით ვითო-გვატყუებსო? და ასე-ოც ნუთს რომ არაფრით გავტყყდი? —

რომელიმე ამოიყვანეთო, ნადირაძემ ბრძანა.

გაიღო კარი და, შემოვიდა გურამ სხირტლაძე, და, რომ დამინახა? — არც სცოდნია თუ ავადმყოფობას გადავურჩით, პირიქით — ესა „პირიქით“ მაინც როგორად მოქნილი სიტყვაა „ისემც“-სავითა არ იყოს, „ისემც“-ს რომ იტყვი მხოლოდ, რაბუნებრივად რაღაი აღარიგულისხმევა — „ისემც დაგიმშვენდა ცხვირი“, „ისემც შეგირცხვა ულვაში“, აგრეთვე „ისემც-ც — დიდეედო ფრანცოვნასავით რთულა-ფრანგულად კიბე-კიბეობრივი მაღალ-38-სართულიანი“ც, არს, და ასე შემდეგ, მოკლედ, ჩემს დანახვაზე გურამს ჯერ ისე გაუბრნებინდა სახე, ისეთი შვება და ბედნიერება იგრძნო რომ, ატირდა კიდეც, რაცაც სიშიკებს ნამდვილად არ ესია-მოვნებოდათ ... და გამომძიებლებს — ხომ შეიძლება, გადავეხვიოო, და იმათ, მიუხედავად იმისა რომ მუდამა პზარავთის ორადამიანს ერთმანეთი თუ უყვარს და, უგულოდ კი არ და — ნაწყენის გულით, მაინც — კიო და, გადამეხვია გურამი და ტირის, ტირის, სლუკუნებს კიდეც შვებით, როგორი მოლხენისაგან იქვე კი ჩვენით გაბითურებულები სხედ-სხედან მაიორები და კიდომეტიც, და, დაგვსვეს მერე ერთმანეთის პირისპირ და, გურამს რომ უთხრეს — აბა, სხირტლაძე, უთხარი რომ ყველაფერი ვიცითო და, გურამმაც, სევდით — სუყველაფერი იციანო, და აააქ კი, მე-ფანტაზიორს ისეც ნარმომესახარომ გურამის ნაცვლად მოყმე-ვინმეაქტიორი-რამ ხომ არ შემომიყვანეს-მეთქი და, ჯერ იყო და დიდად დავუთვალიერე გრიმ-პარიკისა აღმოჩენის იმედით, სახე, მერე კი, როცა ძალიან დავრნმუნდი რომ მართლა გურამი იყო, ისეთი ზიზღითა და სიძულვილისაგან მთლად გულისაყრით ოლონდ სახე-ძალიანდალმეჭილმა შევხედე რომ, თურმე როგორსა-ყოვლად უდანაშაულოს, და ახლა ჩემგან დაუმსახურებელი შეურაცხყოფისათვის აუტყდა ტირილი ოლონდ ამჯერად ყოვლადუსუსური და უქვითინო, როგორლაცნაირად მშრალად ტირილა, ზისა და, — სტირიის, არადა, გურამი რომ დაი-

ჭირეს უკვე ნათქვამი ჰქონდათ თურმე ბიჭებს ყველაფერი მაგრამ კიარ ვსაყვედურობ და ვამ-ტყუნებ — ისეთი დამტკიცებულებანი გადმო-ულაგებიათ — ტყვილათე კი არ აჭმევდენ და ასმევდენ კაის და არ უშვებდნენა სანატორია-ებში და ახელფასებდნენ კარქა — თურმე დაჭე-რამდეც ყოველმხრივ დიდად გამოწვლილვით გვსწავლობდნენ უ. გ. და უ. გ. — სავით ჰასანინა-ურებელი სუკისტები და,

— კარგით-ო, — უ. გ.-მ, — ჩაიყვანეთ კამერა-
შიო.

62400

ჯერ.

დიპლიპიტოსაეფრო ...
ჩააბრუნეს გურამი საკანში, ატირებული — როგორ შეგცოდე, აი დღესაც კი იმა-დღი-სათვის პატიებას გთხოვ, გურამ, 16 წლისას მე აგერ-უკვე 67-სა, ბებერი, მაგრამ რა ვიცო-დი თუ მთელი ხალხი გულმოდგინედ ტყუ-და თუმც არა, არა — კი არ ტყუოდა არამედ როგორებიც სურდათ რომ ვყოფილიყავით, ამიტომ შეთხზეს ჩვენი ყოვლად გაუბზარა-ვობა და ეს ტყუილი კი არა, — ოცნება იყო რა-საც ტყუილთან ვერა, ვერ აქვს მაინცდამაინც სათნო კავშირი

მაგრამ ერთი დიდათე-ჰუმანურ-საქმეა მ-ჩე-
მი მოქალაქით? მაინც ჩავიდინე:

ახლა გადახვევისანაც ცვლად მთლად უკან და-
ვიხევ — მოკლეეთ, გვატყობენ რომ ერთმანეთ-
თან არამცუ კარგადა ვართ არამედ ერთმანე-
თიც რომ ძმურად გვიყვარს დაა, ამითე? — ძრი-
ალ უკვდებათ ჰაზიზი გული, და განა ცოდვები
არ იყვენ? თვით ქალბატონმა ფრანცოვნამაც
აკი ძალიან შეიცოდა გაყინულებული „მზვერა-
ვი“ ხოლო ამ ჩემი საქციელით კი? — ალბათ
როგორე-მოეფონათ გულს, ცოდო არ იყვენ
როარ გამხნურ-გამხნევებული პყვნენ? — ადა-
მიანებია, მაინც, იგინი ხოლო გურამი რომ გა-
იყვანეს? —

— ახლაც არ იტყვიო? — ჟ. გ.-მ.

რა გინდა რომ თქვა, არადა, ერთი გაბზა-
რულ-გატეხილისა გამო მთელ ბიჭებს ორმა-
გად ხომ არ ჩავყრი-მეთქი და, გამახსენდა: ერ-
თი დიდათე-დუპლეტური არაბული ფილმი გა-
მახსენდა სადაც ნაავარიალი ადამიანი მახსოვ-
რობას ძალიან ჰეკარგავს ხოლო მისი მისგან
სათაყვანებელი შეყვარუბულის შვილი თურმე
იმის-თავისიც შვილი-კ აღმოჩნდა და:

— მერაჩავიდინედარაარააღაფერი მახსოვეს, ჩემი ტრავმული ძნელი დაჭრის შემდეგ მთლად წამეშალა მახსოვერობა-მეთქი,

არადა, კაგებეშნიკებსაც კი მართლა ჩაეცინათ, და:

— მიდიმიდი-ო, თქვი-ო,

—რა უნდა ვთქვა როცა აღარაფერი მახსოვს-მეთქი და, იმდენი ვიძახეთ „თქვი-თქვი“ და „არაფერი ვერაფერი მახსოვს“-მეთქი, რომ,

საბოლოოდ ისი ფილმი მოვიშველიე დოკუმენტურათთ, — თქვენ ალბათ სულაც არ გინახავთ ის დამაჯერებელი არაპული კინო და ეს რა თქმა უნდა ცუდია-მეთქი, და,

აქ კი? ნადირაძემ? რომელიც მინამდე დიპლიპიტოსავით ჩუმად იჯდა და ხმას არ იღებდა? — აი აქაა კი, სწორედაც რომ ძალიან-ზუსტათ ანტიდიპლიპიტოსავით? — აი აქა კი? გამჭვირვალურად მომწვანო თვალები ზე-მრისხანება-გავეშებისაგან ძალიან ძლიერ აუკიაფდა და, :

ის მერე რა რომ დაბალი იყო, თავზე ისეთად
დამაღრიალა როო? გძელიც ჰყოფილა იკაცი
კაცო, ოლონდო გლახათე:

— შენ მე სულელი ხომ არ გვითვის ვიღაცა
ხარ შენისთანები დამიმუშავებია!!!!!!?-ო, და
დააჭირა კიდეც რაღაც ლილაკს ხელი და

— ახლავე ამოდით და ახლავე ჩააგდეთ კამე-
რაში — ო.

არადა, ხურუშ-ხრჩობისგან (— უკრაინა, მოსკოვის ოლქი, პოლონეთი, უნგრეთი, ჩვენი 9 მარტი ...) თურმე უკვე გამოსაშვებები ვართ, მხოლოდღა გამოძიების დასასრულსა და სასამართლოს უცდიან და, მე კი, თურმე, იგივ დომашний арест-ისთვისა ვარ გამწესებული როგორც მძიმე ტრავმა-გადატანილი მაგრამ, ისე გამწარდნენ, რომ,—

— ახლავე ჩააგდეთ კამერაში-ო.

და, ჩამიყვანა ვინცხა-ყოვლადუცნობმა ჯარისკაცმა, ქვევით, და რაღაცა ისეთ ოთახში შემიყვანეს კამერას სულაც რომ არ ჰგავდა, იქ კი ვიღაცა დამხვდა და:

— სუსველაფერი გაიხადე-ო.

აა, ახლა კი დამიწყებენ წამებას—მეთქი, მთლადაც ისეთი დარწმუნებით გავიფიქრე რომ გამიკვირდა სატანჯველ იარაღებს რომ ვერ მოვკარი თვალი და, — “ალბათ მერე შემო-ატანინებს”-მეთქი, მაგრამ, თურმე, არამცოუ წამება, არავითარი მსუბუქი მუჯლუგუნიც კი არ წაუკრავთ არც ერთ ჩვენთაგანისათვის, ის კი არა და, ჩვენი „გაყრის“ გამოხრუშჩოვო-ბამდეც თვითინაურს ციხის მაღაზიით ყოველ-დღე სარგებლობის ნებაც დაურთავს, არადა იმ მაღაზიით სარგებლობა მხოლოდ კვირაში-ერ-თხელ შეიძლებოდა — თავისა არ ეყოფოდათ მე რომ მათი ეს-საქციელიც, დავმალო? — ხო-ლო მაშინ მე თურმედა მხოლოდ უნდა გავეჩე-რიკო — ასეთი ყოფილა კაგებეში საკნად შეყვა-ნისათვის უუმყარესი წესი — მთლად უცოდვე-ლად შეუიარაღებელი უნდა ყოფილიყავ საკან-ში... აჟ!! რაღა თქვენ მოგმართავთ, განგებამ დაგიფაროთ... - ყოფილიყავით საკანშიო... — აჟ, მაპატიეთ, — ესლა გაკლდათ? ისედაც ისი არ გეყოფათ, — მერომ კითხულოოთო? —

და, საათს და ფეხსაცმლის შეხსნილ თას-
მებს ვინდ დაეძებდა და, მაგრამ ი-კაცი დი-
დათე ჩვილიგულისი პატრონი აღმოჩნდა თა-

თურმე ჩემს ზურგსა და ასე-ქვემოთს რომ
მიადგა გინდც-შეუიარაღებელი თვალით და
ჩემს მონითალოდ ალაპლაპებულ ნაიარევს
რომ მოჰკერა თვალი? — „აახ მამოჩკა“-ო, მე
კი მეგონა იარაღსა-საწამებელსა ანუ რაღაც
— „პლასკაგუბცი“-ში თითი ხომ არ მოიჭეჭა,
მეთქი, და — მაგრამაა, თურმეე, იმის დედასა
უნდა ეთქო:

„ერთი შვილც კი ვერ გაგზარდე
შრამებსთან მეომარია“, ო,

და, მერე მაინც-კი რომა მოიცა ვაჟუაცურ-
გული, ისე გამჩხრიკა? — ქვიშაში ისე გულ-
დასმით არ დაეძებენ ოქროს-ფინჩებს და, მერე კი, ჩაცმა მითხრა და, — ჩავიცვი, ვირ-
ჩევდი ჯერ თავი და თავი — ტრუსებისასა, და ჩაცმულ-აღჭურვილს? — ყოვლად უფასოდ
გადამიღო ფოტო-სურათი (აი, სადა ჰყოფი-
ლა ცხოვრება-იეფი, იფ), თან ორმაგაულად
— ანფას-პროფილში, და ის სურათი რომ ვნა-
ხე მერე, ჩვენსა-საქმეში ჩანებებული? — 190
სანტიმეტრისა 54 კილოგრამიღა ვიყავ, და 17
ნლისას ეი არა და, ღრმად მოხუცებულს ვგავ-
დი ისე ძალიან ჩამცვივნოდა ღანვები, პირი, ცა-
რიალადა ცხვირ-და-თვალები, ვიყავ; მერე —
„პიანინზე დამაკვრევინეს“ მე-ვიოლინეს ანუ
საგულდაგულოდ ამიღეს ხელის ათივე თითის
ანაბეჭდები — ოღონდააც ოღონდ? — ფეხის
თითებსა არ შეჰებია რაც მართალია მართა-
ლია, კაგებე-შიც აქვთ თითო პლუს-პლუსი და,
ამიყვანეს კიდეც საკანში.

ამასობაში, მომშივნოდა, და, რკინისა კარის
„ფორტუჩკა“ რომ გამოაღეს, ძალისძალათი
შევჭამე რაღაცა ბორში და რაღაც კატლე-
ტი, არადა, საავადმყოფოდანვე „XI მაგიდა“
მქონდა დანიშნული — დღეში ექვს კვერცხს
მაძალებდნენ — მერედა გავიგე რომ ლენინის
დედა ნორჩ-ვალოპდიასა პანიაობიდამ მთლად
დიდობამდე (ისემც...) დღეში სწორებ ექვსს
კვერცხსა აყლაპებდა, ეს იმ ილიჩს (ისემც...)
რომ, რაც სტალინ-ქონდა პირისგემო იმას ძა-
ლიან თურმე პირიქით — ლენინისათვის ერ-
თი ჰყოფილა კაიმეგრული კუპატი თუ ფუნის
გულიაში ხოლო კვერცხსა-კი? — მიჰსჩვევიყო
და, იმდენმა ცილამ, განუწყვეტლივმა, აკი ისე
გამოათაყვანა ეს პროლეტარიატისა-ბელადი
მამალივაარო, გაჰყიოდა, კრუხივით მაინც ეკა-
კანა და მეცეიდე კიდოკაი კაი ჭკუაზედ ვარ
იმდენი კვერცხის გადამკიდე და, სამაგიეროდ,
ძალზე შემიყვარდა ღორის ქონსა-ზედა ხიზი-
ლალა მე ნითელი ხიზილალა და არა შავი ისე
მიყვარს რომ, რომაა, მთლად სტენდალივით
— აკი იმისსა რომანს ჯერ ნითელი და მერედა
ჰქვია, შავი — „ნითელი და შავი“, —

მოკლედ, დავნაყრდი როგორდაც იმ უგემუ-
რობებით და, როგორც კი მოვრჩი,

„Дочанашвили передача-ო და, დავხედე
იმა-დანაყროვანებულზე და, რასა ვხედავ —
სულო და გულო, და, ერთი ოცი ნუთით ადრე
ვერ მოიტანეს-მეთქი? — და, ამოვარტყი „პე-
რედაჩს“ ფეხი, მაგრამ, ორიოდ საათში ვიკად-
რე და, ჯერ მწვადს დავნვდი საკანის არაცუ
განკრიალებულ იატაკზე, მაგრამ რაც მართა-
ლია მართალია შევუბერე სული და — მიღი;

მეორე დილით სიცხე მქონდა, სულ რაღაც
37,5 მაგრამ, ნაშუადლევს, უკვე 38-ზე მეტი
და გადამიყვანეს 57 საკნიდან 54-ში (ანდა პი-
რიქით, საკნების ციფრები თანმიმდევრობით
აღარ მახსოვს), იქ კი ჭალარაშერეული კაცი
დამხვდა, თურმე იმიტომ იჯდა (ინვაც) რომ II
მსოფლიო ომის დროს, პოდპოლკოვნიკს (რა-
ღაცა ხშირად ვიმეორებ ამ-ზვანიასა), რაღაც
არასწორი მანევრი ჩაუდენია და რამდენიმე
ნლის შემდეგ დაუჭერიათ, ვის რას შეარჩენ-
და კაგებე (თურმე ჩვენები-სადა, გარდა), და
ისი კაცი მხრუნველივით უნდა ყოფილიყო ჩე-
მი და თუ სიცხით რაიმ-გასაჭირი შემემთხვე-
ოდა ექიმი უნდა გამოეძახა თუმცა ნამლებს
ისედაც მასმევდნენ და, ჩემისთანას გაფრთხი-
ლებისა ნაცვლად? — ჩემი ლექსები უნდა ნა-
გიკითხოვო, ექს-პოდპოლკოვნიკა (ა! — კი-
დო, კიდო, — პოდპოლკოვნიკი... თუგინდაც
ექსი...) აქა დავიწყე ლექსების ნერავო — აჲ,
სულ არ მელექს-მელექსებოდა, მაგრამ ზრდი-
ლობისათვის? — გისმენთ-მეთქი და, მაგრამ,
არა, ჯერ არაო იმ მომენტს დავუცადოთ მზე
რომ უნდა შემოვიდესო — არადა, ისედაც კარ-
გა-შუქი იყო საკანისა-და-პირობაზე-დ, ხოლო
მართლაც რომ შემოვიდა, სხივი, შეუშვირა თა-
ვი და, დაიწყო ამა სტრიქონით, კი:

„და მზე დაადგა ჭალარა შუბლსა“

არადა, „შუბლზე ჭალარა“-ს რა უნდოდა,
არამედ „თავსა“-ო უნდა ნარმოეთქვა, მარ-
ცვალთა ნყობა დაერღვეოდა ამით თუ რა —
უცნაურია, ნუთისოფელი, და აგრეთვ-დიდად-
უცნაურიაა მისგან გამომდინარე პოეზიიაცა,
კი, მერე კი, 39-ს რომ ასცდა სიცხე — ასე მე-
სამე თუ მეოთხე დღეს, მე-ნაპოეზიარი — არი-
ქა არ შემოვაკვდეს თვიით ხრუშჩოვის მიერ
შეწყალებული მძიმედ ნაავადმყოფარი ელე-
მენტიო, და, თვიით უ. გ.-მა, ბებიაჩემის გარდა
ახლა ჩემმაც დოხტურ-ექიმმა მიმიყვანა შინ
ისე რომ შაურ-კაპიკიც არ გამოურთმევია (აკი
აღვნიშნე ეს-რა იეფად გვყავდა თავად კაგებე-
მეთქი), ზედ მელიქიშვილის 45-თან ისე მშვე-
ნივრად, თანდათანობით დაამუხხუჭა მანქანა
ისე რომ, მშვენივრად — სახიდან ზეთის ერთი
წვეთიცა არ ჩამოჰკარდნია; რამდენიმე დღეში
კი, რომ გამოვჯანსაღდი, — არადა, საკანში
ელექტროლუმელს და მით უმეტეს შეშისა ღუ-
მელს ვინ დამიღვამდა და, კვლავ მომაკითხა
ყოველგვარი გამოძახების გარეშეც ერთგვა-

რად-ტაქსისტ-მზრუნველმა (ისემც... — თვით-მადამ ფრანცოვნასებურივით, კი,) უ. გ.-მ დია-ახსთ, და კვლავ წამიყვანა თავისსა სუკში და არც იმჯერად გაუჭრევინებიათ მაკრატლით არავითარი ლენტი კვლავაც ახასე-უმბრალოდ შემიყვანეს სუკათსუკებშია და, დაღლილის სახით, მაგრამ ძალიან მკითხა:

— მაინც რომელი გინდა დაგიპირისპიროთ, -ო.

ჩემ-ბიჭებიდან, რომელი-ერთი არ მიყვარდა ბავშურიანუნალდ-სიყვარულით მაგრამ განსაკუთრებით? — ვოვა და ჯონდო, მაგრამ ჯონდო ვარჩიე — ესი-ჯონდო ხო, გორგასლიან-ში მიღებისა რეკომენდატორი იყო, ჩემი, და, ამომიყვანეს,

და, უ. გ.-სისა დიდად ჰსევდიანი თანხმობით გადამეხვია, გადამკუცნა და, —

კაცოო, უ. გ.-სა თავისი დარდი არ ეყოფოდა აი-იმით რომ ჩვენ-ისედაცა თელათ-მთავარი-ნაჩალნიკისა მიერ გამოშვებულები, ვიყავით? არადა, ცხადლივ წარმომიდგენია, ჩვენი გამვების თაობაზედ, თუ უ. გ.-სა და გ. გ.-სა რაც დიემართებოდა:

უ. გ.-მა, ალბათ, ალბათ კი არა ნალდურ-ნამდვილად? — ჩვენი გამოშვებისა ანბავი რომ-რო შაიტყო? — აქ ალარ მყოფნის უბრალო-პროზა, პოეზიაზედ უნდ-გადავიდე, კი:

ეს რომ უ. გ.-მა შაიტყო,
ქოში უკულმა ჰყარაო,

ხოლო ქოში-კი იმიტომაა ჰყარა — ანუ შტიბლეტი იმიტო ჰყარა უკულმისაკენ რომ, რომ, — ... უ. გ. ჩვენისთანებს თავისი ოხრულ-ებ-მაკობით ათობით თუმც კი გვიყიდ-გაგიყიდ-და, მაგრამ ჩვენთან კი მაინც იბნეოდა — უ. გ. ჩვენით წააწყდა იმ უუმთავრეს ღვთის წყალობას რომელსაც სიტყვით, განუზომლით, თვით სიყვარული ჰქვია და მისთვის, სიყვარული-საგან აცდენილისათვის, დიდად-ყოვლად, კი, ამოუხსნელი და ამიტომაც და მიუღებელი იყო ღვთის ის უმთავრესი წყალობა-რამ — მს სიყვარული და, იბოლმებოდა კი არა და, მთლად ჰუკვდებოდა ჰაზიზი გული (აპე, ჩემო — ისემც ...) ხოლო ჯონდომ კი:

— რა კარგია რომ გარეთა ხარ, ჩვენც ალბათ ჩქარა გაგვიშვებენ, -ო.

აქა? ელდანაკრავმა უ. გ.-მაც კი, ისი-თავისი თვალები სჭყიტა;

— რა იცი, გარეთ რომაა?!-ო

— საათი უკეთია უმფროსოვო, — ჯონდომ. ვაჟ, — სად მოასწრო ...

— აა-ო, — უ. გ.-მ.

აქა, მინამ უ. გ.-ა ქალალდ-კალმისტარს გაიმზადებდა (— ჰალალი იყო, მასზედ, ისი ქალალი რომელსაც აგრეთვე გ. ფლობერიცა რო ჰფლობდა? — ისემც!) და კ. თოფურიას ვითო-გაკვრითა, ჰკითხა: ეაცო, ჩარლზ დიკენსის რო-მელი ტომი გვაქვს გამოსატანი?

— ალარ მახსოვს-ო.

აქა კი ჯონდომ, თუქსუსმა:

— თქვენ გაისიდან აბიზატელნათ უნდა გა-მოიწეროთ გიდე მოპასანის თორმეტტომეული რუსულად ხოლო ახლა კი გამოსატანი გაქვთ ჩარლზ დიკენსის მეორე ტომი სადაც პიკვიკის კლუბის ჩანანერები იქნება ისიც რუსულად —

ვაჟხ! — როგორ ძალიან გაკვირვებულებმა (ოღონდ კაგებეს პირობაზედ) გადახედეს ერ-თიერთმანეთს, სდუმდნენ კარგა-ხანს, და, რო-გორც იქნა და, ჯონდოს შეკითხვა ქართულად ჰკითხა ანუ დაუსვა, უ. გ.-მ:

— საიდან იცი შენ, ეს ...

— თქვენს გარდა აბა საიდან მეცოდინება, — ჯინდომ, ოხერმა, შემოვევლე, — აბა გარეთ მე არ დავდივარ და არაფერი, თქვენ თვითონ არ თქვით ერთი თვის ნინ, თქვენი პირით, ეს? — ჯონდომ, გროსს-ციგანმა.

და, იქვე, ჯონდომ მისსა შეკითხვას არც დაუცადა, ისე მითხრა: Они все знают до величайших подробностей — არ შეანუხა, თარგმანისათვის, ვითომც იმათთდა მიმართაც კი, ჰაზიზი გული, ჰქონდა, — ჯონდომ შებერტყილო! — არადა, მეცინება და მეცინება ჯონდოს ხომ, მოხარშულს ვიცნობ — ნაღდი ძმაკაცი! რეკომენდატორი!,

ხოლო უ. გ.-სა ერთი უდავოდ ნიჭიერული (ნამდვილად სხვადასხვაგვარია) თვისება ჰქონდა; თითქოს ზუსტათე ჰსთარგმნიდა ჩვენს ქართულად ნათქვამს ოქმში მაგრამ ისე რომ, რაღაც სიბილნეობისაკენ მთლად არა მაგრამ რაღაცა შედარებით გარკვეულკუთხით უარესისაკენ ისე უქცევდა უდერადობას რომ, ვერც შეეკამათ-შეესიტყვებოდი, ეს იმა-სა-ვინც რუსული წესით გინდაც-უბრალო ხლებ-სილ-ითაც არ დამხვედრიან, ძაანა ჰქონ-და განცდა იმისა რომ ჩვე-ცუდიჭიჭები გარეთ უნდა გავსულიყავით რადგან ესაა, იმიტომ, რომ, რადგან ძლიერ უკვდებოდა ნაკვდავი — ანუ ამაგდადებული გული იმისათვის რომ, ჩვენ-ესი-ანტისაბჭოთაები სასამართლოსი შემდეგ ყველანიუნდა გამოვსულიყავითდათანაც სად — ქვეყანაში, ჩვენს, და იმდენად ჩვი-ლი იყო წარმოდგენისა, ამ, აამმხრივა, რომ, გუ-რამ სხირტლაძის ჩემთან დაპირისპირება ჩვენ-სა საქმეში-ექვსტომეულსაში არ შეუტანია — არადა, როგორი სქელი, დიკენსის ლინიი ტომ-ზედა სქელი ტომები, იყო,

მაგრამ ეს თავი, ესი IV თავი ისე ძალიან გაგ-ვიგრძელდა (არადა, თქვენ რა შუაში ხართ, თქვენ ხომ — პირიქით ... ჩემით ყოვლად უდა-ნაშაულო ...), რომ, რომა, რომააა, —

აქაა, ცოტათი შევის-ვენოოთ ...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ვაჟა მოსონძვის

დავით გარეჯის მონასტერი

გაირუჯა გარეჯი,
მწველი მზით და ქარებით...
ანგელოზთა თვალები,
ცრემლით ამომქრალები...
გაირუჯა გარეჯი
და ჯეჯილი გადახმა...
ჯაჭვის პერანგს — გაგლეჯილს,
ძვრა ვერ უყო ალაპმა...
მოძალებულ ურჯულოს
თავი არ დაუმდაბლო!
მონასტერი გარეჯის,
შეხიზვნია უდაბნოს...
თიბათვის ცის თავანზე,
ღრუბლის არ ჩანს ნაგლეჯი...
სასოებით ამავსებს,
ჩემი დავით გარეჯი...

2001წ.

ვ...ს
ვიცი, მალე მიმატოვებ —
ისე გამთელ,
ტკივილები
სტრიქონ-სტრიქონ მშორდებიან...
ჩემი სული
მაცხოვარის ხედავს ნათელს
და ლექსები
შემოკრული შოლტებია...
მომავალში მომინატრებ —
ისევ მოხვალ,
მერე... მტკვარი
ხელს შემოხვევს ნელზე მცხეთას...
ჯვართან ნვიმა
იყო ღრუბლის ამოხვრა
თუ ღვთისმშობლის
თვალებიდან ჩამოწვეთა?!

ცოცხალ პოეტებს ვერ იტანენ,
მკვდარი პოეტები უყვართ...
და ავსებს სუფრებს ელიტარულს
ხორაგი ტკბილი და მსუყე...
პოეტი ლექსების ქურუმია
და აგებს ზეციურ კარავს...
სიტყვებსაც კაცივით უომიათ,
ბედს წყვეტდა: ხან „ხო“, ხან „არა“...
ო, ენავ უფლის საგანძურო,
ჯვარზე გაკრავენ და გკორტნიან...
უნდათ პოეტები შეაძლონ,
ბრბოა თუ მსტოვრების კოლტია!
ცოცხალი პოეტების ეშინიათ,
ოღონდაც მოაშთონ როგორმე...
პოეტი ღვთიური შეშლილია,
მკვდრებიც დგებიან და ომობენ...

ღვინისფერი სიმთვრალე
შენში ისე შემოდის,
თითქოს ბავშვობისაკენ
დაკარგულ გზას მიადექ...
მერე სადღეგრძელოთი
საკუთარ დარდს შველოდი,
მაგრამ სარკის ოვალში
კვლავ რჩებოდი იაქე...
გაურბოდი ღამებს...
მარტოობა გბუგავდა
და ნაფაზებს ფილტვები
ვერ ხვდებოდა გულცივი...
მონატრებებს გაათბობ
კვლავ სიზმრების ბუხართან
თუ მძინარე ბავშვივით
ანგელოზებს უცინი...

ჩაგებული ქარქაში,
ჩაუანგული ხმლები...
ყოფაც, დარდებს ამიშლი,
უომრობით ვთვრები...
და წაჩიქილ ბედაურს
ქარი უწყვეტს უზანგს...
ვეღარაფერს ვპედავო,
დროსაც ვერას უზამ...
გულო, ნუ გამიტყდები!
მიერთგულებ ნეტა?
მე ხომ ციდან სიტყვების
კორიანტელს ვხვეტავ...

სიყვარული ყაყაჩო და ენძელა,
სიყვარული წვიმა, ტრფობის ღალატი...
უშენობა ერთხელ ისე მეძნელა,
რიბირაბოს ზეცის ფერებს ვპარავდი...
და გხატავდი სათუთად და ალალად,
განთიადმა ზეცა ააალუბლა...
უხდებაო ტრფობას გულში დამალვა,
მაგრამ ლექსებს რომ ვერა ვწერ მალულად...

ისევ დარდის მინდორი,
ისევ ნატვრის სასახლე...
შენ რომ ალარ ინდომე
ლურჯი კაბა ცას ახლავს...
ლრუბლის თეთრ ამალაში
ისე დანისლულია,
როგორც სრუტე ლა-მანშის...
მერე თეთრი ლრუბლები
მთებზე ჩამოფანტელდა,
შენი თმების სურნელი
გახსოვს, ძალას მმატებდა...
მოდი, და ძველებურად
სიზმრად შემომიარე...
და სევდის დედოფალო
მომიშუშებ იარებს...
რა წამებით დაინვა
შენი ყველა ბარათი,
ბრილიანტის ბეჭედი
მორგებია არათითს...
კართან მიჭედილია
ნაჩუქარი ყვავილი,
დამჭენარი იდილია
მოლუნულა ნალივით...
როგორ მალე დასრულდა
ის ბავშვური თამაში...
თვალებიც დაგნისვლია,
ცრემლებით დაგნისვლია,
როგორც სრუტე ლა-მანშის...

სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი,
შუაში გზა და მიმსვლელ-მომსვლელი...
გარშემო მტერი... ურჯულოთ ჯარი,
კლდეები სისხლით შესამოსელი...
წინამურს იქით მტკვართან არაგვი
და გაფრენილი ნისლში ქედები...
კვლავ წინაპართა ექო მამაგრებს
და ქართლის ზეცა ანამტრედები...

დავშორდეთ უნდა,
მე ამ ტანჯვას ვეღარ ვუყურებ!..
არ გინდა ხურდა...
გამონვდილი ხელი მათხოვრის...
კუთხეში ჩვენი სიყვარული
დგას და სლუკუნებს,
კვლავ ემატება ჭრილობები
ტანზე მაცხოვარს ...
წადი! იპოვე ვინც იქნება ქმარი მორჩილი,
ლოგინშივე რომ მოგიტანოს
ყავაც, მანონიც...
იქნება შენი ტკივილების შეძლოს მორჩენა,
რომ გაგილალოს და
გაგითბოს ლამის საწოლი...
მე, ძველებურად მარტოსულმა უნდა ვიარო,
უნდა ვიგვემო ბედნიერი წყვილის ყურებით...
გარიურაუზე თუ ჩამოუტყდათ ნისლში ირაო,
რა გულსაკლავი
კვნესა მესმის მოლალურების...

დღეს, როგორც არასდროს
მე ისე მარტო ვარ,
დღეს, როგორც არასდროს
სამყარო გუგუნებს...
და ფილოსოფოსებს
(ჰეგელი, კანტია)
ვუტოვებ ამქვეყნის
ნათელს და უკუნეთს...
ვერავინ გამიგო, თუმც ბევრი ეცადა,
საკუთარ თავს ზოგჯერ
მეც ვეღარ ვუგებდი...
და ქარი ტკივილებს ფოთლებად კეცავდა,
ცრემლებმა ჩაძირეს თვალების გუგები...

ქარი რუსთაველის პროსახტზე



თვალები ამევსო ქალებით,
ქარია და სცივათ ბელურებს...
რუსთაველს მივაპობ წვალებით,
ამდენი ქალების შემყურე...
გედები, გნოლები, კაცები,
მოდიან წყვილები, ცალები...
ლირსებით, ჯინსებით, კაბებით —
ქალები, ქალები, ქალები...

ისევ აევსოთ ღრუბლებს ჯიქნები,
წვიმას წველიდნენ სველი ქარები...
როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები,
თავდავიწყებით თუ გეყვარები...
განიბანება საყდარიც წვიმით,
გამოანათებს ცრემლი ბზებიდან...
და ნაჩუქარი სპილოს ძვლის მძივი,
ყელს მოეჭდობა ძველი გზნებითა...
კვლავ აევსებათ ღრუბლებს ჯიქნები,
ჩამონველიან ქარის ხელები...
როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები,
თუ გეყვარები კვლავ გახელებით...

იღრუბლება... ვიქნები
მარტოდმარტო დღესაც,
ქარმა გრილი თითებით
თმები ამინენა...
დარდებშემოგრაგნილი
მეგებება წვიმა
თითქოს შენი მანდილი
ციურ ცრემლად ცვივა...
გუბეებში ჩადგომას
კვლავ ბავშვივით ვცდილობ,
მაგრამ ეს შემოდგომა
მაჩენს სასაცილოს...
მორჩა, გაქრა ცისკარი,
ზეცა აღარ ფიტრდება...
რა ძნელია მითხარი
მიზნის გადაფიქრება...
მივაბიჯებ, თან მომდევს
წვიმის ლურჯი ტრამალი,
ყელზე თითქოს მაბია
შენი თმების დალალი...
მერე მე ჩემს ორეულს
მოვულერებ დაშნას,
ჩემი ნატვრის გუბურა
როგორ მალე დაშრა...

ვერ გაგაცილე, მიდიხარ მარტო
და ვრჩებით ისევ უერთმანეთოდ...
არავინა მყავს შენსავით სანდო—
უნატიფესი ტრფობის სამეფო...
აპა, დაბრუნდი და გული გტკივა
და გეჩვენება შეგხვდი გულცივი...
ღრომ მონატრება გაამარტივა
თუ განშორების ტკივილს ვუცინი...

ქალის მოცოლობი

გმადლობ, რომ გული კიდევ დაკოდე,
გმადლობ, რომ თავსაც მაძულებ უკვე!
შენს სახელს როგორ ფუჭად ვაბოდებ
და სიყვარულის კვლავ ვითვლი ლუკმებს...
ო, რა კარგია სიტყვით მომკალი
და შემაზიზლე ტრფობა, ფერება...
ყველა ხანჯალი ლექსმა მორკალა,
რა ხანმოკლეა ბედნიერება!..
მძულს შენი სიტყვაც, შენი ალერსიც!
ის სიყვარულიც გაპქრა, წავიდა...
და გინვდი მახვილს — სიტყვით ალესილს,
მომკალ, რომ მერე ვიშვა თავიდან!

და ჩემს დარდებში ისე შემორჩი,
როგორც ქორნილის სუფრას თამადა...
წლებმა ნაილო გრილი სინორჩე
და ყველაფერი ისე დალაგდა,
ვით პირამიდა ნაძვებზე წინვის
და გაფრენილი შუბლზე ნერვები,
ჭალარა თმაში ვერცხლისფრად ინვის...
(შენ ჩემს თმას ველარ მოეფერები...)
მტკანარი წყალივით უგემურია
ერთფეროვანი დღეთა ქაოსი...
ღმერთის ხელებში ჩემი გულია,
როგორც მძევალი სააქაოსი...
უამთასვლის სარკეს ვეხ(ლ)ები შუბლით
და იჭიმება სულის სიმები,
უკვე გავცივდი... შენ ახლა მჩუქნი
მკერდს — ჩამობანილს ნელთა წვიმებით...
„ირემო, მთასა მყვირალო
რამ ჩამოგაგდო ბარადა?“
დაიგვიანე, თუმცა იყავი
ჩემი დარდების სუფრის თამადა...
დარდებმა, ისე დამალბო კარგო,
ვით ღვინის ჯამში პურის ნატეხი...
მე ახლა სხვისი თვალები მათრობს,
შენს სიყვარულზე სულ გულგატეხილს...

ჩამოძერნავენ ცივი ქარები,
მარტოსულეთში კლდეებს პიტალოდ...
კვლავ სიყვარულით გავენამები,
რომ უშენობა გადავიტანო...
შენი სხეულით სამყაროს ვსუნთქავ
და მაგ ცრემლების მაკრთობს მძივები...
აღარ მოვკვდები, რადგან ხარ სულთქმა,
თუკი შენს სულში ჩავიძირები...

შენ თურმე ფლირტებს ჩვეული იყავ,
მამაკაცების კოცნას და ხვევნას...
მე შექსპირულად ეგ სული მიყვარს,
(მოაშთოს მერე ოტელოს ხელმა)...
ველარ ავიტან ვერვის ნაჩუქარს
ან ყელსაბამს და ან ოქროს ბეჭედს...
მერე კი... დავრჩი ისევ ჩაუქი,
ლამაზ შუბლს ტყვია რომ დავაჭედე...

ქენატრები... გაიცრიცა კუნაპეტი,
უშენობა სასაფლაოს მოჰვავს...
შორი მთები თეთრმა თოვლმა გადაპენტა
თუ ზამთარი უკრავს ფიფქის ორლანს...
მენატრები... და სიჩუმე ისადგურებს
გულში, თორემ გარეთ დიდი გნიასია...
ქალაქში წვიმს,
ზოგჯერ თოვლსაც გამოურევს —
ეს ამინდი ენძელის და იასია...

შენც მიმატოვებ, მე კარგად ვიცი,
ჯერ ელოდები დროსა და მომენტს...
ნულარ დაინუებ ტყუილა ფიცილს,
ნულარც მომიძღვნი ცრემლიან სონეტს...
განგება ყველას დატოვებს მარტო,
ვინც ღვთიურ ენით შეძლებს ლაპარაკს...
თუმცა კი შენმა ღიმილმა, სათნომ —
ჩემი ცხოვრება გააზღაპარა...

ვიცი, უკვე ველარ მიტან,
ვიცი, აღარ გინდივარ...
ჰო, დაადე გრძნობებს კლიტე,
მომავალში ბინდია...
ზოგჯერ დარდი ძალას გვმატებს,
როგორც ნისლებს მინდორი...
უცნაურად მიღალატე,
როცა ძლიერ გინდოდი...
გამახსენდა კვლავ ის წამი,
ის ღამე და ის ყინვა...
იუდას ვერ მივუსნარი,
მამალმა კი იყვლა...

მთებმა ღრუბლები ერთად ჩაბლუჯეს,
გამოქცეულან ქვევით ველები...
აპა, და ზეცა ჩამოალურჯე,
შენი ზღვისფერი თვალთა ცრემლებით...
მერე, აივსე ნისლით ჯიქნები,
მიართვი სახლში საყვარელ ქმარ-შვილს...
როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები,
როცა მწვერვალებს ბურუსი ნაშლის...

კვლავ ჩვენს სიყვარულს ეომებიან,
ნყვილებს ვერ იტანს რადგან სამყარო...
ქაჯეთის ციხის ირგვლივ მთებია —
მიწიდან შუბად ამონაყარი...
გავისვრი დარდებს კვლავ ხელუკულმა,
როგორც ჩვარს, სველს და ოდნავ ქონიანს...
მზეს სხივი მოსჭრა წყევლის უკუნმა,
დამალბობს ღამის მელანქოლია...
უნდა გიშველო, დაგიხსნა უნდა,
ამ ჯოჯოხეთს და ავთა ბორიალს...
ეს მწველი კვნესა მიფეთქავს გულთან
თუ შენი ცრემლის ცხელი ბროლია...

ისევ მარტომ, ისევ მარტომ გასწი,
თანამგზავრით ვერ მიუხვალ უფალს...
ხომ დასცალე გამოწვდილი ყანწი,
ყველა შენი ახლობელი გლუპავს!
ისევ მარტო, ისევ მარტო ნადი,
ღრუბლებს იქით უსაზღვროა სივრცე...
ერთი ხელის განვდენაა ცამდი —
მთელი შენი სიცოცხლე რომ მისცე...

ზოგჯერ სიკვდილი გაქცევს წმინდანად,
ზოგჯერ სიკვდილი გაქცევს არარად...
ამ ქვეყანაზე არა მინდა რა —
საქართველოში დამასამარა...



კომი გუ ქუთაშვილი

სხვისი სხოვება

„იროვიული“ მოთხოვა

დილის შვიდ საათზე უკვე რკინიგზის სადგურში იყვნენ. მატარებელი ჩამომდგარიყო და გამცილებლის მტკიცებით თხუთმეტ წუთში დაიძვრებოდა. მგზავრობა ისედაც ეზარებოდა და ახლა, ორთქმავლის ამ ღირსეული შთამომავლის შემხედვარეთ, საერთოდ, ყველანაირი ხალისი დაეკარგათ. უხეში დაანგარიშებითაც კი შეიძლებოდა იმის გამოთვლა, რომ სავარაუდოდ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების პატივსაცემად უნდა ყოფილიყო გამოშვებული ეს შემადგენლობა და მის მერე ბევრი არაფერი შემატებოდა. ამის დასტურად ისიც კმაროდა, რომ მატარებლის ვაგონებს ძირიც კი დამპალი ხის ჰქონდა, სხვა რამ ღირსესანიშნაობას რომ აღარ შევეხოთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ამ სადგურზე თუ არა, შემდეგზე უკვე უეჭველად, მთელი მატარებლის უძრავ-მოძრავი „შიგთავსი“ ლიანდაგებზე იქნებოდა გაფენილი.

— ეს რა არის, გაფიცებ, თუ არ მითხვა, ამისათი აპირებ მგზავრობას? — უსაყვედურა ცოლმა და ალბათ, რომ არა მატარებლით მგზავრობის აუცილებლობა, სირცხვილისაგან დამუნჯდებოდა კიდეც, მაგრამ...

— მერა ვუყო, მაგის დედაც... აბა, არ ჩერდება ეს ბავშვი მანქანა-მარშუტკაში დაურმით ხომ არ წაგიყვანთ? შენ გვინია, მე მეხალისება ამ ჯართით მგზავრობა? — თავი იმართლა ქმარმა და მზერა ბავშვისკენ გადაიტანა, აქაოდა, ამას მოკითხეო. ეს უკანასკნელი კი გაფართოებული თვალებით შესცეკეროდა კაცობრიობის ამ მართლაც: უჩვეულო „ხელთუქმნელ“ ქმნილებას. „ბოჟეუბასი“ (ფაქტობრივად, ის იყო მონაბერკინიგზის მამონტის უკანასკნელ გზაზე სვლისა, ბალნიან სპილოთა სასაფლაოსაკენ).

— გეხვენები, წავიდეთ ავტობუსით, ცხენით, თუ გინდა ხარებით, ოლონდ ამ საშინელებაში ნუ ჩამსვამ! — ცოლი აშკარად მას ამტყუნებდა, ამ არცთუ ისე მომგებიან-სასიამოვნო გადაწყვეტილების მიღებაში და გარკვეულწილად მართალიც გახლდათ. ეს იდეაც, როგორც სხვა მრავალი წარმატებულ-წარუმატებელი, მის გამჭრიას გონებას ეკუთნოდა და ალბათ, პასუხიც მას მოეთხოვებოდა, რადგან თვალის უპირობო „ცენტრფორვარდი“ სწორედ ის იყო.

— კარგი რა, მორჩი ახლა წუნუნს. იცი, რამდენმა ადამიანმა დადო სასწორზე სიცოცხლე და ჯანმთელობა, რომ ეს რკინიგზა აეგოთ? თანაც ისინი რა, ადამიანები არ არიან, ვინც ჩვენთან ერთად იმგზავრებს, თუ მარტო შენ გიყვარს კომფორტი? ლმერთს ნუ სცოდავ. ხომ იცი, სხვა რამით რომ წავიდეთ, ეს ვაუბატონი თხუთმეტ წუთში ისეთ ამბავს ატესავს, რომ ან მძლოლი დაიმტვრევა და ან ჩვენ ჩაგვყრიან. ამას აქ გაატარებ-გამოატარებ მაინც და ადრე თუ გვიან, დაიძინებს. ჩვენ კი სამსაათს როგორმე გავდებთ, აბა, რას ვიზამთ. — მართლაც რომ, ძალზე ძლიერი არგუმენტ-სამხილ-ფარატინა ქალალდის შინაარსი ეპყრა ხელთ და მშობელი რას აღარ იზამს შვილისთვის, მატარებლით მგზავრობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

— ნუ დემაგოგობ. როგორმე ეს შენ გაძლებ, თორემ მე უნდა ვენამო. ნახე, შიგნით რა სიბინძურეა და ამ ვაგონს კიდევ მე მგონი, საერთოდ არაფერი არა აქვს. აი, აქ, შენ დაჯდები, ან დაგები. ისე, ნეტარა ჯანდაბისთვის ჭირდებათ ეს სიცარიელე, ცხოველები ხომ არ უნდა გადაიყვანონ? — ცოლმა, მართლაც რომ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან ვაგონის არჩევისას უეცრად აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთ შემადგენლობას უანგიანი სახურავისა და ზემოხსენებული, დამპალი ხის ძირის მეტი, მართლაც, არაფერი ჰქონდა. აშკარა შეიქნა, რომ ვაგონის შიგნით არსებული სივრცე, სხვა არაფერს გულისხმობდა, თუ არა უაზრობას. ის არც სატვირთო განყოფილებას წააგავდა და მით უმეტეს, არც რესტორანს. ჭიდაობით კი არა მგონია, რომ მაინც დამაინც გაქანებულ მატარებელში კოტრიალი მოენდომებინა ვინმეს.

— ეს საპირფარეშოა. — თქვა ქმარმა და ფარდა ახადა ამ ბუნდოვანებით მოსილ ამბავს „გამოფატრულ ვაგონზე“, უთავო მხედრის

არ იყოს და, ცხვირზე ხელი აიფარა. ახლა კი ყველაფერი ნამდვილად გაცხადდა. შემადგენლობის კუთხეში მდგარ ამ პატარა, თუმცა კი „ძლიერმყროლ“ ფეხსაღვამს, თავისი შინაარსის მიხედვით, ეს სივრცეც კი არ ჰყოფნიდა და ფორმაზე მსჯელობას ვინ დაიწყებდა, როდესაც სიმყრალე თვალებს წვავდა. ნამდვილად ჭეშმარიტი გადაწყვეტილება იყო, რომ ამ უხერხულსახელიანი სა-პირ-ფარეშო-სათვის მთელი ვაგონი გამოეყოთ. ალბათ, ესეც ომის-დროინდელი სტრატეგიის ამბავი იყო და წესით, ამ მოძრავი ჩერიმის კარის ზედა კუთხეში უნდა დაეწერათ: „მტერი პექტარზეც კი ვერ მოგეუარებათ“, მაგრამ სამწუხაროდ, ეტყობა, ან საღებავი დააკლდათ და ან მერე, მეორე მსოფლიო ომი იმდენად პოპულარული თემა აღარ იყო. და-სანანია.

— ნადი და სადმე ისეთი ადგილები შეარჩიე, სადაც არც შეუძლია იქნება ჩამტვრეული და არც არსაიდან დაუბერავს. — გასცა განკარგულება ცოლ-გენერალმა და რიგითი ქმარიც სამწყობრო ნაბიჯით დაიძრა შემადგენლობის დასათვალიერებლად. დავალება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან ოპერაცია „მთელი შუშა“, სიმართლე ითქვას და თავიდანვე განწირული იყო. ამიტომაც გამჭრიახმა რიგითმა-ქმარმა მას სახელი გადაარქვა და „გაბზარული შუშა“ უწოდა, ხოლო რაც შეეხება ახსნა-განმარტებებს, ისინი სამომავლოდ გადადო. ოპერაციში „გაბზარული შუშა“ კი მართლაც გამოიკვეთა რაღაც აღტერნატივები. რიგითმა-ქმარმა საუკეთესო ვარიანტი შეარჩია, ანუ უარესზე უკეთესი და უმაღლეს-გენერალს უპატაკა, ჩვენი დისლოკაციის ადგილი ბოლოს წინა ვაგონშიაო.

— ნამო, იქ ერთი ნორმალური ადგილი ვნახე და ვიღაცას ვთხოვე, დამიკავე-მეთქი. გარნმუნებ, ნანახს შორის საუკეთესოა და დროზე თუ არ მივედით, იმაზეც ჭიდაობა მოგვინევს. ოღონდ, ახლა არ დამიწყო, სიბინძურე არისო და ეგეთები, თორემ, რომ დავიწყებ ყვირილს... — ხმამაღლა იმუქრებოდა ქმარი, ხოლო ცოლს თბილად ეღიმებოდა. ეღიმებოდა, რადგან ძალიან უყვარდა, თორემ ისე, ქრის ახირება რომ არა, საათნახევარში მანქანითაც მშვენივრად ჩავიდოდნენ და ბავშვები რაღაცას მოუხერხებდნენ.

მატარებელი დინჯად დაიძრა. ქაოსურად მოძრავი მგზავრები უმაღლეს ადგილებზე მოთავსდნენ. დაჯდომა ვინც ვერ მოასწრო, იმითლა დაიწყნარა თავი, სამაგიეროდ ფანჯარაში შემიძლია თავის გაყოფაო. მთელი ეს ადგილებზე დაჯდომის პროცესი ძალიან ჰგავდა აი, იმ თამაშს, ბავშვებს რომ საბავშო ბაღში ათამაშებენ: მასნავლებელი პიანინოზე უკრავს რამე სისულელეს, ანცი პატარები ნრიულად მდგარ სკამებს უვლიან გარშემო და ცქმუტავენ, რადგანიციან, რომ დასაჯდომი ადგილი ერთით ნაკლებია, ვიდრე თვითონ არიან. უცრად მუსიკა წყდება, ბავშვები გიუებივით ეხეთქებიან სკამებზე და ერთიც ძირს გდია. აქაც სწორედ ასე მოხდა, ვინც მოასწრო, დაჯდა, ვინც არა, კარგად მეყოლე, სიმაღლეში გაიზრდებიო. მათ წინ მდებარე ადგილები ასაკოვანმა ქალმა და კაცმა დაიკავეს. მართალია, „სავარძლები“ სამად-

გილიანი იყო და მსურველიც ბევრი გამოჩნდა, მაგრამ დაჯდომა ვერავინ გაბედა, გარდა ორი კუთხურ კილოზე მოლაპარაკე მანდილოსნისა. სამწუხაროდ, არც მათ გამოუვიდათ რამე, რადგან უმაღლეს „მოუგვარეს“. აქაოდა, აქ ბავშვი უნდა დავდოთ და იქ კი გასატეხი ბარგი ნამოვანგინოთო. არადა, მზრუნველი მშობლები გულში ფიქრობდნენ, რა გაუძლებს ახლა ამათ ქაქანსო და ერთმანეთს ასწრებდნენ უარის თქმას. თუმცა ჯერ სად იყვნენ. საუბრის დრო მაინც დადგა და ამ საქმისთვის კი ეს ორი ერთმანეთისთვის უცნობი ხინერიც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. დაიწყეს ბავშვის ზნით და გადავიდნენ მისაღებ გამოცდებზე, ოღონდ მთელი ეს საუბარი მიმდინარეობდა ისე ზედმინევნით და თემასთან ახლოს, რომ პატარა მათ თვალწინ გაიზარდა, დაჭაბუკად და შემდეგ დაკაცდა კიდეც. ცოლქმარი მაქსიმალურად ერიდებოდა დისკუსიებში ჩაბმას, რადგან სამსაათიან „გამორეცხვას“ ნამდვილად არ ესწრაფვოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ცდუნება ძალიან დიდი იყო. ისინი იქ სისულელებს აპრახუნებდნენ, ცოტაც და „თეთრი გაშავდებოდა“.

ორთქმავლის „ნინმავალმა“ შთამომავალმა პირველისავე სადგურზე მიაგდო თავისი „მერანი“ და შვებით ამოიხვნება. არადა, ჯერ ქალაქ-საც არ გასცილებოდა. ბავშვმა თავი ნამოყო და „მუუ“-ო, ძროხას დაუნყო ძებნა. მშობელშამქმნელმა ჯერ ადრეა და დაიძინეო. იმან „ნანა-ნანაო“ და ამათმა კიდევ რიგრიგობით ჭანჭყარ-გამოლაყება დაუწყეს. ამასობაში კი, საუბარსა და რნევაში გართულმა მგზავრებმა, ვერც კი შენიშნეს, როგორ შემოემატათ კიდევ ერთი „თანამჯდომი“ მანდილოსანი, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია, რომ ვიღაცის იურისდიქციას არღვევდა. გაპროტესტებისთვის, „ადეზეზეო“, გვიანი იყო და თურმე, სწორედ ეს ერთი აკორდი აკლდა, მათ ვერშემდგარ სიმფონიას.

პირველი ფრაზა ახლად შემოერთებული თანამგზავრისა: — ეგ თქვენი ბავშვი ძალიან ცოცხალი ვინმე ჩანს. აბა ის, ბოლო სავარძელზე რომ უზით, საერთოდ ხმას არ იღებს, დონდლოა.

ცოლის ფიქრ-რეაქცია: — ნეტა ჩემიც ეგეთი მშვიდი იყოს.

ქმრისა; — ალბათ. — რა შუაშია? დავაი, რა, ქალბატონო დეიდა.

ხნიერი კაცისა: — ეს ნამდვილად იეღოველია.

მომსუქნო ქალისა: — ეს ეტყობა ქალაქელი ინტელიგენტია და ამასთან ცოტა უფრო ჭკვიანურად უნდა ვისაუბრო (მისი ინტელიგენტობა როგორ და რის საფუძველზე დაადგინა, თანაც პირველივე სიტყვიდან, არავინ უწყის. სასწაული თუ გინდა).

თავად ბავშვისა: — პატივცემულო, ერთი ახლოს მოინი, თმაზე უნდა დაგქაჩო.

მეორე ფრაზა უცნაური ქალისა და თანამგზავრთა პირველი შთამეტებულება-შეფასება: — ჩემი შვილი სინგაპურში იყო ფიზიკოსთა

ოლიმპიადაზე წასული და ოქროს მედალი ჩამოიტანა იქიდან, მაგრამ რად გინდა?! მისალებ გამოცდებზე არ უშვებენ ეს ბედოვლათები, დაიგვიანეო. სამართალია ახლა ეს? დაფასების მაგიერ, ადექი და გარეთ დარჩიო. ესე იგი, ჩემი შვილი უნივერსიტეტში სწავლის მაგივრად, ჯარში უნდა წავიდეს და ვიღაც ცარიელთავიანები კი, ლექციებზე სიარულის მაგივრად, მზესუმზირას უნდა აკნატუნებდნენ სასწავლებლის კიბეებზე, არა?! ეს მოგვიტანა ამ ახალმა მთავრობამ? ეს არის ჩვენი წაქები მინისტრი? გეკითხებით, ასე უნდა მოექცნენ ნიჭიერ ახალგაზრდას?

ცოლის პასუხი: — დაუკავშირდით განათლების სამინისტროს და აუხსენით თქვენი მდგომარეობა და არა მგონი, ასეთი შემთხვევისთვის გამონაკლისი არ დაუშვან. ან საერთოდ აღარ გაიყვანენ გამოცდაზე და ან მოგვიანებით დაუნიშნავენ.

ქმრის დუმილი და მის მზერაში ამოკითხული ფრაზა: — შრილანკაათუ სინგაპური, იქრა ჯანდაბა დარჩენია? რა ფიზიკის კონფერენცია - ოლიმპიადა აუტყდა? პირველად მესმის. ჩემი მეზობელი იქიდან ელექტრონიკას ეზიდება და მეცნიერებასაერთოდ არ უხსენებია. მგონი, იქაურებს ვიწრო თვალები, თუ ყვითელი კანის ფერი აქვთ. რა მნიშვნელობა აქვს, მკიდია. ისე კი, რა კარგი სანახავი იქნებოდა ამისი დურბინდსათვალიანი და ლინდლ-ულვაშიანი ყმანვილი ყვავილებით მორთულ სინგაპურელთა შორის. თუ ეგ უკვე იამაიკა-კანარის კუნძულებია? გეოგრაფიაც მკიდია.

ხნიერი კაცი: — დიახაც რომ, შენი შვილი უნდა წაიყვანონ ჯარში. ყველა მამაკაცმა უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება სამშობლოს წინაშე. აბა, მარტო ფიზიკა-ქიმიარა ვაჟუაცობაა? აბა, ერთი წარმოიდგინეთ, რომ დავით აღმაშენებელს თავისი ლაქტრის მაგიერ ფიზიკოსების ათეული ინსტიტუტი ჰქონდა გახსნილი. განა გახდებოდა რამეს ზღვა მტერთან? არა, ჩემო ბატონო, და გეკითხებით, ფიზიკოსების ხარჯზე გაძლიერდებოდა სამშობლო? რაღა თქმა უნდა, ვერა და აბა, ერთი ისიც წარმოიდგინეთ, რომ ორმოცი ათასი ყივჩალის მაგივრად, ქიმიკოსების ორმოცათასიანი ურდო ჩამოესახლებინა თავისი ლაბორატორიებითურთ. გამოვიდოდა რამე? ის ქიმიკოსები დაიცავდნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს? არა, არა და არა. ამიტომაც, უკლებლივ ყველა ჯეელმა უნდა იმსახუროს ჯარში და დარწმუნებულიც ვარ, რომ მაგ თქვენ ბედოვლათსაც გამოუძებნიან იქ სასარგებლო საქმეს.

მომსუქნო ქალი: — იცით, ქალბატონო, აი, ჩემი შვილი უნივერსიტეტში სწავლობს და იმისი ხაზეიკის ვაჟი, ვისთანაც ქირით ცხოვრობს, ინგლისში იყო ეგრე წასული, ეგეთ ესტაფეტაზე და მერე იქ ბინაც მისცეს, სამსახურიც და სწავლის ფულსაც უხდიან.

ისევ იმ ახლადდამგზავრებული ქალის პასუხი ყველას: — კი ბატონო, დავრეკე იმ სამინისტროში და იქ ვიღაც სულელმა მდივანმა გოგომ, იცით, რა პასუხი გამცა? ეგეც გასარევევია, ეგ თქვენი მედალი წამდვილად ოქროსია, თუ უბრალო სინგაპურული ლატუნია მოქროვილი.

გესმით თქვენ, იმ ტუტუცმა და უნივერსიტეტ-დიპლომიანმა გომბიომ, აქ თქვენნაირი ათასი რეკავს და ყველა რომ დააკმაყოფილონ, მაშინ მისალები გამოცდები რაღა საჭირო იქნებაო. წავიდეს თქვენი შვილიც ჯარში, დიდი ამბავი, აბა, მარტო დებილებმა ხომ არ უნდა იმსახურონ. დავიჯერო, ათასს ჰყავს ასეთი ნიჭიერი შვილი? და რაც შეეხება ჯარს, პატივცემულო, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველასთვის იქ სამსახური სულაც არ არის სავალდებულო. ინტელიგენცია ხომ უნდა ჰყავდეს ერს? თქვენი თქმით, ახლა განათლებული ახალგაზრდობა საერთოდ აღარ გვჭირდება, და რა ვქნათ, დავდგეთ ყველა და ხმალი ვიქნიოთ? აი, წარმოიდგინეთ, რომ ახლა ჩემი ბიჭი ადგეს, ჯარში წავიდეს და ორი ნელი მოცდეს. მერე კი, როცა დაბრუნდება, გულზე ხელები დაიკრიფოს და უსაქმურობით გაიტან-ჯოს? გეკითხებით, ამდენი მოცდენილი დროის შემდეგ, გამოვა კიდევ მისგან რამე? არ ჯობია ახლა, ეს ორი ნელიც ისწავლოს? განა განათლებული ადამიანი ნაკლებად არგია თავის სამშობლოს? არა, არ გეთანხმებით პატივცემულო. ვისაც სწავლა შეუძლია, იმან უნდა ისწავლოს, ვისაც არა და, კი ბატონო, იმსახუროს. ხოლო, რაც შეეხება იმ თქვენი ხაზეიკის ბიჭს ქალბატონო, იმას, დანამდვილებით გეუბნებით, რომ პატრონიც ეყოლებოდა, თორემ ჩემი ნაკლები ბეჯითი კი არ არის, სინგაპურში რომ არ დაიტოვეს. უბრალოდ უპატრონოა და მამით ობოლი. და აბა, მარტო ქალბატონის უნდა გავხდე? თორემ, ხომ ხედავთ, ბიჭი ოქროს მედალოსანია და აქ კიდევ გამოცდაზეც არ უშვებენ, სხვა რომ აღარაფერი ვთქვა. ყველაფერს ბედი და პატრონის სჭირდება ამ დასაწვავ ცხოვრებაში, ჩემო კარგო ადამიანო, თორემ, მარტო ნიჭით ვერას გახდები.

პოლემიკა შედგა, ნავსი გატყდა და ახლა უკვე უკან დახევას აღარანაირი აზრი აღარ ჰქონდა. უცნაურმა ქალმა სადავეები ხელთ იგდო და ხმადაბალ შენიშვნას, ბავშვს სძინავსო, შემართებით შეაგება, სძინავს კი არადა, ეს შუშანიკი საერთოდაც უნდა ამოილო სასკოლო პროგრამიდანო. აბა, რა მიმდინარეობაა ეს პაგიოგრაფია, არც ლიტერატურულია და მით უმეტეს, შინაარსობრივი დატვირთვა ხომ საერთოდაც არ გააჩნიაო. ამაზე ხნიერმა მამაკაცმა სულ იელოველი უძახა, რითაც ცხადყო, რომ არცთუ უსაფუძვლოდ ეჭვობდა ოთხივე თანამგზავრის ზემოხსენებული სექტის ნევრობას. რაღა თქმა უნდა, ბავშვის გამოკლებით, რადგან ის ჯერ კიდევ იმდენად პატარა იყო, რომ დამოუკიდებლად არ შეეძლო ფერადი ბროშურების გავრცელება. მომსუქნო ქალმა კი, შუშანიკი რა შუაშია, ახლა ეროვნული გამოცდებიდან მოვდივარ და იქ ისეთი სირთულის კითხვა მოვიდა, რომ თვით მინისტრიც ვერ გასცემდა პასუხს. ამათ, აბა, როგორიოდა იმან კიდევ, სიტყვა „როყიოს“ განმარტებაო. ხნიერმა კაცმა, ვაი, თქვენ მართლა აბდლებოო, და ატეხა ხარხარი. ცოლ-ქმარი დიდხანს არიდებდა თავს ამ პატრონიბას, მაგრამ ზემოთ ხსენებული სცენის შემხედვარე სიცილით გაიგუდა. უცნაური ქალი კი არ ცხოვრებოდა და კვლავინდებურად თავს დებდა, სწორედაც რომ უპატრონო ბავშვებს მოუგონეს ეგ კითხ-

ვა, თორემ პატრონიანებს ჭესტის სულ სხვა ვარიანტები მისდითო. მომსუქნო ქალმაც, ვაი დედა, ჩემს შეილსაც ეგ კითხვა მოუვიდა და მე მგონი, დამრჩა ბავშვი გარეთო. არადა, ჭკვიანი გოგოა, ჯერ ახლა აბარებს და უკვე ინგლისურ-ში რეპეტიტორობსო. ხნიერმა კაცმა, ვაი შენ და როყიოსიო. სად ისნავლა მაგ შენმა სოფლელმა გომბიომ ეგრე კარგად ინგლისური, რომ ახლა სხვასაც ცოდნის შექს ჰქონის? თქვენი სოფლის სკოლაში, თუ სექტანტების კოშკურაში, სადაც დახმარებისათვის განკუთვნილ შაქარსა და ფქვილს აფასოებდაო?

ამ ყაყანსა და ცოლ-ქმრის მოურიდებელ ხარხარში, პატარასაც გამოეღვიძა და ყველას თითის ჩვენება დაუწყო, ვითომც ერთი წლისა ვარ და ცოტა ყურადღება მეც მომაქციეთო. უცნაური ქალი რატომლაც უკვე „ვეფხისტყაოსნის“ საზეპიროებს იძახდა და თან მჯიდს იცემდა მილეულ მკერდში, აქაოდა ძალიანო. მომსუქნო ქალბატონმა, მოდით, ერთმანეთს ხელებიჩავჭიდოთ და ეროვნული გამოცდების კომისიის წევრების თავები შევავედროთ უფალს, განა ეგენი „ხალხები“ არაო. ხოლო ხნიერი კაცი მთელ ხმაზე გაიძახოდა, თქვენ რჯულ-ძალლებო, მაგ ყველას, მე პირადად, „არსენა მარაბდელი“ მირჩევნია და თუ გინდა, მომკალითო. ის ფაქტობრივად ჩვენს მთავრობასავით იყო — „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს და აბანოშიც მხოლოდ ტუსალობისას დადის“, თლონდ ერთი განსხვავებით, რომ მას სოროსი არ აფინანსებდაო. მოკლედ, სიტუაცია აირია და ყველა თავისას მიაწვა. ხნიერი კაცი მოურიდებლად იგინებოდა და გულმოსული ირტყამდა ხელს მუხლის თავებზე. მომსუქნო ქალბატონი რატომლაც ჩანთას ჩაბლაუჭებოდა და პირზე იფარებდა. სავარაუდოდ, ან ებილები აკლდა და ან კი ზედმეტი ჰქონდა, თანაც ოქროსი. ხოლო უცნაური ქალი კოხტაც დავარცხილ თმას ინენავდა და ვიღაც გამომძალველ მღვდელს აქილიებდა, რომელმაც თურმე ბავშვები იმიტომ არ აზიარა, რომ ამ უკანასკნელთ ძლვენი არ მიართვეს. ცოლ-ქმარი უკვე ვაგონის სხვადასხვა მხარეს გარბოდა სიცილისაგან ჩაბუირებული და იმასაც კი ვეღარ ამჩნევდა, რომ მათი ნანატრი პატარა, სრულიად დამოუკიდებლად იდგა სავარძელზე და ფანჯრის რაფაზე დაყრილ მზე-სუმზირის ნაფრცქვენებს გეახლებოდათ. მთელი შემადგენლობა, პატარა სასაცილო ბიჭის ჩათვლით, რომელიც დედას ეჯდა კალთაში და უნმანურ შაირებს იძახდა, ხალისობდა. არავინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ეს არეულობა, რომ კონტროლიორს არ ჩამოეარა, უცნაურ ქალთან არ შეჩერებულიყო და ბილეთის ჩამორთმევის შემდეგ, მომდევნო ფრაზა არ დაებრეხვებინა: — ეს გიუია და თქვენ კიდევ სულელები ხართ, რომ ამას აყოლისხართ. — ამის თქმა იყო და ყველა ერთბაშად დადუმდა, თითქოსდა რაღაცნაირად დაიმორცხვესო. არადა, რომ გეკითხად, ეგ ამბავი, ანუ მისი შეურაცხადობა, არც ერთის გამჭრიას თვალს არ გამოპარვია, თუმცა პოლემიკაში ჩაბმა არავის უთაკილია. მატარებელმა კი, რაღაი სიჩუმე ჩამოვარდა, დრო იხელთა, აქაოდა ჩემი ჯერიც დადგაო და

არიხინდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ჯერ ან-თოთო, რიპინდა, თითქოს ბევრ მინდვრის თავვს გადაუარა ერთდროულადო, შემდეგ სვლას უმატა და აქოშინდა ნამთვრალევი კაცივით, ბოლოს კი თითქოს ამოახველა სასულეში მომდგარი ნამცეციო, შვებით აგუგუნდა... ცა — ფირუზი, ხმელეთ — ზურმუხტო, ჩემო ლამაზო მხარეო... მიდიოდა, მიიმდეროდა და თან თავის ფიქრს ფიქრობდა. „თავშესაქცევ“ ფიქრს, რომელსაც მისთვის უკვე თამაშის სახე ჰქონდა მიღებული. ფიქრი, რომელიც არავინ უწყოდა, თუმცა კი ის სხვა არც არფერი იყო, თუ არა მგზავრთა მზერაში ამოკითხული ამბები. ანუ თამაში სახელად: „სხვისი ცხოვრება“. აი, ისიც:

„უცაური ეალი“ გახდო უხე უჩხე

მატარებლის კარებიგაილოდა ვაგონში შემოაბიჯა შუახნის ქალბატონმა. მას ეცვა ლურჯი პიჯაკი, თეთრი გრძელსყელოებიანი ჰერანგი და ნაცრისფერი შარვალი. შორიდან მატარებლის გამცილებელს გვავდა კოხტაც დავარცხილი, უკან ანეული და მრგვლად დამაგრებული თმით. ტუჩზე ნითელი ფერის საცხი ესვა და უჩვეულოდ ხაზი სახის კანი ჰქონდა. დიდი შავი თვალები ნახშირის მუგუზლებივით უელავდა და ისე მალიძალ დაურბოდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანს მალავსო. ახლოდან ეს სურათი უფრო ფერმკრთალდებოდა. ტანსაცმელი ძალზე გაცრეცილი და გახუნებული იყო, თმა ჭალარაშერეული და თვალები კიდევ ოდნავ ჩაცვენილი. ფეხსაცმელი უხეში, სათრახუნო, დიდცხვირიანიდა დახეული. მთელი მისი სიკოხტავე ერთ ძველ, ჩაყვითლებულ ფოტოსურათს ნააგავდა და რა გასაკვირია, რომ სულის მდგომარეობაც გათანგული ჰქონდა, მაგრამ არა. გამხდარ, გადატკეცილ სახეზე, შავი მაყვალივით დიდი თვალები უელავდა. თვალში საცემი თვალები. საოცარი ნაპერნკლით ანთებული თვალები და თან რაღაცნაირად საშიში. პირველი, რაც მის იერსა თუ სახეში იკითხებოდა, ეს იყო სწორედ მისი მზერა და არა გახეხილი ტანისამოსი. ოდნავ თავხედური, გამჭოლი და დამატყვევებელი გამოხედვა. ათასობით ადამიანი ისე ჩაგივლის, თვალი არავისკენ გაგექცევა, ხოლო მისი მზერა, მეორედ მოხედვას აიძულებდა ყველაზე ზარმაც თვალსაც კი. ის ღია იყო ყველასათვის და უძირო ოკეანეთა ფსკერივით, რითაც ერთვარ ფარულ შფოთსაც კი ინვევდა ნამიერად დატყვევებულებში. რატომ? უჩვეულო სხივი ედგა მზერაში და თითქოს ამ სინათლეში ყველა თავის მწვალებელს პოულობდა. მწვალებელს, რომელიც თავისი ბუნებით არც ცუდია და არც კარგი. სწორედ ამიტომაც, ერთი შეხედვაც საკმარისი იყო, რომ მისი მზერა ძალიან დიდხანს გაგყოლოდა თან და შემდეგ კი, ყოველ მის გახსენებაზე დაგუფლებოდა განცდა ამქვეყნიური ზღვარის ნაშლისა.

— ეგ თქვენი ბავშვი, ძალიან ცოცხალი ვინმე ჩანს. აბა ის, ბოლო სავარძელზე რომ ზის, საერთოდ ხმას არ იღებს, დონდლოა — ქალმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და ანრიალდა, რათა უკეთ მოკალათებულიყო.

— ალბათ. — ულიმლამოდ ნარმოთქვა ქმარმა და ცოლს გადახედა, ახლა ამას რა გაუძლებს. იმას კი გაეღიმა, ჯერ სადა ხარო და მართალიც იყო. კაცმა უნებურად ქალს ახედა, რათა უკეთესად შეესწავლა თავისი მწვალებელი და სწორედ მაშინ დაიჭირა მისი უცნაური მზერა. ძალიან არ ესიამოვნა და თითქოს გულზე რაღაც შემოაწვა. მიხვდა, რომ არსებული სიმძიმე იმ ქალის თვალები იყო, ხოლო უსიამოვნო შეგრძნება, მისი მზერა.

უცნაური ქალი თვრამეტი ნლის იყო, როდესაც სულის საუცხოო მოძრაობა იგრძნო. დააჯდარომელილაცარაიონის რომელილაც სოფელში მიმავალ ავტობუსს და ეს თავისი მგზავრობა გასეირნებად მონათლა. ორ საათში ჩამოქვეითდა და ტყისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ იცოდა სად იყო, თავი მაინც ძალიან თამამად ეჭირა. ტყის ბილიკმა ხევში ჩაიყვანა, ხევმა კი მდინარის პირას. მდინარეს ფართო და ქვიანი კალაპოტი ჰქონდა. წყალმარჩხობა იყო და შიშველი რიყე ურცხვად აფიცხებდა მზეს თავის თეთრ გვერდებს. სეირნობით კმაყოფილმა და განწყობაამაღლებულმა ქალმა ქოლგა გაშალა, აქაოდა თავში მზე არ ჩამივარდესო, მაგრამ ვაი, რომ მზის ჩავარდნა ერჩივნა, იმ მოგონებებს, რომლებმაც სიცოცხლე გაუმნარეს. რიყეზე ვიღაც ორიკაციონუსფუსებდა. სატვირთო მანქანაგაერებინათ და ბრტყელი ქვებით ტვირთავდნენ. ეტყობა, ყორეს აშენებდნენ და ამიტომაც, ქვას საგულდაგულოდ არჩევდნენ. ცნობისმოყვარე ქალმა გეზი მათკენ აიღო, გამოველაპარაკები და იმას მაინც გავიგებ, სად ვიმყოფებიო. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სატვირთოს და სწორედ იმ დროს, როცა ძარას გაუსწორდა, შეამჩნია, რომ მძლოლი მანქანას ამოფარებოდა და შარდავდა. ქალი იმდენად ახლოს აღმოჩნდა მამაკაცთან, რომ ცხელი შარდისა და სველი ქვის სუნიც კი ეცა. ცხვირზე ხელი მოიჭირა და “ფუ, შე საქონელო” მიაძახა კაცს. ის კი ძალიან დაიბნა, რადგან ნამდვილად არ ელოდა ამუკაცრიელ ადგილზე ქოლგიან მანდილოსანს და იმის ნაცვლად, რომ უხერხელად შეშმუშნულიყო შარვლის ელვის ძიებისას, პირდაფერინილილი მისევნ შებრუნდა. იდგა ასე გაქვავებული და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელს უჭერდა ისედაც გალურჯებულსა და თითქმის მუხლამდე ჩამოკონნიალებულ სარცხვინოს. ამის დამნახავი ქალი კი საერთოდ აირია. განითლდა და განიწმატდა. შეიცხადა ისე, როგორც ეს მაღალი ნრის პატიოსან ქალიშვილებს ჩვევიათ და მყისვე იერიშზე გადავიდა. ქოლგა დაკეცა და თავდასხმისთვის გაემზადა. ჯერ ერთი-ორი მკლავებზე მოსცხო და მერე კი კარგი ქოქოლაც დააყარა. კაცი იდგა გალენჩებული და ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ როგორც კი ქალმა ნელს ქვემოთ სცადა დამაგვირგვინებელი დარტყმის მიყენება, უმაღ გამოფხიზლდა და თავდამსხმელი მსხვერპლად აქცია. ინსტინქტურად ხელი უშვა სარცხვინოს და მოიერიშეს მაჯადაუჭირა. ქალმა სიმწისგან შეჰკივლა და გამოთავისუფლება სცადა. კაცი დაეჯაჯგურა და ის იყო, ხელი უნდა გაეშვა, რომ მის მზერას გადააწყდა. თვა-

ლებში ჩახედა და თითქოს ეგრევე ყველაფერს მიხვდა, თავისკენ მიიზიდა. ქალი აფთარივით იბრძოდა და ალბათ, ამიტომაც გამოეპარა კაცის ამლვრეული მზერა და სველი ტუჩები. შემდეგ, თითქოს, სულ რაღაც ერთინუთით, ორივენი შედგნენ და სწორედ ამ მოჩვენებითი სიმშვიდის დროს, კაცმა ხელუკულმა გასცხო და მანქანის საბურავთან მიაგდო. ქალს თავბრუ დაეხვა და ერთი ამოიკვნესა, ვაი დედაო, ხოლო კაცი ნადირივით მიახტა, ერთი შენი დედაცო. ხელები ზურგს უკან გადაუგრიხა და ტანსაცმლის შემოხევა დაუწყო. კოპლებიანი ჩითის კაბა რომ გააძრო, მერე საცვალს სწვდა და ერთი ხელის მოძრაობით შემოაძარცვა. თეთრმა ძუძუებმა მზე აირეკლეს და კაცის დაბინდულ გონებას ახლა მხედველობა ნაართვეს. რეტდასხმულმა მოძალადემ შლეგივით აძგერა ქალს ხელი ლაჯებშუადა ისიც გატყდა. სისველეს გააყოლა მთელი თავისი ნინაალმდეგობა. მართალია, დიდხანს ებრძოდა, მაგრამ მერე ტკივილმა გააბრუა და სიამოვნებამ გათანგა. კაცის მხურვალე თითები გაუგონარი სისწრაფით დარბოდნენ მის ტანზე და უმოწყალოდ ჯმუჯნიდნენ მის ნაზ კანს. მთელი სხეული ნითელი ლაქებით დაეფარა და ნირნამხდარი ქალიც მინებდა. მინებდა და ვგონებ, იმ ნუთს არც არაფერი უნანია, რადგან ბედნიერება სწორედაც რომ დიდი უბედურების უამს ენვია. გონებადაბინდული ქალი სიამოვნებისაგან ცხოველურ ხმებს გამოსცემდა. კაცი კი სულ უფრო გამმაგებით ლოშნიდა მკერდზე, ულოკავდა ტუჩებს და ქვებისგან დაკანრულ დუნდულებს ძალზე ძლიერად უსრესდა. ქალი თავდავინყებით კვნესოდა და მისი უინიანი ამაოხებელიც წელს სულ უფრო მძლავრად იქნევდა, თითქოსდა შუაზე გაპობას უპირებსო. კაცს ორჯერ, ერთმანეთზე მიყოლებით გააკანკალა და ქალმა კი ვინ მოსთვლის რამდენჯერ დაიპყრო სიამოვნების მწვერვალი. მათმა შემყურე მზემაც თითქოს დაბლა დაინია და ჰაერი ათმაგად დახუთა. არემარე სქესის სუნს გაენაყოფიერებინა.

თხუთმეტ ნუთში კაცი მუხლებზე იდგა და „გასისხლულ“ მსხვერპლს დასჩერებოდა. ქალი გაუნძრევლად ინვადასაჩვენებელ თითს ნუნიდა. სადღაც შორს, ცაში იცქირებოდა. მამაკაცი რაღაცნაირად, უნიათოდ ნამოდგა და ეგრევე მანქანის კარგს მიაშურა. გიუივით ჩააფრინდა საჭესდა ცალყბად გამოსცრა, “აბა, მე რა ვიცოდი, მენ თუ ქალიშვილი იყავი”. ამ სიტყვებს ქალის გონებამდე არ მიუღწევია, რადგან ის მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც სატვირთოს ძრავის ღმუილი შემოესმა. უაზროდ ნამოჯდა და დალურჯებულ-გასიებული თითები სახეზე მოისვა. თმა შუბლზე მიკვროდა და ღანვები საშინლად უხურდა, რადგან კაცის გაუპარსავ პირისახეს დაესუსხა მისი ნატიფი კანი. მანქანა გამეტებით მიქროდა რიყეზე და უმისამართოდ ისროდა ქვებს ბორბლებს ქვემოდან. ქალს ეგონა რომ ძველ, შავ-თეთრ კინოსურათს უყურებდა, რომელშიც რიყეზე მსრბოლ სატვირთოს ვიღაც ჯმუხი კაცი მისდევდა. შემდეგ იმ კაცმა ძარას ხელი ჩაავლო და მანქანას შეახტა, ხოლო მძლოლმა ფანჯრიდან გადმოყოფილი ბალნიანი

ხელი მოიფხანა და გადააპურქყა. ქალს მერელა გაახსენდა, რომ ისინი ორნი იყვნენ, თუმცა კი იმ მეორესთვის საერთოდ თვალი არ მოუკრავს, როდესაც ის პირველი მას აოხრებდა.

ქალი მძიმედ წამოდგა და მდინარისკენ წალასლასდა. მკლავებზე ჩამოძენდილი კაბის ნარჩენები მოიძრო და წყალს მისცა სხეული. მდორე მდინარე სხეულს მხოლოდ ნახევრამდე უფარავდა, მაგრამ მისთვის ესეც საკმარისი იყო, რათა ღრუბლებისთვის ეცქირა და სხვა არაფერი ეგრძნო, გარდა სასიამოვნო სიგრილისა. მომხდარზე ფიქრი არც კი უცდია, რადგან გუმანით ხვდებოდა, რომ ამისთვის მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა. უბრალოდ იდგა, ძუძუებს მზეს აფიცხებდა და დამბალი ბოქვენის თმას გულგრილად იგლეჯდა. წყალიც უმაღლერებად შლიდა ერთ მუჭად მცურავ თმას და სხვადასხვამხარეს მიასრიალებდა. თითქოს ტიროდა, მაგრამ არა თვალებით, რადგან ცრემლები დაშრობოდა. თითქოს მომავლის სჯეროდა, თუმცა არა გულით, რადგან ის ცარიელი ჰქონდა. თითქოს ბედნიერიც იყო, მაგრამ არა სხეულით, რადგან უცნაური იარებიდან ცოდვილი სისხლი სდიოდა. წყლიდან ამოვიდა და კაბის ნაგლეჯების გადაბმას შეუდგა. ერთგვარი პერანგი გამოუვიდა, რითაც სიშიშვლე დაიფარა. წელში გაიმართა და მარცხენა ხელით მზე მოიჩრდილა. მოშორებით გამავალი გზატკეცილი შენიშნა და მისკენ აიღო გეზი. დამტკრეული ქოლგა გაშალა და წავიდა...

მერე ძალინ დიდხანს ეგონა, რომ ფეხმძიმედ იყო. ერთი თვის თავზე, დაუინებული ფიქრისა, თუსხვარამმანქანებისგამოისობით, ციკლიდა-ერლვა და ამან რწმენა ორმაგად გაუძლიერა. გადაწყვიტა, რომ სუსტად იყო, თავბრუ ეხვეოდა და გულიც ერეოდა. წოლითი რეუიმი დაინიშნა, რადგან ნიშნები აშკარად ტოქსიკური ფეხმძიმობისა ჰქონდა და ხანგრძლივად წამონვა. იმ კაცზე და რიყეზე მომხდარის შესახებ არავისთვის უამბნია, ამაზე ფიქრით თავი დიდად არც შუნუხებია, რადგან ახლა უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი გასჩენოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩანასახი სულაც არ იყო სიყვარულის ნაყოფი, მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბავშვის გაჩენა, რადგან მისი მრნამსიდან გამომდინარე, ის ღმერთს ვერ შესცოდავდა და მუცელს არ მოიშლიდა. იმდენად მოინადინა მოლოგინება, რომ კუჭში გასვლისაც კი ეშინოდა, აქაოდა ჭინთვისას ნაყოფი პლაცენტას არ მოშორდეს და დენა არ დამეწყოს. იმდენი ითმინა, რომ კარგადაც გაიძერა და ნალდ ფეხმძიმეს დაემსგავსა. სამი თვე ასე შეკრულმა ცოტა იარა, მეტნილად ინვა და მერე კი საერთოდ ძმასთან გადავიდა საცხოვრებლად. მარტო ცხოვრებისა და გულყრების შეეშინდა, თავსა და ნაყოფს რამე ხიფათი არ მოვნიოთ. რძალს კი ტყუილი უთხრა, წელეკავი მჭირს და დამოუკიდებლად მიჭირს ცხოვრებაო. ჯერ ისედაც არ ჰქონდა ნერვებიდალაგებულიდა ახლა კუჭში გაუსვლელობის ფონზე, ნამდვილ „მამალ“ გიჟად იქცა. მართალია, შიზოფრენიკი მამიდა არავის ეპიტნავებოდა, მაგრამ ერთი პატარა ფარდული ზრდილობის გულისთვის მაინც გამოუყვეს, შე-

ნუხდება და მალევე წავაო. თუმცა კი ცდებოდ-ბოდა ნენ, რადგან მეტი ფართი არც მას სჭირდებოდა და კომფორტით ხომ არც აღრე უცხოვრია. ინვა მთელი დღე ფიცრის ნარჩე და მომავალ შვილზე ფიქრობდა, ნეტა ქერა იქნება თუ შავტუხაო. დღე დღეს მისდევდა, საათი საათს და მისი ყოფა კი სულ უფრო ემსგავსებოდა დავიწყებულ სიზმარს. სიზმარს, რომელიც დილითაც აღარ გახსოვს. ალბათ, ამოტომაც, შენუხებით მას არავინ ანუხებდა და ჭამით კი, ძირითადად, ლოგინის უკანა კედლიდან ჩამოფხეკილ თაბაშირს გეახლებოდათ, ვითომდა კალცი მაკლიაო.

ასე ინვალა სამი წელი „სანახევროდ კუჭში გასულმა“, ციკლდარლვეულმა და ვედროებით თაბაშირნაჭამმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს მიხვდა, მგონი მუცელი მომეშალაო და ძალიან ეწყინა. დეპრესიისთვის თავი რომ დაეღწია, საქმე გამოიგონა. გულის გადასაყოლებლად მატარებლით დაიწყო „სეირნობა“. არა, იმ კაცს სულაც არ ეძებდა და არც რიყის დანახვაზე უჩქარდებოდა გული. უბრალოდ, მგზავრობდა და საუბრობდა. ლაქლაქებდა გაუთავებლად და ჰყვებოდა ათას ტყუილსა თუ მონავონს. ამბობდა, რომ ვითომ, ორი შვილის, ქალ-ვაჟის, დედა იყო. ქმარი ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში ჰყავდა დალუპული და ახლა გარდაცვლილი მეუღლის „დამპალ“ წათესაობას ეჭიდავებოდა კუთვნილი ბინისათვის. თუმცა, ვგონებ, თავადვე სჯეროდა საკუთარი გამონაგონის და ეს, ალბათ, მისგან გასაკვირიც არ იყო. ასე და ამგვარად, აბრუნებდა ერთსა და იმავეს, გაფუჭებული პატეფონივით. დააყენებდა ხოლმე უშველებელ ბაქიბუქს და მერე, სადაც თავში გადაუტრიალდებოდა, იმ სადგურში ჩადიოდა, ყოველგვარი „ნახვამდისა და კარგად მენახეს“ გარეშე. მოიცდიდა რამდენიმე საათს, სანამ მომდევნო მატარებელი ჩამოდგებოდა და მერე კვლავ იგივე მეორდებოდა, ოლონდ ახლა უკვე უკანა გზაზე. ბოლოს, მივიდოდა სახლში დალლილ-გაოხრებული და მიეგდებოდა თავის ფიცრულ წარზე. გადაჰკიდებდა თავს უკან და ინყებდა ახალი ამბის თხზვას ხვალინდელი დღისთვის: „ჩემი შვილი სინგაპურის ფიზიკოსთა ოლიმპიური ოქროს მფლობელია, და...“

სიირი კაცი

რაღა თქმა უნდა, ის ყოველთვის ხნიერი არ გახლდათ და იყო დრო, როცა ჭალარა ულვაში შავ ზოლად „გადაკვანნოდა“ ტუჩჩემოთ. ჰქონდა მკვრივი სხეული, მაგარი მუხლი და ძლიერი მკლავი. კოლმეურნეობაშიციყოგანევრიანებულიდა აგრონომობაც ენადა, მაგრამ იქ, საბჭოსდამაგვარობაში უთხრეს, რომ ჯერ ჯარი და მერე კი ციტრუსებიო. იმანაც, რა გაენყობაო და მოირგო „სალდათის“ ჭაობისფერი(გონივრულად შერჩეული ფერია) ფორმა. საკუთარი ინიციატივით ისნავლა მნიუბრში სიარული და ხმამალალი შეძახილი ურაა!.. იმათაც, უფროსობამ, „მალადეც ზა მოტივაციუ“-ო და ჯერ თავი გადაპარსეს, მერე კი ციმბირს იქით რომ ქვეყანაა, იქ გაამნესეს, აქაოდა საბჭოეთის სასაზღვრო ზოლი, შენ თუ არა, აბა, სხვამ ვინ

უნდა დაიცვასო. იმანაც „ნაჩალნიკის“ გულისა-
მაჩუყებელი სიჭყვებით შთაგონებულმა, მჯი-
ლით მოიწმინდა სიხარულის კურცხალი და ყოვ-
ლად ძალდაუტანებლად თავი დურთა უკარ-
უფანჯრებო მატარებლის ვაგონში (არადა,
ცოტათი ადრე, სწორედ მაგ ვაგონებში ხალხს
სულ ძალით ტენიდნენ და ხელში მხოლოდ „ცა-
ლი“ გზის ბილეთს აძლევდნენ). მთელი ორი კვი-
რა იმგზავრეს, ჯერ ჯოჯოხეთურ სიცხეში და
მერე კიდევ ძვალში გამჯდომ სიცივეში. პირვე-
ლი კვირა ნიფხვის ამარა იტანტალეს ნახევრად-
ბნელ ვაგონში, აქაოდა, გვცხელა და იმიტომ,
თორემ კაცის სიმიშვლე რა მოსაწონიაო. ხოლო
მეორე კვირას, სულ ერთმანეთს ეხუტებოდნენ
ეს ჯან-ღონით აღსავსე ჯეელები, ოფიცირებმა
რაც უნდა ის იფიქრონ, მთავარია, ჩვენ გავთბე-
თო. მერე როგორც იქნა, მიატანეს იმ საზღვარ-
სა თუ დედამინის კიდეს და შეუდგნენ სამხედ-
რო ვალდებულებას. უფრო სწორედ კი, ერთი
სამეთვალყურეო ჯიხურიდან მეორემდე მანძი-
ლის ნაბიჯებით ზომვას. აბა, დასაცავი იქ არა-
ფერი იყო და გადავარდნით კიდევ არა მვონი,
ვინმე მაინცდამაინც იქ გადაჩეხილიყო, მიუხე-
დავად იმისა, რომ დედამინის კიდე ერქვა. რაც
შეეხება მტრის მოულოდნელ თავდასხმას, ეს
ხომ გამორიცხული გახლდათ, რადგან ყველამ
დანამდვილებით იცოდა, რომ თვით უძლეველი
ქიმერებიც კი ვერ გაბედავდნენ იერიშის მიტა-
ნას, მითუმეტეს, იქამდე ჩასვლაც ხომიყო საჭი-
რო? ჰოდა, ასე ზომა ნაბიჯებით მთელი სასაზღ-
ვრო ზოლი ორი ნლის განმავლობაში და რომ გე-
კითხათ „კაზარმიდან“ ჩეჩიმამდე რა მანძილიაო,
დაზუსტებით ვერაფერს გეტყოდათ, რადგან
კარგად უნყოდა თეორემა, რომ ჰქონდათ ნივ-
თებს სიცივეში დაპატარავებისა და სიცხეში
გაზრდის თვისება. იქ კი ისეთი სიცივეები იცო-
და, რომ მკვიდრი მოსახლე მეტრ და ოცზე მეტი
სიმაღლის არიზრდებოდა. აბა, ჩვენთან რომ აი-
ნონებიან ალვის ხეებივით, ეგრე კი არ იყო. იქ
გამუდმებით ყინავდა.

რაც იქ იმსახურა, მზე სულ სამჯერ ნახა და
ისიც ნახევარი საათით. ბედნიერი ხარო, ეუბნე-
ბოდა „კეთილი შურით“ (სინამდვილეში ეგეთი
განცდა არ არსებობს და არავინ მოგატყუოთ)
ნერილთვალა მეგობარი, რადგან ამ უკანას-
კნელს საერთოდ არ ენახა ამგვარი მოვლენა
საზღვარზე ყოფნისას. სამივეჯერ ლამენათევ-
ნამორიგევი იყო და ეძინა. დანარჩენ დროს კი,
როცა მზე არ იყო და ის „პოსტზე“ არ იდგა, „სა-
მაგონს“ სვამდა, რომელსაც ვგონებ, ქეჩის ჩეჩ-
მებისგან ხდიდნენ. შემდეგ თვრებოდა უმოწყ-
ალოდ და ფანჯარასთან მდგარ ზედა ნარჩე
ნვებოდა. ფანჯრის მეორე მხარეს კი მისი, ეგ-
რეთ ნოდებული მეგობრები, ბოძებით ხელში
დარბოდნენ გათოშილები წინ და უკან, რითაც
ძმაბიჭს კაეშანს უქარნყლებდნენ, ვითომცდა
არხეინად მგზავრობ მატარებელით და ფანჯა-
რაში იყურებიო. მერე ესეც ბეზრეზე დარო-
დესაც უკვე უზომოდ მოეძალებოდა თბილი მი-
ნის ნოსტალგია, ინყებდა ოთხეურებითავიანი
„ჩუჩმეკების“ წიხლებით ცემას. თქვენ რა იცით
ლვინის ფასი, თქვენი დედაც კი ვატირეო. ასე
გრძელდებოდა თითქმის მთელი ორი წელი და

ბოლოს იმდენი ქნა თავისი თავნებობით, რომ
ერთი უსიამოვნებაც შეემთხვა. ნამთვრალევი
საცვლების ამარა სიგარეტის მოსაწევად გავი-
და ეზოში და სანამ ერთი ღია „ჩაკლა“, მარცხე-
ნა ფეხის სამი თითი გაეყინა და ფილტვში წყა-
ლი ჩაუდგა. იქაურ „მედპუნქტში“ ბევრი ატრია-
ლეს წინ და უკან ცარიელი ჯამივით და ბოლოს
დასკვნეს, აქ ჰავა არ უხდება და უმჯობესი
იქნება, სახლში გავგზავნოთ. „უ ვას ტამ სოლ-
ნცე ი გაზიროვანნაია ვადა“, თქვა სათვალეები-
ანმა ექიმმა და სამედიცინო სპირტი გადაჰკრა,
ხოლო „ზაკუსკად“ გაჭვარტლული მუყაოს ნაგ-
ლეჯს უყნოსა.

ახლა უკვე აქეთობისას იგრიხინა ორი კვირა
და როდესაც სამშობლოს მიატანა, იმის ნახევა-
რი იყო, რაც იქიდან გამოგზავნეს. ძლივს მილას-
ლასდა მშობლიურ ეზო-კარამდე და ზედ ზღურ-
ბლთან მუხლებზე დაეცა. გულამომჯდარმა
ჯერ მინას დაუკოცნა „სითბო“ და მერე კი დე-
დას ემთხვია კალთაზე. მოხუცმა რუდუნებით
ჩაიკრა გულში და ჰეიტხა, რა ქენი შვილო, რო-
გორ მოიარეო? ამან კი მიუგო, ბევრი ვერაფერი
დედიჯან, მაგრამ ერთი „პადაროკი“ მაინც ჩამო-
გიტანე, მოჭრილი სამი თითი და ფილტვებით
იქაური წყალიო. რაღას იზამდნენ, ჯერ ბევრი
იტირეს და მერე უმჯურნალეს. სახელმწიფო
გვერდში ამოუდგა. ნამსახურები ორი წელი
ოთხად ჩაუთვალეს მკაცრი პირობების გამო
და ინვალიდობის პენსიაც დაუნიშნეს. ჰოსპი-
ტალში წამალი არ დააკლეს და შტაბში კიდევ —
მედალ-ეპოლეტები. ბოლოს ერთი საგზურიც
გამოუყვეს „მინვოდში“ და თან ხელის ჩამორ-
თმევით დამოძლვრეს, „ბარუომ, ნარზან ადინ
ჩორტ, სერნაია ვადა ლურშე ვსეხ“. აქაურ ექიმს
კი ნითელი ლვინო და მრგვლად მოხარმული დე-
დალი უყვარდა და საერთოდ არ უნყოდა, სადმე
შებოლილ მუყაოზე თუ ქეიფობდნენ.

დასვენება კარგი გამოვიდა, ოლონდ ერთი კი
იყო, რომ მოხუცი დედა ხშირად იჯდა „ნინკარ-
ში“ გვიანობამდე და შარას გასცეკეროდა, ნეტა
ასე ძლიერ რად იგვიანებს ეს ჩემი ბიჭი, რამე ხი-
ფათს ხომ არ გადაანყდაო. ბიჭმა კი ნამდვილად
დაიგვიანა და თანაც კარგა ხნითაც. იმდენი ქნა
და ივაუკაცა, რომ ორკვირიანი საგზური სამი
თვით გააგრძელა და ლამის ცოლიც მოიყვანა.
დაისვენა, მაგრამ რა დაისვენა?! ჩავიდა თუ
არა დანიშნულების ადგილზე, იმ ღამესვე დაე-
რია უცხო ტომის ქალებს და სულ „ას ტი კაკო
შალუნო!“ აძახებინა. იქაურ მანდილოსნებს
თურმე „სამაგონზე“ ეკეტებოდათ ჭკუა და რა
ანახა ამან მშობლიური ჭაჭა და თანაც ათილიტ-
რი, იმ დღის მერე სულ ზედ ეჯდნენ, როგორც
მას, ასევე ბალონს. ისიც ძალიან კმაყოფილი ამ
ამბით, ბედს არ უჩიოდა და ქვეყანა თავისი ეგო-
ნა, მაგრამ ცხოვრება ხომ აღსავსეა მოულოდნე-
ლობებით და არც მას შეერგო დიდხანს ეს ბედ-
ნიერება. წუთისოფლის ირონიით, თუ სხვა რამ
მანქანებით, გადაეყარა ერთ არამსმელ ქალს
და როგორც ინდივიდუალიზმისა და ორიგი-
ნალობის დიდი მოტრფიალე (ჯიშ-ჯილაგ-ერი
ჰქონდ-ჰყავდა ეგეთი), უმაღ მას დაეძგერა.
რით აღარ სცადა ქალის გულის მოგება, ხელებ-
ზეც კი გაიარა და ოთხი უდანაშაულო თავისზე

დიდი მუტრუკიც მიბერტყა ცალი ხელით, მაგრამ სულ ტყუილად. ის ქალი სხვა ზნე-რჯულ-რწმენისა გამოდგა და იმის მაგიერ, რომ ყოველ საღამოს მისი საჯიშე გაენებივრებინა ზღვა ალერსით, იჯდა ლამპიონის ქვეშ და ბიბლიიდან ამოქრეფილ ნაწყვეტებს უკითხავდა. ამან ეგენი ისედაც სულ ზეპირად ვიცი და მოდი, რამე სხვა მასწავლეო. იმან კიდევ, უშნოდ ნუ იკრიჭები და შენ რაც იცი, ეგ მცდარია, მართებულს მე დაგანახვებო. კაცმა მართებულიდა სწორი ჩემი მეორე სახელია და ნამო ჩემთან ნომერშიო. ქალმა ნურას უკაცრავად, მისამართი შეგეძალათო. მამრი არ მოაშვა და მაშინ დედაკაცმა სიტყვა უთხრა, რახან შენსას არ იშლი, იცოდე, რომ სანამ ჩემს დმერთს თაყვანს არა სცემ, მე შენი ვერ ვიქნებიო. არადა, მაგარი ქალი იყო: ქერა, მაღალი, მკვრივი, გამობურცული გავითადადაბალი, მოსული მკერდით. თანაც განწყობითაც „კეთილად“ იყო მის მიმართ და იმისი რჯული კიდევ ძალიან ახლოს იდგა მის რწმენასთან. სულ რაღაც სამ პარაგრაფსა და ოთხ დოგმაში იყო სხვაობა(ეს, რაც მან დათვალა). ნაღდად არ ღირდა ხელიდან გაშვება.

ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ, ადგა და ერთ მშვენიერ დღესაც ეახლა. ყვავილებითა და შამპანურით ხელდამშვენებულმა კარშივე სიტყვა უთხრა „დავაიო“. თქვენი მიმდინარეობის ძმად და მოხალისედ მიგულეთ, ოღონდ „პოსლეზეო“. იმან ნისია სხვისია და ნამო, ძმაო, ჩვენს „ზამ-დირექტორთან“ ვიბაზროთო. ამან, რაღა „ზამთან“, ნამო ეგრევე დირექტორთან, კარგი ბიჭი ვარ, ჩემი დედა ვატირე, შიში თუ მქონდეს რამისაო. ქალმა, დირექტორი კოშეშია გამომწყვდეული და შენ კი არა, ყველაზე ნარჩინებულთაც თვალით არ ჰყავთ ნანახიო. სამაგიეროდ, „ზამი“ იმყოფება აქ, გვერდზე პანსიონატში დასასვენებლად თავისი ჯალაბითურთ და ეგ „გაგიიასნებსო“. თანაც ჩემი პალალი და ტკბილი ბიძაშვილია და მაგრად ჩაგეხუტებაო. არ გაჭრა ფანდმა და კაცმაც ნამიერად ჩამოყარა ყურები. რაღაც ცუდს უგრძნობდა გული და ფეხს ითრევდა მეორედ მონათვლაზე, რადგან კარგად ახსოვდა თავისი ცხონებული ნათლიმამის სიტყვები „ენა, მამული, სარწმუნოებაო“ (ცხონებული სიმთვრალეში სულ მაგას გაიძახოდა ჩახვეულივით, სანამ გადასახლებაში არ უკრეს თავი. მერე კიდევ სულ „დრუუბა, მირ და ტრუდს“ ყეიროდა). ამ ფიქრებში იყო გართული, როდესაც ცბიერმა ქალმა, ვითომცდა ხურდა დამივარდაო, დაიხარა და ბოლომდე ჩაახედა თავის ძუძნარ-სამფლობელოში. შამპანურს თავი გასძვრა მეტი მღელვარებისუან და ამოვარდნილი ქაფიც პირდაპირ მის ტუჩს დაეძგერა. ამანაც მოსვა და ნავედით, ერთი მაგის დედაც, რაც იქნება, იქნებაო და ძუძუ-გულმიცემულმა ქალს ხელეავი გამოსდო. გზად კი, აი, ასეთ ფიქრს ჩმახავდა: სამშობლო ორი დღის სავალზე მაქვს, ენას ვერავინ ნამართმევს და სარწმუნოებას კიდევ ვინ შემიმონმებს, ეგეც მოჭრილი ფეხის თითო ხომ არ არის, რომ გამომიჩნდესო. ეგ ქალიც მე დამრჩება და გულზე რომ ჯვარი მიკიდია, ისიცო. მაგრამ ვაი, რომ მნარედ ცდებოდა.

იმისი „ბიძაშვილ-ზამდირექტორი“ კი ძალიან ტბილად მოუბარი და სტუმართმოყვარე ვინმე გამოდგა. არა, ახლა, სუფრა არ გაუშლია, რადგან ნესად არ ჰქონდათ ქეიფი, მაგრამ რაღაც მყუდრო ოთახში შეიყვანა და ძალიან ბევრი ელაპარაკა. სულ თვალებში შესციცინებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება ნელა ესაუბრა, რათა მას ყველაფრის დაწვრილებით დამახსოვრება მოესწრო. თუმცა სულ ტყუილად ირჯებოდა, რადგან ვაჟკაცს თავში წყვილი ძუძუს მეტი არაფერი არ მოსდიოდა. ისიც თითქოს მიუხვდა გამოცდილი პედაგოგივით და უთხრა, ამ ჯერზე საკმარისია და დანარჩენ სიღრმეებზე მერე ვილაპარაკოთო. ახლა შენ უკვე ერთ-ერთი ჩვენთაგანი ხარ და აბა, შენ იცი, ჩვენს ლმერთს როგორ ემსახურებიო. იცოდე, ჩვენ უმცირესობაში ვართ და უნდა ვიმდლავროთო. ამისთვის კი ბევრი უნდა მოვაქციოთ ჩვენს რწმენაშიო. შენი საქმეც სწორედ ეგ იქნება და მარტო რომ არ დაიჩაგრო, დამხმარედ და დამრიგებლად ჩემს კოხტა ბიძაშვილს გამოგაყოლებო. თან თვალი ჩაუკრა, როგორც გინდა ისე დაიხმარ-მოიხმარე, ჩვენმა ღმერთმაც შეგარგოსო. ოთახიდან გამოსულ ახალნვეულს კი გულზე რატომდაც რაღაც სიმძიმესავით შემოაწვადა სახე ჩამოეღვენთა. ერთი პირი იქიდან გაქცევა და ყველაფრის დავინყებაც იფიქრა, მაგრამ რა იხილა ქალის მოცინარი სახე და ვნებიანი ტუჩები, უმალ ყველაფერი გადაავინყდა. ისიც ნრფელად ჩაეკრა გულში და ნახალისების მიზნით, ხელიც კი შეუცურა მაისურის ქვეშ. „ზამდირექტორმა“ გულითადად დალოცა მეწყვილები და იმდენი ილაპარაკა, რომ ლამის ყველაზე მნიშვნელოვან სულთა მებადურებადაც დასახა მათი დუეტი. იმათაც მოთმინებით მოისმინეს მისი რჩევა-დარიგება და რა იგულეს ტელეფონის ზარით გამოწვეული მცირე პაუზა, უმალ თავისი, ახლა უკვე საერთო, პანსიონატ-ოთახ-შტაბისკენ მოკურცხლეს.

დადგა ნანატრი ღამე. მიჯნური მამრი გაილექსა ქათინაურებით და ქალმა კი რატომდაც თავისი ხელნაწერები გადმოალაგა(ბუკლეტები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოდაში). კაცმა შარვალი გაიძრო, ნირვის გამოტანას ახლა განახებო. იმან საეჭვოდ ჯერ არა, ჯერ ვილოცოთო. ამან, რა დროს ლოცვაა, ქალო, შენ ფაქტოპრივად ჩემი ცოლი ხარ და ახლა მე მეკუთვნიო. ის კი თავს აქანცარებდა, ღმერთიმაღლიდან გვიყურებსდა „ზამდირექტორმა“ მეწყვილებად გვაეურთხა, განა ცოლ-ქმრადო. კაცი საიდან არ მიუდგა და სად არ უჩქმიტა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ქალმა დაიჩაგრა, ჩვენში ყველაფერი ეგრე მარტივად არ არის, როგორც შენ გვინიაო. კაცი აიჯაგრა, ახლა შენ არ მანერვიულო, თორემ მე ვიცი შენი ტყავის ამბავიო. იმან კიდევ ბოლოს წნებს ვერ გაუძლო, ჯანდაბას შენი თავიო და ძუძუ მისცა სათამაშოდ. აქაოდა, ჯერ ამას დასჯერდი და როცა ვიქორნინებთ, მერე დიდზე ვქნათო. ისიც ებდლვნა კერტებში და განელ-გამოწელა, თუმცა კი ლლაბუც ვერ გასცდა. ასე ანვალ-ათამაშა მთელი კვირა და ხან რა მიზეზი მოუგონა და ხან რა. კვირის თავზე კი, როცა კაცი მიხვდა, მე მგონი, ძუძუს ასაკიდან გამოვედიო, განაწყენ-

და დამკერდზე ხელი აუკრა. დანაღვლიანდა და ძლიერ მოიწყინა. მიხვდა, რომ ქალთან კამათს აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ის უკეთ იყო მომზადებული ახალი სარწმუნოების დოგმატიკაში და პოლემიკასაც ყოველთვის უგებდა. ძალას ის ვერ დაატანდა და გინების კი ერიდებოდა, მართლა ცოლი ხომ არა არისო. ჩამოყარა კაცმა ყურები და მიეძალა ფიქრს, მგონი შევცდიო. უკლო ლოცვას და ნაცნობ-უცნობი ძუძუების წელვას. ქალმა უმაღლ ალლო აულო მისი სულის შფოთს და ახლა მოდი დუნდულებზე მეთამაშე, ესენი ხომ უფრო უცხო და ახალიაო. იმან იუარა, ქალო შენ „ბოვში“ ხომ არ გვონივარ, რომ მარტო სიშიშვლით გავიდე ფონსო. ურთიერთობა დაეძაბათ და მიდგა დიაცი მიჯნაზე. ან უნდა დანებებოდა, თუ არადა თავისი ეკლესიისთვის მრევლი დაეკარგა. გადაწყვეტილებამაც არ დაიგვიანა და მეორე ღამეს პირველი ის დაწვა საწოლში. გაშიშვლდა და საბანი ისე წაითარა, რომ სხეული რაც შეიძლება მეტად გამოსჩენოდა. „იდი სუდა მოი კოტიკო“, უხმო თავისთან გულისწინობს და ჩაიგორა სარეცელში. კაცმაც აიწყვიტა. ოღონდ ეს იყო რომ, ქალი ჯიუტად ზურგს უმარჯვებდა, აქაოდა ასე უფრო მომნისო. კაციც არ უძალიანდებოდა, მაგრამ გათანგულმა ქალმა თვალი რომ მოხუჭა, უმაღვე გადმოატრიალა და ბარძაყებს შორის ხელი შეუცურა. ის იყო, თითებით უნდა გასთამაშებოდა მის იდუმალებას, რომ სახტად დარჩა. შუბლზე ცივმა თფლმა დასხა, საფეთქლები აენვა, რადგან ხელში ზუსტად ისეთი სიამაყე შერჩა, როგორითაც თავად ინონებდა თავს სუსტი სქესის ნარმომადგენლებთან. ერთი ხელის მოძრაობით გადააძრო საბანი და რა იხილა, მუქი ფერისა და უსიცოცხლდ მიგდებული „მისნაირობა“, ერთილა აღმოხდა, „საშა, ტი ჩტო, მუჟჩინა!?”

მერე დიდხანს იჯდა ლოგინზე და შესცეკროდა პარტნიორის ხან ერთსა და ხანაც მეორე სარცხვინოებს. რამდენადაც ის ერთი ბუნებრივი და სასიამოვნო შესახედი იყო, იმდენად ის მეორე, მამაკაცური საწყისისა, არაბუნებრივად და შემზარავად გამოიყურებოდა. არასოდეს ენახა ერთ ადამიანზე ორი სასქესო ორგანო და გულში ფიქრობდა, ახლა მე ვინ ვარ, წულთმხრნელი თუ მამათმავალიო? ქალი კი დუმდა და ალენილ სახეზე ნაკვთი არ უკრთოდა. თითქოსდა თვალებით ეუბნებოდა, მიდი და შენ თვითონ გადაწყვიტე, რომელი სად და მერე როგორო. ხოლო კაცმა მცირეოდენი ფიქრის შემდეგ, ერთი შენი ქალ-კაცა დედაც ვატირეო, უკრიდან ნინოს ჯვარი ამოილო, ემთხვია, გულზე ჩამოიკიდა და სიტყვებით: ღმერთო, შენ შემინდეო, კარში გავარდა. ქალ-კაცა გამოეტირა, „ნი ბრასაი მენია, ლიუბიმი“-ო და აქვითინებული დაემხო ბალიშზე. კაცმა კი სადარბაზოდან მიაძახა, სადმე არ გამიბაზრო, თორემ დედას მო.....ვო.

იმავე საღამოს დაადგა სამშობლოსაკენ მიმავალ გზას და ამ ამბის სამუდამოდ დავიწყება აღუთქვა საკუთარ „მე“-ს. სირცხვილი სწვავდა, როგორც რჯულის, ასევე სქესის უარყოფისა. მნარედ ჩაეცინა ტამბურში სიგარეტის წევისას, ამისთვის ვიცვალე რწმენა და ზნეო?!

მნარე იყო გაკვეთილი, მაგრამ უფრო მნარე შედეგები აღმოჩნდა. ამას კი განსაკუთრებით მაშინ მიხვდა, როდესაც საპირფარეშოში შევიდა მოსაშარდად და რა დახედა თავის სარცხვინოს, უმაღლ იმ ქალ-კაცას უსიცოცხლო ორგანო გაახსენდა და პირლებინება აუტყდა. მას მერე ასე ემართებოდა მოშარდვისას და მარტო ეს რომ ყოფილიყო მისი თავსატეხი, კიდევ რაღაცას მოახერხებდა, მაგრამ ამასთან ერთად ქალის შიშიც დასჩემდა. სოფელში ჩასულს, მართალია, არავისთვის მოუყოლია თავისი სასირცხვილო ამბის შესახებ, მაგრამ ბედმა საბოლოოდ უმტყუნა, მის მერე აღარც ოჯახი შეუქმნია და არც ქალს გაჰკარებია. დადიოდა ასე ეულად და ყოველ მოსახერხებელ გარემოებაში ლანდავდა თავის შემაცდენლის რჯულსა და მიმდევრებს. ამ საქმეში კი ისეთი აკვიატება დასჩემდა რომ, ყველა მათი მიმდევარი ეგონა და თანაც ორსქესა. აკი იძახდნენ, რომ უნდა ვიმძლავროთ და ისიც ყოველთვის მიყურადებული იყო სხვის საუბარს, რათა სადმე საეჭვო სიტყვა დაეჭირა და უმაღლ შეტევაზე გადასულიყო. თუმცა კი ძნელი გასარჩევი იყო, ყველაფერ ამას საკუთარი გულის მოსაოხებლად აკეთებდა, თუ სინაულის განცდით.

მოსუენო ქალი

ლოყებლაულაუადა ჩანთაპირაფარებული არსება მეცნიერული თვალსაზრისით, არც თაგვი იყო, არც ზაზუნადა მით უმეტეს არც მაჩვი. ევოლუციური ტაბულის მიხედვით, ის სწორედაც რომ, განვითარების უმაღლეს საფეხურზე იდგა. ჰქონდა ოთხი კიდური, ორზე დადიოდა და ორსაც ჩანთის პირზე ასაფარებლად ხმარობდა. ეს ოთხივ კიდური კი, თავის ნილ ება ეგრეთ წოდებულ ტანს, სხეულს. წესისა და რიგის მიხედვით, ამ ტანსა და სხეულს უნდა ჰქონოდა მრავალი გამობურცულობებ-ჩაბურცულობანი, თუმცა კი ამაზე თავს ვერავინ დადებდა, რადგან არა მგონი, რომ ვინმეს სურვილი გასჩენოდა, ეგრე დაწვრილებით დაეთვალიერებინა მისიტან-სხეული. რაღა თქმა უნდა, აღტრუისტი, ოთხმოცს გადაცილებული, პარანოიკი მეცნიერის გარდა, რომელიც სამწუხაროდ მას არსად შეხვედრია. თუმცა კი, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ჰყავდა მეუღლედა ორი შვილი, სავარაუდოდ, ისინიც ადამიანის მოდგმისა (ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, შავი იუმორითა და ბოროტი ცინიზმით). ისე კი, ამ ჩაფსევნილ ქალბატონსაც ჰქონდა ერთი თავისი ამბავი, მართალია, ცოტა უცნაური და ნაკლებად დამაჯერებელი, მაგრამ მაინც მისი და თანაც ძალიან პირადი.

განვლილი გზიდან მოსაგონარი ბევრია რაფერი ახსენდებოდა და ერთადერთი, რითიც საზრდოობდა მისი ცნობიერება, ეს იყო მოგონებები ნინარე ცხოვრებიდან. ცოტათი უცნაურია, მაგრამ მას სჯეროდა, რომ ჰქონდა ნინა ცხოვრება და თანაც ზედმინებით ახსოვდა იგი. მართალია, ამაზე ლაპარაკი არ უყვარდა და ძირითადად, ფიქრით იქცევდა ხოლმე თავს, მაგრამ მისთვის ესეც საკმარისი იყო. იგონებდა ნინარე ცხოვრების ეპიზოდებს და მისი ცარიელი ყოფი-

ერებაც იმდენად ივსებოდა აუარება ემოციით, რომ გული საგულეს აღარ ედგა. ერთხელაც, ველარ მოითმინა და მეუღლეს უამბო ყოველივე. იმან კი ქალს ჯერ ეპილოვი არ გაესრულებინა, რომ თავში ცომის საზელი ჯოხი რეკა, აღარ მოეშვები ამ ტელესერიალების ყურებასო. მართალია, ამის მერე მთელი თვე ლოგინში იწვა და თვალებში გაჩენილ შავ ნერტილებს ითვლიდა, მაგრამ დიდად არ უნანია, რადგან კარგი გაკვეთილი მიიღო ცხოვრებისგან. მიხვდა, რომ ფიქრს ვერავინ დაუშლიდა და იგივე შეცდომას კი აღარასოდეს დაუშვებდა. არადა, ის ძალიან მოკლედ, თითქმის დაკონსპექტებულად აპირებდა თავისი ამბის მოყოლას.

თექვსმეტი წლის იყო, როდესაც გათხოვდა (ბავშვობა მეტად ხანგრძლივი ეჩვენა და საერთოდ ამოიღო კონსპექტიდან), უფრო სწორედ კი მოიტაცეს. მისი მომავალი მეუღლე (რაღა თქმა უნდა, ნინარე ცხოვრების), ერთი თავქარიანი, მოქეიფე, დამრტყელები და ნაღდი ქალაქელი ვაჟუაცი იყო. ყარაჩოხელების ღირსეულ შთამომავალს, თავისი მომავალი საცოლე ერთი კვირის ნანახი ჰყავდა და უკვე მის ხელს ითხოვდა. გულისსწორის უფროსი დებისთვის შეეთვალა, მზითვებზე ნუ იზრუნებთ, მე მარტო ქალი მჭირდებაო. იქიდან კი შემოუთვალეს, შენ ცოტა გიუი ხომ არ ხარ, ეგრე ხელალებით ქალს ვინ გაგატანსო. გოგო ობოლია და მარჩენალი სჭირდებაო. ჯერ პატარა ფხა გამოაჩინე და თამასუქები გვანახე, აბა, მოძულებული კი არ გვყავს ეს ჩვენი გულის ვარდიო. იმან კიდევ ეს ულვაში მომპარსეთ, კვირის ბოლოს ეგ ქალი გვერდით თუ არ დავისვაო. ადგა და ისეთი ამბავი მოიფიქრა, რომ ერთი კარგი სასეირო სანახაობაც გამართა და თან ქალიც მოიტაცა. იქირავა ფაეტონი და სულ შავი „ლენტებითა“ და „ვენოკებით“ მორთო. გამოკიდა ზედ ვიღაც ზორბა ქალის შავჩარჩოიანი სურათი და ერთიც მგალობელი შემოსვა კოფოზე. ჩასვა შიგ ორი ძმაბიჭი და თან დაუბარა, ჩემს ნიშანს დაელოდეთ და მანამდე მანდედან ცხვირიც კი არ გამოყოთო. დაძრა ეს სამგლოვიარო პროცესია თავისიჭირისუფლებისა და საგალობლების თანხლებით და მიაყენა გულის სწორის სასწავლებლის კიბებს. ქალი მეცადინეობების შემდეგ გარეთ გამოვიდა და რა იხილა ჩაშავებული ფაეტონი, გული შეუღონდა, აქაური ვინმე ხომ არ დაობლდაო. თავჩაქინდრულმა ჩაუარა გვერდით ჭირისუფალს და როგორც კი მედროგეს გაუსწორდა, გული კიდევ ერთხელ შეუქანდა, უი, რა ახალგაზრდა ქალიყოფილა ეს საცოდავიო. სწორედ ამ დროს, ისკუპა კოფოდან ორმა ჯელმა და ხელი სტაცა. გონისაც ვერ მოასწორ მოსვლა, ისე ამოჰყო თავი სამგლოვიარო ფაეტონში. თავიდან ცოტა არ იყოს დაიბნა და შეშინდა კიდეც, ჩემმა დებმა ხომ არ მოინიეს რამეო, მაგრამ რა იხილა შიგნით თავისი პირდაღრეჯილი თაყვანის მცემელი, გააბა ერთი ნივილ-კივილი, რას მიშვები შეავარაო. ეგრევე მიუხვდა ჩანაფიქრს, რაგდან აკი შემოთვლილიც ჰქონდა, დღეს თუ არ ხვალ მაინც, ჩემი ცოლი იქნებიო. მაგრამ რას იფიქრებდა, ის თუ მართლა მაგ მუქარას

აასრულებდა, როდესაც სულ ორჯერ ჰყავდანა-ნახი, ისიც სასწავლებლის კიბესთან ატუზული და თავის ძმაბიჭებთან ხმაურიანად მოსაუბრე. რაღას იზამდა, ატეხა ერთი ვაი-ვიში, მიშველე დედიკო. მოჰყვა ხელების შლასა და მუჯლუ-გუნების რტყმას, ცოცხალი არ დაგნებდებიო, მაგრამ რად გინდა. ეს აქედან ყვიროდა, ხალხო დავიღუპეო და გამვლელები კიდევ ნნ... ნნ... რა ნაადრევად დაობლდა საწყალი გოგოო. ასე მოატარა ამ კაცმა გულისსწორს მთელი ქალაქი და კაციშვილს თავში არ მოსვლია, აქ რამე ურიგო ხომ არ ხდებაო. ბოლოს გააჩერა ერთ პატარა, მტკვრისპირა დუქანთან და ნამო ახლა ჩვენი ოჯახი დავლოცოთო. ქალმა მეხი კი დაგა-ყარე მაგ გასიებულ თავზე, მანამდე არაფერი გეტინოსო. იმან, თუ არ გამომყვები, იცოდე, ახლავე წყალს მივცემ თავს და წუთითაც აღარ ვიცოცხებულებ უშენოდო. ამან თავში ქვა გიხლია და მუცელში სამართებელიო. კაცი გაქანდა და ეგრევე თავით გადაეშვა მდინარეში. ქალმა ატეხა ტირილი, ეს რა ცოდვა ვქენი დარა შარში გავ-ყავი თავი, არ მერჩივნა დავთანხმებულიყვიო. იქ კიდევ, მდინარეზე, თურმე საბანაო ადგილი ყოფილა და წყალი კისრა მდე იყო დაგუბებული. კაცმა, ცოტა აცალა ტირილი და მერე იქიდან, ქვევიდან ამოსძახა, ჰა რაღას შვები, მომყვები თუ არა, გავიყინეო. ქალმა, ვიცოდი ინიბაზი და მატრაბაზი რომ იყავი, მაგრამ ამდენს თუ გაბე-დავდი, ნაღდად ვერ ვიფიქრებდიო. მოკლედ, ასე და ამგვარად გათხოვდა და სიმართლე უნდა ითქვას, აღარც უნანია, რადგან თავდავინყ-ებით შეუყვარდა ქმარი და არც იმისგან მოკლე-ბია რამე.

მისი მეუღლე სახელმწიფო სამსახურში დიდი პატივით მიღეს სამუშაოდ. ადგნენ და ბევრი ფიქრის გარეშე, მთელი ციხე ჩააბარეს, აქაოდა ეგეთი ამბებისას ეგ უფრო კარგად გაიგებს, ვიდრე ვინმე ქალალდის ჭიაო. მართლებიც აღმოჩნდნენ და შედეგმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დადგა ეს მათი ნაქები ტოლუმბაში და საახალნლოდ, ათი სამუდამო პატიმრობა-მისჯილი გაუშვა შინ სამ-სამი დღით, დღესასწაულების შესახვედრად. ძნელი ნარმოსადგენია იმდროინდელი კაცური სიტყვის ძალა, მაგრამ რაც უნდა გასაკვირი იყოს, სამ იანვარს ათივე მსჯავრდებული ციხის კართან იდგა. მართალია, ეს ამბავი ზემდგომმა ორგანოებმაც გაი-გეს და ლამის გადასახლებასაც გამოჰკრა ხელი, მაგრამ ძმაბიჭებმა შეუნახეს ნამუსი და მთელი ეს გაურკვევლობა სხვა სამსახურში გადაყვა-ნით დასრულდა. ადგნენ და ახლა რომელიდაც ხე-ტყე-პარკის უფროსად დანიშნეს, აქაოდა, ხეებსაც სხვაგან ხომ ვერ გადაიტანსო. ისიც შეუდგა ახალ სამსახურს და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან არ მოსწოდა ტყე-ლრე ბორიალი, იხტიბარს არ იტეხდა, რადგან აქეთ ოჯახი და ორი პატარა გოგო ედგა, ხოლო იქით კიდევ შე-გონება — ტყე შეუნახე შვილებსაო. ისიც დადგა და თავდაუზოგავად დაინყო მუშაობა, რათა პატიოსნად შეესრულებინა თავისი მოვალეობა. სახლის გასათბობად საჭირო შეშაზე მეტს, ტოტსაც კი არავის ანებებდა უნებართვოდ და ამიტომაც იყო, რომ მრავალი მოიმდურა. ეს ამ-

ბავი ეტყობა, ვიღაცას ზედა ეშელონებიდან ძალიან არ მოეწონა და ერთ „მშვენიერ“ დღესაც გაიხარეს მისმა მტრებმა.

საღამოს დაღლილი მივიდა სახლში და მძინარე ცოლ-შვილი გაუღვიძებლად ჩაკოცნა. ის იყო ტანთ უნდა გაეხადა, რომ კარზე კაეუნი შემოესმა. ზღურბლზე შეზარხოშებული მეზობელი იდგა, რომელსაც ხელში ქაღალდში გადახვეული „კარეკა“ და ერთიც, შემწვარი წინილა ეჭირა. ამანაც შეიპატიუა და გამოალაგა ღრაჭიალა „შიფონერკიდან“ პური, ყველი და ორიც, იმ დღით სამსახურში ნაჩუქარი, წითელი ღვინის ბოთლი. გაშალეს სუფრა და მიუსხდნენ. ქეიფი გაუგრძელდათ. გვიანობამდე ისაუბრეს და ღვინოც ნება-ნება ნრუპეს. მაღალი ღმერთი მრავალჯერ ახსენეს და სხვისი კარგი საქციელიც აღნიშნეს. ბოლოს ის ბოთლებიც დაცალეს და მეზობელიც თავის გზას გაუდგა. ოჯახის უფროსმა კი ლოგინი ცალკე ოთახში დაიგო, ცოლ-შვილი ხვრინვით არ შევაწუხოო და დასაძინებლად დაწვა. დაწვა და აღარც გაუღვიძია. სიზმრადვე ჩააბარა სული მამაზეციერს და ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ კაციშვილმა ვერ გაიგო მისი გარდაცვალების მიზეზი და გარემოება. ოღონდ ერთი კი იყო, რომ ის მეზობელი, იმ ლამით მაგრად მოინამლა და ბარე მთელი თვე საავადმყოფოში ინვა. თუმცა, აბა, იმ ხანებში, ვინ გაბედავდა და ეჭვს გამოთქვამდა, მგონი, მონამლესო. ვერც ვერავინ და აბა, გარდაცვლილის რომელი რაგინდ ყოჩალი ნათესავი იტყოდა, სამსახურში ნაჩუქარმა იმ ორმა ბოთლმა ღვინომ მოკლაო. აქაც ვერავინ. ასე ჩაიფარცხა ეს უცნაური საქმე და მერე აღარც ქვრივს გახსენებია მეუღლის მონამვლის ამბავი, რადგან სწორედაც რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ დაინყო მის ცხოვრებაში ყველაზე დიდ განსაცდელთა უამი.

მართალია, განსაცდელი არასდროს დაჰკლებია ცხოვრებაში, მაგრამ დაქვრივებულს ორმაგად გაუჭირდა. პირველი გოგონა, ექვსი წლის ასაკში მიაბარა მინას. საწყალი ბავშვი სულ რაღაც ხუთ დღეში გააქრო ტვინის ანთებამ. მერე დისწული საკუთარი ძმის მაყარში მოყვა ავარიაში და ადგილზე გათავდა. მაგრამ ამ ენითაღუნერელ მწუხარებას ისიც დაერთო, რომ მეორე მანქანაში, რომელსაც დაეჯახნენ, თვით მისი ძმა და რძალი ისხდნენ. ასე გადაიქცა ერთი დიდი ლხინი ძალიან დიდ მწუხარებად და თითქოს წინასწარ განზრახულად დაირაზმა მთელი მისი ნათესაობა მარადიულობისკენ. მის მერე შავები აღარ გაუხდია, რადგან ყოველ მომდევნო წელს, ვინმე ახალ მოყვარეს მიასვენებდა სასაფლაოზე. არადა, ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა დაქვრივდა. მის მერე არც გვერდზე მდგომი ჰყავდა ვინმე და არც შემწე. მარტომ დაუწყო თბლებს აღზრდა. მართალია, მთხოვნელიც ბევრი გამოუჩინდა და მოსარჩლეც, მაგრამ ქმარს ნამუსი შეუნახა და აღარავის გაპყოლია ცოლად. მოენყო სამსახურში და გახდა ოჯახის მარჩენალი.

თუმცა კი ეს ამბავი, ანუ ახლობელთა გარდაცვალება, უფრო ადრე, მისი დაბადებიდან დაინყო. დედა მის მშობიარობას გადაჰყვა, დედინაცვალი ყელში გაჩერილმა თევზის ფხამ

იმსხვერპლა, ხოლო მამა კი სადღაც თათრებში გადაიხვენა და იქიდან აღარც დაპრუნებულა. ამაზე მეტი თითქოს რაღა უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ არც ამის მერე დაინდო განგებამ. ათ წლამდე მოხუცი ბებია და ერთიც ჭრელი ძროხა ზრდიდნენ და კვებავდნენ, მაგრამ ერთ შევენიერ დღესაც, ბებია გადატრიალდა და მოკვდა, ხოლო ძროხა დათვმა დატორა. ასე დარჩა სრულიად მარტო და რომ არა კეთილი ხალხი, ალბათ, ვერც ის გაატანდა დიდხანს. სოფელმა შეიკედლა და იშვილა. ეხმარებოდა ყველა, ვისაც რითი შეეძლო და არც უფალმა განირა. ერთი თუ ჭადებს უცხობდა, მეორე ბოსტანს უმარგლავდა, ხოლო მესამე სალოცავში სანთელს უნთებდა. ასე გაატარა მთელი ერთი ცივი ზამთარი, მზიანი გაზაფხული, ხვატი ზაფხული და დაღვინებულ შემოდგომაზე კი საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა უფროსმა დებმა ჩამოკითხეს. გადაეხვივნენ და დაუკოცნეს ნატანჯი ხელისგულები. ჩაცვეს ახლად შეკერილი კოპლებიანი ჩითის კაბა და ქალაქში წაიყვანეს. მის მერე ბევრმა წყალმა იდინა, მაგრამ ეტყობა, უფალმა მრავალ განსაცდელთან ერთად, თავისი წილი მაღლი და დღეგრძელობაც არგუნა. ძალიან დიდხანს იცხოვრა და იმდენად მხნედ, რომ შვიდ შვილთაშვილს მოესწრო და შვიდივეს უამბო თავისი ცხოვრების ამბავი: მახსოვს, ბებიაჩემი მეუბნებოდა, თეთრები რომ შემოვიდნენ, შენ უკვე ფეხზე დადიოდი და მეც კარადაში დაგმალეო...

მერე კი იყო სიკვდილი. ორკვირიანი და სულისმხუთავი. დამაუძლურებელი. თითქოს ამბავის დასასრული მოახლოვდაო და მასაც სიბერემ შეუტია. ლოგინად ჩავარდა და წარსულის აჩრდილნიც უმალ ამოძრავდნენ. ჯერ უცნობი დედა ეახლა და მერე კი დები. ნასიცხარმა ბოდვას უმატა და თვალები ჩაუცვიდა. ოჯახმა ჩუმად მღვდელი მოუყვანა საზიარებლად. ის კი იჯდა სავარდელზე ამაყი და სიკვდილის მოლოდინით ცხვირდაგრძელებული. დინჯად უსმენდა მოძღვარს და დასტურის ნიშნად ოდნავ შესამჩნევად ტუჩებს ამოძრავებდა „ამინ“-ო. თავზე ხასხასა წითელი ფერის საბურავი ეკეთა და მისი შემხედვარე, ალბათ, სიკვდილს სიკვდილი რომ არ რქმეოდა, სიცოცხლეს დავარქმევდი.

მისი ამქვეყნად ყოფნის ბოლოს ზაფხული იდგა და პაერი საშინლად დახუთულიყო. ოთახში აშკარად იმაზე მეტი ხალხი იყო, ვიდრე ჩვენ ვხედავდით. მომაკვდავი კი სულს ღაფავდა და თავისი მარადისობაში გამჭოლი მზერით, ძალიან ჰგავდა კაცობრიობას. ბებერს, მანკიერს, მოტეხილს, მაგრამ მაინც რაღაცნაირად ლამაზს, ამაყსა და სახიერს. იგი ზიარებიდან მეორე დღეს გარდაიცვალა და მახსოვს, როდესაც მივედი და ბებიაჩემს შუბლზე ვემთხვიე, ის ჯერ კიდევ თბილი იყო და ნოტიო. მესიამოვნა...


ასეთი სავსე და შთამბეჭდავი წინა, რეინკარნაციამდელი ცხოვრების შემდეგ, საკუთარი ყოფა რაღაცნაირად ჩამქრალი და უღიმღამო ეჩვენებოდა. ის მუშაობდა რომელიდაც მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში მზარეულად. ეზიდებოდა იქიდან მცირეოდენ სასუსნავს თავისი მცირენლოვანი ქალ-ვაჟისთვის და ყოველნაი-

რად ცდილობდა უკეთესი მომავალი შეექმნა თავისი შვილებისთვის. მეუღლე ხელს უწყობდა, არ ითქმის, რადგან დილიდან საღამომდე მისი ძირითადი საზრუნავი იყო, სად დაელია. ამიტომაც, სულ სხვადასხვა “თანამებოთლები” მოათრევდნენ სახლში „გალელეტებულს“ და ისიც გაგულისებული ამ პატივისცემით, ხან ერთ მეზობელს აგინებდა და ხანაც — მეორეს. რაღას იზამდა საწყალი ქალი, უხდიდა ბოდიშს ყველას და ყველაფერს, იდგამდა წელზე” ფეხს და ზრდიდა წვრილშვილს. მზე რომ ამოინვერებოდა, მას უკეთ ბოსტანი და სახლის საქმე მოლეული ჰქონდა. მერე აიკიდებდა პატარებს და მიარბენინებდა სკოლა-ბალში. ამათ რომ დააბინავებდა, შემდეგ ქალაქის ავტობუსის გაჩერებისკენ გარბოდა, რათა საკუთარ შვილებზე უფრო უპატრონოებს გამასპინძლდებოდა სახელმწიფო ნუგბარით. ბოლოს, მოსალამოებულზე ძლივს მიათრევდა დასიებულ უეხებს სახლისკენ და თან გზადაგზა კრეფდა ნათესაობაში ჩამორიგებულ შვილებს. უფროსი მაზლის ცოლს გამოჰყავდა სკოლიდან, ხოლო უმცროსი ბალის დამლაგებულ გარე ბიძაშვილს. მერე როგორც იქნა, მიატანდა მთელი დღის მონატრებულ სახლ-კარს და იქ კიდევ ნასვამი მეუღლე ხვდებოდა. იწყებოდა ჩხუბი და ერთი აყალ-მაყალი. უმსგავსო ქმარი უმონყალოდ სცემდა, როგორც ცოლს, ასევე ბავშვებს და თუკი საიდანმე გამშველებელი გამოჩნდებოდა, არც მას სწყალობდა დიდად. ეს სცენა კი იმდენად განუყოფელი ნაწილი იყო მათი ყოველდღიური ცხოვრებისა, რომ პირველი თევზის გატეხვის ხმაზევე, დამფრთხალი ბავშვები ინსტინქტურად, ეგრევე კარადისაკენ გარბოდნენ თავშესაფარებლად. ასე გადიოდა დრო. გარბოდნენ დღეები, თვეები და წლები. ბავშვები იზრდებოდნენ, ქმარი დღითიდღე კვდებოდა, სოფელი ცარიელდებოდა, მინა იფიტებოდა, ძროხას რე უშრებოდა და ერთადერთი, რაც უცვლელი რჩებოდა, ეს მისი მოგონებები იყო. მოგონებები წინარე ცხოვრებისა.

მატარებელში სამხედროები ამოვიდნენ. ხნიერ კაცს მათკენ გაექცა თვალი და ეტყობა, მეხსიერებას დაუწყო ჩხიკინი, ვით მინაცრებულ კოცონს. მომსუქნო ქალმა კარგად მენახეთოდა აიკრიფა თავისი გუდა-ნაბადი. მძიმე ნაბიჯით ნავიდა გასასვლელისკენ დავაგონიდან ჩასვლისას ერთი წამით შედგა. შენიშნა, რომ ტამბურში ვიღაც გოგო და ბიჭი ერთმანეთს ეხვეოდნენ და ტუჩებში კოცნიდნენ. „უი ქა, ჩვენს დროში(წინარეში), ქმარი ისე გავისტუმრე საიქიოს, რომ ტუჩებში არ მიკოცნია და ნეტა, ეს ახალგაზრდები რა სიმოვნებას ხედავენ ამ ლოშნაობაში.“ ჩაილაპარაკა და ჩავიდა, ისე რომ არც მისამართი დაუტოვებია და ტელეფონი კიდევ საერთოდაც არ ჰქონდა სოფელში. უცნაური ქალი კი სდუმდა. წაეგო პაექრობა და მარცხესაც ლირსეულად ხვდებოდა. მერე მატარებელმა რომელიღაც გაჩერებაზე ერთი, უფრო დიდი შესვენება გააკეთა. ხალხი აჩორქოლდა და დაიწყო ჩანთების

ატან-ჩამოტანა. ზუსტად დაძვრის წინ კი ეს უცნაური ქალი წამოიჭრა, თითქოს რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი გაახსენდაო და გასასვლელის-კენ გაქანდა. მატარებელმა სიგნალი მისცა და დაიძრა. ქალი დაძრული ვაგონიდან ჩახტა და მუხლებზე დაეცა. თმა გაეშალა და “თრახუნა” ფეხსაცმელი გასძვრა. რატომლაც მომღიმარი სახით წამოდგადა ასკინკილით მივიდა ფეხსაცმლის ასაღებად. მერე კი უცებ შემობრუნდა და ფანჯარასთან მდგომ ხნიერ კაცს ხელი დაუქნია. იმან პასუხად კბილები გამოაჩინა. ქალმა მუხლისთავები გაიფერთხა და სოფლიკენ აიღო გეზი. კაცმა რაღაც “ჩაიბოყინა” და თავის ადგილს დაუბრუნდა. ცოლ-ქმარი გაანჩხლებულ ბავშვს ართობდა, რადგან ამ უკანასკნელს, რაც კი რამ სასუსნავი ეგულებოდა, შეესანსლა და ახლა სეირნობას ითხოვდა. აჯაგრული მშობლებიც დაქროდნენ ვაგონში წინ და უკან. ხნიერი კაცი კიდევ დიდხანს იჯდა თავის ადგილზე და ბოლოს, როცა მისმა გაჩერებამაც მოატანა, რაღაც ჩაილაპარაკა და ჩავიდა. ქმარს მოესმა სიტყვა “სექტანტებიო” და სანამ მეუღლესთან გადაამონმებდა, იმან დაასწროდა სამას სამოცდამეხუთეჯერ ჰკითხა, მალე ჩავალთო? ამან, ჰო და, გაემზადეო. ისიც ასე ბარგასხმულ-ბავშვაკრული კარგა თხუთმეტ წუთს იდგა კართან, სანამ ჩამოქვეითდნენ.

დაღლილმა მატარებელმა კი ერთი ამოახველა და წამოაღებინასავით. ამოყარა მთელი შიგთავსი, მგზავრ-ტვირთი და ბორბლების ზანტი ტრიალით ჩიხისკენ გაემართა, რათა ორიოდ საათი შეესვენა და მერე ისევ, შემდეგ წრეზე ნასულიყო. ძალიან მობეზრდა ერთფეროვანი ადამიანები და მათი ყოფისეული საზრუნავი. საერთოდ აღარ სიამოვნებდა თამაში “სხვისი ცხოვრება”, რადგან აღარც მგზავრების მზერა ხიბლავდა და არც მათი ისტორიები, მითუმეტეს, რომ საკუთარი სატკივარიც აურაცხელი ჰქონდა. “კაცო, იაპონიაში მონორელსი გამოიგონეს, აშშ-ში მაგნიტურ ველზე მოარული მატარებელი და ეს ოჯახქორები კიდევ მე მგონი, “კატელნაის” ჩადგმას მიპირებენ და ნახშირზე გადაყვანას. რით ვერ მიხვდით ხალხო, რომ დავბერდი და აღარ შემიძლია ეს აღმა-დაღმა სირბილი. მუზეუმში, მუზეუმშია ჩემი ადგილი და არა ამ ოხერტიალობაში... თუმცა კი აბა, რა მიკვირს, როცა აგერ საკუთარი თავისთვის ვერ მიგიხედიათ და დადიხართ ფიქრ-აჩონჩხილები. სულიერი ვერჩაგხედავთ თვალებში, ისეთიარეული ცხოვრება გაქვთ. ვინ მოიცლის ჩემთვის? არც არავინ. არა, არა, მენანებით, თორემ კაცმა როგორ უნდა ინატროს მესამე მსოფლიო ომის დაწყება, რომ მერე, იქნებ, მისი დამთავრების პატივსაცემად, ვინმე სხვა გამოუშვან აქ სამუშაოდ. ეჱ, ნნ... ნნ... სულ აღარ გაქვთ ამ ახალგაზრდებს უფროსის პატივისცემა დარიდი, თორემ აბა, ამ რეფორმებისა, თუ რაღაც ჯანდაბის წამონება იქნებოდა ასაკოვანი ხალხის წინააღმდეგ?! არა, არა. ნნ... ნნ...” ფიქრობდა, ქანცგამძერალი მატარებელი და კიდევ კარგი, არავის ესმოდა მისი, თორემ ხომ უმალ მიაძახებდნენ, წალი შენი...



ქადაგი სოფო ბოლო

ეძღვის და დაცულობის
პოეტ ანა ერისთავის

შემოველ შენდა ტაძარს შინა
მადლით მოცულო,
დედაო ღვთისავ, შენს წინაშე
ქალი ლოცულობს:
გავედრებს ქვეყნის სიმშვიდეს და
ერის დიდებას,
ციმციმებს უფლის სანთელიც და
ალიც იზრდება;
ნათდება ნათლით სამლოცველო,
გარეთ ქრის ქარი...
მაგრამ ის სხეულს ვეღარა გრძნობს,
ის ღმერთთან არის...

შევცქერი ვაჟას პორტრეტს მუქ ფერში,
მის უკან მთელი სამყარო მოჩანს;
ნეტავ, რას ხედავს ღმერთები ჩემში,
ნაიალალარ ხარს, თუ მჭლეს, ოჩანს?
საღ თვალიდანაც ჩამოსდის ცრემლი,
რომ ქვეყნის წყლული დღესაც არ მორჩა.

„ვერ იქამს ნუთისოფელი
ფეხებზე დამიკიდოსა“.
ტარიელ ხარხელაური

ყველა კუნჭული ამოავსო
გზებმა დარდებით...
არა გჩვევია, მაგრამ ჩუმი
ცრემლი გასველებს
და თუ დრო გექნა სასთუმალზე
თავის დადების,
იქაც სიზმრები, არეული
არ მოგასვენებს...
იქნებ ნაღველიც შეერიოს
გრანიტ სტრიქონებს,
ნისლი მოედოს პორიზონტზე
დაშვებულ ფარდას,
მაგრამ მაგ სულის ხვეულებში
ქარი იქროლებს
და მოძმის სითბოს შემოგიტანს
ტკივილის გარდა.
მთის იალალებს შეჰვენია
თეთრი ფარები,
დგას მწყემსი-ლექსი, არმოშიში
დროთა ქარ-ნვიმის...
დღეს ტკივილს ძველი ნაბადივით
აეფარები
და ისევ ცათა ლაჟვარდებში
იფრენს არწივი...

გაზაფხული მთებში

ჩავსაფრებივარ საცქერლად ჯიხვებს,
ამ სილამაზეს ვერ ვესვრი ტყვიას;
მთები ნაზამთრალს ბალახით იხვევს
და მწვანე ფერი ზეცაში მიაქვს.
ხევი აწვალებს მოვარდნილ ღვართქაფს,
ხოლო ღრუბელს კი ტყეში ჩარჩენილს,
ნიავი ფიჭვის ტოტებზე ართავს
და იქსოვება კლდეზე ჩანჩქერი.

მრავალძლის ცის ქვეშ
(სიმონ სხირტლაძის კიდევ ერთი გახსენება)

დგას ხალხი ფეხზე, სადლეგრძელოს
სიმონი ამბობს
და მრევლში სიტყვებს ისე გზავნის,
ვით ციურ ამბორს.
ლომკაცის სულის სახსენებელს
ამბობს თვით ლომი:
— მოუმზადებლად წააგოო
სიკვდილთან ომი.
ფეხზე მდგარს როგორ წააქცევდა
სერგოს, ბატონო,
მაგრამ ღრმა ძილში მოჰპარვია
ის უპატრონო...
ჭირისუფალს კი ღანვზე ცრემლი
დასდის მირონის
და თავზე ადგათ მრავალძლის ცა, —
ცა საფირონის.

ქალი

გაჩენის დღიდან მოდიხარ ასე:
ატარებ გრძნობებს ფარულს, გამხელილს,
კაცობრიობას სიცოცხლით ავსებ,
გადგას გვირგვინად დედის სახელი.
ხარ სილამაზე ზეცისმიერი
და სურნელება ქართლის ბალების,
ქალურ სისუსტით შენ ხარ ძლიერი,
ნებისმიერი ციხის ამლები.
შენს ძნელ გზას —
სხვა გზას ვერ შევადარებ,
გზა რთული გაქვს და უცხოდ ხვეული...
ღვთაებრივი ხარ, რომ დაატარებ,
ლამაზ სიცოცხლეს ლამაზ სხეულით.

პაპას საფლავთან

შვილო, იქნებ მოინატრე მამაშენი,
კისერზე ხმალს გაზომებდა შახი როცა...
და „მარტყოფი“, — საქართველოს გადამრჩენი,
ამ დროს იდგა გმირისა და უფლის ლოცვად...
არ მასვენებს შადიმანთა დრო უხეში
და მის შემდეგ ქართლის ზეცა თვალსველია...
ერთანმინდის ეკლესიის ერთ კუთხეში,
საქართველოს სიყვარული ასვენია.

შუპი ჩამოდის პარადა
„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს“,
ტარიელ ხარხელაური

მადლობას გიხდით, სვანებო:
მესტიელსა თუ მულახელს,
ძირძველ ქართულთან ქვეყანას
რა განძიც შემოუნახეთ.
ქარიშხალს გიგავთ სიცოცხლე,
დგახართ სამშობლოს ფარადა
და მთის კალთებზე გვარებით,
სწერიხართ როგორც ბალადა.
თქვენი „ლილეოს“ სიმღერით
შუქი ჩამოდის ბარადა.

უთქმელი მხოლოდ ის დარჩეს
(მეგობარ პოეტის)

ზაფხულში მზეს მოგიჩრდილავ,
სიცხემ არ დაგაზიანოს.
ზამთარში მხოლოდ იქ დაგსვამ,
სადაც ბუხარი მზიანობს.
ლექსს დავწერთ, ჩემსას არა და,
შენსას გავიტან საჯაროდ;
რომ გულმა შვება შეიგრძნოს,
შური და მტრობა ვაჯავროთ.
ჭირი და ლხინი გავიყოთ,
დარდი არ გვექონდეს მალული;
უთქმელი მხოლოდ ის დარჩეს,
ვის უფრო გვიყვარს მამული!

ერთი სტრიქონიც მაყოფა

მეცვა და ახლაც მაცვია
გლეხის და მუშის ხალათი,
სოფელი უფრო ლალია,
სუნთქვას კრავს დიდი ქალაქი,
სახლი მაქვს მუდამ კარლია,
ეზოში მწვანე ბალახი.
გზებზე მრავალჯერ შემომხვდნენ
მგელნი, ტურანი, მელანი,
ქვევრში ღვინო არ ჩამიშრა,
კალამში კიდევ მელანი,
ერთი სტრიქონიც მეყოფა,
რომ ვიგრძნო გულის ძერანი.
თვალს ძველებურად ალალებს,
ცაში ქორნი და ძერანი,
ყველას თავის გზით წაიყვანს,
საკუთარ ბედისნერანი;
იქნებ ჩვენც გამოგვიქოლდეს,
ოდესმე ტატოს მერანი.



ნიმუ ჯოგიშვილი

სიც ლეს დაცვი ხასი...

„ძვირფასო, უკვე აღარ მახსოვს მერამდენედ გნერ. ასე შორს მყოფიც გრძნობებონია, სიტყვებს შორის მოქცეული ლოდინის ხევდას. მე არც მინდოდა ეს ბარათები წაგეკითხა. მე სიტყვებს მიღმა მიჩქმალული ოცნებებით, საწოლს მიჯაჭვული ქალის ოცნებებით მინდოდა მომენუსხე. ამ სევდას თვალი ვერ დაინახავს, ყური ვერ მოისმენს, ამისთვის სულია საჭირო, ზერდამიანის სული, ჰოდა, მეც გნერ, გნერ ასე დაუსრულებლად... მგონია კითხულობ, გრძნობ და განიცდი დაწერისთანავე დახეული ბარათების ნასევდარ – ნაოცნებარს“... ქალს გამხდარი ხელი აუთრთოლდა, ფარატინა ბარათი თითებშუა მოიქცია და დააფანტელა... თეთრ პეპლებად აფარფატდა ნაბარათალი...“

... იმ აზეცავებულმა კაცმა ოფლით გახვით-ქული შუბლი კოტიტა თითებით ჩამოიწმინდა, ფართო სავარძელში ქოშინით გადაწვა და სარკმლიდან შემოჭრილ მზეს ხვნეშით შეაპარა: ეჲ, ციც ლუდს დალევდა კაცი, ეს ოხერი საქმე რომ არა!...“

„ძვირფასო, ძვირფასო, თენდება. ალიონს ნებდება ბნელი და... თენდება. ნაწვიმარ ხეებ-

ზე ცახცახებენ ფოთლები, მე შევიფოთლები ტკივილის სუდარით... დღე დგება, ვერ გხედავ, ვიღვიძებ მუდარით. არ მესმის უივილი ულურ-ტულა ჩიტების. ვერ ვხედავ ფერებს და ცრემლს ნამად დაფენილს ბალახზე... დავბრმავდი, დავ-ყრუვდი და დავრეტიანდი, ოხრად და ტიალად რამდენი ვიარე?! ვოხრავ და ვტრიალებ სამყაროს ფერხულში და მტკივა ყოველი შეხება ბალახთან, ცასთან და... შენ სად ხარ... სევდას და ტკივილს რომ გამყარო? ეჲ... გახსოვს ლექ-სებს რომ გიკითხავდი და ვცრემლობდი? ნე-ტავ თუ ამჩნევდი მაშინ ჩემს ცრემლებს? ან ის ლექსები გესმოდა კი? .. ძვირფასო, ახლა რომ მოხვიდე კომბლით ხელში და თეთრი გვირილების ბლუჯით, მაშინვე გაპატიებ ამ ლოდინს, ამ ცრემლს, ამ მონატრებას, ამ არ გაგონილ, ქარში დალვრილ სტრიქონებს...“ სიფრიფანა თითებმა თეთრი მტრედივით მოიქცია მუჭში ბარათი და ცრემლით დაალტო...“

... კაცს მკერდქვეშ დაუმძიმდა. წამით, მხოლოდ წამით ექცა მოგონება ტკივილად: იფ, რა ქალი იყო, რომ მოდიოდა, ათბობდა ქუჩას, ნეტავ ძალიან დააუშნოვა ავადმყოფობამ? უჲ, რა ჩამოცხა, ციც ლუდს დალევდა კაცი!

„ძვირფასო, დღეს ჩემს ოთახში ჩემივე კაბები გამოვფინე კედლებზე. მერე, ყველა კაბა შესაფერი ქუდით მოვრთე და მიმზერენ ახლა ფერგალეულს ფერადები, მოშრიალენი, მომძივულნი, არშიაშემბულნი, მზით გაჯერებულნი... ეჲ, თუმცა შენ რას გაიგებ ამას? შენ კი არა, ბევრი ქალიც ვერ გაიგებს... ძვირფასო, ჩვენი მთის გვირილები აფეთქდნენ? ახლა რომ მანახა თოთო, თხელ კაბებში გამოწყობილი გვირილები... გეფიცები, დავძლევდი სიკვდილს. წამით ჩამთვლემს და ვხედავ: აღარ ხარ დიდი კაცი. აღარ ზიხარ მაგ ჩახუთულ კაბინეტში, საიდანაც არ ჩანს მზე... ვხედავ, რომ მოდიხარ, ცალ ხელში კომბლით, მეორეში ახლად დაკრეფილი, დაცვარული, ლორთქო გვირილებით... ძვირფასო, თენდება... ცაზე ვეებერთელა სინათლედ იფეთქა მზემ და მე ვერ ვხედავ. მოდი რა, გაათენე...“

... კაცმა ფანჯრიდან შემოფერებულ მზეს გახედა... პატარა ჩანდა მზე ამ ფართო სავარძლიდან... რაღაც ენიშნა და ფიქრებმა ნარსულში გადაისროლა. ასე უსიტყვოდ წამოსვლის ნება რომ არ მოეცა, რომ ეკივლა, ემუდარა, ყელზე ჩამომკიდებოდა, ახლა დიდი კაცის ცოლი იქნებოდა.

„ძვირფასო, ისევ მარტო ვარ და გელი... ოლონდ, იმიტომ არ გელი, რომ მარტო ვარ... რატომ მომეცი უფლება, მარტოს მეტვირთა მთელი ცხოვრება?! ეგებ, არც მქონდეს უფლება, თავგანნირვა მოგთხოვო? საერთოდაც, როცა რაიმეს თხოვნაა საჭირო, იქ ყველაფერი ღირებული დაკარგულია. გნერ ამ ბარათებს და ელვად ანათებს ცრემლებით დაბინდულ თვალებში იმედი...“

... კაცი კედელზე თვალსაჩინოდ გაკრულ ლირსების ორდენს მზერით მიეფერა და სარკმლიდან შემოფერებულ მზეს გაუნერა: უჲ, რა ჩამოცხა ეს ოხერი! ეჲ, ციც ლუდს დალევდა კაცი!...“



კუთხის ჩანა

ეს გაუმარჯოს!

შენდამი რწმენით ვკურნავ იარებს,
სევდით გაუღენთილს ვაქრობ პაპიროსს,
თქვენ რომ გეგონათ დავაგვიანე,
მე ახლა უნდა გავიაპრილო.
იმედის სხივით ვმოსავ მოლოდინს,
მავანი ისევ დგას და ვამპირობს,
ამოძახილით, თუნდაც ბოლოთი,
მე მაინც უნდა გავიაპრილო!
ჯავრი მომადგა კვლავაც ჯარად და
სევდით აღსავსე ვაქრობ პაპიროსს,
გეგონათ ჯავრმა გამაჩანაგა?
არა! მე სწორედ ახლა ვაპრილო.
ის აღარ ვიცი ხვალ რა მომელის...
ცა საპატარძლოდ მორთვას აპირობს,
ეს გაუმარჯოს იმ კაცს, რომელიც
ცივ ზამთარშიაც დგას და აპრილობს.

შენია

ავდრობს ცა და ავდრობს მიწა,
დაშოლტაობს ცივი ქარი,
შემომხვდი და ვეღარ გიცან,
როგორ იქეც ღმერთად ქალი.
დროს ნასუსხი ნლები მიაქვს,
შენც გამხდარხარ უფრო უნდო,
აედევნე კრძალვით ნიავს
და გამნირე აგრე უღვთოდ.
ისე მთოშავს ზამთრის ღამე,
დაშოლტაობს თითქოს ქარი,
ნყლული რად არ დამიამე,
აგრე უღვთოდ რად მომკალი? ..
შენს სიყვარულს ზეცა მათოვს
და სადარდელს ვფანტავ ქარში,
შენზე დარდი მომკლავს მარტოს,
ტიალ ზღვაში აფრააშლილს.

კვლავაც

მენამულისფრად იღვრება ზეცა,
ეულად ყოფნა ო, როგორ მიჭირს,
ნუხელის სევდის პერანგი მეცვა,
მე უშენობით კვლავ სიკვდილმისჯილს.
მძიმე ხვედრია სიცარიელე,
თავს მოხვეული მხურვალ ვნებებით,
მოვა სიკვდილი და გაიელვებს,
მნველი, ალური გახსენებებით.
დაიფერფლება სული ღადარზე,
სადარდელს კვლავაც ვიკლავ სასმურით,
დღეს განწირული, უნდა გადავრჩე
და სიკვდილისგან ვიხსნა ნარსული.
ცაზე იშალნენ თეთრი ღრუბლები,
ჩამომცქერს ზეცა უხმო, მდუმარი,
კვლავაც შენდამი ტრფობით ვბრუვდები,
მე შენი გულის დიდი სტუმარი.

ისევ

ო, როგორ მწვავენ ტრფობის ალები,
გზა ჩაუხერგავთ ყველგან სამანებს,
ვიცი, ჩვეული იდუმალებით
მოხვალ და უხმოდ დამასამარებ.
ისევ სავსეა სევდით აპრილი,
რარიგ გავუძლო მითხარ ამ წვიმებს,
შენ ხომ მზესა და ტრფიალს დამპირდი,
ასე უღმერთოდ რაღად გამნირე.
უკუნ ღამეში ვეძებ ნაკვალევს,
სულს ისევ მირბევს ქარი ავსული,
შენი ლოდინის ტანჯვა მაკმარე,
ბოლოს ლოდინსაც ხომ აქვს სასრული.
ჩამომენყრილა ყველა ბილიკი,
თავს მადგას ბედი შეუნიღბავი...
და შემომწყრალი, ჩუმი ქილიკით
ისევ შორიდან მიმზერს იღბალი.

კვლავ უშენობის ზარმა მამცნო
შენი სიშორე და
სახალწლო სუფრის თავში
ასვენია ჩემი ოცნება.
ვგლოვობ...
რას ვგლოვობ? ...
იმ დროს, როცა,
აღარასდროს მომენატრები.

უშენობ

კვლავ უშენობის რეკენ ზარები
და დგას სიჩუმე მკრთალი ლანდივით,
ამლილ ოცნებებს შევეფარები
გულდასევდილი ამ სინამდვილით.
ზეცა ბინდდება შეშლილ იერით,
უბედო უამი უნდოდ ტრიალებს...
და გრიგალებთან სულით ძლიერით
შევრჩი ოცნებით მოხეტიალე.
ეს მერამდენედ ხვდა გულს ლახვარი
და არც ეს არის ბოლო, ვიცი მე,
დღეს განვიცადე ჯვარცმა ახალი —
უშენობ ყოფნის მწველი სიმძიმე.

უცდა იცოდე

ჩემო ძვირფასო, მე რომ ვიცინი
და ვერ მაშინებს შენი ავდარი,
უნდა იცოდე, ჩემი სიცილი
ბევრჯერ რომ არის მევდრეთით აღმდგარი.
ისევ ღამდება შენზე ოცნებით
და მარბევს ფიქრი, ფიქრი დამღლელი,
მოვედი შენთან როგორც მლოცველი,
რომ გავიქარვო ყველა ნაღველი.
გთხოვ, შეისმინე ის რაც ვინატრე
უნმინდეს გრძნობით სავსე მარტოდენ,
როცა მაღირსებ მზეს და სინათლეს,
მაშინდა მაინც ნულარ დამტოვებ.

ტრიალით

თოვლი თოვს და სულშიც ცივა,
გადათოშილს გითბობ ხელებს,
ხვავრიელად ცრემლი სცვივათ
თვალებს სევდით განახელებს...
მოვა გაზაფხული თრთოლვით,
გაიმზევებს ზეცა რუხი,
სული სავსე მდნარი თოვლით
გაიქარვებს დარდს და ნუხილს.
ავამზევებ შენთვის ლოცვებს,
ვენამები როგორც ქრისტე...
და ტრიალით განაოცებს
ქროლვით გაგიტაცებ ცისკენ.

და მიმზერს...

რა ვქნა, თქვენს ტრიალს ვერ დავემონე,
გულს მანევს ისევ ძველი ნაღველი,
თქვენ ჩემში ეძებთ იმ ბრიყვ ფენომენს,
რომელიც ჩემთვის არის დამღლელი.
მე ქარებს მივდევ უცხოს... ზმანებად...
მივიბილიკებ სევდით ულრანებს
და სამუდამო დასავანებლად
ქარში მზეს ვეძებ ჩემებრ მნუხარეს.
შორს მოჩანს სადღაც სხივთა არილი,
იღვრება მნუხრი სულში ჰანგებად...
და მიმზერს შორით, ნაღვერდალივით,
ის მზე, ჩემთვის რომ სურდა განგებას.

ვიცი


მე გადამღალეს თქვენთან ომებმა,
გულს სიმძიმილი ანევს ლოდივით.
ვიცი, აქ აღარ დამედგომება
და ველი სიკვდილს მწველი ლოდინით...
მე მივეტრიფოდი მზიან ამინდებს,
ლამეს ნროველსა და მთვარეს ხალიანს,
ახლა ჯვარცმული ვისთან წავიდე?
სულში კვლავ თქვენი ცეცხლის ალია...
მე გადამღალეს თქვენთან ომებმა,
შემოვრჩი ისევ სევდას ეული,
მინაზედ აღარ დამედგომება
და ცასაც არ ვარ ჯერ შეჩვეული.

რა მიშავს

ცა გალუმპულა მწველი ცრემლებით,
მიარბევს ქარი ზეცის საუფლოს,
მე კი ლოდინით განახელები
შენს სიზმარეულ ლანდთან ვსაუბრობ.
დგას სულში ისევ მკაცრი ზამთარი,
ვარ შერჩენილი მთოშავ სიცივეს
და თოვლი ცხარე ცრემლად დამდნარი
ამ გაზაფხულზე ისევ ინვიმებს.
ვიცი, ამაოდ ვებრძვი ქარიშხალს,
დანამქრულ ცეცხლსაც ვეღარ ავანთებ,
დავრჩე ეულად? — ვამბობ რა მიშავს...
და უგზო ქარებს ვატან ბარათებს.

შორია

ისევ შორია შენამდე ჩემო,
შენამდე გზები ისევ შორია,
სიმორე მართმევს შენს თავს და გჩემობს,
თითქოს უშენობ არც უცხოვრია...
ხარ ისევ ჩემი სულის სადარდო,
კვლავ შენით ვირჩენ ამ გულს, ნატყვიარს
და დღეს ძვირფასო, როგორც არასდროს
სულს უშენობის ცრემლი აყრია...
სიმორე მართმევს შენს თავს და გჩემობს...
შენამდე გზები ისევ შორია...



36 სახურები სახურები

პატინის შესახებ (მკაფიოდობის ვერსია)

პუშკინი პირველად უკვე საკმაოდ მოზრდილმა ვნახე. წლების სიზუსტეს ვერ დავიჩე-
მებ, რადგან ბავშვობიდანვე უთავბოლო და
აბდაუბდა ვიყავი და თარიღები სულ მეშლე-
ბოდა. აი, როგორ შევხვდი მას. საშობაო დღე-
სასწაულზე პეტერბურგში ნათესავებთან
სტუმრად ვიმყოფებოდი. მართალია, მე და
მამაჩემი წვეულებებზე და მეჯლისებზე არ
დავდიოდით, მაგრამ ყოველსაღამოს მრავალ-
რიცხოვანნათესავებსა და ნაცნობებს ვსტუმ-
რობდით და მაღალ საზოგადოებაშიც ვტრია-
ლებდით. ერთ დღეს, მამამ რუსულ თეატრში
ნამიყვანა. როდესაც დარბაზში შევედით,
ნარმოდგენა უკვე დაწყებული იყო. ადგილე-
ბი მეორე რიგში გვქონდა. ჩვენს ნინ, პირველ
რიგში მჯდომი მამაკაცი შემობრუნდა და
ყურადღება მოგვაქცია. მას მუქი ფერის ხვე-

ული თმა და ულამაზო, მაგრამ არაჩვეულებ-
რივად მეტყველი სახე ჰქონდა. იგი მამაჩემს
გულითადად და კეთილმოსურნედ მიესალმა,
კვლავ სცენისაკენ მიტრიალდა და ისეთი ყუ-
რადღებითა და გულმოდგინებით განაგრძო
სპექტაკლის ყურება, როგორც მხოლოდ იმ
ადამიანებს სჩვევიათ, თვითონაც რომ თხზა-
ვენ. ფრანგები ამ შემთხვევაში იტყვიან ხოლ-
მე „Les gens du metier“. „ეს პუშკინია“ — ჩამ-
ჩურჩულა მამამ. მოულოდნელობისაგან გავ-
ხევდი. გასაკვირი არაფერი იყო. მთელი ჩვენი
ხალხი აღმერთებდა თავის უდიდეს მნერალს.
მისი მაგიური სახელი თითოეული ადამია-
ნისა და განსაკუთრებით ახალგაზრდების
ნარმოდგენაში შარავანდედით იყო მოსილი.
თანამედროვენი მას მიანერდნენ ოლიმპიურ
მიუნვდომლობასა და მიუკარებლობას. ეს
შეფასება მთლად საფუძველმოკლებული არ
უნდა ყოფილიყო, მაგრამ როცა ფარდა და-
ეშვა და მამამ პოეტს ჩემი თავი ნარუდგინა,
მან უდიდესი ადამიანური სითბო გამოიჩინა
ჩემს მიმართ. მამაჩემმა მოახსენა, ჩემს ვაუს
მნერლობა აინტერესებს და ნანარმოებებ-
საც კი წერსო. პუშკინმა გამამხნევებელი და
ნამახალისებელი სიტყვები არ დაიშურა და
თან გაიხსენა, რომ თურმე პატარაობისას ვუ-
ნახივარ მარკიზის ტანსაცმელში გამოწყობი-
ლი როგორ ვუკრავდი ვიოლინზე, შემდეგ
კი მითხვა, არ მომრიდებოდა და, როცა სურ-
ვილი მექნებოდა, შემევლო კიდეც მასთან.
აღტაცებულსა და აღფრთოვანებულს აღარ
ვიცოდი თავი როგორ გამომეჩინა. ვფიქრობ-
დი, რაიმე ჭკვიანური მეთქვა, რათა მისთვის
დამემტკიცებინა, რომ მე მთლად ისეთი პატა-
რა ბიჭუნა აღარ ვიყავი, როგორადაც მან ჩამ-
თვალა, მიუხედავად მისი თავაზიანობისა და
გულისხმიერებისა. აქვე მინდა ვთქვა, რომ იმ
დღეს, დაახლოებით შუა დღის სამ საათზე,
მანამ თეატრში ნამოსვლას გადავწყვეტდით,
მედა მამაჩემი ნევის პროსპექტზე ვინმე, ნაც-
ნობ ბატონ X-ს შევხვდით. მაშინ იგი საკმაოდ
მოდურ მნერლად ითვლებოდა და ვაბლენძი-
ლი ქედმაღლობდა და ყოყოჩობდა. მამაჩემი
მას კარგად იცნობდა და მეც გამაცნო. ახ-
ლადგაცნობილმაც კეთილგანწყობაგამოიჩი-
ნა ჩემს მიმართ და იმავე საღამოს თავისთან
დაგვპატიუა. „დღესოთხშაბათია“, — ნარმოს-
თქვა მან ამპარტავნულად, — „ყოველ ოთხშა-
ბათს ჩემთან იკრიბებიან ნიჭიერი, ცნობილი
და გამოჩენილი ადამიანები. მობრძანდით,
გვესტუმრეთ, ძვირფასოახალგაზრდავ. ვფიქ-
რობ, თქვენთვისაც საინტერესოდა სასიამოვ-
ნო იქნება ჩვენს საზოგადოებაში ყოფნა“.
მე, დიდი მაღლობა გადავუხადე და, რა თქმა
უნდა, გადავწყვიტე სპექტაკლის შემდეგ აუ-

ცილებლად წავსულიყავი მასთან. პუშკინი მეორე მოქმედებასაც ისეთივე გულისყურითა და ინტერესით ადევნებდა თვალს. მე კი მონინებითა და მოკრძალებით შევყურებდი სავარძელში წინ გადახრილ ჩვენს სათაყვანებელ პოეტს და თან ვფიქრობდი, „რა თქმა უნდა, შეუძლებელია პუშკინი არ იყოს იმ წვეულებაზე, სადაც მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები და სხვა უამრავი ცნობილი ადამიანი იყრის თავს-მეთქი“. სპექტაკლი დამთავრდა, ფარდა დაეშვა, იგი კვლავ მობრუნდა ჩვენსკენ, მე დრო ვიხელთე და დავინყე: — „ალექსანდრე სერგეის ძევ, დღეს ოთხშაბათია და ალბათ კვლავ მექნება ბედნიერება კიდევ ერთხელ შეგხვდეთ ბატონ X-თან“, — ვთქვი და ვცდილობდი თან სიმშვიდე და გულგრილობა გამომემულავნებინა, ვითომცდა, აი, რა წარჩინებულ ხალხთან მივდივართ სტუმრად და ასეთ მაღალ საზოგადოებაში ტრიალი ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენაა — მეთქი.

პუშკინმა იმ თავისი განუმეორებელი ლიმილით შემომხედა, რომელშიც გესლიანი დაცინვა საოცრად ერწყმოდა კეთილმოსურნე და გულითად გამომეტყველებას. „არა, არა“, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოილაპარაკა მან, — „რაც დავქორნინდი, ასეთ წვეულებებზე აღარ დავდივარ“. შევცბი, თითქოს ცივი წყალი გადამასხეს, უხერხულად რაღაც წავილულლულება და მამაჩემის ზურგსუკან გავუჩინარდი. ამის გამო მამას გულიანად გაეცინა, იგი მშვენივრად მიხვდა, რომ დიდი პოეტის ნინაშე თავის მონონება მინდოდა და იმედი გამიცრუვდა. მართლაც, მანამდე, მთელი სპექტაკლის განმავლობაში გეგმებს ვაწყობდი, თუ როგორ დავბრუნდებოდი საუნივერსიტეტო ქალაქ დერპტში, როგორ მოვუყვებოდი ყველას ბატონ X-ის სახლში გამართულ მეჯლისის შესახებ, სადაც თავმოყრილნი იყვნენ პეტერბურგის ყველაზე ნიჭიერი, გამორჩეული და ცნობილი ადამიანები, ხოლო სტუმრებს შორის თვით პუშკინიც კი იყომეთქი. ეს აზრები მიტრიალებდა თავში. და აი, ასეთი მოულოდნელობა... რა თქმა უნდა, იმ წვეულებაზე მეც არ წავედი, თუმცა მშვენიერ გუნებაზე მყოფი მამაჩემი სიცილითა და ხალისიანი განწყობით დაუინებით მთხოვდა წავყოლოდი. მეორე დღეს მამაჩემმა პუშკინთან წამიყვანა. იგი სახლში არ ბრძანდებოდა და მასპინძლობას გვინევდა მისი მეუღლე, უმშვენიერესი ნატალია ნიკოლოზის ასული. მანამდეც ბევრი ლამაზი ქალი შემხვედრია, უფრო მეტად მოხდენილი და მომხიბვლელიც კი, ვიდრე პუშკინის ცოლი იყო, მაგრამ კლასიკური სახის ნაკვთებისა და უზადო ტანის ასეთი სრულყოფილი შერწყმა არასოდეს მინახავს.

მაღალსა და ტანწერნეტს ნატიფი მხრები და თვალისმომჭრელი ბროლის გულ-მკერდი ამშვენებდა. პანია კოხტა ყურებით, შესანიშნავი კბილებითა და დამატყვევებელი თვალებით შემკული კოპნია თავი მის თეთრ-ყირმიზ ყელსა და კისერზე ისეთი სინაზითა და გრაციოზულობით ირხეოდა, როგორც ნაზყუნწიანი შრომანი. მისი მსგავსი საუცხოო და ზღაპრული პროფილი კი მართლაც იშვიათობას წარმოადგენდა.

დიახ! იგი მართლაც რომ მშვენიერებისა და სინარნარის განსახიერება იყო. ალბათ, ამიტომ, მისი გამოჩენისთანავე ყველაზე წარმოსადეგი ქალბატონების მიმზიდველობაც კი იჩრდილებოდა და იბინდებოდა. ეს სიტყვაძუნწი, თავშეკავებითა და თავდაჭერილობით სავსე მანდილოსანი ყოველთვის ცოტას ლაპარაკობდა და გულცივი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი გამუდმებით ტრიალებდა საზოგადოების მაღალ წრეებში და თვით მეფის კარზეც კი. ეს ქალბატონი არა მხოლოდ თავისი შეუდარებელი და იშვიათი გარეგნობით ბრწყინავდა, არამედ იმითაც იყო გამორჩეული, რომ მისი მეუღლე უდიდესი პოეტი და ცნობილი ადამიანი გახლდათ.

პირველი ნახვისთანავე იგი თავდავინყებით შემიყვარდა. უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ პეტერბურგში თითქმის ყველა ახალგაზრდა მამაკაცი, ფარულად პუშკინის ცოლს ეტრფოდა. პუშკინის მაგიურ სახელთან შერწყმული, მისი თვალისმომჭრელი და შუქმფენი სილამაზე ყველას თავგზას უბნევდა და ატყვევებდა. ბევრი ახალგაზრდა კაცი ვიცოდი, მთელი სერიოზულობით, პუშკინის ცოლის მოტრფიალედ რომ მიიჩნევდა თავს. იყვნენ შეყვარებულნი, თუმცა მას ნესიერად არც იცნობდნენ და ხშირ შემთხვევაში ნანახიც კი არ ჰყავდათ. მთელი სიცხადით ჩამრჩა გონებაში ერთი სასაცილო ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბუტურლინების ოჯახში გამართულ წვეულებაზე და, რომლის მონმეც გახლდით. თუ არ ვცდები, ეს იყო 1835 თუ 1836 წლის ზამთარი. იმ დროს მე უკვე დამთავრებული მქონდა უნივერსიტეტი. ოჯახის თავკაცი ბუტურლინი ერთერთი ცნობილი მდიდარი ადამიანი მიხაილ კამბურლეის ქალიშვილზე, ელიზავეტა მიხეილის ასულზე იყო დაქორწინებული. მათ ჰყავდათ ორი შვილი, ქალიშვილი ანა და ვაჟი პეტრე. ქალიშვილი მოგვიანებით გრაფ პაველ სერგეის ძე სტროგანოვის ცოლი გახდა. პეტრია ბუტურლინი მაშინ 13-ოდე წლისა თუ იქნებოდა. მას ჯერ კიდევ მოკლე ქურთუკი ეცვა და საცხით ზედმინევნით იპრიალებდა თმას. ვინაიდან იმ დროისათვის მეჯლისები

გაცილებით ადრე ინყებოდა, ვიდრე ახლა, მშობლებმა პეტინკა ბუტურლინს ნება დართეს სამეჯლისო მაზურკამდე სტუმრებთან დარჩენილიყო. მაშინდელი წეს-ჩვეულების მიხედვით მას მთელი ოჯახი უზომოდ ანებივრებდა, იგი ამით სარგებლობდა, საცეკვაო დარბაზში სტუმრებს შორის მოზრდილივით დასეირნობდა. მე კი იმ საღამოს მაზურკა უნდა მეცეკვა პუშკინის ცოლთან. როგორც კი ორკესტრმა რიტურნელი შეასრულა, მე ჩემი პარტნიორის მოსაძებნად გავეშურე. იგი ფანჯარასთან იჯდა, დაკეცილი მარაო პირთან მიეტანა და შეუმჩნევლად იღიმებოდა. უკან კი სიღრმეში, პეტინკა ბუტურლინი იყოდა აგზნებულ-ალენილი სახითა და ენის ბორძიკით გაცხარებული მას რაღაცას ელაპარაკებოდა. ნატალია ნიკოლოზის ასულმა დამინახა თუ არა, იქვე ახლოს მდგარ სკამზე მარაოთი მიმითითა და თან მომმართა: “დაბრძანდით, ცოტა ხანს გავჩერდეთ, აქ საგრძნობლად გრილა”. მე თავი დავუკარი და ჩამოვჯექი, “დიახ, დიახ, ნატალია ნიკოლოზის ასულს, გთხოვთ, მომისმინოთ და შეურაცხყოფად არ მიიღოთ: მინდა გითხრათ, მე თქვენ მიყვარართ”. ელაპარაკებოდა ქალს პეტინკა და იმდენად დაბნეული და ალელვებული ჩანდა, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ მივუახლოვდი და სკამზე ჩამოვჯექი. „ეს აუცილებლად უნდა მეთქვა თქვენთვის“, — განაგრძო მან, — “იმიტომ, რომ მალე 12 საათი გახდება და დასაძინებლად ნამიყვანენ“. თავიძლივს შევიკავე, რომ სიცილი არ დამეწყო. მანდილოსანი ტუჩებს იკვნეტდა და ისიც ცდილობდა არ გასცინებოდა. მართლაც, რამდენიმე წუთში პეტინკა შეუბრალებლად მოაცილეს იქაურობას და დასაძინებლად ნაიყვანეს.

ბედმა მარგუნა ვყოფილიყავი თვითმხილველიცა და ერთ-ერთი მოქმედი პირიც იმ ტრაგიკული დრამისა, რომელიც გენიოსი პოეტის სიკვდილით დამთავრდა. უკვე მოგახსენეთ, რომ მე და პუშკინს კარგი ურთიერთობა გვქონდა, ჩემს პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებს დიდი გაგებით ეკიდებოდა. როგორც ახალგაზრდა, დამწყებ ლიტერატორს წამახალისებდა ხოლმე და კეთილ, საქმიან რჩევასაც არ იშურებდა. მიუხედავად ჩვენი განხსნავებული ასაკისა, თავის ლექსებსაც მიკითხავდა და ჩემს მიმართ განსაკუთრებული კეთილგანწყობით გამოირჩეოდა. თითქმის ყოველდღე ერთად დავდიოდით ბაზრობაზე, პურის კვერებს ვყიდულობდით, შემდეგ ნევის პროსპექტზე ვბრუნდებოდით და კვერით ვუმასპინძლდებოდით მაღალი წრის გამოპრანჭულ კოხტაპრუნებს, რომლებიც ტყვიანაკურავებივით გაგვირბოდნენ. საღამოობით

კი ერთმანეთს ვხვდებოდით კარამზინებთან, ვიაზემსკებთან, თავადიშვილ ოდორევსკისთან და სხვა წვეულებებზე. ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, რომ არ ვიწერდი და არ ვიმახსოვრებდი ყოველივეს, რაც პუშკინისაგან მესმოდა. მისი და დანტესის ურთიერთობა უკვე საკმაოდ დაძაბული იყო. ერთხელ, თავადიშვილ ვიაზემსკის ოჯახში გამართულ წვეულებაზე პუშკინმა ჟაქვა, რომ დანტესი მაიმუნის გამოსახულებიან ბეჭედს ატარებსო. დანტესი მაშინ ლეგიტიმისტი იყო და ხელზე ჰენრიხ V-ის გამოსახულება ეკეთა. “აბა, შეხედეთ ამ გამოსახულების სახის ნაკვთებს, განა ისინი ბატონ პუშკინს მოგაგონებთ?“ — ნამოიყვირა მაშინვე დანტესმა.

კიდევ კარგი, რომ ეს უდიერი და მოურიდებელი შეკამათება მშვიდობიანად დამთავრდა. პუშკინი ნაწყვეტ-ნაწყვეტად და მწვავედ ლაპარაკობდა. მახსოვს, უცებ შეთხზავდა გესლიან ეპიგრამას და მუღერი ხმით ბავშვური გულუბრყვილობით გულიანად გაიცინებდა, თან თეთრ-ქათქათა არაბულ კბილებს გამოაჩენდა ხოლმე.

არსებითად, პუშკინი უკიდურესად უბედური ადამიანი იყო, რადგან იგი პეტერბურგში ცხოვრობდა და იმ მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდა, რომელმაც ბოლო მოუღო კიდეც. მისი უდიდესი უპირატესობა ამ საზოგადოების მიმართ უტყუარი იყო, თუმცა კი იგივე გარემოცვაში თავისი ქონებრივი შესაძლებლობებისა და დანიშნულების მიხედვით თავს ყოველთვის დამცირებულად გრძნობდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, არისტოკრატული წრეების მიმართ ის ყოველთვის სრულიად გაუგებარ მიღრეკილებასა და ლტოლვას ავლენდა. ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ისეთია, რომ ოფიციალურ გარემოცვაში უდიდესი ხელოვანიც კი ჩინისა და ხარისხის გარეშე თითქმის უკანასკნელი მდაბიო გადამწერლის როლში გვევლინება. წვეულებების დამთავრების შემდეგ, სტუმრების გაცილების უამს ისმოდა ხოლმე შეძახილები: “პუშკინის კარეტა, პუშკინის კარეტა“-ო: “რომელი პუშკინია, რომელი პუშკინი?“ “მნერლუკა პუშკინი, მნერლუკა“, — პასუხობდნენ ხმამაღლა. პოეტს სწყინდა არა ის სახელი, რასაც უძაბნენ, არამედ ის უპატივცემლობა და აბუჩად აგდება, როგორითაც ამ სახელს მოიხსენიებდნენ. ალბათ, სწორედ ამიტომაც, ისიც თავის მხრივ უგულებელყოფდა და პატივს არ სცემდა მაღალ საზოგადოებაში გამეფებულ წეს-ჩვეულებებს. მოდას არ მისდევდა, წვეულება-მეჯლისებზე შავი ჰალსტუხით, ორბორტიანი უილეტითა და გაუხამებელი, ასანევი საყელოთი დადიოდა, რითიც შესაძლოა ბაი-

რონისეულ ჯენტლმენბას ბაძავდა. მაღალ წრეებში დამკვიდრებულ სხვა დანარჩენ წეს-ჩვეულებებს კი ხანდახან თითქოს ემორჩილებოდა. დიდი პოეტის მეუღლე ყველა თავყრილობის მშვენება იყო, ამის გამო მისი ასაკის ქალები შურითა და ბოლმით შეჰყურებდნენ. პუშკინს კამერ-იუნკერობა უბოძეს, რომ ეს მშვენიერი ქალბატონი მეჯლისებზე ყოველთვის მიწვეული ყოფილიყო. თავისუფლების მომლერალი და მღალადებელი, სამეფო კარის მუნდირში გამოწყობლი, ულამაზესი ცოლის თანმხლებად, გამყოლად ქცეული პოეტი — უბადრუკის, თითქმის სასაცილო როლს ასრულებდა.

პუშკინი, უკვე პუშკინი კი არა, მხოლოდ ქმარი და ჯარისკაცი იყო. ამას იგი მთელი სიგრძე-სიგანით აცნობიერებდა. ამავე დროს, მაღალი წრის ცხოვრების სტილი დიდ ხარჯებს მოითხოვდა, რისი საშუალებაც მას არ გააჩნდა. სურდა, სახსრები გამოენახა და აზარტულ თამაშებსაც კი მიჰყო ხელი, მაგრამ მუდამ წაგებაში იყო, ყველა იმ ადამიანივით, ვისაც ძალიან სჭირდება მოგება. დაბოლოს, ლიტერატურულ წრეებში მას უამრავი მტერი ჰყავდა, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ. ეს ვაუბატონები უსინდისოდ და მათთვის დამახასიათებელი თვითდაკერებულობით საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ თითქოს პუშკინმა ამონურა თავისი შესაძლებლობები და როგორც შემოქმედი დასუსტდა; მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მტკნარ სიცრუეს წარმოადგენდა, ეს მაინც უზომოდ შეურაცხმყოფელი იყო. პუშკინი, მისთვის დამახასიათებელ-გამანადგურებელ და მწვავე წინააღმდეგობას უწევდა ყველას, მაგრამ მაინც ვერასდროს ახერხებდა გამოეჩინა ის გულგრილობა და სიმშვიდე, რაც ყოველი მნერლისათვის საჭიროა — დამამცირებელი პუბლიკაციების საპასუხოდ. პუშკინის უურნალ „სოვრემენიკ“-ზე მოთხოვნილება არ იყო. იგი ხომ უურნალისტად არ დაბადებულა. საზოგადოებას არ უყვარდა, ყველას ეშინოდა მისი ეპიგრამებისა, უამრავს რომ წერდა და, რომელთა გამოც მან არა მარტო ოჯახები, არამედ პარტიებშიც კი მრავლად გაიჩინა შეურიგებელი მტერი.

პირად ცხოვრებასა და ოჯახში ბედნიერი იყო, რამდენადაც შეიძლება ბედნიერი იყოს პოეტი, რომელიც ოჯახური ცხოვრებისათვის არ არის გაჩენილი. მას მეუღლე ძლიერ უყვარდა, თაყვანს სცემდა, ამაყობდა მისი შეუდარებელი სილამაზით, ენდობოდა და სჯეროდა მისი. ეჭვიანობდა მეუღლეზე არა იმიტომ, რომ ჰქონდა ამის მიზეზი, არამედ იმიტომ, რომ მაღალ საზოგადოებაში გავ-

რცელებული ხმების ეშინოდა, ეშინოდა კი-დევ უფრო მეტად არ დაეცინათ მისთვის. ეს შიში გახდა მისი სიკვდილის მიზეზი და არა დანტესი. დანტესი სულაც არ წარმოადგენდა მისთვის საშიშროებას. პუშკინი თავს იცავდა არა პატივისა და ლირსების შელახვისაგან, რასაც ადგილი არ ჰქონია, არამედ ჭორებისა და გავრცელებული ხმებისგან; იგი დანტესში ხედავდა არა სერიოზულ მეტოქეს, ანდა ჭეშმარიტი პატიოსნებისა და ლირსების ხელმოყოფს, არამედ მხოლოდ სახელის შემბლალავს. ესეც ძნელი გამოდგა მისთვის და ვერ აიტანა.

იმხანად ჩემს დეიდასთან, ა. ი. ვასილჩიკოვასთან ვცხოვრობდი. 1836 წ. ნოემბრის პირველი რიცხვები იდგა. ერთ დღეს, მან თავის-თან მიხმო და მაუწყა:

— წარმოიდგინე რა უცნაურობაა! დღეს ჩემს სახელზე საფოსტო გზავნილი მოვიდა. კონვერტი გავხსენი და შიგ კიდევ სხვა წერილი აღმოჩნდა, რომლის ადრესატიც პუშკინია.

ეს თქვა და წერილი გამომინოდა, რომელზეც უსწორმასწოროდ და, როგორც ჩანს, ლაქიის ხელით პუშკინის გვარი და სახელი ენერა. მე თავში გამიელვა, რომ ალბათ, ეს წერილი ჩემი და პუშკინის ადრინდელ ურთიერთობას ეხება-მეთქი. რა თქმა უნდა, გზავნილის გახსნის უფლება არ მქონდა, მაგრამ მისი გადაგდებაც არ შეიძლებოდა. მაშინვე პუშკინისკენ გავეშურე და ბარათი გადავეცი, თან აზრადაც არ მომსვლია თუ ეს წერილი ბინძურდა საზიზლარპასკვილს წარმოადგენდა. მან გახსნა თუ არა კონვერტი, მაშინვე მითხრა:

— უკვე ვიცი, ეს რაც არის. დღეს მე თვითონაც მივიღე მსგავსი გზავნილი ელისავეტა მიხაილოვნა ხიტროვასგან. ეს სისაძაგლე და სიბინძურეა ჩემი ცოლის მიმართ. თუმცალა, ალბათ, გასაგებია, რომ ანონიმური წერილი არ უნდა მაღელვებდეს და არც შეურაცხყოლად უნდა ვგრძობდე თავს. თუკი ვინმე ზურგის მხრიდან ჩემს ტანსაცმელს მიაფურთხებს, მისი განმენდა — გასუფთავება კამერდინერის საქმეა და არა ჩემი. ჩემი ცოლი ციური ანგელოზია, არავითარი ეჭვი და ცილისნამება მას არ შეეხება. მომისმინეთ, რას ვწერ ამის თაობაზე ხიტროვას.

მან მაშინვე წამიკითხა ბარათი, რომელიც მისი სიტყვების სრული დადასტურება იყო. ხოლო მისთვის გაგზავნილი, საყოველთაოდ ცნობილი სიგელ-წერილის ავტორ-შემდგენლად ერთი ქალბატონი მიაჩნდა და იგი დამისახელა კიდეც. პუშკინი ლაპარაკობდა წყნარად, აუღელვებლად და თან საკუთარი

ღირსების სრული შეგრძნებით, თითქოს ყველაფრის უყურადღებოდ დატოვება სურდა. მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გავიგე, რომ თურმე მას იმავე დღეს კავალერგარდის პორუჩიკ დანტესისათვის წერილი გაუგზავნია და მისი დუელში გამონვევა გადაუნუვეტია. ყველამ იცოდა, რომ დანტესი იყო პოლანდის დესპანის ბარონ გეკერნის შვილობილი. შემდეგომ მე და პუშკინი ხშირად ვსეირნობდით ხოლმე ერთად, მაგრამ მისთვის არავითარი ცვლილება არ შემიმჩნევია. ერთხელ ისიც კი ვკითხე, ხომ არ გაიგო ვინ აგზავნიდა ამ უსახელო ბარათებს. ზუსტად ასეთივე გზავნილები მიუღია კარამზინის ვიწრო ნრის ყველა წევრს, რომლებსაც ეს ნაჯლაბნები გაუნადგურებიათ. პუშკინმა მიპასუხა, რომ არ იცის, მაგრამ ეჭვი აქვს ერთ ადამიანზე. „S'il vous faut un tzoisem, ou un second, — ვუთხარი მას, — disposez de moi¹“. ამ სიტყვებმა პუშკინი გულის სილრმემდე ააღელვა და ისეთი სასიამოვნო და საქებარი სიტყვები მითხრა, რომ მერიდება კიდეც გამეორება, მაგრამ ისინი საამურ და ბედნიერ მოგონებად დამრჩა მთელი ჩემი ლიტერატურული მოლვანების მანძილზე. შემდგომში, უურნალისტების მხრიდან ჩემი სახელიც მრავალჯერ გამხდარა დაცინვისა და ლანძლვის საგანი, რაც ცილისნამებამდეც კი მიდიოდა. წუთიერ ჯავრსა და წყენას იმით ვიშოშმინებდი, რომ მუდამ ვიმეორებდი მთელი რუსული მწერლობის თავკაცისა და წინამძღოლის მიერ დარიგებასავით ჩემთვის ნათქვამ სიტყვებს, რომ რუსულ ლიტერატურაში ჩემი მოკრძალებული საქმიანობის დროს საკმაო სიმტკიცე დამჭირდებოდა, რათა ღირსეულად ამეტანა ხშირად გაუგებარი, მოუფიქრებელი და შემთხვევითი პუბლიკაციები, დაუმსახურებელი შეურაცხყოფა. ჩემთვის ასეთი სასიამოვნო შეფასების შემდეგ პუშკინმა დასძინა:

— არავითარი დუელი არ შედგება, მაგრამ შესაძლოა გთხოვოთ, ჩემთან ერთად წამოხვიდეთ ერთ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე, სადაც მაღალი ნრის ადამიანის დასწრება ჩემთვის სასურველი იქნება. გთხოვთ, საჭიროების შემთხვევაში სათანადო განმარტება გააკეთოთ. (კვლავ ეს მაღალი ნრის ადამიანი...)

მან ეს ყველაფერი ფრანგულად წარმოსთქვა. შემდეგ შევიარეთ მესაჭურვლესთან. პუშკინმა პისტოლეტის ფასი იკითხა, მაგრამ ფულის უქონლობის გამო ვერაფერი იყიდა. მაღლე სმირდინის სავაჭრო დუქნისაკენ გავეშურეთ. პუშკინმა კუკოლნიკს პატარა ბარა-

თი დაუტოვა, სადაც ფულს სთხოვდა მას. გარეთ ვიცდიდი და ეპიგრამას ვთხზავდი:

Коль ты к Смирдину войдёшь
Ничего там не найдёшь,
Ничего ты там не купиши,
Лишь Сенковского Толкнёшь.²

პოეტმა მოისმინა ჩემი ეპიგრამა და მაშინვე მკვირცხლად დაუმატა:

„Иль в Булгарина наступишъ“.

თითქმის დავნუნარდი და ანონიმური წერილების შედეგები აღარც მაღელვებდა, თუმცა რამდენიმე დღეში სრულიად შემეცვალა აზრი... კარამზინები უფროსი ვაჟის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. სადილობისას მე პუშკინის გვერდით ვიჯექი. მხიარულებისას იგი ჩემსკენ გადმოიხარა და სხაპასხუპით მითხრა:

— ნადით ხვალ დ' არშიაკთან. შეუთანხმდით დუელის მხოლოდ მატერიალურ მხარეზე, რაც მეტი სისხლი დაიღვრება, მით უკეთესი. სხვა ახსნა-განმარტება საჭირო არ არის.

ამის შემდეგ გააგრძელა საერთო საუბარი და ხუმრობა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მე გავშეძი, მაგრამ სიტყვის შებრუნება ვერ გავპედე, რადგან მის ხმაში ისეთი სიმტკიცე და შეუვალობა იგრძნობოდა, რომ წინააღმდეგობის განევას აზრი აღარ ჰქონდა.

იმავე საღამოს, ავსტრიის დესპან ფიკელმონთან დიდი რაუტმეჯლისი ენყობოდა. იქ მეც უნდა ვყოფილიყავი. რაუტზე მოწვეული ქალბატონები კარლ V-ის გარდაცვალების გამო მავ სამოსში იყვნენ გამონყობილნი. მხოლოდ ნატალია ნიკოლოზის ასულის დას — ეკატერინას ეცვა თეთრი კაბა. (ნატალია ნიკოლოზის ასული იმ დღეს წვეულებაზე არ იყო). ეკატერინას განსაკუთრებული თავაზიანობით ექცეოდა დანტეს-გეკერნი.

პუშკინი მოგვიანებით შემოგვიერთდა, ძალზე აღელვებული საჩანდა. ცოლისდას დანტესთან ლაპარაკი აუკრძალა, ხოლო თვითონ მას კი უაღრესად უსიამოვნო და უკმეხი სიტყვებით მიმართა. იქვე, ახლოს იმყოფებოდა საფრანგეთის საელჩოს მდივანი, ფრიად მოხდენილი ახალგაზრდა კაცი, გვარად დ' არშიაკი. ჩვენ ორაზროვნად გადავხედეთ ერთმანეთს, მაგრამ რადგან ახლო ნაცნობობა არ გვქონდა, იქაურობას უსიტყვოდ გავეცალეთ. შემდეგ დანტესი გავიხმე განზე, მაინტერესებდა რას ფიქრობდა, რა ადამიანი იყო. „მე პატიოსანი ადამიანი ვარ და იმედი მაქვს,

¹ მეორე ან მესამე სეკუნდანტი თუ გჭირდებათ, მზად ვარ გემსახუროთ.

² რუსი ლიტერატორები მიიჩნევენ, რომ ეპიგრამა პუშკინს ეკუთვნის.

ამას მალე დავამტკიცებ", — მითხრა მან და თან ახსნა-განმარტება დამიწყო იმის თაობაზე, რომ ვერ გაუგიარა უნდა მისგან პუშკინს, და რომ მას, დანტესს, არავითარი უკმაყოფილება, ჩხუბი და აყალ-მაყალი არ სურს, მაგრამ თუკი აიძულებენ, რა თქმა უნდა, მიიღებს დუელში გამოწვევას.

მეორე დღეს საშინელი ქარ-ბუქი იყო; ჯერ მამაჩემთან ნავედი, რომელიც "მოიკაზე" ცხოვრობდა, იქიდან კი პუშკინთან შევიარე, რომელიც მიმეორებდა, რომ მე მევალებოდა მომავალი ულმობელი ორთაბრძოლის მხოლოდ მატერიალური მხარის მოგვარება. შემდეგ, გულის კანკალით გავეშურე დ' არშიაკისაკენ, რომელმაც ჩემდა განსაცვიფრებლად მაუნყა, რომ განიცდიდა, მოსვენებას ვერ პოულობდა, თან გულის ტკივილით აღნიშნა, "მართალია მე რუსი არა ვარ, მაგრამ მშვენივრად მესმის, რას ნარმოადგენს პუშკინი მთელი რუსი ხალხისათვის". შემდეგ დასძინა, რომ აუცილებელი იყო ყველა იმ მასალის გადახედვა, რაც ჩვენთვის მონდობილ საქმეს ეხებოდა. ამასთან, მან შემდეგი დოკუმენტები მაჩვენა:

- 1) პუშკინის სახელზე გაგზავნილი ანონიმური სიგელ-ბარათის ეგზემპლარი;
- 2) სიგელის მიღებისთანავე პუშკინის მიერ დანტესის დუელში გამოწვევის გზავნილი;
- 3) პოლანდის დესპანის, ბარონ გეკერნის ნერილი, რომელშიც იგი სთხოვდა პუშკინს დუელის ორი კვირით გადადებას;
- 4) პუშკინის ხელით დაწერილი ბარათი, სადაც იგი იუნივერადა, რომ გამოწვევას უკან იღებდა იმ გავრცელებული ხმების გამო, თითქოს დანტესი ცოლად ირთავდა მის ცოლისდას — კატერინა ნიკოლოზის ასულს.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. თითქოს ზეციდან ჩამოვთრინდი. ამ ქორნინების შესახებ არაფერი ვიცოდი და მხოლოდ ახლა მივხვდი ორთაბრძოლის ორი კვირით გადადების მიზეზს და, იმასაც, თუ გუშინ კატერინა ნიკოლოზის ასულს რატომ ეცვათეთრი კაბადა, როგორი გულმოდგინებითადათავაზიანობით ტრიალებდა მისი რგვლივდანტესი. ყველას უნდოდა პუშკინის დაშოშმინება, თავად კი სურვილიც არ გააჩნდა. მისი მოთმინების ფიალა აივსო. სინდისზე ხელალებულ არამზადას მიერ გამოგზავნილი ანონიმური სიგელ-ბარათის მიღებისთანავე, პუშკინმა მაშინვე მიმართა დანტესს, რომელიც ძალიან ხშირად ცეკვავდა ნატალიანიკოლოზისასულ-

თან და სწორედ ის იყო ამ საზიზლარი ხუმრობების მიზეზი. დუელში გამოწვევის დღეც კი უდავოდ ამტკიცებს იმას, რომ სხვა მიზეზი არ არსებობდა. ვინც პუშკინს იცნობდა, ყველას ესმოდა, რომ არა მხოლოდ უაღრესად დიდი შეურაცხყოფის შემთხვევაში, არამედ უმნიშვნელო ეჭვიანობის ნიადაგზეც კი იგი არდაელოდებოდა უგვანოდ გამოგზავნილნერილებს. ალბათ, მარტო ღმერთმა იცის, რას განიცდიდა პოეტი მთელი ამ დროის განმავლობაში, ნარმოიდგენდა რა საკუთარ თავს გამასხარავებულად და დამცირებულად იმ მაღალ საზოგადოებაში, მოსვენებას რომ არ აძლევდა გაუთავებელი წვრილმანი შეურაცხყოფითა და დაცინვით. დანტესის სახით იგი ეძებდა ან სიკვდილს, ანდა მთელი მაღალი წრის საზოგადოებასთან ანგარიშსნორებას. დარწმუნებული ვარ, სობოლევსკირომყოფილიყო მაშინ პეტერბურგში, იგი აუცილებლად გადააფიქრებინებდა პუშკინს ამ საშინელ გადანყვეტილებას. სხვებმა კი ეს ვერ შესძლეს.

— აი, როგორია საქმის ვითარება, — სთქვა დ' არშიაკმა. — გუშინ ამოინურა ორკვირიანი ვადა, და გუშინვე პუშკინთან ვიყავი იმის მოსახსენებლად, რომ ჩემი მეგობარი დანტესი მზად არის სამსახური გაუნიოს მას. ალბათ გესმით, რომ დანტესს სურს იქორნინოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პუშკინი უარს იტყვის დუელზე, და თანაც, აუცილებლად მიუთითებს ქალაქში გავრცელებული ჭორების უსაფუძვლობაზე. ბატონი დანტესი არ დაუშვებს, რომ მასზე სთქვან, თითქოს იგი აიძულეს, რომ დაქორნინებულიყო და იქორნინა დუელის თავიდან აცილების მიზნით. როგორმე დაითანხმეთ ბატონი პუშკინი უარი თქვას დუელზე, ყოველგვარი პირობის გარეშე. სიტყვას გაძლევთ, დანტესი აუცილებლად დაქორნინდება ეკატერინა ნიკოლოზის ასულზე და ჩვენ შევძლებთ თავიდან ავიცილოთ უდიდესი უბედურება.

დ' არშიაკი არაჩვეულებრივად სიმპატიური პიროვნება იყო. ამ ამბების შემდეგ იგი დაიღუპა, ნადირობის დროს მკვლელობის მსხვერპლი გახდა. მე უკიდურესად უსიამოვნო მდგომარეობაში აღმოვჩნდი, მხოლოდ ახლა ვერკვეოდი საქმის ვითარებაში. საქმის ისეთ ბრწყინვალე დაგვირგვინებაზე იყო ლაპარაკი, რომ არც კი ველოდი. თუმცა, თვითონაც ამას მოვითხოვდი, მაგრამ მოსალაპარაკებლად უფლებამოსილება არ გამაჩნდა. დ' არშიაკთან საუბრის შემდეგ ჩვენ შევთანხმდით სამ საათზე დანტესთან ნავსულიყვით. იქ იგივე ნინადადება ნამოიჭრა, თუმცა თვით დანტესი არ ესწრებოდა და ყველაფრის მოგვარება სეკუნდანტს ევალებოდა. ასეთი თავსატეხი ცხოვრებაში არ მქონია. ბოლოს

ქალალდი მოვითხოვე და პუშკინს წერილი მივწერე ფრანგულად:

„თქვენი სურვილის მიხედვით, შევათანხმე დუელის მატერიალური მხარე, 10 ნაბიჯის ბარიერით იგი დანიშნულია 21 ნოემბერს, დღის 8 საათზე პარგოლოვოს მიმართულებით. ამავე დროს, მინდა გაუწყოთ, რომ დანტესი თქვენს ცოლისდაზე აპირებს დაქორნინებას, თუკი თქვენ აღიარებთ, რომ იგი ამ საქმეში მოიქცა როგორც პატიოსანი ადამიანი. ბატონი დ' არშიაკი და მე ვუდგებით თავდებად და გატყობინებთ, რომ ქორნინება შედგება. მთელი თქვენი ოჯახის ბედნიერებისათვის, გთხოვთ, ყოველგვარ პირობაზე დათანხმდეთ“. და ა.შ.

რა თქმა უნდა, ის წერილი სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, შინაარსი კი ზუსტად ასეთი იყო. 21 რიცხვი კარგად დამამახსოვრდა, რადგან 20-ში მამაჩემის დაბადების დღე იყო და, საშინლად არ მინდოდა, ამ თარილის აღნიშვნას სისხლისლვრა დამთხვეოდა. დ' არშიაკმა ჩემი ნაწერი ნაიკითხა, მაგრამ მიუხედავად ჩემი დაუინებული მოთხოვნისა, დანტესისათვის არ უჩვენებია, ისევ მე გადმომცა და მითხრა:

— თანახმა ვარ, გაუგზავნეთ!

ჩემს მეტლეს დავუძახე, გადავეცი წერილი და ვთხოვე „მოიკაზე“ წაედო. იქ, სადაც დღეს დილით ვიყავი. მეტლეს შეეძლა და პუშკინის მაგივრად მამაჩემისკენ გასწია, რომელიც აგრეთვე „მოიკაზე“ ცხოვრობდა, იმ დილით იქაც ვიყავი. მამაჩემს ჩემი ხელნერა უცვნია და როდესაც დუელის შესახებ გაუგია, უსაზღვროდ შეშფოთებულა და მე-ეტლე პუშკინთან გაუგზავნია. ჩვენ კი მოგვიტანეს პასუხი, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო: „ვთხოვ, ბატონ სეკუნდანტებს ჩემი ნინადადება დუელში გამოწვევაზე გაუქმებულად ჩათვალონ, რადგან ქალაქში გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, დანტესი ცოლად ირთავს ჩემს ცოლისდას. საერთოდ კი უნდა ვალიარო, რომ ამჯერად ის სწორედ ისე მოიქცა როგორც პატიოსან ადამიანს შეეფერება“.

— სრულიად საკმარისია, — წარმოსთქვა დ' არშიაკმა, პუშკინის საპასუხო წერილი მისთვის არ უჩვენებია, თუმცა კი ქორნინება მიულოცა.

შემდეგ დანტესი მომიბრუნდა და მითხრა:

— ნადით პუშკინთან და მადლობა გადაეცით იმისთვის, რომ თანახმაა დამთავრდეს ჩვენს შორის უთანხმოება. იმედი მაქვს ისეთი ურთიერთობა გვექნება როგორც ძმებს.

მეც მივულოცე დანტესს და დ' არშიაკს შევთავაზე ერთად წავსულიყავით პუშკინთან, რომ მისთვის პირადად ეთქვა დანტესის

სიტყვები. დ' არშიაკი დათანხმდა, როცა მივედით, პუშკინი სადილობდა. მალე გამოვიდა ჩვენთან და მოგვესალმა. საკმაოდ ფერმიხედილი ჩანდა. დ' არშიაკმა მადლობა გადაუხადა ყველაფრისათვის.

— მე კი, ჩემი მხრივ მინდა დავამატო, რომ იმედია, თქვენს ქვისლთან საუკეთესო დამოკიდებულებას იქნებით, — უცებ წარმოვთქვი მე.

— ტყუილია ეს ყველაფერი, — ცხარედ ნამოიძახა პუშკინმა, — ეს არასოდეს მოხდება, პუშკინისა და დანტესის ოჯახებს შორის საერთო არ შეიძლება იყოს.

შენუხებულმა დ' არშიაკმა და მე ერთმანეთს ნალვლიანად გადავხედეთ. მალე პუშკინი ცოტა დაწყნარდა.

— თუმცადა, — დაუმატა მან, — ვალიარე და კიდევ მინდა ვალიარო, რომ დანტესი პატიოსნად მოიქცა.

— მეტი არაფრის თქმა არ არის საჭირო, — მხარი დაუჭირა დ' არშიაკმა და აჩქარებით გავიდა ოთახიდან.

იმავე დღეს, საღამოს, სალტიკოვებთან გამართულ წვეულებაზე დანტესის ქორნინების შესახებ ყველამ შეიტყო. პუშკინი კვლავ არ მისალმებია და არ გამოლაპარაკებია დანტეს. იგი ჩემზეც გაპრაზებული იყო, რომ მიუხედავად მისი კატეგორიული თხოვნისა, მოლაპარაკებაში მაინც ჩავერთე. დანტესის ქორნინებისა კვლავ არ სჯეროდა.

— მგონი, მას გული აწუხებს, — საცაა ალბათ საზღვარგარეთ გაემგზავრება. თუ გინდათ დაგენიძლავებით, რომ ქორნილიარშედგება. აი, თქვენ მშვენიერი ხელჯოხი გაქვთ, ქალივით მიტაცებს ასეთი ნივთები. ხოდა, ამ ჯოხზე დავნიძლავდეთ.

— მე კი მთელ თქვენს ნანარმოებებზე დაგენიძლავებით, თანახმა ხართ?

— კარგით, კარგით (იმ დღეს განსაკუთრებული ღვარძლშერეული — მხიარული განცყობა დაუფლებოდა მას).

— მომისმინეთ, — მითხრა მან რამდენიმე დღის შემდეგ, — თქვენ, მგონი, დანტესის სეკუნდანტი მეტად იყავით, ვიდრე ჩემი, თუმცა თქვენს დაუკითხავად მაინც არაფერს მოვიმქმედებ. აბა, ჩემს კაბინეტში შევიდეთ.

მან კარები ჩაკეტა და მითხრა: „ახლა წაგიკითხავთ მოხუცი გეკერნისადმი მიწერილ ჩემს ბარათს. ვაჟიმევილთან ყველაფერი გარკვეულია, ახლა კი მოხუცებულის ჯერია“.

ამ სიტყვების შემდეგ პუშკინმა წამიკითხა ჰოლანდიის დესპანისადმი გაგზავნილი, საყველთაოდ ცნობილი წერილი. ტუჩები აუკანებულდა, თვალებში სისხლი მოაწვა. ისეთი აღმფოთებული ჩანდა, რომ მხოლოდ მაშინ

დავრწმუნდი მის აფრიკულ ნარმოშობაში. რა ღონე უნდა მეხმარა და როგორ უნდა დამეშოშმინებინა ეს ბობოქარი და მევინვარე ძალა? იძულებული ვიყავი გავჩუმდი. რადგან შაბათი დღე იყო, იქიდან თავადიშვილ ოდოევსკისთან გავეშურე. იქ უკოვსკი დამხვდა, რომელსაც მოვუყევი ყველაფერი, რაც ვნახე დარაც მოვისმინე. იგი შემფოთდა და შემპირდა, რომ როგორმე შეაჩერებდა წერილის გაგზავნას. მან ეს მართლაც შესძლო. რამდენიმე დღეში, კარამზინების წვეულებაზე მაუნყა, რომ საქმე მოაგვარა და წერილი აღარ გაეგზავნებოდა გეკერნს. მართალია, პუშკინმა ბარათი აღარ გააგზავნა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც შემოინახა.

დეკემბრის დასაწყისში, ხარკოვში, გრაფ სტროგონავთან მიმავლინეს. შემდეგ კი მოსკოვში მომიხდა წასვლა. იქ ავად გავხდი და ორი თვე ლოგინში ვინექი, მაგრამ მივლინებაში წასვლამდე დ'არშიაკთან შევიარე გამოსამშვიდობებლად. მან მაჩვენა უაზრო და უცნაური წოდებების სახუმარო სიგელებიანი დაბეჭდილი ბლანკები.

შემდეგ მომიყვა, რომ ვენის წრეში მთელი ზამთარი თავს იქცევდნენ იმით, რომ ავრცელებდნენ მსგავს მისტიფიკაციებს. მათში ისეთი ბეჭდიანი სიგელ-ბარათის ნიმუშებიც იყო, როგორიც პუშკინმა მიიღო.

ამრიგად, ბილნმა და ბინძურმა მასხარამ, რომელმაც სიკვდილამდე მიიყვანა პუშკინი, ისიც კი ვერ მოახერხა, რომ საკუთარი გამოეგონებინა. მან რომელილაცა დიპლომატიური კორპუსის წევრისათვის განკუთვნილი ნიმუში აიღო და ის გადაბეჭდა. ვინ იყო ყოველივე ამაში დამნაშავე, მაშინ ჯერ კიდევ იდუმალებით იყო მოცული. ჩემი გამგზავრების შემდეგ დანტესი დაქორნინდა და კარგი ქმარიც გამოდგა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ შვილების მოყვარულ და ერთგულ მამად დარჩა. ეჭვი არ არის, იგი დაქორნინდარათა თავიდან აეცილებინა ორთაბრძოლა. მაგრამ, როგორც ქარაფშუტა და თავქარიანი ადამიანი, ქორნინების შემდეგაც წვეულებებსა და მეჯლისებზე ნატალია ნიკოლოზის ასულთან მიდიოდა და სალდაფონური მოურიდებლობით ელაზლანდარავებოდა. გრაფ ვორონცოვის ოჯახში გამართულ წვეულებაზე დანტესმა ჰქითხა ნატალიას, კმაყოფილი დარჩა თუ არა კოურების სპეციალისტით, რომელიც მისმა ცოლმა გაუგზავნა. ბოლოს დასძინა, „სპეციალისტი ირწმუნება, რომ თქვენი კოური სჯობია ჩემი ცოლისას“³.

ამ უშვერი კალამბურის შემდეგ, რა თქმა უნდა, პუშკინის განრისხება გარდაუვალი იყო. გეკერნისადმი მიწერილ ბარათშიც კი გადაკვრით არის მოხსენიებული ეს კალამბური. ბარათი თითქმის იგივე იყო, როგორიც ორი თვის წინ მაჩვენა, ბევრ ადგილას ძველი შინაარსიც ამოვიცანი. თუმცა, რაც არუხდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, ძველი წერილი უფრო დიდი და უფრო შეურაცხმყოფელი იყო.

მომდევნო, 1837 წლის 29 იანვარს პუშკინი დაიღუპა. უდიდესმა დანაკარგმა შესძრა მთელი რუსეთის ინტელიგენცია. მივხვდი, რომ პუშკინმა ველარ გაუძლო ყველაფერს და მოხუცებულ გეკერნს ის ბარათი მაინც გაუგზავნა. იმასაც მივხვდი, რომ მას შეეშინდა კვლავ ახალი შემრიგებლებისა და სეკუნდანტი თითქმის, უკვე დუელის ადგილზე აირჩია. როგორც ჩანს, თვით განგებას სურდა პუშკინი დაღუპულიყო. იგი თითქოს ზებუნებრივი ძალით იყო საგანგებოდ შეპყრობილი და სიკვდილისაკენ ილტვოდა.


25 წლის შემდეგ პარიზში შემხვდა დანტესგერნი, რომელიც საფრანგეთში სენატორი გამხდარიყო. გაოცებულმა მკითხა: “ნუთუ ეს თქვენა ხართ?” “დიახ, დიახ, მე გახლავართ”. “იცით, რა უნდა გითხრათ, — განაგრძო მან — როცა შიკრიკმა საზღვრამდე მიმაცილა, ხელმწიფისაგან დაბეჭდილი პაკეტი გადმომცა, რომელშიც ჩემი ბედკურული ისტორიის ამსახველი დოკუმენტები იყო. დღევანდლამდე ეს პაკეტი გაუხსნელი მიდევს უჯრაში. გამბედაობა არ მყოფნიდა, რომ გამეხსნა და ნამეკითხა”.

ამრიგად, პუშკინის სიკვდილის ამსახველი დოკუმენტები ხელუხლებლად არის შენახული პარიზში. ყველაფერთან ერთად უნდა იყოს სიგელ-ბარათიც, გადაკეთებული და გაყალბებული ხელნერით. თუ ექსპერტები შესძლებენ ხელნერის ამოცნობას, მაშინ ცბობილი გახდება პუშკინის ნამდვილი მკვლელის სახელი, რომელიც სამუდამოდ დაწყევლილი და შერისხულია რუსი ხალხის მიერ. ეს სახელი ენისწევერზე მიტრიალებს, მაგრამ, დე, ზენაარის მართლმსაჯულებამ და არა მინიერმა მართლმსაჯულებამ განსაჯოს.

1865.

თარგმნა ნანა ნოზაძე-ჯულაშვილმა

³ (ფრანგული სიტყვების თამაში) cor - კოური და corps-ტანი (სხეული).



სოსი მწოდებელი

ეიღი ციაბია ჯონ ეონს

ჩასძინებია ჯონ დონსა და ყველაფერს სძინავს.
სძინავს იატაკს, ჭერს, სარეცელს, კედლებს, სურათებს.
სძინავს მაგიდას, ფარდაგს, სანთლებს, ჩარჩოებს, მინას,
გარდერობს, ბუფეტს — ველარაფერს მიაყურადებ.
სძინავს ყველაფერს: ბოთლებს, ჭიქებს, ურდულებს, კაკვებს,
პურს, პურის დანას, ბროლს, ფაიფურს, ჭურჭლეულს, მერქანს.
სძინავს თეთრეულს, ტაშტებს, საათს — ამ სახლში, აქვე,
სძინავს კარადას, კარს, კიბეს და ღამეა ყველგან.
და ღამე ადევს ყველა კუთხეს, თვალებს, თეთრეულს,
ნარმოსათქმელად გამზადებულ სიტყვას და მისვე
ფრაზებს და შეშას, მაშას, ნახშირს, მჩინარს კეთრივით,
და ჩამქრალ ბუხარს, სადაც ცეცხლის სიმღერას ვისმენთ...
და ღამე ადევს კამზოლსა და ნინდებს, ბათინკებს,
ლანდებს, სარკეებს, სანოლებს და ზურგიან სკამებს
და ჯვარცმის ხატს და ზენრებსა და ხვეტით დატეხილ
ცოცხს და ფეხსაცმელებს — ყველაფერზე გართხმულა ღამე.
და სძინავთ ფანჯრებს — თოვლიანი შუშების თასებს,
სახურავების ყველა ქანობს და ყველა გორაკს
მათი სუფრისებრ კეხებისა... და სძინავს მასივს,
ფანჯრის ჩარჩოთი უმოწყალოდ გაყოფილს ორად...
და სძინავთ თაღებს, სძინავთ კედლებს, ძილშია ყველა.
სძინავთ რიყის ქვებს, ქვაფენილებს, ყვავილნარს, ცხაურს.
არსად ბორბალი არ წრიალებს, არც შუქი ელავს,
სძინავთ ღობეებს, სამკაულებს, სიჩუმეს, ხმაურს.
სძინავთ კარებს და სახელურებს, კაუჭებს, რგოლებს,
ბოქლომ-კლიტებს და საკეტებს, ურდულებს, რაზებს,
არსად გაისმის ხმა ჩურჩულის, შრიალის, ქროლის,
თოვლილა კვნესს და ჯერ აისი არა ჩანს ცაზეც...
სძინავთ ციხეებს და გალავნებს, სასწორებს, დუქნებს,
დუქნებში თევზებს, დაკლულ ღორებს და ყველა ნაკლავს,
სახლებს, უკანა ეზოებს და იქ დაბმულ ძუკნებს,
სარდაფში კატებს და ყველაფერს მაღლა და დაბლა.

ადამიანებს, თაგვებსა და მთელ ლონდონს სძინავს,
პორტში — იალქანს, იალქანზე, ვეება ფაშვით,
ძილშია წყალი, თოვლთან ერთად, და ტკბილად ფშვინავს
და უერთდება შორს მძინარს ცას მძინარე ზღვაში.
ჩასძინებია ჯონ დონსა და ზღვას მასთან ერთად.
ჩასძინებია ხმელეთს, თოვლით თეთრად გაპენტილს.
კუნძულს კი, თითქოს, მთელი ძილი ჩაუკრავს მკერდთან,
ჩაკეტილია ბალიც ძილის სამმაგ საკეტით.
სძინავთ ნეკერჩელებს, ფიჭვებს, სოჭებს, ნაძვებს, ცხრაფეხებს,
სძინავთ ფერდობებს, ფერდობებზე — რუებს, ბილიკებს,
მგლებს და მელიებს, დათვის ძილს კი რა შეაფერხებს! ..
თოვლი სოროთა ღიობს გმანავს და აქილიკებს.
ჩიტებსაც სძინავთ, ალარ ისმის მათი გალობაც,
არც ყორნის როშვა, არც სიცილი ბუსი თუ ჭოტის,
მთელ დაბლობი ინგლისს ფლობს სიჩუმე — ძილის წყალობა,
თაგვი სიზმარში ნაქურდალით ცხადიდან მოდის.
სძინავს ყველაფერს. საფლავებში დარღვეულ, დაშლილ
მკვდრებს სძინავთ, ხოლო საწოლებზე წვანან ცოცხლები
და მშვიდად სძინავთ თავთავიანთ პერანგთა ზღვაში,
ზოგს ცალკე, ზოგსაც — სიყვარულის ძველი მოძღვრებით...
სძინავს ყველაფერს: ველებს, ტყეებს, მთებს, მდინარეებს,
მხეცებს, ფრინველებს და სამყაროს — მკვდარსაც, ცოცხალსაც,
თოვლილა მოფრენს ღამის ციდან, ფარავს მძინარეთ
და ცაშიც სძინავთ მათ, ვინც ცისქვეშ ჯერ ვერ მობრძანდა.
ანგელოზებსაც სძინავთ. მთელი სამყარო წმინდანთ
ძილით მოცულა და უნმინდეს სირცხვილით მათით...
სძინავს ჯოჯოხეთს, სამოთხესაც ძილისა ბინდავს
დრო და შინიდან კარში ახლა არავინ გადის...
სძინავს ღმერთსაც და — დედამიწა სხვაფერობს ახლა...
ბრმაა ყველასი თვალი, ყურიც ვერაფერს ისმენს,
ეშმაც ძილშია, მასთან ერთად, ომებით დაღლილ
მტრობასაც სძინავს თოვლის ველზე ინგლისურ ცისქვეშ.
მთავარანგელოზს სძინავს ბუკით, სძინავთ მხედრებსაც,
ცხენებიც ნარნარ რხევით გრძნობენ ძილისას გემოს,
ქერუბიმებიც, ჩახვეულნი, მძინარ ვედრებად
მოსჩანან პავლეს ეკლესიის თაღების ქვემოთ.
ჩასძინებია ჯონ დონსა და ყველა ლექსს სძინავს,
ყველა ხატსახეს, ყველა რითმას — კარგსა და მდარეს
ვერც კი გაარჩევ... და ყველანი, ქცეულნი სპლინად,
სილაბურ ლექსში წვანან, როგორც ღრუბლებში მთვარე.
ყოველი ლექსი ყველა ლექსთან ძმასავით არი,
თუმცა ჩაწევის თხოვნით ერთურთს უვსებენ უბეს,
მაგრამ ყველასგან შორს ისეა სამოთხის კარი
და ისე ჩანან — მათში ნაღდად ერთობა სუფევს.
ყველა სტროფს სძინავს, ყველა ერებულს მკაცრი იამბის,
სძინავთ ქორეებს, როგორც მცველებს, მარცხნივ და მარჯვნივ
და მათში სძინავს ლეთის აჩრდილს დიდის ამბით და
მათ უკან სძინავს დიდებასაც დაჭმუჭვნილ ფარჩით.
სძინავს ყოველგვარ ბედშავობას, წამებას, გლოვას,
ყველა ნაკლს სძინავს, ჩახვევია სიავეს მადლიც...
სძინავთ მისნებსაც, მხოლოდ თოვა, მოთეთრო თოვა
სივრცეში ეძებს შავ ლაქათა უმცირეს ადგილს.
მკვდარივით სძინავს ნიგნთა გროვას მართალ აზრებთან,
მდინარე ფრაზებს დავინუების ყინული ფარავს,
სიტყვასაც სძინავს, გამზადებულს წარმოსათქმელად,
სძინავს ჯაჭვს, მხოლოდ რგოლებს რეკავს მომაკვდავ ზარად.
ღრმად სძინავს ღმერთს და ეშმაქსა და წმინდანთა დასებს
და მათ მსახურებს, მათ მეგობრებს, მათ ყველა ნაგრამს,
მხოლოდღა თოვლი შარიშურობს ღამეულ გზაზე,
თოვლის ხმის გარდა ყოველი ხმა თითქოსდა, გაქრა.
მაგრამ სუ! გესმის?! ეს რა ხმაა გაყინულ ბნელში! —

იქ ვიღაც ტირის, იქ ვიღაცა ბუტბუტებს თრთოლვით.
 ნარმოუდგინეს იქ ვიღაცა ზამთარს და შეშლილს
 ჰგავს ის და ტირის, სადაც ლამეს ანათებს თოვლი.
 ისე წვრილია ის ხმა, როგორც ნემსია წვრილი.
 როგორც უძაფო ნემსი, ის ხმა მარტოა ახლა,
 გარშემო არის სიბნელე და ყინვა და ძილი,
 ის კი აკერებს ლამეს აისს — ისეა მაღლა.

„იქ ვინა ტირის? ანგელოზო, შენა ხარ ნუთუ!
 ნუთუ შენ გინდა, სიყვარული დაბრუნდეს ჩემი!
 ნუთუ შენ მიხვალ შინისკენ და მიფანტავ დუდუნს!“ —
 ეს ვეითხე, მაგრამ არ მოცურავს პასუხის გემი.
 „ქერუბიმებო, თქვენ იქნებით! მაშ თქვენი მღერა
 რად მომაგონა ამ ცრემლთა ხმამ?! თქვენ, ალბათ, გნადით
 დატოვოთ ჩემი ტაძარი და მომწყვიტოთ მზერა
 მე სამუდამოდ!“ — არ მოისმის პასუხიც მათი.
 „შენა ხარ, პავლე? მართალია, ხმა უკვე, მკაცრი
 სიტყვების თქმაში, გაგხდომია უხემი მეტად...
 შენ არ დაგხრია განა თავი ბნელაში განცდით,
 რათა მიტირო?!" — დუმილს ვისმენ, სიჩუმეს ვხედავ.
 „განა შენ მზერას არ იფარავ იმავე ხელით,
 რომელიც მოჩანს აქ ყოველთვის და გვიმკობს იერს?! —
 შენა ხარ, ღმერთო? დე ეს აზრი ველურად წრფელი
 იყოს, კი, მაგრამ ხმა ხომ ტირის მაღალი ძლიერ?!" —
 კვლავ სიჩუმეა. „ანდა იქნებ შენ ხარ, გაბრიელ!
 იქნებ შენ უკრავ ბუკს თუ ვიღაც ხმამაღლა გაჰყეფს!
 სხვა არვინაა, თვალი მხოლოდ მე გავახილე,
 მხედრები ცხენებს კაზმავენ და მაღავენ სახეს.
 ყველაფერს სძინავს. ეხვევიან სიბნელეს ძილში.
 მეძებრები კი ზეცისაკენ მირბიან ხროვად.
 გაბრიელ, შენ ხარ? ამ ზამთარში ძილს რატომ მიშლი?
 განა საყვირით ჩემზე შენი არაა გლოვა!“

„არა, ეს მე ვარ, ჯონ დონ, შენი ტანჯული სული.
 მე აქ, ცის ქედზე მწუხარებით მათზე ვირთვები,
 რომ საკუთარი გარჯით შევქმენ ჯაჭვივით წნული
 ეს — უმძიმესი გრძნობისა და აზრის ტვირთები.
 ასეთი ტვირთით შენ შეგეძლო ცაში აფრენა,
 ვნებათა შორის, ცოდვებს შორის და მათზე მაღლა.
 ჩიტი იყავ და შენი ხალხი ნახე აქედან,
 დასცქერდი სახლებს, ხეებს — ზეცა მიგაჩნდა სახლად.
 ყველა ზღვა ნახე, შორეული მხარე ყოველი,
 ჭვრეტდი ჯოჯოხეთს, ჯერ შენშივე, მერე კი — ცხადად.
 ნახე სამოთხეც, უუცხადეს შუქთა მთოველი,
 ჩარჩოში, რომლის სევდას სევდა ვერ მეტობს ცათა.
 ნახე ცხოვრება, რაც ჩანს, როგორც კუნძული შენი,
 შეხვდი ამნაირ ოკეანეს, რაც ყოველ მხრიდან
 დაფარულია უბნელესი ტალღების ქშენით...
 ღმერთთან მიხველ და დაბრუნება სიამეს გვირიდა.
 აღარ გაგიშვებს შენ ეს ტვირთი ამაზე მაღლა,
 საიდანაც ჩანს ეს სამყარო — კოშკების წნულად
 და მდინარეთა გრძელ ლენტებად — მათ როცა ნახავ,
 დღე განკითხვისა საშინელი არაა სულაც.
 იქ ჰაერს არ აქვს ძვრა და ვერსად შეხვდება ბუქი.
 იქ ყველაფერი სიზმარივით მოთენთვას გაღვრის.
 იქიდანაა ღმერთი, ვინაც ჩანს, როგორც შუქი,
 ნისლიან ღამით, ფანჯარაში მთლად ბოლო სახლის.
 იქ მინდვრებია, მაგრამ არ ხნავს გუთანი მაგათ.
 არც წლები ხნავენ. საუკუნეც არ შრომობს გუთნით.
 მხოლოდ ტყეები ჰგვანან კედლებს, სუნთქავენ ლაღად
 და მხოლოდ წვიმა, ცეკვა-ცეკვით, ბალახებს ფუთნის.

და ის პირველი ტყის მკაფავი, ვინაც ჯაგლაგით
ეწვია იმ ტყეს და დაიბნა ულრანის შიშით,
ფიჭვზე აძვრება და ნახავს რომ ცეცხლი ლაპლაპებს
თავის დაბლობზე, რაც შორს ნევს და აგრძელებს შიშინს.
შორსაა ყველა. ეს მხარე კი, ბუნდოვნად კრთება.
აქედან ხვდება სახურავებს იქ მზერა მშვიდი.
აქ სინათლეა და ძალლების არ ისმის ყეფა
და ზარის რეკვაც არ ისმის და არც უამი მიდის.
და ის ხვდება, რომ ყველაფერი იქ უნდა იდოს...
და მოაბრუნებს ცხენს ტყის პირად და ავლენს რისხვას
და მყის: სადავე, მარხილი და ღამე და თვითონ
და ცხენი — ყველა გადიქცევა ბიბლიურ სიზმრად.

და, აი, ვტირი, ვქვითინებ და არაა სხვა გზა.
ჩემი ხვედრია, შევეგუო აქაურ ლოდებს...
არ შეიძლება მიუვიდე იქ სხეულს არსად.
მკვდარი თუ მივალ იმ შორეთში... და ამას ვგოდებ.
და რომ დაგტოვე სველ მინაზე, სინათლევ თვალის,
სამარადისოდ დაგივინყებ — სტუმარი ცათა.
ბერნი სურვილით, ტანჯვის კვალად, მივცურავ მნყრალი,
ჩემი სხეულის განშორება შევკერო რათა.
ჩუმად! აქედან ვაფრთხობ შენგან ამ ღამის თევას,
ხოლო იქ თოვლი თერძია და დუმს ნყალი ტემზის.
ჩვენს განშორებას კერავს თოვლი, კერავს და მძლევად
ფრენს ნინაუკმო მაღალი ხმის ტირილის ნემსით.
მე არ ვქვითინებ, არა, ჯონ დონ, ეს — შენ ტირიხარ.
ნევხარ მარტო და კარადაში ჭურჭლეულს სძინავს.
თოვლი ჯერ მძინარ სახლისაკენ მიფრენს ირიბად,
აქედან მიფრენს თოვლი ბნელში უთეთრეს უინად".

ფრინველთა სადარს, სძინავს თავის ბუდეში ისევ.
და განვლილ გზას და უკეთესი ცხოვრების სურვილს
ანდობს იმ ვარსკვლავს სამუდამოდ, რომელიც მზისებრ
ბრნყინავს, ახლა კი ვერა ვხედავთ ღრუბლებით ბურვილს.
ფრინველთა სადარს, სული თეთრი აქვს, განა შავი.
და თუმც ცხოვრება ცისქვეშ არის ცოდვებით სავსე,
მაინც უფროა ბუნებრივი ის, ვიდრე ყვავის
ბუდე შოშიის ცარიელი საბუდრის თავზე...
ფრინველთა სადარს, ელვიძება, დღე ცისქვეშ თუა.
ახლა ღამეა და საბნის ქვეშ აღარც კი იძვრის,
ვიდრე სულის და მიძინებულ სხეულის შუა
შეკერილია მთელი სივრცე თოვლით და სიზმრით.
სძინავს ყველაფერს, მაგრამ ზოგ ლექსს წინ აქვს დღეობა
და დაფრინილი პირით ყველა კარგ ფინალს ელის...
მგოსანი — ქალის სიყვარულს თვლის მოვალეობად,
ხოლო სულიერ სიყვარულთან — ვალშია მღვდელი...
ვისი წისქვილის ბორბალზეც არ ვასხამდეთ ნყალს ჩვენ,
ერთ და იგივეს დაფქვავს მაინც პურეულს ის და...
თუ შეგვიძლია სხვას სიცოცხლე გავუყოთ მარჯვედ,
ჩვენი სიკვდილის გასაყოფად მივიდეთ ვისთან?!
დარჩილულ ქსოვილს, ვისაც უნდა, ადვილად დახევს.
ყოველი მხრიდან დახევს, ნავა და მოვა კვლავაც.
კიდევ ჩამოხევს! და კარს მხოლოდ ცარგვალი აღებს
ზოგჯერ ბნელში და მის საკერად ნემსს იღებს თავად.
იძინე, ჯონ დონ, სიცოცხლისთვის წუ დალლი თვალებს.
გაცვდა ქურთუკი და ჰკიდია მოწყენის მგვრელი...
ალბათ გამოვა ღრუბლებიდან ვარსკვლავი მაღე,
რაც შენს სამყაროს იფარავდა ამდენი ნელი...



თამაზ 7387 6 ინტერ

3 წლის

პრეზენტ „ანახაცი“

გამომცემლობა „უნივერსალმა“ ორ ტომად გამოსცა ლია მუქერიას წიგნი სათაურით „ანარეკლი“, რომელშიც წარმოდგენილია გენიალური ქართველი პოეტის, ვაჟა-ფშაველას პოემათა რუსული თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი.

როგორ მკვიდრდება ვაჟა-ფშაველას ქართული სამყარო უცხოენოვან სივრცეში? – ეს კითხვა დაისვა ჯერ კიდევ მგოსნის სიცოცხლეში და აქტუალურია დღესაც, როცა დიდმა პოეტმა კარგა ხანია გადალახა ლოკალური და დროის ჯებირები და უკვე კაციტალს.

სულიერი საგანძურის მნიშვნელოვან ნანი-ლად იქცა.

ვაჟა-ფშაველა რომ განსაკუთრებული, უბადლოა ლიტერატურაში, უცხოელებმა მის სიცოცხლეშივე შენიშნეს. გერმანელმა ა. ლაისტმა მას „ქართული ხელოვნების სულის განმასახიერებელი გენიოსი“ უწოდა და თქვა, რომ ვაჟა „უძლიერესი მოვლენაა ქართულ კულტურაში“. ამ აზრმა მოვიანებით, XX საუკუნეში, საყოველთაო აღიარება მოიპოვა, მაგრამ ვაჟას შემოქმედების სიდიადის უცხოენოვან მკითხველამდე მიტანა გართულდა. გართულდა იმიტომ, რომ ვაჟას სამყარო სრულიად უნიკალური, თავისებური, განუმეორებელი აღმოჩნდა და მისი თარგმნა ვერ ჩაეტია ვერც ერთ ტრადიციულ სისტემაში, არადა, ვაჟას გარეშე ქართული კლასიკური ლიტერატურა მსოფლიოს წინაშე ნაკლულად, არასრულად და არაეფექტურად ჩანდა. ამ სიცარიელის ამოსავსებად ყველაზე მეტი რუსმა მთარგმნელებმა გააკეთეს, რომელთა თარგმანებიც ერთგვარ პირველწყაროდ იქცა ვაჟას ნაწარმოებთა ევროპულ და აზიურ ენებზე სათარგმნელად.

და გაჩნდა სრულიად კანონზომიერი კითხვა: რას წარმოადგენენ თვით ეს რუსული თარგმანები? რამდენად სრულყოფილად ასახავენ ქართველი პოეტის პოეტური სიტყვის აზრობრივ, ემოციურ, მხატვრულ ძალასა და ხიბლს? ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღეს.

ლია მუქერიამ სერიოზული ამოცანა დაისახა – ვაჟა-ფშაველას ფენომენის გათვალისწინებით თავი უნდა მოეყარა გენიალური პოეტის ხუთი პოემის – კერძოდ, რუსულ სინამდვილეში დღემდე შესრულებული თარგმანებისათვის და აღენუსხა იმ თარგმანთა ლირსება–ნაკლოვანებები.

ლ. მუქერიამ გულდასმით შეისწავლა მთელი ლიტერატურა, რაც აღნიშნულ პოემათა თარგმანების შესახებ არსებობს და ამ ანალიზის საფუძველზე შემოგვთავაზა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით ანგარიშგასანევი მოსაზრებები.


ვაჟა-ფშაველას ეპიკური პოემები ქართული ეროვნული სულის გამოვლენაა. გაუდერდა თუ არა ეს სული თარგმანებში? დაინახა რუსმა (და არა მხოლოდ რუსმა) მკითხველმა ქართველი ადამიანის ეთნომენტალური სამყარო? წარმოჩნდა თუ ვერა დიდი ხელოვანი, რომელმაც ეს სამყარო უდიდეს ხელოვნებად აქცია და მსოფლიო შედევრებს გაუტოლა?

ჯერ კიდევ გოეთე ურჩევდა ახალგაზრდობას, დაუფლებოდნენ ენებს, რათა გასცნობოდნენ სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურაში დაგროვილ „სულიერ კაპიტალს“. მითუმე-

ტეს, აქტუალურია ეს პრობლემა სადღეისოდ, კულტურული გლობალიზაციის ხანაში, როცა უმაღლეს განვითარებას აღნევს ხალხთა სიახლოვე ეროვნებათაშორისი კულტურული კონტაქტებისა და თარგმანების საშუალებით, ინტერნეტის გასაოცარი შესაძლებლობებით. ამ პირობებში, რუსულ-ევროპული ლიტერატურის კვალდაკვალ, ქართულ სინამდვილეშიც განსაკუთრებული მისია ეკისრება თარგმანის მეოხებით ქართული ლიტერატურის გატანას და ჩართვას „მსოფლიო ლიტერატურის“ კონტექსტში. მაგრამ აქ ჩნდება დიდი პრობლემა, როგორი უნდა იყოს თარგმანი, რომ მან ღირსეულად წარმოაჩინოს დედანი? რა მოეთხოვება მთარგმნელს საზოგადოდ და კონკრეტულად ვაუას უკვდავ პოემათა მთარგმნელებს? არადა ეს ანუხებდა დიდ პოეტსაც, რომელიც თავის დროზე წერდა: „ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დატყბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს... როგორც თვით ქართველი?“ – ეს პრობლემა მარადიულია და ცხადია, ვერც ლ.მუქერია აუვლიდა გვერდს, როცა ის საკუთრივ ვაუა-ფშაველას წანარმოების თარგმანთა გარჩევას ჰქიდებდა ხელს. ამიტომაც მკვლევრის გამბედაობად გვესახება მისი არჩევანი: მონოგრაფიულად, აკადემიურ დონეზე გაიაზროს სათქმელი და გარკვეულ მიზანდასახულობას დაუქვემდებაროს ვაუა-ფშაველას თხზულებათა თარგმანების ღირსება-წაკლოვანებების კვლევა. მიღწეულის და წარმატებებს, რასაკვირველია, შენარჩუნება და დაფასება სჭირდება, მაგრამ ასევე აუცილებელია არსებულ უზუსტობათა აღნუსხვა და გასწორება. ამას მოითხოვს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ინტერესები და პრესტიული.

სწორად მოიქცა ლია მუქერია, როდესაც თარგმანების ავკარგიანობის განხილვას წაუმძღვარა ვაუას ეპიკურ პოემათა გაგების, ინტერპრეტაციის საკითხის განხილვა, რაც მეტნილად დაკავშირებულია ვაუას შემოქმედების უბადლო მცოდნის, გრიგოლ კიკნაძის ნაშრომებთან. მაგრამ ეს არ არის გრ.კიკნაძის აზრების უბრალო გამეორება – ლ.მუქერიამ თავისი საკუთარი დაკვირვებებიც წარმოგვიდგინა და მით შექმნათარგმანების შეფასების საიმედო და მყარი საფუძველი.

ლ.მუქერიას წიგნებში განხილულია პოემები: „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ძალლიკა ხიმიკაური“ და მათი ყველა რუსული თარგმანი (ასეთები კი ბევრია), რომელიც შესრულებულია ისეთი გამოჩენილი პოეტების მიერ, როგორებიცაა: ო.მანდელშტამი, მ.ცვეტაევა, ნ.ზაბოლოვკი, მ.დერუავინი, რ.ივნევი, ს.სპასკი.



ავტორი თავის მიმართებას ამყარებს ვაუა-ფშაველას მხატვრული სამყაროს ისეთ აღიარებულ მკვლევართანააზრევთან, როგორებიცაა: იპ.ვართაგავა, გ.ქიქოძე, ა.განერელია, გრ.კიკნაძე, თ.ჩხერიძელი, რ.სირაძე, დ.რეიფილდი თუ სხვა. მაგრამ ამ მხრივ ლ.მუქერიას წიგნი განსაკუთრებითაა დავალებული დიდი ქართველი მეცნიერის, ვაუა-ფშაველას შემოქმედების უბრნყინვალესი მკვლევრის, პროფ. გრიგოლ კიკნაძის ნაშრომებისაგან. განსაკუთრებით ეს იგრძნობა „ბუნების თემის“ განხილვისას ვაუა-ფშაველას ეპიკურ პოემებში. აქ, ადრე მოპოვებულ დაკვირვებებზე დაყრდნობით, ავტორი ერთგვარად ამზადებს წიადაგს, რათა სათანადოდ იქნეს შეფასებული ბუნების ასახვა რუსულ თარგმანებში. ამ მხრივ, როგორც ჩანს, წიგნის მოცულობის შემცირების საჭიროებამ გამოიწვია, ალბათ, რომ მას შესაძლებლობა არ მიეცა თავისი დამოკიდებულება ლიად გამოევლინა რუსულ ენაზე ვაუას პოემათა თარგმანების ისეთ მაღალკვალიფიციურ ლიტერატორთა შეფასებებისადმი, როგორებიცაა ზ.არსენიშვილი, ნ.აბესაძე, ლ.ავალიანი, ლ.გრიგოლაშვილი, ნ.კონტრიძე, მ.კარბელაშვილი და სხვა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ, ლ.მუქერიას ჩატარებული აქვს სკრუპულოზური ანალიზი. თარგმანები შედარებულია როგორც დედანთან, ასევე ერთი წანარმოების რამდენიმე თარგმანი ურთიერთთან. ვფიქრობთ, სამართლიანია ლ.მუქერიას აზრი, რომ რაც არ უნდა კარგი პწეარედი არსებობდეს, იგი ვერ უზრუნველყოფს თარგმანის მაღალ დონეს, თუ მთარგმნელი სიღრმის ეულად არ იცნობს

დედნის (ამ შემთხვევაში ქართულ) სამყაროს და თავისი შემოქმედებითი ინტერესებითაც გარკვეული ასპექტით მაინც არ ენათესავება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ხედვას. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანთა შეფასებებში წიგნის ავტორი სამართლიანია, ზოგჯერ კატეგორიული და მკაცრიცაა, რაც, ალბათ, დიდი პოეტის უცხო სამყარომდე სათანადოდ მიტანის სურვილითაა განპირობებული.

მართლაც, მონოგრაფიაში მოხმობილი ყველა ავტორი მაღალი ესთეტიკური გემოვნებისა და კულტურის შემოქმედია. მაგრამ, მათი მიღებისა და მიღების უკვდავ პოემათა მომავალმა მთარგმნელებმა. აქ აღძრულ საკითხთა წრე ერთდროულად მოიცავს პრობლემის ისტორიულ, თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. ამიტომაც მას „აქვს როგორც წმინდა სასწავლო და მეცნიერულ-თეორიული, ასევე მთარგმნელთათვის პრაქტიკული ღირებულება“.

წიგნის რედაქტორია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მთარგმნელი, პროფესორი გიორგი წიბახაშვილი. ამ საინტერესო გამოცემას ეფექტურ იქრსახეს აძლევს ფოტოალბომი, რომელიც ვაჟას ფენომენით დაინტერესებულ მკითხველს შთამბეჭდავად უთვალსაჩინოებს გენიოსი პოეტის საარსებო გარემოს, რომელიც მის შედევრთა შექმნის წყაროცაა და წიაღავიც.

რა დაადგინა ლ.მუქერიამ თარგმანების საკმაოდ დეტალური ანალიზის შედეგად? წიგნის ავტორის სასახელოდ აქვე უნდა ითქვას, რომ თარგმანების კრიტიკული განხილვა სრულიად თავისუფალია უმაღლურობის ინტონაციისაგან. პირიქით – იგი მრავალჯერ მაღლიერების გრძნობით აღნიშნავს რუსული ლექსის დიდოსტატების დიდ შრომას, მათ ნიჭადა მონდომებას ვაჟას რუსულად ამეტყველების საქმეში. მაგრამ, ფაქტი ფაქტია – მთარგმნელები ვერ მოერივნენ ტვირთს, ეტყობა, სიღრმემდე ვერ ჩასწვდნენ ქართველი პოეტის მიერ შექმნილ სამყაროს, ქართულ მითოლოგიას, ვაჟასეული ქართული სიტყვის განუმეორებელ „უიკიკს“, პოემაში რეალობად ქცეული მითოლოგიის მუხტსა და ხიბლს. მოკლედ – „უკეთესად ვერა ქმნეს“. დიდი მაღლობა იმაზეც, რაც გააკეთეს.

1. მთარგმნელები, მიუხედავად მათი ღრმა ერუდიციისა, მოუმზადებლები აღმოჩნდნენ ვაჟას დონის მოაზროვნესთან შესახვედრად,

ქართველი რედაქტორები და კონსულტანტები კი მათ სათანადოდ ვერ დახმარნენ.

2. მთარგმნელები მუშაობდნენ პწკარედებით, რომელთა ინფორმაციული დონეც, ეტყობა, იმდენად დაბალი იყო, რომ მხოლოდ პრიმიტიულ შინაარსს თუ შეიცავდა ყოველგვარი ვერსიფიკაციული დახასიათებების გარეშე.

3. თარგმანებში, რა თქმა უნდა, გვხვდება ცალკეული ბრწყინვალედ შესრულებული პასაუები, მაგრამ მთლიანობაში დედნების მართლა „ანარეკლი“ თუა, რომელიც, ალბათ ქართული კლასიკური ლიტერატურის სავიზიტო ბარათად ვერ იქცევა.

შექმნილ სიტუაციაში რეალისტურად გვეჩვენება ლია მუქერიას ნიგნში გამოთქმული მოსაზრება: უცხოენოვანი ლიტერატორები რომ სერიოზულად დაინტერესდნენ, საჭიროა მათ მივაწოდოთ ვაჟას ნაწარმოებთა ზუსტად და ყოველმხრივ კომენტირებული პროზაული თარგმანები (ან პწკარედები), რომლებსაც დაერთვება ნაწარმოების შინაარსის, ფოლკლორთან ურთიერთობის, პოეტური თავისებურების, ვერსიფიკაციის და სხვა მახასიათებლების სათანადოდ გააზრებული ნუსხა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებთან შედარება. შრომატევადი საქმეა, მაგრამ ვაჟას ფენომენი იმსახურებს ასეთ გარჯას ანუ, როგორც პენრის IV ამბობდა – „პარიზი ღირს ლამისთევად“.

და ეს უნდა გაკეთდეს, ალბათ ორ ენაზე – რუსულად და ინგლისურად.



ვაჟა და მისი მეულელე თამარი



616

ქართული მუსიკი

იცის ავტორი
ბერი ბერი...

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე მე-20 საუკუნის მიწურულს წმიდანად შერაცხა და მას ილია მართალი უნდა.

მხოლოდ ღმერთის ნება შეიძლება ყოფილიყო, რომ სულიერად გატეხილ და განადგურებულ საქართველოს 1837 წელს ილია ჭავჭავაძე მოვლენოდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ყველა ცდა ქართველი ხალხისა, თავი დაეღწია უსამართლობისა და ძალადობის მარწუხებიდან, უშედეგოდ დასრულდა. ამას მოწმობს 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთის, 1821 წლის იმერეთის აჯანყებები და 1832 წლის შეთქმულება, რომელმაც საბოლოოდ დაუსვა ნერტილი თავისუფლებისაკენ სწრაფვას. ქვეყანამ მიიძინა — „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. სწორედ ასეთ საქართველოში ბრუნდება ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან. და ინყება ურთულე-

სი გზა, გზა ერის ხსნისა და გადარჩენისთვის ბრძოლისა. „ერის ნულული მაჩნდეს ნულულად, მენვოდეს მის ტანჯვით გული, მის ბედით და უბედობით დამედაგოს მტკიცე გული“, „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილიაო“ — ამბობდა ილია და მთელი თავისი მოღვაწეობა სწორედ ამ მიზნის განხორციელებას მიუძღვნა. მან ჩამოაყალიბა ერის ხსნისა და გადარჩენის მწყობრი სისტემა, შექმნა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა „ქართველის ეროვნული ცნობიერების, ეროვნული სულის გაღვივებას, ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენას და დაცვას ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან“. ილიამ მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება ამ პროგრამის განხორციელებას მიუძღვნა. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან არ მომხდარა საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ილიას სახელთან არ იყოს დაკავშირებული. მისი მოღვაწეობის არეალი არის უსაზღვროდ დიდი და უმნიშვნელოვანესი ქართველი ერის შემდგომი განვითარებისათვის. არჩილ ჯორჯაძე წერდა — „ილია ჭავჭავაძე სინტეზია ეპოქისა, რადგან მე-19 საუკუნე იყო ის ხანა, როდესაც ქართველთათვის მეორედ შობა მოხდა და საქართველომ სცნოდა იპოვნა თავისი დაკარგული სახე. ილია იყო ამ დაკარგული სახის მაძიებელ აღმადგენელი...“

ილია ჭავჭავაძის ღვაწლზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, არა ერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს ქართველმა მეცნიერებმა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას, მაგრამ სამწუხაროდ საქართველოში არ მოგვეპოვება ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია.

ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის მომზადებაზე ზრუნვა ჯერ კიდევ პოტიაკადემიკოსის, ირაკლი აბაშიძის სიცოცხლეში დაინყო, მაგრამ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუშალა ამ იდეის ხორცებესხმას.

გამოჩენილ მწერალთა პერსონალური ენციკლოპედიების გამოცემას ხანგრძლივი ტრადიცია მოეპოვება — ფართოდ არის ცნობილი მაღალსამეცნიეროდონებულიდანტეს, შექსპირის, გოეთეს, შილერის, ბერნისისა და დიკენსის პერსონალური ენციკლოპედიები, რომლებიც იტალიაში, გერმანიასა და ინგლისშია გამოცემული; ცნობილია რუსეთსა და უკრაინაში გამოცემული ლერმონტოვის პერსონალური ენციკლოპედია და შევჩენკოს ენციკლოპედიური ცნობარი, რომლებიც შეესატყვისებიან მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებს.

საქართველოში მხოლოდ ერთი პერსონალური ენციკლოპედია გამოცემული, — ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი,

რომლის მომზადებაზე მუშაობა ვასული საუკუნის დამლევს ნამოინყო „ქართულმა ენციკლოპედიამ“ და რომელიც შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა დაასრულეს აკადემიკოს, როინ მეტრეველის ხელმძღვანელობით.

„ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია“ ამ ტიპის ენციკლოპედიების შექმნის მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით მომზადდება.

„ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია“ მიზნად ისახავს მკითხველ საზოგადოებას მაქსიმალურად სრული და დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს ილიას ცხოვრების და შემოქმედებითი მემკვიდრეობის ყოველი სფეროს შესახებ. იგი შეაჯამებს იმ მდიდარ ცოდნას, რომელიც მეცნიერებამ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევის თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე დააგროვა. ენციკლოპედიაში ცალკე სტატია მიეძღვნება ილია ჭავჭავაძის ყოველ მხატვრულ თხზულებას — პოეტურს თუ პროზაულს, ორიგინალურსა თუ თარგმნილს.

„ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ შექმნის აუცილებლობა საგანგებო დასაბუთებას არ საჭიროებს. როგორც ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, გიორგი აბაშიძე აღნიშნავს, ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომთა დიდი უმეტესობა საბჭოთა ეპოქაშია შექმნილი და თუმცა მათ შორის არა ერთი და ორია მაღალ სამეცნიერო დონეზე დამუშავებული და უაღრესად საყურადღებო, მაგრამ არსებობდა რიგი საკითხებისა, რომელთა ობიექტური გაშუქება საბჭოური მეთოდოლოგიის ბატონობის ხანაში შეუძლებელი იყო: ასე, მაგალითად, თანახმად „ბრძნული მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა“, რომელსაც, თავისთავად ცხადია, ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომი უნდა დამყარებოდა, ყოველი მოღვაწე უთუოდ, გარკვეული კლასის თუ საზოგადოების სოციალური ფენის ინტერესების გამომხატველად უნდა დასახულიყო და ილიას მოღვაწეობა და ნააზრევიც, რაღა თქმა უნდა, აღნიშნული იდეოლოგიური დოგმისთვის უნდა ყოფილიყო მისადაგებული. შესატყვისად ამ საბჭოური პროკრუსტეს სარეცლისა, ილია ჭავჭავაძე, პოლიტიკური კონიუნქტურის ცვალებადობის კვალდაკვალ ხან თავადაზნაურობის, ხან ბურუჟუაზის, ხან კი გლეხობის იდეოლოგად ცხადდებოდა: მოხსენიებული იდეოლოგიური დოგმა გამორიცხავდა იმ ფაქტის კონსტატაციის შესაძლებლობას, რომ ილია მთელი ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი იყო, რომ იგი იყო „ნარმომადგენელი მთელი საქართველოს ერისა, მისი იდეოლოგი“ (ვაჟა-ფშაველა), და არა რომელიმე კლასისა თუ ფენისა (სხვა-

დასხვა კლასებსა და ფენებს ილია ქართველი ერის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად აღიქვამდა და ცდილობდა მათთვისაც შეეგონებინა ეს ჭეშმარიტება: ყველა ნოდებამო, ნერდა ილია, „ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე, უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“). საბჭოური რეჟიმის ზეობის უამს აკრძალულ თემას ნარმოადგენდა ილიას დამოკიდებულება რელიგიასთან, — იგნორირებული იყო მისი ნერილები ქართველი ერის ისტორიაში ქრისტიანული სარწმუნოების განმსაზღვრელი როლის შესახებ, გვერდავლილი იყო მისი დაუცხრომელი ბრძოლა და რუდუნება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

საბჭოურ ეპოქაში, ათეული წლების მანძილზე, არც იმ ფაქტის აღიარება შეიძლებოდა, რომ უმთავრესი ილიასათვის ეროვნული პრობლემა იყო, და სინამდვილის საწინააღმდეგოდ, აუცილებელი იყო მტკიცება, რომ სოციალურ და ეროვნულ პრობლემებს ილია ერთიანობაში განიხილავდა და რომ მათ გადაჭრას თანაბარ მნიშვნელონას ანიჭებდა, — მაშინ, როცა მიღწევა იმისა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, მიღწევა იმისა, რომ ნაწილობრივ მაინც აღდგენილიყო ქართული სახელმწიფოებრიობა და რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკური ავტონომია მოეპოვებინა, ილიას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების უპირველეს ამოცანად ესახებოდა.



ელია ჭავჭავაძე



ილია ჭავჭავაძე

დაბოლოს, საბჭოთა ეპოქაში არც ილიას სიცოცხლის უკანასკნელი წლების ობიექტური გაშუქება იყო შესაძლებელი, რაღაც ეს წლები — ილიას პოლიტიკური აქტივობის მხრივ ყველაზე ინტენსიური ხანა — ილიას ნინააღმდეგ ანტიეროვნული ძალების — ქართველი სოციალ-დემოკრატების („ესდეკების“) გააფთრებული ბრძოლის პერიოდია, ბრძოლისა, რომელიც ნინამურის ტრაგედიით დაგვირგვინდა, და ბუნებრივია, რომ ქართველი კომუნისტები — „ესდეკების“ პირდაპირი შთამომავალი — ცდილობდნენ არ დაეშვათ თავისი საამაყო ნინაპრების ამ სამარცხვინო ბრძოლის რეალური, შეულამაზებელი სურათის სააშკარაოზე გამოტანა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ეკლესია, განსხვავებით საერო ხელისუფლებისაგან, ყოველთვის უდიდეს შეფასებას აძლევდა ილიას მოღვაწეობას და ხელს უწყობდა მისი იდეების ხორცესხმას.

კეთილშობილური სურვილი შესაძლებელია ბევრ ადამიანს ჰქონდეს, მაგრამ მეორეა შესაძლებლობა ამ სურვილის განხორციელებისა. საბედნიეროდ, საქართველოში გვყავს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისეთი სერიოზული მკვლევარი, როგორიც არის ბატონი გიორგი აბაშიძე. მას ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლის მდიდარი გამოცდილება აქვს: გიორგი აბაშიძე ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის სარედაქტო კოლეგიის წევრია, ამ გამოცემის პირველი ტომის (ილიას პოეზია)

და მეხუთე ტომის (ილიას ლიტერატურულ—კრიტიკული წერილები) რედაქტორი და ამავე გამოცემის შესავალი წერილის თანაავტორია. იგი ილიას თხზულებათა პარიზული გამოცემის (ექვსტომეული, 1989 წ.) შესავალი წერილის თანაავტორიცა და პირველი ტომის რედაქტორიც; გიორგი აბაშიძე ერთ-ერთი შემდგენელ-რედაქტორია 1977-1978 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ორტომეულისა — „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“. მისი წერილი ილია ჭავჭავაძეზე დაბეჭდილია „ქართულ ენციკლოპედიაში“; გიორგი აბაშიძის ნარკვევი — „ილია ჭავჭავაძე (კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი) ილიას დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით ბროშურადგამოქვეყნდა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე; დაბოლოს, გიორგი აბაშიძის წიგნს — „ილია ჭავჭავაძე — ცხოვრება და ღვანლი“ 2006 წელს მიენიჭა ლიტერატურული პრემია „საბა“ კრიტიკისა და ესეისტიკის ნომინაციაში.

სწორედ ბატონი გიორგი აბაშიძის ინიციატივით შეიკრიბა მკვლევართა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები, რომელთაც XIX საუკუნის ქართული ისტორიკურისადასაზოგადოებრივიაზროვნების საკითხებზე არაერთი ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული. ესენი არიან: ლეილა სულხანიშვილი, ნათელა სალირაშვილი, მანანა ბარათაშვილი, მანანა ყიფიანი, მაია ნერეთელი, ზეინაბ ლომჯარია, თამარ მიქაძე, ნანა ზღულაძე, მაკა კუჭუხიძე, გურამ ჭოხონელიძე, მათ შორის მეც მერგო პატივი, ვიყო ამ პროექტის კოორდინატორი.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა მოგვანიჭა „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ საავტორო უფლება. პროექტი არის მეტად საპასუხისმგებლო და შრომატევადი. ბუნებრივია, მკვლევართა მცირერიცხვანი ჯგუფი მას ვერ განახორციელებს. ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველა იმ მეცნიერთან, ვისაც შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ შექმნაში.

პროექტის განსახორციელებლად საჭიროა მინიმუმ სამი წელინადი. პროექტს სერიოზული ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ განუზომელია ილიას წვლილი საქართველოში საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

ბატონიყმობის გაუქმების შემდეგ იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანებით თავადაზნაურობას თითოეული განთავისუფლებული მამაკაცი გლეხის ფასად 25 მანეთი ეძლეოდა, ხოლო მათ, ვისაც 21 ყმაზე ნაკლები ჰყავდათ, თანხა

უორმაგდებოდა. თავადაზნაურობას საკმაოდ სოლიდური თანხა ერგო (აღმოსავლეთ საქართველოს თავადებს ორი მილიონი მანეთი მისცეს, (აქედან 160 ათასი მანეთი ბანკის დასაარსებლად).

ბანკის დაარსება იყო საშუალება თავადაზნაურთა კეთილდღეობის გადარჩენისა. ეს იდეა ეკუთვნოდა დიდ ეროვნულ მოღვაწეს, დიმიტრი ყიფიანს. მან ხუთი პროექტი ნარმოადგინა ბანკის ნესდებისა, მაგრამ ბანკის დაარსება ვერ მოხერხდა. შემდგომ რევაზ ანდრონიკაშვილი აირჩიეს ბანკის პროექტის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარედ. შედეგი ვერც ამან გამოიღო. ქართული საზოგადოებრიობის გადაწყვეტილებით სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსება და მეთაურობა ილია ჭავჭავაძეს დაევალა. მან ამ დავალებას ბრნყინვალედ გაართვა თავი, თუმცა ამისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდა. 1875 წლის იანვარ-თებერვალში თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკმა არსებობა დაიწყო. ნინა-ალმდეგობებით იყო სავსე ილიას მოღვაწეობა ბანკში, მაგრამ ილიას ხასიათის სიმტკიცემ და უკომპრომისობამ შესაძლებელი გახდა ბანკის ნარმატებული მუშაობა.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი იქცა ქართულ ეროვნულ ბანკად, რომელიც უდიდეს ფინანსურ დახმარებას უნდა საქართველოს ყველა ძირითად კულტურულ-საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო დაწესებულებას: „ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ქართულ თეატრს, ქართულ გიმნაზიას და სხვა.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ 21-ე საუკუნის ბანკირებმა გამოიჩინეს დიდი გულისხმიერება მეცნიერთა ამ ჯგუფის ნამოწყების განსახორციელებლად. „ვი თი ბი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობამ კარგად დაინახა „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ შექმნის აუცილებლობა და სიამოვნებით იტვირთა პროექტის გენერალური სპონსორობა. მხოლოდ მათი თანადგომით გახდა შესაძლებელი, რომ საქართველოში პირველად გამოიცეს გამოჩენილი მნერლის პერსონალური ენციკლოპედია და ამით ჩვენც ჩავდგეთ მონინავე ქვეყნების რიგში, რომლებსაც გამოჩენილ მნერალთა პერსონალური ენციკლოპედიის გამოცემის საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია მოეპოვებათ.

რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც ბიზნეს-მენები აფინანსებენ პროექტს, რომლის შედეგიც მხოლოდ წლების შემდეგ იქნება ნარმოდგენილი. ამ ნდობისთვის მათ ვუხდით მადლობას.

ჩვენ გამბედაობა შეგვმატა „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ პროექტის დაფინანსებამ, გამოვლენილმა გულისხმიერე-

ბამ, საკითხის მნიშვნელობის სწორად წვდომამ ბიზნესმენების მხრიდან და დავაარსეთ „ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი“. ცენტრის ძირითადი მიზანია ანარმონს მეცნიერული მუშაობა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესასწავლად; შექმნას „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია“; ხელი შეუწყოს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ამსახველი მასალების პოპულარიზაციას; გამოსაცემად მოამზადოს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები; იკვლიოს ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები.

ყველაზე მნიშვნელოვან რესურსად „ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრისა“ ჩვენ მიგვაჩინია აქ მოღვაწე ქართველი ლიტერატორები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ბატონი გიორგი აბაშიძის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის განყოფილებაში, დიდი გამოცდილება აქვთ მეცნიერული კვლევისა, არიან არა ერთი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორები.

სამწუხაროდ, ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის განყოფილება. ამიტომაც გახდა უფრო აქტუალური ამგვარი სამეცნიერო ცენტრის დაარსება.


სიმბოლურად გვესახება, რომ „ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრმა“ ბინა დაიდო წმინდა ექვთიმე ღვთისეკაცი თაყაიშვილის მემორიალურ ოთახ-სამლოცველოში (ვაშლოვანის ქ.6).

ცენტრს დახმარებას უნდა აქვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი, რომლის დამაარსებელია „ვი თი ბი ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ზაზა სიორიძე.

სამომავლოდ „ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი“ ქართველ ბიზნესმენებს შესთავაზებს სწორედ ისეთ ეროვნულ პროექტებს, რომლის თანადგომაც მათთვის იქნება სასიქადულო და საამაყო.

ჩვენი თანამშრომლობა იქნება ორმხრივი. მეცნიერები და ბიზნესმენები ერთობლივად შევეცდებით ვემსახუროთ იმ საქმეს, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართული ეროვნული კულტურისა და სულიერების განმტკიცებაში.

ჩვენ ქართული საზოგადოებრიობის მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს, მაგრამ უნინარეს ყოვლისა კი გვნამს, რომ ამ კეთილი მიზნების განხორციელებაში თვით წმიდა ილია მართალი დაგვეხმარება — „წმიდაო ილია მართალო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, შენყალებად სულთა ჩვენთათვის!“.



ერმალევა ესონი

60

ურუალი

ხსოვნის საჩეში

ეროსი მაჯგალაძე

ვიხსენებ ნახევარ საუკუნეზე მეტი სწის წინანდელ ამბავს, იმიტომ, რომ იმ 1945 წელს თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სადიპლომო წარმოდგენაში (მ. გორკის „მდაბიონი“) დაიბადა მსახიობი ეროსი მაჯგალაძე.

უჩვეულოდ დაინყო მისი ცხოვრება ხელოვნებაში — არა როგორც პროფესიას დაუფლებული მსახიობისა თეატრის სცენაზე, არამედ სასწავლო წარმოდგენაში. სადიპლომო სპექტაკლმა წლების განმავლობაში შესწავლილის შედეგი უნდა წარმოაჩინოს. სტუდენტი სპეციალობის პედაგოგთა მიერ უნდა შეფასდეს, ეროსი კი მსახიობად დაიბადა — ის აღიარა მაყურებელმა. ახლა ისიც გავიხსენო, ვინ იყო იმ ჩვენი სტუდენტური წარმოდგენის მაყუ-


რებელი, რომელსაც ინსტიტუტის თავკაცი აკაკი ხორავა ინვევდა ხოლმე — მწერლები, თეატრის ხელმძღვანელები, რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, მუსიკოსები, ყველა უმაღლესი რანგის. ამას აღმზრდელობითი დანიშნულება პქონდა — მსახიობობის მოსურნეთა შემოწმება ასეთ მაყურებელთან შეხვედრით ხდებოდა. პკითხეთ ნებისმიერ მსახიობს — რას ნიშნავს მისთვის ასეთი მაყურებელი!

ამგვარად, ეროსი მაჯგალაძე მსახიობად უმაღლესი დონის მაყურებელმა აღიარა. რა დაინახა მასში? დიდად ნიჭიერი და პროფესიას დაუფლებული ახალგაზრდა. ნიჭი ღმერთის ნყალობაა. პროფესია? — მისი შესწავლის შედეგი. სად მიიღო მან ეს ცოდნა? შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. მსახიობის ხელოვნების მისი მასწავლებლები იყვნენ დიმიტრი ალექსიძე და გიორგი ტოვსტონგოვი.

მეც ამ ჯგუფში ვიყავი. აქ გავიცანი ეროსი, აქ ვსწავლობდით ერთად, რაც დილიდან საღამომდე ერთად ყოფნას ნიშნავდა. რა თქმა უნდა, ერთმანეთს ყველა კარგად ვიცნობდით, რადგან მსახიობი გუნდური შემოქმედების ხელოვანიადა პროფესიის შესწავლაც ერთობლივად მიმდინარეობდა.

სად? რანაირ გარემოში? რუსთაველის გამზირზე მდებარე ულამაზესი შენობის — რუსთაველის სახელობის თეატრის ბოლო სართულზე. არაჩვეულებრივ შენობაში. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყოველ დილას ჩვენი ჩვეულებრივი სახლებიდან მივდიოდით არაჩვეულებრივში. მისი მაღლივ მიმართული თეთრი მარმარილოს კიბე უკვე იყო ზღვარი ჩვეულებრივსა და არაჩვეულებრივს შორის. მშვენიერებისკენ მიმავალი გზა იყო ეს კიბე ჩვენთვის. მისი დასასრულიდან იწყებოდა აუდიტორიები — დიდი, მაღალჭერიანი, ლამაზი ფანჯრებით რუსთაველის მშვენიერი გამზირისკენ. ამ აუდიტორიებიდან მოისმოდა მეტყველების სავარჯიშოთა წარმომთქმელის ხმა, მომღერლის ხმა, საცეკვაო მუსიკის ხმა...

ვინ გვასწავლიდა? სასცენო მეტყველებას ქალბატონი მაღიკო მრევლიშვილი, მსახიობის ოსტატობას დიმიტრი ალექსიძე და გიორგი ტოვსტონგოვი, ევროპულ ცეკვებს ვალენტინა გამსახურდია, ქართულ ცეკვებს ჯანო ბაგრატიონი. სასცენო მოძრაობას — კონსტანტინე ბადრიძე. ქართულ ენას ბატონები — არნოლდ ჩიქობავა და ივანე გიგინეიშვილი. ქართულ ლიტერატურას პროფ. გრიგოლ კიკნაძე, თეატრის ისტორიას აკაკი ფალავა და დიმიტრი ჯანელიძე, სახვითი ხელოვნების ისტორიას ვახტანგ ბერიძე, ფსიქოლოგიას რევაზ ნათაძე... ნამდვილად ბედნიერები ვიყავით.



„გვადი ბიგვა“

რა მახსოვს იმ დროიდან ეროსის შესახებ: პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, მისი გარეგნული იერი — ახოვანი. მის მუდამ სადა სამოსელს რაღაც პენი მაინც დაჰკრავდა. ძალიან მორიდებული, სიტყვაძვირი, თუ ხმას ამოიღებდა, ეს ხმა თითქოს შორი სიღრმიდან მოედინებოდა და შენ სმენას ეალერსებოდა, ასე გეალერსებოდა მისი ღიმილიც. იუმორიც კეთილი ჰქონდა, მართალი კაცი იყო, მუშაკაცი. უყვარდა სათავგადასავლო ლიტერატურა. მის სიახლეებს მუდამ ახვედრებდა ხოლმე ჩვენი ინსტიტუტის არაჩეულებრივი ბიბლიოთეკის დამაარსებელი და გამგებელი, თვითონაც არაჩეულებრივი ქალბატონი რუსუდან მიქელაძე. ამავე დროს, ის რუსულ ენასაც გვასწავლიდა პუშკინისა და ბლოკის პოეზიის მოშველიებით... დედისა და და-ძმის სიყვარულში ეროსის ვერც ერთი ვერ შევეძრებოდით... ეს თვისებები, რა თქმა უნდა, თავისებურად, მაგრამ მაინც თავს იჩენდა სტუდენტურ წლებში შექმნილ მის სცენურ სახეებში.

შემდეგ, უკვე რუსთაველის თეატრის სცენაზე, ეროსი, ცხადია, ისევ საკუთარი პირვენული თვისებების მქონე თავისი არსებით შექმნის სცენურ სახეებს. ისიც ცხადია, რომ თვით მის არსებაშიც ახალი თვისებები იჩენს თავს. გარემოც სულ სხვაა — აკადემიური თეატრი, დიდი მასშტაბები, შემოქმედებითი მიზნები და ამოცანები უკვე არა სასწავლო დანიშნულების, ცხოვრებისეული გარემოც ომის შემდგომი: საღამოს განათება აღარაა ლურჯი ფერის, რადიოინფორმაციები აღარაა შემაშფოთებელი. ახლობელთა და მეგო-

ბართა წრეც გაფართოვდა. ამაზე თვითონ არ უზრუნია — ადამიანები თავისით ცდილობდნენ მასთან დაახლოებას. არავის გაურბოდა, ყველასთვის ჰქონდა დროც, ყურადღებაც, გულის სითბოც... და მაინც, მარტოკაცი იყო. ამას ვამჩნევდი, რადგან კარგად ვიცნობდი. ეტყობა, სხვებსაც ჰქონდათ ეს შენიშნული, რადგან შემდეგ, როცა ეროსი წავა ჩვენგან, მის შესახებ გამოქვეყნებულ მოგონებებში არაერთხელ შეგვხვდება სიტყვა მარტოკაცი. მისგან მიწერილი წერილიც ვერავინ მოიხმო. მაშასადამე, სხვისთვის არ წერდა. ვიფიქრე, — მარტო რომ რჩებოდა, თავისთვის მაინც წერდა-მეთქი, ალბათ, იმის შესახებ, რაც ანუ-ხებდა, წერა კი ნამდვილად შეეძლო, თანაც კარგად. ამის საბუთად საკმარისია მისი წერილი „გამომშვიდობება აკაკი ხორავასთან“ —

„კიდევ ათიოდე წუთი და მშობლიური თეატრის კედლებს დასტოვებს სცენის მშვენება, სცენის რაინდი, სცენის ლომი. დატოვებს მშობლიური თეატრის კედლებს და შეუდგება აღმართს მთანმინდისაკენ, რომლის წმინდა სავანეში განისვენებენ დიდებულნი შვილნი და რომელთა შორის ყოფნა მან თავისი დიდი საქმით დაიმსახურა.«

ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველ დარგს თავისი გმირი ჰყავს, თავისი პირველი კაცი. ეს ის კაცია, რომელიც ჩვენს საუკუნეში ყველა დანარჩენზე მეტად პირველი ეზიარა ტრაგედიის თვალუწვდენ მწვერვალებს და ამ უმაღლეს ხელოვნებას აზიარა თავისი ერი, თავისი ქვეყანა. ეს ის კაცია, რომელმაც, ჩვენსაუკუნეში პირველმა, რესპუბლიკის გარეთ, შორს გასტყორცნა ერის თეატრალური ნიჭი, ერის თვითმყოფადობა და ეს დიდება მთელი ქვეყნის უკიდეგანო სივრცეებს მოჰყონა.

ეს ის კაცია, რომელმაც აგერუკვერამდენი წელია ფეხი ჩამოდგა თავისი საყვარელი თეატრის სცენიდან, მაგრამ მისი შეცვლა ვერავინ შეძლო. ვერავინ გაბედა. დგას სავარძელი დაობლებული, ცარიელი და ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება მემკვიდრის გარეშე.

ეს ის კაცია, რომელიც მარტო არ მიდის საუკუნო განსასვენებლად. მას ამ შორეულ გზაზე გვერდს უმშვენებენ მშობლიურ სცენაზე ბრნყინვალედ გაცოცხლებულ გმირთა უკვდავისახეები. ამიტომ თამამად, ძვირფასო ამაგდარო! შენი საშვი მთანმინდისაკენ შენი საქმენია, შენი ნათელი გონება.

მშვიდობით, ანზორ, მშვიდობით, გიორგი, მშვიდობით, ოძელაშვილო, მშვიდობით, კარლ მოორ, მშვიდობით დიდო ხელმნიფევ, მშვიდობით, ოიდიპოს, მშვიდობით, გმირო ოტელო, მშვიდობით, პირველო არტისტო!“ (კრებ. ეროსი მანჯგალაძე. საქართველოს თეატრალური საზოგადოება. თბ. 1985. გვ. 231).



„ჭინჭრაქა“

დათვი — ეროსი, მგელი — გოგი გეგეჭკორი

ეს პატარა წერილი კალმის მფლობელის დაწერილია — როგორაა სათქმელი ჩამოყალიბებული, რაზუსტია ყოველი სიტყვა და მიზანმიმართული დასასრულის ბოლო სიტყვისაკენ! ვისაც შეუძლია ასე წერა, შეუძლებელია არ წერდეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ის წერდა. წერდა იმას, რასაც არ ამბობდა, რადგან მეტისმეტად მტკიცნეული იყო მისთვის. შემდეგ კი თვითონ გაანადგურა. სხვანაირად შეიძლება, რომ მის სახლში არც ერთი მისი ხელნაწერი არ აღმოჩნდეს? იმდენად მონესრიგებული კაცის სახლში, რომელსაც ცხოვრების ყოველი დღე დაგეგმილი ჰქონდა? რატომ მოსპორატომ? რატომ?... ეს კითხვა უპასუხოა...

ისევ უნდა დავბრუნდეთ თეატრალურ ინსტიტუტში, რადგან სცენური სახის შექმნის ხელოვნებას ეროსი აქ ეუფლებოდა. აქ მიიღო შემოქმედებითი რწმენა და სამუდამოდ იყო მისი ერთგული.

მსახიობის ხელოვნება ანსამბლური შემოქმედება — ყველა მსახიობი სპექტაკლში მხოლოდ ერთმოქმედ პირს ასახიერებს, მაშასადამე, მუდამ მხოლოდ ნაწილია მისი. სხვებთან ერთად ქმნის იგი პიესის გმირთა ცხოვრებას სცენაზე. ჩვენც ასე გვასწავლიდნენ — პიესის სიტყვიერი ზედაპირიდან ყველა ერთად მივემართებოდით მისი სიღრმეებისევნ მოქმედ პირთა ცხოვრებაში მომხდარ მოვლენათა ამოხსნის გზით. ყოველი ეს მოვლენა უნდა გავეცნობიერებინა და განგვეხილა იმდენი ასპექტით, რამდენი მოქმედი პირიც იყო მასში ჩართული. ჩვენ როლზე და პიესაზე მუშაობას ასე ვსწავლობდით. ამ მიზნით დაწვრილებით განვიხილავდით მიმდინარე მოვლენაში ჩართული ყოველი მოქმედი პირის სურვილს, მიზანს, ამნუთიერ გუნება-განწყობილებას და სხვა მოქმედი პირებისადმი მის დამოკიდებულებას. უთუოდ ისიც უნდა გვხსომებოდა, რომ ადამიანი თავის დროის ნიშან-თვისებებს აუცილებლად მოიცავს. ამიტომ ავტორის თავისებურების მნვდომი ხელოვანი (სცენის ხელოვანი კი ასეთია, რადგან მწერლის ნაწარმოებია მისი ქმნილების საძირკველი), იმასაც უნდა გრძნობდეს — რა არის ამ ავტორის ნაწარმოებში ისეთი, რაც დღესაა საინტერესო იმათვის, ვინც ქმნის მის საფუძველზე

აშენებულ ცოცხალ სცენურ ნაგებობას და იმათვისაც, ვისთვისაც იგი ქმნის. ვფიქრობ, ამგვარი პრობლემებით დაინტერესება და მათი კონკრეტული გადაჭრის მცდელობა, უკვე სცილდებოდა სასწავლო მუშაობას და ამ ბოლო ეტაპზე სამომავლო შემოქმედებითი ცხოვრების შემამზადებელი იყო. ამიტომაც ხშირად შეგვახსენებდნენ ხოლმე იმასაც, რომ უმდიდრესი შემოქმედებითი ფანტაზიის მქონე ხელოვანსაც კი, ცნობიერი მოქალაქეობრივი მიზნის გარეშე, მხატვრულად ღირებული ნანარმოების შექმნა არ შეუძლია. შემოქმედმა უნდა იცოდეს რისთვის ქმნის იგი, რას ეუბნება ადამიანებს, რას ამტკიცებს, რის გულისთვის. ეს ყოველივე ძალიან ახლოს იყო ეროსის ბუნების ადამიანისთვის და შემოქმედისთვის.

ასეთი იყო იგი, როდესაც დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი და ყველა სათვის მოულოდნებად, სამუშაოდ ნავიდა სტალინირის (ასე ერქვა მაშინ ცხინვალს) თეატრში. დღესაც არ მესმის რატომ. ვერ გაძლო და 1948 წელს ის უკვე რუსთაველის თეატრშია. ამ დროს ცხადდებარადიოში კონკურსი. გაიმარჯვა ეროსიმ.

და გაისმა ეროსის ხმა სრულიად საქართველოში! მაშინ ხომ მხოლოდ რადიო იყო ნებისმიერი ინფორმაციის სწრაფი მომნოდებელი. გვატყობინებდა ყველაფერს. მათ შორის ისეთსაც, რაც დაწერილი ტექსტის სახით დიქტორს არ მიენოდებოდა — ფეხბურთის მატჩის მიმდინარეობას! ეროსი გახდა სახელოვანი კომენტატორი — უცქერდა თამაშს და აქვე პოულობდა იმ სიტყვებს, რომელთა ძალითაც ჩვენ, მსმენელები ლამის ვხედავდით კიდევ იმას, რასაც ეროსი თავის სიტყვებით გვეუბნებოდა. თქმა არ უნდა, მისი ნიჭის ამგვარმა გამოვლინებამაც ნამდვილად შეუწყო ხელი ეროსის პოპულარობას, ერთგული იყო თეატრისაც და ფეხბურთისაც.

როგორი იყო იმ დროის რუსთაველის თეატრი. სწორედ იმ 1951 წელს, როდესაც ეროსი, რადიოსთან ერთად ინყებს მუშაობას რუსთაველის თეატრში, მიხეილ თუმანიშვილმა, რომელიც ამ დროს უკვე რუსთაველის თეატრის რეუისორია, გადაწყვიტა ახლა თეატრში დაედგა იულიუს ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“ (მანამდე ინსტიტუტში ჰქონდა დადგმული). ინსცენირება მ. თუმანიშვილისა და კ. მახარაძის, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი ალ. მაჭავარიანი.

შემსრულებელთა ძირითადი ბირთვი ახალგაზრდული იყო. შემოქმედებითად ძლიერი და უკვე საკმაოდ გამოცდილი. თითქმის ყველა იმავე ინსტიტუტის აღზრდილი, რომელიც ეროსიმ დაამთავრა. ასე რომ, საერთო ენა

უცებ გამოინახა. ამ ახალგაზრდებმა ირწმუნეს მ. თუმანიშვილისა და გაჟყვნენ მას. იულიუს ფუჩიკი მათ სათაყვანებელ გმირად იქცა, მის შესახებ ნარმოდგენის შექმნა კი — ოცნებად. მიზანი მოგვიანებით ზუსტად გაგვაცნო მ. თუმანიშვილმა თავის წიგნში „რეუისორი თეატრიდან ნავიდა“:

„არავითარი თეატრალური სილამაზე არ გვინდა, პირიქით, სილამაზე უნდა ვეძიოთ უხეშში, ყოფაში, არათეატრალურში. არათეატრალურის თეატრალურობა გვინდა... გვინდა გავიგოთ, რა ხდება ადამიანის სულში მაინცდამაინც მაშინ, როდესაც მას ყველაზე მეტად უჭირს... ვცდილობდით აღმოვვეჩინარალაცახალი, სხვების ნამუშევრებისაგან განსხვავებული... ჩვენ ჩვენი სიტყვა ჩვენებურად უნდა გვეთქვა... გვეთქვა ის, რასაც თვითონ ვფიქრობდით, რადგან მანამდე მხოლოდ იმას ვიმეორებდით, რასაც გვკარნახოდნენ. ჩვენ ვცდილობდით მიგველნია თეატრალური თამაშის პირობითობისა და ადამიანურის, ფსიქოლოგიურის, ცხოვრების სეულის სინთეზისათვის... ჩვენთვის ეს პირველი სპექტაკლი თეატრში ახალი ცხოვრების დაწყებას ნიშნავდა“. (საქართველოს თეატრის მოღვანეთა კავშირი. თბ. 1989. გვ. 48, 62).



„პეპო“.

ზომზიმოვი — ეროსი, ფეფელა — მედეა ჩახავა.

ეს ნარმოდგენა რუსთაველის თეატრის თეატრიდან ახალგაზრდობის აშკარა განაცხადი იყო — ის პრინციპულად დაუპირისპირდა გმირულ-რომანტიკული თეატრის ამ დროისათვის საგრძნობლად დაუძლურებულ ტრადიციას.

ასეთ ნარმოდგენაში დაიბადა ეროსი მანჯვალაძის მასნავლებელი იოზეფ პეშეკი — ახალი თეატრალური იდეის ერთ-ერთი მხატვრულად ნარმომჩენი. მის შესახებ მ. თუმანიშვილი ასე წერს:

„ჩვენი თეატრალური „მანიფესტი“ ფუჩიკის მიხედვით! ჩვენ მაშინ ჩვენი თაობის ახალ საქმეს ვინყებდით. ვცდილობდით ჩვენებურად გამოგვეხატა დრო. ეროსი მასნავლებელ იოზეფ პეშეკის როლს ასრულებდა. ეს იყო მისი ყველაზე ლირიკული გმირი. არაჩვეულებრივი ადამიანური სითბო იფრქვეოდა მისგან სიკვდილმის ჯილთა საკანში. ალერსიანი მზრუნველობით ევლებოდა თავს ფუჩიკს — კოტე მახარაძეს. ჭალარა, სასაცილო სერთუკითა და ბაფთით, მაღალი და გამხდარი, ცარიელი თვალებილაა, მაგრამ ამ თვალებში რა სიყვარული, სათნოება და რწმენა გამოსჭვივის!“ (კრებ. ეროსი მანჯვალაძე. 1985. გვ. 80-81).

ალბათ, არაა ძნელი ნარმოსადგენი, როგორ უნდა გართულებულიყო ამის შემდეგ რუსთაველის თეატრში „მამათა“ და „შვილთა“ ურთიერთობა. და სწორედ ამ დროს იხმო აკაკი ხორავამ მიხეილ თუმანიშვილი და უთხრა: ვიცი, გინდა ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდლის“ დადგმა. ხვალ მომიტანე როლების განანილება და დაიწყე მუშაობა.

საოცარი ადამიანი იყო აკაკი ხორავა, ძნელად ამოსაცნობი, აი, ახლაც — როდის სთავაზობს ახალგაზრდა რეუისორს უცხოელი კლასიკოსის პიესის დადგმას? გავიხსენოთ ის ნლები — ეს ხომ ე.ნ. ყინულთლლვობის ხანაა, როდესაც ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე მხილებულ იქნა მისეული დიქტატორული რეუიმი. გაჩნდა იმედი იმისა, რომ ყოველი ადამიანი იქნება დაფასებული, რომ დასრულდა შიშისა და უნდობლობის ხანა, მაგრამ ორმოციანი ნლების დასასრულს დაწყებული ბრძოლა კოსმოპოლიტიზმთან ჯერ კიდევ მძვინვარებდა. გარე სამყაროსთან თეატრის კავშირები საბჭოეთში ფაქტობრივად არ არსებობდა. შემოქმედებით კონტაქტებზე უარის თქმა კარგს არაფერს უქადდა საკუთარ საცხოვრებელში ჩაკეტილ თეატრს. ამ საცხოვრებელში კი მხოლოდ კარგის დანახვა იყო ნებადართული. მაშასადამე, საძირკველი ეცლებოდა კონფლიქტს, ბრძოლას, დრამატურგიისა და თეატრის ფუძესა და მთავარ მასაზრდოებელს. უკონფლიქტობის იმ დროს ცნობილმა თეორიამ, ნებადართულმა ბრძოლამ კარგსა და უმჯობესს შორის თავისთა-

ვად მოსპოტ პროტესტის აღმოცენების, ანუ არსებულთან შებრძოლების შესაძლებლობა. მაგრამ თეატრი ცოცხალია, მაშასადამე, იბრძვის საკუთარი იარაღით — სცენაზე გაცოცხლებული დრამატურგით.

ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მლვდელი“ 1854 წლის 27 ნოემბერს დაიბადა. მისი თავისებურებისა და მხატვრული დონის შესახებ ყველაზე უკეთ უფროსი თაობის ცნობილმა მსახიობმა შალვა ლამბაშიძემ თქვა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“: „ამ წარმოდგენაში ჩვენ ვხედავთ იმ დღესასწაულებრივ განწყობილებას, რომლის შექმნისათვის მოგვიწოდებდა კოტე მარჯანიშვილი. რეჟისორის, მსახიობების, მხატვრისა და კომპოზიტორის ხმაშენებილმა მუშაობამ ყოველმხრივ გამართული სპექტაკლი მოგვცა“.

ამ რამდენიმე სტრიქონით ითქვა უმთავრესი — კოტე მარჯანიშვილის ხსენება უახლოეს წარსულთან განუწყვეტელ კავშირზე მიგვითითებს, ხოლო წარმოდგენის მონაწილეთა ხმაშენებილი არსებობა ანსამბლური, გუნდური შემოქმედების პრინციპის მართებულებასა და მისთვის მხარდაჭერაზე. „ესპანელი მლვდლის“ ასეთი წარმატება „შვიდეკაცას“ შემოქმედებითი მრნამსის გამარჯვებას ნიშნავდა. ასეთ სპექტაკლში ბრნყინავდა ეროსი მანჯგალაძის ესპანელი მლვდელი ლოპესი, რომელიც შემდგომ მის შემოქმედებით მიღწევათა სიაში აუცილებლად მოიხსენიება ხოლმე.

ასეთი იყო ეროსის მონაწილეობა რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ფერისცვალებაში. საკუთრივ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობაც ასეთ თეატრში ჩამოყალიბდება.

რადგან მსახიობი თავის სცენურ ქმნილებას საკუთარი პიროვნებით აცოცხლებს, ყოველამ ქმნილებაში, ცხადია, თვითონაც არსებობს, რა თქმა უნდა, განსხვავებულად — გააჩნია, რომელი მისი თვისება გამოადგება მის ამა თუ იმ კონკრეტულ სცენურ გმირს! მაგრამ ყველა შემთხვევაში, წარმოდგენაში მონაწილეობისათვის ეროსის მზადება ერთია აუცილებელი, მის მიერ დადგენილი თავისებური რიტუალით მიმდინარეობდა. ამ რიტუალს ყველა ხედავდა: წარმოდგენის დაწყებამდე ყველაზე ადრე თეატრში ის მოდიოდა. უხმოდ თვალს გადაავლებდა თეატრს, მის კედლებს, მაყურებელთა ფოიეს, ბოლოს სცენას და თუ ყველაფერი მზად იყო მაყურებელთან შესახედრად, მშვიდად შევიდოდა თავის საკაზმულოში და შეუდგებოდა საკუთარი გარეგნობის სახეცვლას. შემდეგ შეამონმებდა სცენის ტექნიკურ მზაობას. თუ იქაც სრული წესრიგი იყო, მშვიდად ელოდებოდა ფარდის გახსნას.

ყველა თავისი სცენური გმირისათვის ახლებური სხეული და მისთვის დამახასიათებელი პლასტიკა ჰქონდა მოძებნილი. ამას ფორმულარათები გვიჩვენებენ.

მისი პარტნიორობა ადვილი არ იყო — მეტყველ მხატვრულ საშუალებათა გამომგონებლობის დიდოსტატი რას მოიფიქრებდა წარმოდგენის მსვლელობის რომელიდაც წუთში, თვითონაც არ იცოდა — დაუკეტელი მისი ფანტაზია თვითონ მუშაობდა და თხზავდა.

რეპეტიციაზე მისი დაგვიანების შემთხვევას ვერც ერთ სარეპეტიციო დღიურში ვერ აღმოაჩენთ. თუ რეპეტიცია უკვე სცენაზე მიმდინარეობდა, ეროსი ამ როლისათვის შესაბამის სამუშაო ტანსაცმლით მოსილი მუშაობდა, თუ როლი სახის შეცვლას მოითხოვდა, გრიმიორს აუცილებლად აუხსნიდა თავისი მომავალი სცენური გმირის ვინაობას, მის ხასიათს და ასე ინყებოდა მსახიობისა და გრიმის ოსტატის ერთობლივი ძიებები.

უდიდესი ყურადღებით ამონმებდა გმირის სამოსელსა და სახმარ ნივთებს.

მნერლის სიტყვის მნიშვნელობა და ფასი იცოდა, მისი ნაწარმოების ენობრივ ქსოვილს დიდი გულისყურით შეისწავლიდა. ეს საოცრება მისეული მხატვრული სიტყვისა, მადლობა ღმერთს, რადიომ და კინომ შემოგვინახა. ყველა მისი სცენური და ეკრანული გმირი თავისებურად მეტყველებდა, იუმორიც თითქმის ყველას ჰქონდა და ყველას თავისებური. მხოლოდ დადებით გმირებს არ ასახიერებდა, მაგრამ მაყურებელში არც ერთის მიმართ ზიზლის გრძნობა არ აღუძრავს — რაღაცას კარგს ყველას მოუნახავდა.

ახალგაზრდა უყვარდა განსაკუთრებით პარტნიორთაშორისაცდაცხოვრებაშიც. უძრობის გამო? არც უმაგისობა იყო, ალბათ.

და კიდევ უყვარდა ძალიან მაყურებელი. ყველა ასაკის. უნდა საკუთარი თვალით გენახათ სპექტაკლის დასასრულს როგორი თვალით შესცეკროდა მადლობის ნიშნად მის წინ ფეხზე მდგარ მაყურებელს, როგორ ულიმოდა — ახლა ეროსი, მსახიობი იყო მათი მაყურებელი. მათ უყვარდათ ერთმანეთი. არ მინახავს ეროსის მონაწილეობით ისეთი სპექტაკლი, სადაც დასასრულს ასეთი თვალსაჩინო არ ყოფილიყო მათი ურთიერთსიყვარული.

ასე იყო ეს მისი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მიმდინარე და მუდამ ცვალებადი დრო თეატრსაც შეეხო. ყველა მის შემოქმედს, მსახიობებსაც. რაღა თქმა უნდა, ეროსისაც. ამის შესახებ გულახდილად დაწერს მისი კოლეგა და მეგობარი, თვითონაც მსახიობი გოგი გეგეჭვორი:

„... მოხდა ისე, რომ ბოლო წლებში ეროსის რუსთაველის თეატრის რეპერტუარში არ ჰქონდა ახალი და საინტერესო სამუ-

შაო. ამას მრავალი მიზეზი განაპირობებდა. პირველი ის, რომ ჩვენი თაობის მსახიობები (მხედველობაში მყავს მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი, გურამ სალარაძე, კარლო საკანდელიძე, რამაზ ჩხილაძე, ბადრი კობახიძე, ზინა კვერენჩილაძე, ედიშერ მალალაშვილი, ეროსი მანჯგალაძე — რუსთაველის თეატრის ნამყვანი პირთვი) ულიდეროდ დავრჩით. თეატრიდან ნავიდა მიხეილ თუმანიშვილი, ამის გამო ჩვენში თავი იჩინა ცალ-ცალკე გამოჩენის სურვილმა, სულსწრაფობამ... ჩვენი თაობის ძირითადი პრინციპის — „ყველა ერთისათვის, ერთი — ყველასათვის“ — თანდათანობითმა უგულებელყოფამ; ამ პოზიციის დათმობაში დიდი გავლენა იქონია ჩვენს მომავალზე... ზოგი დაიბნა და ვერ გაერკვია მდგომარეობაში, ზოგი შეეგუა, ზოგი შეებრძოლა და დღესაც იბრძვის... დღეს თურმე ისე თამაში, როგორც ადრე შეეძლოთ, არავის სჭირდება, ახალი მეთოდი გაჩნდა. არაა საჭირო განცდა, გარდასახვა! შენს მაგივრად ოსტატური მონტაჟი, კოსტიუმი, პლასტიკა და, რაც მთავარია, მუსიკა იმუშავებს... შენ, მსახიობმა, მხოლოდ კეთილსინდისიერად და ოდნავი მინიშნებით იარსებე, დანარჩენს მე, დამდგმელი შევქმნი“ (დასახლებული კრებულის გვ. 145).

ეროსის აქტიორული სვე-ბედი ამჯერადაც უჩვეულო აღმოჩნდა — 1968 წლის 17 ივნისს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე უან ანუის „ანტიგონე“ — მ. თუმანიშვილის იმ დროის შემოქმედების მწვერვალი დაიბადა. იმავე წლის 1 ოქტომბერს, იმავე თეატრის დიდ სცენაზე ავკ. ცაგარელის „ხანუმა“, დადგმა რ. სტურუასი, თავისი ახალი, მისი წინარე თეატრალური ესთეტიკის უარმყოფელი ესთეტიკით. ეს აღარ იყო ავტორის თეატრი თუნდაც იმით, რომ ამ ხაზგასმით მუსიკურ სპექტაკლში, რომლის სათაურიც ავტორის ნებით მთავარი მოქმედი პირი ქალის სახელია ხანუმა, ამ მთავარი გმირის განმასახიერებელი მსახიობი საერთოდ არ მღეროდა, მღეროდნენ სხვები. რაც შეეხება ავტორის ეულ ტექსტს, მის მიმართ სცენაზე იყო დემონსტრაცია მსახიობთა სრული თვითნებობისა იმპროვიზაციის ნიღბის ქვეშ.

ეროსის, რასაკვირველია, ესმოდა, ის ხედავდა, რომ ეს ახალი ესთეტიკა ავტორის თეატრის დამანგრეველია და მასთან ერთად, დრამატულ თეატრში მსახიობის პირველმნიშვნელობისაც, ანუ იმ ორი ნიშანდობლიობისა, რომლებიც განაპირობებენ თეატრის, როგორც ხელოვნების გარკვეული სახეობის არსებობას.



„ხანუმა“

თავადი ვანო — ეროსი, აკოფა — რამაზ ჩხილაძე.

მის შემოქმედებით ცხოვრებაში კი რა ხდება? მან ხომ, სხვებთან ერთად, რუსთაველის თეატრში დაამკვიდრა ავტორისა და მსახიობთა ანსამბლის თეატრის პრინციპები და ახლა ის საკუთარი აშენებულის დამანგრეველთა შორის აღმოჩნდა! განა რამაზ ჩხილაძემ არ დაწერა — „მახსენდება „ხანუმა“. ა. ცაგარელს სულ ერთ გვერდზე აქვს გადმოცემული ფანტიაშვილის და აკოფას შეხედრა, ჩვენ კი 20 წელს მიგვყავდა ეს სცენა“ (დასახლებული კრებულის გვ. 205).

ამას ისიც დაემატა, რაც მოხდა თეატრის გერმანიაში გასტროლების დროს, სადაც „კავკასიური ცარცისნობის“ ნარმოდგენაში რიგორი გობით მონაწილეობისათვის აზდაკის როლში რამაზ ჩხილაძესთან ერთად, წაიყვანეს და არ ათამაშეს. მაშინ ეროსი ჩაიკეტა სასტუმროს ოთახში და თბილისში დაბრუნებამდე არ გამოსულა. ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე დაწერა განცხადება თეატრიდან წასვლის შესახებ. ის განიცდიდა არა მარტო პირად შეურაცხყოფას, არამედ საერთოდ მსახიობისადმი, დრამატულ თეატრში მისი მნიშვნელობისადმი ამგვარი დამოკიდებულების შესაძლებლობას.

იმას კი არ განიცდიდა, რომ ამაში თვითონაც აღმოჩნდა ჩართული, თანაც ისეთი გატაცებით, რომლითაც ვანო ფანტიაშვილს ნარმოადგენდა? შეუძლებელია. მაგრამ რაც ძალიან ანუხებდა ხოლმე, რაც ძალიან სტკიოდა, იმაზე ხომ მუდამ დუმდა. მაშასადამე, მარტო იტანჯებოდა და თვითონ იყო თავის მსაჯული. ახლაც განაჩენი საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა — რუსთაველის თეატრიდან კინომსახიობთა თეატრში წავიდა მ. თუმანიშვილთან და თან მიიტანა „ჭინჭრაქას“ ფარდა! რის მაუნყებელი იყო ეს ფარდა?

ურთულესი იყო ეს ცვლილებები, რომელთა გადატანაც მოუხდა ეროსის. უცვლელი იყო მისდამი მაყურებლის სიყვარული. ვისაც როგორ შეეძლო, ისე გამოხატავდა ამ ულამაზეს გრძნობას. ერთხელ მასთან ერთად უნდა გაგევლო ქუჩაში, რომ დაგენახა როგორ შესცემოდნენ მას. ეროსი კი სირცხვილისაგან თვალებს მალავდა, თუმცა, რა თქმა უნდა,

უხაროდა. როცა ის დავკარგეთ, მაყურებლის სიყვარული პოეზიამაც გვაუწყა. სანიმუშოდ მხოლოდ ერთი — შოთა ნიშნიანიძის:

გამოთხოვება

ცუდი კაცი ვარ
და ნამდვილად ღირსი ვარ კიცხვის,
ცოცხალი როცა აღარა ხარ,
ლექს მაშინ გიძლვნი.
განათლულია შენი ნიჭი ქართულ ემპაზით,
ქართული სულის მეჩუქურთმევ,
მჭედელ-ხარატო,
რა უნდა გითხრა სხვის
გაგება-ერთგულებაზე,
როცა კაცს, თურმე, საკუთარი
გულიც გლალატობს.
თხემით ტერფამდე შენ იყავი
მართლა ქართველი
და მაინც დარჩი ავთანდილი უშერმადინო.
არ მინდა გითხრა, სხვებისათვის
რაც მაქვს სათქმელი,
ვაითუ, ახლაც, სიკვდილშიაც
გული გატკინო.
ჯერ ადრე იყო... და სიკვდილის ვინ
მოგცა ნება,
უკანასკნელი ეს ვინ მოგცა
სიკვდილის როლი?
სულაც არ მიკვირს, თუ უბრალო
მოკვდავი ცდება,
ზოგჯერ სამყაროს რეუისორიც
არ არის სწორი!
ეიფელის კოშკს შენ გერჩია ჯვარი და გრემი,
უცხოთა „ბრავოს“ — აღტაცების
ქართული ცრემლი,
დიდებისათვის არ ნასულხარ
არსად სალაშქროდ,
ამერ-იმერში მაინც ქუხდი გაღმა-გამოლმა...
სიკვდილის როლსაც რა ულმერთო
ძალით თამაშობ...
ო, მაგ როლიდან ვერასოდეს
ვეღარ გამოხვალ...
იძინე, ჩვენო სიამაყევ, იძინე მშვიდად,
შენია ერის ყველა ჯილდო, ყველა ტიტული.
გემშვიდობებით, გეთხოვებით
რაინდს და ნმინდანს,
გემშვიდობებით, გეთხოვებით,
თავჩაქინდრული...
დაეშვა ფარდა... ნინაპრებმა
ყიუინით გიხმეს,
ურიალი გააქვთ ხის შუბებს და
მუყაოს ფარებს...
ადექ, მაესტრო!

და ჩვენს ქართულ ეროვნულ ნიღბებს
მარადისობის კულისებში ნარუსეს ბარემ!..

რამ დაბადა ამქვეყნიური ცხოვრების ასე-
თი დასასრული? თურმე როგორ ჰყვარებია
მაყურებელს! — ადამიანთა ის ნიაღვარი,
უსასრულოდ რომ მოედინებოდა იმ დღეებში
და ავსებდა მის უბრალო საცხოვრებელს, რო-

მელიც ვერც ყვავილებს და ვერც ცრემლებს
ვეღარ იტევდა, ეს ხომ მისი მაყურებელი
იყო! ამიტომაც ისინი თანაგრძნობას უცხა-
დებდნენ არა მხოლოდ ოჯახის ნევრებსა და
ნათესავებს, არამედ რუსთაველის თეატრის
მსახიობებს.

31 იანვარს, 12 საათიდან ყველასთვის გა-
იხსნა რუსთაველის თეატრის კარი. მდუმა-
რე ხალხი კი დილიდან იდგა რუსთაველის
გამზირის მთელ სიგრძეზე. ისინი დინჯად
მოდიოდნენ. გაივლიდნენ სცენას, სადაც შე-
მაღლებულზე ესვენა ყვავილებში ჩაფლული
მსახიობი ეროსი მანჯგალაძე, რომელსაც
ეთხოვებოდნენ. ჩადიოდნენ დარბაზში და იქ
სხდებოდნენ. ვისთვისაც ადგილი აღარ დარ-
ჩა, ისინი ქუჩაში იდგნენ. ამითაც იყო ნათქვა-
მიძალზე მნიშვნელოვანი — შენიმაყურებლე-
ბი ახლაც შენთან ვართ და არ გვყოფნის დარ-
ბაზის 850 ადგილი...

შემდეგ შენობიდან გასვლა სთხოვეს ყვე-
ლას და დაინყო ეროსის ამქვეყნიური ცხოვ-
რების უკანასკნელ გზაზე სვლა... მნუხარე, სა-
ოცრად თავშეკავებული ხალხი თავაზიანად
იპობოდა შუაში, რათა გზა მიეცა იმათვის,
ვინც მას მოასვენებდა. ასე, დროდადრო შე-
ნაცვლებით, ახლა უკვე მაყურებელი მიასვე-
ნებდა საყვარელ მსახიობს იმ გრძელ გზაზე,
რომელიც რუსთაველის თეატრიდან დიდუ-
ბის მნერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პან-
თეონამდეა გასავლელი...

ცოტა ხნით შეყოვნდნენ კინოსტუდია „ქარ-
თული ფილმის“ ძველი შენობის შესასვლელ-
თან, სადაც კინომსახიობთა თეატრია. დიდი
შავი ფარდა ოდნავ ირხეოდა. ფოტოსურათზე
ეროსი ილიმებოდა. შორით კი ზარის ხმა მოის-
მოდა, ხმადაბალი, ტკივილით აღსავსე გულის
ზარის ხმა...

ახლა ეროსის სასახლეს ამ თეატრის ახალ-
გაზრდებმა შეუდგეს მხარი. მათ მიჰყვებო-
და მაყურებელთა ზღვა — მისი სამშობლოს
ყველა კუთხიდან მოსული მოხუცები, ხან-
დაზმულები, ახალგაზრდები, მოზარდები,
პატარა ბავშვებიც კი, რომლებიც უფროსებს
რატომდაც ნამოეყვანათ... ნესრიგის დამცვე-
ლებს საქმე არ გასჩენიათ — დღევანდელი
ხალხმრავლობა არ იყო ბრძო. აქარც ცნობის-
მოყვარენი იყვნენ. აქ იყო მაყურებელი. რამ-
დენიმე თაობის თეატრალური მაყურებელი,
რომელიც მსახიობისადმი თავის სიყვარულს
გამოხატავდა იმის სამაგიეროდ, რაც მას ამ
მსახიობის შემოქმედებით განუცდია, და გახ-
და იგი გამომხატველი არა მხოლოდ ეროსის
პირადი სიდიადისა, არამედ საერთოდ სასცე-
ნო ხელოვნების სიდიადისა!

ამქვეყნიდან მიმავალმა ეროსი მანჯგალა-
ძემ კიდევ ერთხელ თქვა უმთავრესი თავის
სათქმელი — რა ძალაა დრამატული თეატრი,
როგორ სჭირდება იგი ხალხს და როგორ უყ-
ვარს!



60 წელი სამართლი

კახოთი პირო ოქმოსლათიან ნიმუში

კინოხელოვნება საბჭოთა სინამდვილეში ყოველთვის დამოკიდებული იყო პოლიტიკის მიმოქცევაზე და განასახიერებდა მთავრობის ოფიციალურ ბრძანებებს. იმუამინდელი ეკრანი კი წარმოაჩენდა დადგენილებათა იმ ნუსხას, რომელიც ხალხის რეალურ ცხოვრებას უფრო ხშირად არ ესადაგებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში კი, სინამდვილის სრულ დასახირებად აღიქმებოდა.

ოციანი ნლების კინოხელოვნება ძველი საზოგადოებრივი წყობის უვარგისობასა და ახლის პროგრესულობას ამტკიცებდა. ეკრანზე ძველი ყოფა, ანუ ფეოდალური, თუ ბურუუაზიული — ბოროტ ძალად, ხოლო, ყოველგვარი ახალი კომუნისტურ-სოციალისტური — სიკეთედ აისახა. ქართულ კინოში ამგვარად იქმნებოდა სქემატური დაპირისპირება.

ოცდაათიანი ნლების კინოხელოვნება კო-იუნიტივიზაციის იდეის ქადაგად იქცა, მას დაემატა მავნებლობის თემა, რაც მაშინ ერთობ გავრცელებული გამოთქმის — „ხალხის მტრის“ ბოროტ იდეას ნიშნავდა, რაც ეკრანზე გამოჩენილი მავნებელი ხალხის დარწმუნებისთვის იყო პროპაგანდირებული და აგრეთვე, მასობრივი რეპრესიების გასამართლებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოცდაათიანი ნლების კინოეკრანზე „ხალხის მტრის“ ვერც ერთი მხატვრულად მნიშვნელოვანი სახე ვერ შეიქმნა. თავისთავად ცხადია, რომ იმ ნლების ადამიანთა საყოველთაო დახვრეტა ეკრანზე არ წარმოაჩენდა... ათეული მილიონბით უდანაშაულო ადამიანის ულეტასა და სისხლისღვრას ცენზურისგან დაშინებული და „ერიქაშეეკრული“ ეკრანი ვერ გამოთქვამდა, სინამდვილეში კი მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობდა და პოლიტიკურ პატიმართა რიცხვი მილიონობით იზრდებოდა.

სტალინიზმის უამთა სიავემ იმდროინდელი თაობის წარმომადგენლებზე ტრაგიკული კვალი დატოვა. ვინც ფიზიკურად გადარჩა, ის მორალურად დაძაბუნდა... ნლების მანძილზე დაპატიმრების ყოველდღიური მოლოდინი, რაც აგრეთვე, სიკვდილის მოლოდინს ნიშნავდა, ყოველი ადამიანის სულში ღრმა მოუშუბელ ჭრილობად დარჩა. ქუჩიდან გაგონილი მანქანის ღრჭიალი, მხედრული ნაბიჯები, კარზე ბრახუნი, თუ სხვა უცნობი ხმაური სიკვდილის მაუწყებელი იყო. „1937 ნლის დატუსალებამ და დახვრეტამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ თბილისის სამეული და მისი აგენტები ხშირად თავს აღარ ინუხებდნენ სიების შედგენისა და ჩხრეკის ჩატარებით: მრუდე და მართალი ერთად ისჯებოდა ძველი, წმინდა ინკვიზიციის წესის მიხედვით, მათი გარჩევა მამალმერთს ჰქონდა მინდობილი“ — წერდა გერონტი ქიქოძე თავის მოგონებებში (ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლის დროს, XX ყრილობამდე).

სიკვდილის შიშმა მოიცვა ციხეების გარეთ დარჩენილი ადამიანები, რომლებსაც ამ საზარელ ვითარებაში საწინააღმდეგო გრძნობების, სვესვიანობის, ზარზეიმის, საამურიცხოვრების, მადლიერების გამოხატვა ყალბად დაეკისრა. სასიკვდილოდ განნირულნი ბედნიერებაზე „გალობდნენ“, ზოგი მკვლელს ხოტბას ასხამდა, ზოგს ბელადის „სიმართლის“ სჯეროდა, ზოგი ფარისეველთა ფერხულში არ ებმებოდა და ჩუმად იყო. პიროვნების ამგვარი ტრაგიკული გაორება ხელოვანის გადაგვარებას და აქედან გამომდინარე — მისი შემოქმედების გადაჯიშებას ინვევდა.

განსაკუთრებული აგიტაციური მნიშვნელობა კინოხელოვნებას ომის პერიოდში მიენიჭა. სახელდახელოდ შექმნილი კინონოვე-

ლებისგან შემდგარი საპრძოლო კრებულების მხატვრული სისუსტის მიზეზი — ომის საშინელება — გაუაზრებელი იყო. ვერც ერთ ფილმში აისახა ფრონტის სინამდვილე... საპრძოლო კინოკრებულთა ნარმოება სულ მოკლე ხანში შეწყდა, მათი მხატვრული არასრულფასოვნების გამო. სამაგიეროდ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისტორიის ამსახველ ფილმებს, რომ წინაპართა საგმირო საქმეები საბჭოთა მეომრებისთვის მისაბაძი ყოფილიყო...

ომის შემდგომ პერიოდში, ანუ, ორმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში, სტალინის სიცოცხლის ბოლომდე რეპრესიები კვლავ გრძელდებოდა... ამ პერიოდში თანამედროვე თემაზე არც ერთი საყურადღებო კინონაწარმოები არ შექმნილა... „მცირე ფილმიანობის“ პერიოდის ქალაქურ კინონაწარმოებებშინათლად აისახა სიყალბე.

უდავოა, რომ მორალურად დაძაბუნებული ხელოვანი თავის ნიჭს ვერ გამოასხივებდა, მით უმეტეს, კინოში, სადაც გამომსახველობასთან სიტყვიერი მასალაც არსებობდა, ტყუილი საჭირო გახდა ელემენტარული ბიოლოგიური არსებობის შესანარჩუნებლად, შემოქმედი ვერ შექმნიდა შედევრს, რადგან სიკვდილის შიშით იყო შეპყრობილი. შემდგომ, როცა შედარებითი უსაფრთხოება დამყარდა, უამიანობის ეს განცდა მძიმე მოგონებად და ცხოვრების ავ თანამგზავრად შემორჩა იმდროინდელ თაობას.

1978 წელს, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა სასწავლო პროცესის დროს ნახეს დავითრონდელის ფილმი „დაკარგული სამოთხე“ (1937 წ.) მათ მოისურვეს რეჟისორთან შეხვედრა: აინტერესებდათ ყოველივე, რაც ფილმის შემოქმედებით შექმნას ეხებოდა, მაგრამ მხატვრულ პროცესზე თხრობის ნაცვლად, რეჟისორისგან მოისმინეს მოგონება 1937 წლის საყოველთაო რეპრესიების საშინელებაზე: მასიურად როგორ აპატიმრებდნენ უდანაშაულო ნაცნობ-მეგობრებს და ნათესაობას, ფილმის გადაღება შეუჩერებიათ, თვით დავით რონდელიც დღე-დღეზე ელოდა დაპატიმრებას. ბერიამ დავით რონდელი დაიბარა. ნასვლის წინ ბატონ დავითს პატარა ჩემოდან-ში ციხისთვის საჭირო საცვლები ჩაუწყვია და ცეკაში წასულა (ანუ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომლის პირველი პირი — ლავრენტი ბერია იყო.) გრძელი და ბნელი ტალანტის გავლით კაბინეტში რომ შესულა, კარგა ხანს კუთხეში ფეხზე მდგარი განაჩენს ელოდა, იგი გაოგნებულა, როცა იატაკიდან გაშუქებული ბერია დახვედრია. (განათების ამგვარი უცნაურობა დასაშინებლად თუ იყო გამიზნული). პრიალა პენსნეს პირის-პირ მდგარი ბატონი დავითი თურმე განაჩენს ელოდა, მაგრამ სრულიად სხვა გაუგონია —

„გადაღებები გააგრძელე, ოლონდ თავად აზ-ნაურობას ძალიან ნუ გაამასხრებო.“ — დაუმოძღვრავს ბერიას რეჟისორი. დავით რონდელი დაპატიმრებას გადაურჩა, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზეავიდროების უკუღმართობას გულის სიღრმეში ატარებდა. ხშირად გამოთქმულა ორჭოფული აზრი რეჟისორის მისამართით, რომ იგი მხოლოდ ერთი შედევრის ავტორია, მაგრამ ეს საყვედური უმართებულოა... ალბათ, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რევოლუციის შემდგომი წლებიდან მოყოლებული ინტელიგენციისა და „კულაკად“ წოდებული გამრჯე გლეხკაცის ტრაგიკული ბედი და იმდროინდელი ტერორისტული ვითარების გაანალიზებით ვიმსჯელოთ. მამინ სიჩუმე გმირობად ითვლებოდა... ზნეობის კატეგორიამ სახე იცვალა, იგი დაკნინდა.

თბილისის კინოსტუდიის ორმოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის სამხატვრო საბჭოს ოქმებს თუ გადავხედავთ, ჩვენს წინაშე ნათლად წარმოისახება იმდროინდელი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ატმოსფერო. პირველი, რაც თვალშისაცემია, ეს არის სიფრთხისილე, შიში, ფარისევლობა. ლაპარაკობდნენ ერთს, ფიქრობდნენ საწინააღმდევოს, (ზოგი, ალბათ, შიშით ვერც ფიქრობდა სიმართლეზე.) სამხატვრო საბჭოზე სცენარს განიხილავდნენ ზემო ოფიციალურ ინსტანციებში დანესებულ მითითებათა მიხედვით. ხდებოდა აზრის უნიფიკაცია, რის გამოც ხელოვანთა უმეტესობა „ზემოდან“ ნაბრძანებ სწორხაზოვან შემოქმედებას ეწეოდა.

სამხატვრო საბჭოს წევრები სცენარს წლების მანძილზე იხილავდნენ, ქმნიდნენ ახალ-ახალ ვარიანტებს, მალი-მალ ინვევდნენ ადგილობრივ ან მოსკოველ ავტორებს... ფილმის — „ეთერის სიმღერა“, (რომლის ერთ-ერთი სასცენარო სათაური — „ფალიაშვილი“ — იყო) შვიდი წლის განმავლობაში განიხილებოდა, გადაკეთდებოდა, მოკლდებოდა, გრძელდებოდა, იცვლებოდა... „მწვერვალთა დამპყრობინი“, რომლის სასცენარო სათაური იყო „უშბა“, (დასახელებულია, ჯერგრიგოლ ჩიქოვანი და გრიგოლ აბაშიძე, მერე მოსკოველი ბროდსკი, შემდეგ რონდელი, მერე ტიხონოვი... ფილმის ტიტრებში სცენარის ავტორებად შემორჩენენ დავით რონდელი და ნიკოლაი ტიხონოვი: კინოსცენარი გადაღებისთვის ოთხი წლის განმავლობაში მზადდებოდა; ყოველი ახალი ავტორის დამატებისას სამხატვრო საბჭო ახალ ვარიანტს იხილავდა და ახალ შენიშვნებს იძლეოდა — „ზემოთ“ შემუშავებული კომუნისტური დადგენილებების მიხედვით... წლები გადიოდა, დადგენილებები იცვლებოდა და ამიტომ მისადაგებაც საჭირო იყო. სცენარი უნიფიცირებული, გამოშიგნული, მხატვრულად უძლური, მოკლებული რაიმე ცოცხალ აზრს, ეროვნულ თვითმყოფადობას,

ზნეობას, ხასიათებს — ნარმოებაში ეშვებოდა. ქართველი კინომუშაკები მორჩილად შეჟურებდნენ და ისმენდნენ მოსკოვის სახეონოს მითითებებს, შეძლებისდაგვარად ასრულებდნენ მათ შენიშვნებს, რადგან მოსკოველ ცენზორებზე იყო დამოკიდებული ქართული კინოხელოვნების ბეჭ-ილბალი.

მაგალითად, ერთ-ერთმა პარტიულმა თავკაცამა — ბოლშინცევმა რევაზ ჯაფარიძის სცენარი — „ხევის პატარძალი“ — დააბრუნა მინანერით — „მანქიერია, არ აკმაყოფილებს პარტიის ცეკას სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა მოთხოვნილებებს“.

ამავე დროს, ბოლშინცევს თბილისის კინოსტუდიაში საკუთარი სცენარი — „უმცროსი ქალიშვილი“ ნარმოუდგენია დასადგმელად, რომელშიც აუსახავს ქართული სოფლის ყოფაზე რა დადებით ზეგავლენას ახდენს კოლმეურნეობა პიროვნების ჩამოყალიბებაში... სულ მოკლე ხანში ბოლშინცევის გვარს ვხედავთ ფილმის — „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ — თავსართში, როგორც სცენარის ერთ-ერთი ავტორისას.

კინოსტუდიის ხელმძღვანელობა, აგრეთვე, ყურადღებით ადევნებდა თვალს მოსკოვის ფილმნარმოებას. „ცოტაფილმიანობის“ პერიოდში კინოსტუდია „მოსფილმში“ დაიდგა „თქმულება ციმბირის მინაზე“, თბილისის კინოსტუდიაშიც ნარმოიშვა მისი გადამღერების სურვილი. თემატურ გეგმაში ვხედავთ ფილმის ამგვარ დასახელებას — „აყვავებული ჩემი ქალაქი“.

მოსკოვში იდგმებოდა ფილმ-კონცერტები, თბილისშიც გადაიდეს — „ქართული ბალეტის ოსტატები“, რომლის სცენარს სამხატვრო საბჭო შვიდი წლის განმავლობაში იხილავდა.

მოსკოვში ეკრანებზე გამოჩენდა ფილმი — „მიჩურინი“ და თბილისშიც ნარმოიშვა კინონარმოების შექმნის აზრი, ჯერ ნორჩი მიჩურინელების საქმიანობაზე (სცენარის ავტორი მოსკოველი ვ. კაზანსკაია იყო), შემდგომ კი, კინოსტუდიის თემატურ გეგმაში ვხედავთ გრ. აბაშიძის სცენარს — „განახლებულ მინაზე“, რომლის დედააზრი მოსკოვის ნაკარნახები იყო.

1953 წლის 16 თებერვალს იგი თბილისის კინოსტუდიის სამხატვრო საბჭომ განიხილა და ხანგრძლივი პაექრობისას ერთ-ერთმა მოკამათემავტორს სცენარში ახალი პასაუის დამატება ურჩია: „მიღის აგრონომი მიჩურინთან და არსებითად მან უნდა უთხრას მიჩურინს, რომ საქართველოში ვერავინ გაიგო რაშია საქმე... მიჩურინმა ურჩია: გასინჯეთ ნიადაგი, თუ რა ელემენტი აკლია მასო... ამას მეტი დასაბუთება უნდა, მაგალითად, უთხრას ამხანაგმა ბერიამ ნადი მიჩურინთანო, ეს სხვა ამბავია...“

ცხადია, იმხანად მოსკოვის უმაღლეს სტანციაში ბერიას მახვილი ყური მისდამი მიძღვნილ პასაუს თბილისიდან ვერ გაიგონებდა, მაგრამ მაინც ითქვა, რადგან ქვეშევრდომული ფარისევლობა ჩვევად იქცა.

„ბერიას ინიციატივით მოხდა, რომ მლიქვნელების სულით თითქმის მთელი ქართული მნერლობა, პლასტიკური ხელოვნება და ნანილობრივ მუსიკა გაიუღინთა. ქართველმა პანეგირისტებმა სტალინი იმ სიმაღლეზე აიყვანეს, რომელზეც არასოდეს არც ერთი ეგვიპტელი ფარაონი, ან რომაელების და ბიზანტიელებისიმპერატორიაუყვანიათ. საქართველოს ისტორიული ნარსული, თვით ჩვენი პლანეტის გეოლოგიური ეპოქები, ბოლოს თვით კოსმოსის განვითარება, სტალინის ცხოვრების პრელუდიად იქნა გამოცხადებული“ — ნერდა გერონტი ქიქძე.

არც ქართველი კინოხელოვანი — მიხეილ ჭიაურელი, ჩამორჩა სხვა პანეგირისტებს. იმ დროს „მასშტაბურად“ და ხელოვნების ეტალონებად აღიარებულ მის ფილმებში („ფიცი“, „ბერლინის დაცემა“, „დაუვიწყარი 1919 წელი“ და სხვ.) სტალინიზმის ეპოქისთვის ერთობ დამახასიათებელი პომპეზურობა ნარმოისახა. ქანდაკებად ქცეული, ლოზუნგებით მოლაპარაკე ბელადი და მისი თანმხლებნი ტონს აძლევდნენ იმდროინდელი კინოხელოვნების სტილურ და იდეოლოგიურ მიმართულებას. შემუშავდა ამაღლებული და ზეანეული მანერა „პიედესტალზე“ შემდგარი ბელადი და კინოგმირები თითქოს მინას აღარ ეხებოდნენ... მხატვრული სახის ფსიქოლოგიური ნიუანსირება ადამიანური ყოფა თუ ურთიერთობა გარემოსთან და საზოგადოებასთან უგულებელყოფილი იქნა. ეკრანზე ადამიანმა დაკარგა შინაურული და ჩვეული სახე, იგი საგარეოდ მიმართული საზოგადოებრივი დანესებულებების, სანარმოს თუ კოლმეურნეობის ყალბ კუთვნილებად იქცა...

თბილისის კინოსტუდიის სამხატვრო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, სადაც მარიკა ბარათაშვილის „მარინეს“ (შემდგომ „ჭრიჭინად“ წოდებულ) სცენარს იხილავდნენ, ერთ-ერთი რეჟისორი ამგვარად გამოთქვამს თავის აზრს: „ინყება სცენა და ექსპოზიცია, როდესაც ქალი ხეზე ზის და თუთას ჭამს, თუთის ხე საქართველოში ნარმოუდგენიათ, როგორც აბრეშუმის საკვები და არა ხილი. აქ კი ხილის ხე ისეა ნარმოდგენილი... რატომ ვაქცევ ამას ყურადღებას? იმიტომ, რომ ეს ქალი ხდება გმირი შემდეგ. მე მგონია, თუკი ავტორმა გადაწყვიტარომ გმირი უნდა გახდეს მეაბრეშუმე, როგორი იქნება ექსპოზიცია დაინყო თუთის ჭამიდან“. (სტენოგრაფიული ჩანაწერი ზუსტია).

ე.ი. ჭამა, ადამიანური ყოფის ერთ-ერთი აუ-ცილებელი ატრიბუტი მაშინაც კი არ შეიძლე-ბოდა, როცა თუთის ნაყოფი მარინეს პირთან ახლოს ეკიდა. მაშინდელი კინემატოგრაფიული „კანონების“ მიხედვით მთავარი იყო თუ-თის ფოთლის ტექნოლოგია, მისი წარმოებაში დანერგვა, ზეგეგმური აბრეშუმის გამოყვანა და სოციალისტური შრომის გმირის ნოდების მიღება. ამგვარად, ამ შრომით-საზოგადოებ-რივ პროცესში მარინეს თუთით ყელი ერთხე-ლაც არ უნდა ჩაეკოკლოზინებინა...

ამგვარი მიდგომა სინამდვილისა და ყოფი-სადმი საყოველთაოდ გავრცელდა ომის შემ-დგომ პერიოდში და გამონაკლის მაგალითად ნუ წარმოვიდგენთ. სამხატვრო საბჭოს წევ-რმა წინდახედულება გამოიჩინა; მან იცოდა, რომ ამდაგვარი ხასიათის მითითებას მოსკო-ვის რედაქტორებისგან მიიღებდა და ფილმის ბედი სავალალოდ გადანყდებოდა...

ამგვარად მიმდინარეობდა მხატვრული აზ-რის უნიფიკაცია, ყოფის ამოძირევა ეკრანი-დან ნიშნავდა თვითმყოფადობის დაკარგვას, რაც იმ დროს აქტიურად მოქმედი უკონფლიქ-ტობის თეორიისგან იყო განპირობებული. ეს სავალდებულო სქემები ხელოვნურად მოპირ-კეთებულ, გარემოსგან განყენებული ადამია-ნის ყალბ პათეტიკას ითვალისწინებდა. ამგვა-რი კანონების მიხედვით მხატვრულ წანარმო-ებში შეუძლებელი იყო ადამიანის უარყოფითი თვისებების ასახვა, პირიქით, ყველა მოქმედი გმირი ლამაზი და კეთილი უნდა ყოფილიყო: თანამედროვეობის ამსახველ ფილმებში ბო-როტება-სიკეთის დაპირისპირება აიკრძალა, დაკანონდა მხოლოდ კარგისა და ძალიან კარ-გიგმირების ურთიერთობა, ანუ, ერთობ შელა-მაზებული და მოფერებული „კონფლიქტი“.

ომის შემდგომი პერიოდის თანამედროვე-ობის ამსახველი ქართული ფილმის ყოველი გმირი ერთმანეთს ჰგავდა, ისინი კი თავის მხრივ, ჰგავდნენ უკრაინულ, რუსულ და აგ-რეთვე, საბჭოთა სხვა რესპუბლიკების კი-ნონანარმოებთა მოქმედ პირებს. გავრცელ-და ერთი ცენტრის მითითებებით შექმნილი ფილმების სტანდარტი, რაც ეროვნულ კულ-ტურათა ინდივიდუალობისა და თავისებური კოლორიტის მიჩქმალვას, ამრიგად, კულტუ-რის მრავალსახეობის და მრავალფეროვნების ერთ ფერში წარმოჩენას ნიშნავდა.

კაცობრიობის კულტურის ესთეტიკური ფენომენი კი უზარმაზარ ორკესტრს ჰგავს, სადაც ყოველ საკრავს თავისებური ულერა-დობა გააჩნია და სწორედ ეს თავისებურებაა ერთს თვითმყოფადობის გამომხატველი, რო-მელიც გულისხმობს ისტორიულ სვე-ბედს, სოციალურ-პოლიტიკურვითარებას, გეოგრა-ფიულ მდებარეობას, ეთნიკურ სახეს...

ამ ვითარებაში გამოჩენენ კინემატოგ-



დავით
როდიოლი

რაფიულ ასპარეზზე ახალგაზრდები — თენ-გიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე; ძველებურად მომართულ კინოხელმძღვანელობასთან და სამხატვრო საბჭოზე სცენარის ("მაგდანას ლურჯა"), ხოლო შემდგომ ფილმის განხორცი-ელებისას მათ დაბრკოლებები ელობებოდათ, მაგრამ მაინც თავისი უფლებამოსილების დამტკიცება ჭაბუკური შეუპოვრობით შეძ-ლეს. გამბედაობა, ნიჭი, სურვილი საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელებისა აღმოჩნდა მათი შემოქმედებითი გამარჯვების საწინდა-რი. მათი ურჩობა წყრომით იყო აღნიშნული ხელმძღვანელობის მიერ სხვადასხვა კინემა-ტოგრაფიულ თავყრილობებზე, მაგრამ „მაღ-ლიდან“ მიღებულ შენიშვნებს ახალგაზრდებ-მა ყური არ ათხოვეს და ძველი მარწუხები გაარღვიეს. დროც გამოიცვალა სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხრუშჩოვის პერიოდის მოკლევადიანი თავისუფლებაც მათ მხარეს აღმოჩნდა...

ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში, როცა კომუნისტური პარტიის XX ყრილობა-ზე გამოააშკარავეს სტალინის სისხლიანი პო-ლიტიკა და იგი „პიროვნების კულტად“ იქნა წოდებული, პირველ ხანებში მიღიონობით პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლეს ე.ნ. „ხრუშჩოვებში“ ათასობით უბინაო დასახ-ლდა, მცირე დროით თავისუფლების სიომ დაბერა, რაც „ოტეპელის“, ანუ გალლობის სა-

ხელითაა ცნობილი, მაგრამ ხრუშჩოვის მმართველობისას, ე.ნ. თავისუფლება დროებითი აღმოჩნდა.

სულ ცოტა ხანში — „მანეუში“ მხატვრებმა აბსტრაქციონისტული ნახატები გამოფინეს, თურმე „ნონასნორობიდან გამოსული ხრუშჩოვი ფეხებს უბაკუნებდა მხატვრებს, ახალგაზრდა პოეტებს და თავს ესხმოდა ხელოვნებას, ამავე დროს კულტურას“.

ხრუშჩოვს მიმბაძველები გამოუჩნდა: ისინი ნამხედურობით, ანგარიშსნორებითათუ კარიერისტული მიზნებით სდევნიდნენ ყოველივე „მემარცხენულს“ და პირადად შეურაცხყოფდნენ ხელოვანთ; მაგალითად, კინორეჟისორ მიხეილ რომს „პროვოკატორს“ უწოდებდნენ, მემარცხენე მხატვრებს და ახალგაზრდა პოეტებს — ბანდიტებს. მათ პოეტი ბროდსკი — უსაქმურად გამოაცხადეს და ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს — (შემდგომ ამერიკაში გახიზნული და ნობელის პრემიის ლაურეატი). ამავე ხანებში აიკრძალა მარლენ ხუციევის ფილმი — „მე ოცი წლისა ვარ“. ოფიციალურ პრესაში პასტერნაკის შეჩვენება და მისი მოღალატედ გამოცხადება დაიწყეს, პოეტი აიძულეს ნობელის პრემიაზე უარი ეთქვა... ხრუშჩოვი სტალინიზმის სახელმწიფო მართვის პოლიტიკას დაუბრუნდა, იმ განსხვავებით, რომ ფიზიკური სიკვდილით არუსწორდებოდა. იგინტელიგენციას სულიერად სპოდა, მძიმე მორალურ ტრამვას აყენებდა. 1963 წლის მარტში იგი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: „ამას წინათ ვნახეთ ერნსტ ნეიზვესტნის გულისამრევი ნათითხნი და აღვმჟოთდით იმის გამო, რომ ეს ადამიანი, რომელსაც, როგორც ჩანს, საბჭოთა უმაღლესი სასწავლებელი დაუმთავრებია, ასე უდიერად უხდის სამაგიეროს ხალხს“.

ერნსტ ნეიზვესტნი, მსოფლიოში ცნობილი მოქანდაკე იძულებული შეიქმნა ამერიკაში გადასახლებულიყო. პარადოქსულია, რომ ქანდაკება „ნოვოდევიჩის“ სასაფლაოზე მას ხრუშჩოვის ქალიშვილმა შეუკვეთა და ნეიზვესტნი იძულებული იყო მისი ბიუსტი აღმართა. „ეს კაცი არც სიცოცხლეში მასვენებდა და არც სიკვდილის შემდეგ“ — უთქვამს ნეიზვესტნის.

ხრუშჩოვმა იკისრა ლიტერატურისა და ხელოვნების მცოდნის მისია, მიუხედავად იმისა, რომ განათლებაში მოიკოჭლებდა. მიხეილ რომი წერს — „იგი ცდილობდა აეხსნა თუ როგორი სახის ხელოვნებაა კარგი და სამაგალითოდ მოიყვანა ისეთი უვარვისი ლექსები, რომ გაგიკვირდებოდათ... როგორც ჩანს, ახალგაზრდობაში დაუმახსოვრებია, მას აქეთ კი სხვა ლექსი არ წაუკითხავს — მაღაროს მუშამ დანერაო, მართალია, მემაღაროელი წერა-კითხის უცოდინარია, მაგრამ კარგი შინაარსიაო.“

ვითარება გაუარესდა და ქანჩების მოჭერადან იწყეს, პრესაშიათავსებდნენ ნერილებს, განმაქიქებელ სტატიებს. მოკლედ, დაიწყო დარბევა.

ცენტრის ამ ქარტეხილმა, რასაკვირველია, საქართველოშიც მოაღწია. ტოტალიტარული სახელმწიფოს ე.ნ. „რესპუბლიკა“ იმავეს იმეორებდა. ეს მორალური დარბევა არ ასცდა სამოციანელ რეჟისორებსაც, მაგრამ მათ სხვა გამოსავალი მონახეს: იგავის უანრს, აგრეთვე, ეკრანიზაციებს მიმართეს. მოკლევადიანმა თავისუფლებამ მაინც იმძლავრა და ცენზურის მარნუხებმა მთლიანად ვეღარ დაჯაბნა ხელოვნება...

თენგიზ აბულაძის შემოქმედება მანამდე არსებული, კერძოდ, ომის შემდგომი და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისის დამასასიათებელი კინემატოგრაფიული ვითარებისუკუმოვლენადდასანინააღმდეგოდგამოხატა. იგი ნებსით თუ უნებლიერ, არღვევდაბელადებზე, მხედარმთავრებზე, სახელგანთქმული პიროვნების სიმბოლურ სტერეოტიპს, როცა საეკრანო თვალსაწიერიდან ჩვეულებრივი ადამიანი თავისი ავეკარგიანობით სრულიად დაიკარგა, როცა იყო კერპი — ლიდერი და მორჩილი ბრბო... ლიდერს არაადამიანური, პიედესტალზე წამოჭიმული ქანდაკების მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, ხალხს, აგრეთვე — არაადამიანური, ანუ „ჭანჭიკისებური“... ორივე შემთხვევაში — ადამიანის ბუნებრივი თვისებები, ანუ ავეკარგიანობა უგულებელყოფილი იყო.

ფილმში — „მაგდანას ლურჯა“ (1955 წ. რეჟ. თ. აბულაძე და რ. ჩხეიძე) წარმოისახა ჩვეულებრივი ადამიანი. რეჟისორებმა ამ გზით ფილმის თვითმყოფადობაც გამოაშუქეს. მათ ადამიანი ყურადღების ცენტრში მოაქციეს, ფსიქოლოგიურად „გაშიფრეს“ და, რაც მთავარია, ეროვნული თვითმყოფადობა წარმოაჩინეს...



„მაგდანას ლურჯა“



ირმა გიგანი

გ უ ს

ჯოგორი ქვები


„მოცახუის პატახა ღა“

ძვირფასო მკითხველო, ჩემს პატარა წერილში მინდა ერთ უნიკალურ ფენომენზე მოგითხოთ. ირმა გიგანი — ქ. ბოლონიის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის „გრანპრის“ — მფლობელი, ვლადიმერ სპივაკოვის ფონდისა და ტელეარხ „კულტურის“, თბილისის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და ა. შ. და ა. შ. უნიკალურობა კი სწორედ იმაშია, რომ ჯერ მხოლოდ 10 წლისაა. „ირმა გიგანი — ირმა გიგანტია“, „მოცარტის პატარა და“, „საქართველოს სითბო და მზე“, „ფენომენი“, „ვუნდერკინდი“ და სხვა. ეს ჩემი შეფასებები არ არის. ყოველი კონცერტისა თუ გამოსვლის შემდეგ ასეთ ბრწყინვალეებით ტეტებს გულუხვად იყენებენ მისი შესრულებით აღტაცებული შემფასებლები.

ჩვენთვის ალსანიშნავია ისიც, რომ ირმა გიგანი პირველი ქართველი ბავშვია, რომელსაც ცნობილმა ტელეკომპანია CNN-მა ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა. პირველი ქართველი ბავშვია, რომელსაც მოსკოვის დიდი თეატრის ორკესტრთან ერთად კონცერტი ჰქონდა პ. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სცენაზე მოხვედრა მსოფლიოში მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

მისთვის განსაკუთრებით ახლობელია მოცარტიდაშობენი. ვინცერთხელმოისმენს ირმას მიერ შესრულებულ ნებისმიერ ნაწარმოებს, გაოცდება ინტერპრეტაციის სილრმით, ფრაზირებით, ემოციურობით. იგი თავისუფლად ფლობს ტექნიკურ სირთულეებს, ნაწარმოების რთულ დრამატურგიულ ქარგას, და, რაც მთავარია, გრძნობს კომპოზიტორს, მის სტილსა და ცდილობს ყოველივე ეს მსმენელამდე ზუსტად მიიტანოს. არ შეიძლება მდელვარების გარეშე მოისმინო მის მიერ შესრულებული ბახი, მოცარტი, შოპენი, სკარლატი, ჰაიდნი და სხვა კომპოზიტორების უამრავი ნაწარმოები. აი, როგორ აფასებს ირმას ზაქარია ფალიაშვილის სახ. მუსიკალური გიმნაზიის დირექტორი ნინო მამრაძე: „მე მანცვიფრებს ამ ბავშვში, ვირტუოზულობასთან ერთად, ფორმის განსაკუთრებული შეგრძნება, რაც, რა თქმაუნდა, მხოლოდ დიდ მუსიკოსებს ახასიათებთ“.

ირმას საოცარი ნიჭი და უნარი აქვს ნაწარმოების აღქმისა. პირადად შევსწრებივარ მის მიერ ნაწარმოების გარჩევას. ეს არ არის ბავშვის მიერ „ფურცლიდან კითხვის“ ჩვეულებრივი პროცესი, არამედ მას თავიდანვე გააზრებული აქვს ნაწარმოების ფორმა, იგი დიდი სიზუსტით სწავლობს ტექსტს და ორჯერ დაკვრის შემდეგ ზეპირად იცის.



ირმა გიგანი ლექსო თორაძესთან ერთად



ირმა გიგანი ბორჯომის ფესტივალზე

ირმა გიგანს დიდი წარმატება ხვდა ნილად ქ. ნიცაში (საფრანგეთი), სადაც მონანილეობა მიიღო ქ. ბესლანის ტრაგედიისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტში. ასევე აღფრთოვანებული დარჩა ქალაქი ანკარა, სადაც 9 წლის ირმამ პრეზიდენტის სახელობის ორკესტრთან ერთად შეასრულა მოცარტის საფორტეპიანო კონცერტი.

2005 წელს საერთაშორისო ფესტივალზე „ხელოვნების ზეიმი“, რომელსაც დიდი მუსიკოსი, მევიოლინე ლიანა ისაკაძე მართავს, ირმა გიგანი მონანილეობდა პროგრამით კონცერტში, სადაც მიწვეული იყვნენ ორი ფრანგი მევიოლინე რუდინი, რევიჩი და ერთი ქართველი პიანისტი ირმა გიგანი. კონცერტის სახელწოდება იყო „ნიჭიერი ბავშვები მსოფლიოდან“. კონცერტის შემდეგ ქალბატონმა ლიანამ აღფრთოვანება ვერ დამალა, ბავშვის საოცარი და უნიკალური ნიჭის გამო.

2006 წლის აპრილში კი თბილისის კონცერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მან ასევე შეასრულა მოცარტის საფორტეპიანო კონცერტი. ორკესტრს შვეიცარიელი დირიჟორი — ნიკოლას რაუსი ხელმძღვანელობდა. პირველივე რეპეტიციაზე დირიჟორმა ირმაზე იხუმრა: „ფენომენალურია, მე რომ ასე ვუკრავდე, დღესვე დავანებებდი დირიჟორობას თავსო“. კონცერტი კი ირმა გიგანის ნიჭის დემონსტრირების ნამდვილი აპოთეოზი იყო. მოცარტის კონცერტი 23 ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის შესრულების დიდ ოსტატობას მოითხოვს, როგორც ტექნიკურად, ასევე მუსიკალური ფრაზირების თვალსაზრისით ირმამ საოცარი ოსტატობით გადმოსცა კონცერტის დრამატურგიული ქარგა. ის ბოლომდე ჩასწვდა მოცარტის ფაქიზსა და, ამავე დროს, რთულ კონცეფციას, რაც მაქსიმალური სიზუსტითა და სილრმით მოიტანა მსმენელამდე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ირმა გიგანის ნაწარმოების გააზრების თავისებური მანერა, ინტერპრეტაციის ორიგინალური და ლრმაუნარი, ანსამბლის საოცარი შეგრძნება. იგი უკვე ჩამოყალიბებული ხელოვანია, რომელსაც დაუსრულებლად შეიძლება უსმინო. ასეთი გრანდიოზული კონცერტის შემდეგ, კიდევ უფრო გაკვირვებას იწვევს მის მიერ ბისზე შესრულებული შოპენის ნოქტიურნი 19. ირმამ ზუსტად გახსნა ნაწარმოების უფაქიზესი შინაარსი, ეპოქალური განსხვავება მოცარტსა და შოპენს შორის მკაფიოდ და გააზრებულად წარმოაჩინა.

მინდა, ამონარიდის სახით მოგანოდოთ კონცერტის შემდეგ ირმა გიგანის შესახებ მუსიკალური საზოგადოების წარმომადგენლთა შთაბეჭდილებები:



ირმა გიგანი ანკარის ფესტივალზე



ირმა გიგანი ლიანა ისაკაძესთან და ჯანსულ ჩარკვიანთან ერთად

ნიკა მემანიშვილი (კომპოზიტორი, ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი): „ირმა გიგანი გამორჩეული ბავშვია. ჩემი ვალია, ირმას მოემსახუროს ჩვენი ეროვნული ცენტრი. დირიჟორი მოხიბლულია ირმათი, მას სამომავლო წინადაღებებიც შესთავაზა. ირმას გვერდით ჰყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც სწორად და გონივრულად აყალიბებენ მის შემოქმედებით ზრდას, მასში ავითარებენ სილრმესა და მონინებას თავისი პროფესიისადმი. დიდი იმედი მაქვს, რომ ირმა გამოჩენილი მუსიკოსი იქნება, და დარწმუნებული ვარ, იგი დიდ სიხარულს მოუტანს თავის ქვეყანას“.

ედგარ დავლიანიძე (პროფესორი): „შესანიშნავი ბავშვია, ნიჭიერი, მუსიკის არაჩვეულებრივი შეგრძნება აქვს. დიდი ხანია ვაკვირდები ირმას და ძალიან მახარებს მისი წინსვლა, შემოქმედებითი მიღწევები, მისი პროფესიული დაოსტატება სწორ გზაზეა. მე მჯერა, რომ მას ძალიან დიდი მომავალი აქვს“.

დოდო გოგუა (მუსიკისმცოდნე, პროფესორი): „ირმა ნამდვილი ვუნდერკინდია, მას უჩვეულოდ მომნიဖებული აზროვნება აქვს, საოცრად მუსიკალურია, მისთვის ტექნიკური სიძნელეები არ არსებობს. მას აქვს უნარი ნაწარმოების მთლიანი დანახვისა, რაც მისი ბუნებრივი ნიჭია, ინტელექტია, სულიერებაა და ტემპერამენტი, რომელიც ყოველთვის იგრძნობა მის შესრულებაში. ირმას სახით ჩვენ გვყავს მომავალი დიდი მუსიკოსი, რომელიც

ასახელებს ქართულ საფორტეპიანო სკოლას და შორს გაიტანს თავისი ქვეყნის სახელს“.

ამას წინათ, კონსერვატორიაში მასტერკლასებს ცნობილი ქართველი პიანისტი ეთერანჯაფარიძე ატარებდა (როგორც ცნობილია, ქალბატონი ეთერი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობს). ერთ-ერთი ასეთი ლია გაკვეთილისთვის მან ირმა აირჩია. უნდა ითქვას, რომ ქალბატონმა ეთერიმ ვერ დამალა აღფრთოვანება ბავშვის უნიკალური ნიჭის გამო, რაც გაკვეთილის მიმდინარეობის დროსაც ნათლად ჩანდა.

მაისის თვეში ირმა სოლო კონცერტით ნარსდგება თბილისელი მაყურებლის წინაშე. ივნისის თვეში კი იგი მიწვეულია მოცარტის ფესტივალზე ქალაქ ვენაში. ეს ჯერ-ჯერბით ...

ვუსურვებ ირმა გიგანს შემდგომ დიდ წარმატებებს. ამაში ნამდვილად ეჭვი არ მეპარება, რადგან მის გვერდით, ოჯახთან ერთად, ისეთი პედაგოგი და მუსიკოსი დგას, როგორც მაია ნარიმანიძეა. დაბოლოს, ეს წერილი მოცარტის სიტყვებით მინდა დავამთავრო, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ანერდეს ხელს ირმა გიგანი:

„არ შემიძლია ჩემი გრძნობებისა და ემოციების გამოხატვა ფერებსა თუ ლექსებში, რადგან მე არც პოეტი და არც მხატვარი ვარ. მაგრამ ეს შემიძლია ბეგერების დახმარებით, იმიტომ, რომ მუსიკოსი ვარ“.



ქართველი

დასტურა

ფინანსის აციმის

სხვადასხვა მხატვრულ ეპოქაში სხვადასხვა დეფინიციას აძლევენ ხელოვნებას, მაგრამ თითქმის ყოველთვის რჩება რაიმე უთქმელი, ბოლომდე ვერთქმული ან საერთოდაც სიტყვებს შორის დაკარგული. და მარადიული კითხვა „რა არის ხელოვნება“ კვლავაც უპასუხოდ რჩება. ერთ-ერთი ასეთი, ნაკლებინტელექტუალური თუ მეტად თავისუფლადინტერპრეტირებულიგანსაზღვრებით, ხელოვნება ამ სამყაროს საზღვრებს იქით არსებული რეალობის გადმოცემაა. ამ ნარმოდვენის მიხედვით, ხელოვანი ჩვენი სინამდვილის – ხილული სამყაროსა და მის მიღმა არსებული, უბრალო მოქვდავთათვის უხილავი ზერეალობის ზღვარზე მდგომი, განსაკუთრებული მგრძნობელობით დაჯილდოებული ადამიანია, რომელსაც პრომეთეს მოპარული ცეცხლივით მოაქვს ჩვენამდე რაღაც რთულად მისაწვდომ-მოსაპოვებელი. ეს თავისებური მისტერიალური აქტია, რომლის

მთავარი ალქიმიაც უხილავის მხატვრულენაზე „გადათარგმნა“, მისთვის იმ ერთადერთი, შესაფერისი მხატვრული ფორმის პოვნაა, რომელიც მთავარ იდეას დაიტევს. მაგრამ ამისათვის განსაკუთრებული სენსუალობის ავტორია საჭირო, მედიუმი, რომელიც ჭეშმარიტების უკეთ ასამეტყველებლად საკუთარი პიროვნული „მეს“ მდუმარებაზე, უსახელო მორჩილებაზეა თანახმა.

უკანასკნელი რვა საუკუნეა ხელოვანი ამ უთქმელ პირობას აღარ არის ყაბულს, საკუთარი პიროვნული „მე“ გაცილებით მეტად ეძვირფასება, ვიდრე ხილულის მიღმა არსებული ჭეშმარიტება, ხელოვანი საკუთარ რეალობას ამკვიდრებს და პასუხისმგებელიც მხოლოდ მასზეა, საკუთარი შემოქმედებისათვის მთავარი რესურსი სწორედაც თავად ავტორია. ჩვენს, სუბიექტივიზმით გაჯერებულ, პოსტსტრუქტურალისტურ ეპოქაში ამგვარი მიდგომა ხელოვანის პოზიციადაა ქცეული. ამიტომა, რომ შემოქმედებაზე საუბრისას ფოკუსში სწორედ ავტორი ექცევა. რა მიმართულებითაც არ უნდა წავიკითხოთ მის მიერ შექმნილი „კულტურული ტექსტი“ — მხატვრისგან შემოქმედებისაკენ თუ პირიქით — ჩვენ მაინც ავტორს „კითხულობაზე“ პირველრიგში. დეშიფრირების მთავარი მიზანი და, წარმატების შემთხვევაში, მაქსიმალური შედეგი კონკრეტული სუბიექტური სინამდვილის დადგენა, უკეთ გაცნობა, დაბოლოს, გაზიარება-არგაზიარება შეიძლება იყოს. სამაგიეროდ, თავად ეს პროცესი უდაოდ სასიამოვნო, ხშირად, აზარტულიც კია.

ამჯერადაც სწორედ ასეა; ჩემს ფოკუსში მხატვარი გია გუგუშვილი და მისი მხატვრული სამყაროა. საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი გზის განმავლობაში, გია გუგუშვილის შემოქმედებამ განვითარების სხვადასხვა ეტაპი გაიარა და რამდენჯერმე იცვალა სახე. მხატვრულ ეტაპებს შორის არის მსგავსება, გაცილებით მეტი კი განსხვავებაა. თუმც შემოქმედების ყველა ეტაპზე ნარჩუნდება ერთი თვისება — ნამყვანი ფერწერული საწყისი და ფერწერის ტრადიციის კარგი ცოდნით მიღწეული ოსტატობა. უკანასკნელი პერიოდის მრავალშრიანი, მრავალფენიანი ფერწერული ტილოები სახვითი საშუალებების მინიმალური გამოყენებით შექმნლი, ნახევრად აბსტრაქტული კომპოზიციებით, განსაკუთრებული არტისტიზმით გამოირჩევა დაძალიან თანამედროვედ გამოიყურება. მაგრამ ამ ფერწერული სამყაროს ისტორია სხვაგვარად დაიწყო.



გია გუგუშვილის ადრეული ხანის, 1980-იანი წლების დასაწყისით დათარიღებული ნამუშევრები გამოსახულებისადმი მეტი მორჩილებით გამოირჩევა. მოზრდილი ზომის კომპოზიციებში ნარატიულობისადმი მიდრეკილებაც აშკარად იკითხება. რამდენიმე ფიგურიან სცენებში, ჩვეულებრივ, მისტიკური ელფერის მატარებელი მოქმედებაა გაშლილი, უცნაურად გარინდებული, მდუმარე პერსონაჟები თითქოს მისტერიალური აქტის მონაწილენი იყვნენ, შეთქმულებივით მხოლოდ უხილავ, გარეშე პირისათვის კი (ამ შემთხვევაში, მნახველისათვის) ცხადად შესაგრძნობ შინაგან კავშირს ამყარებენ ერთმანეთთან. მუდერი, ცოტათი კონტრასტული ფერებით მხატვარი დრამატული ულერადობის შემოტანასაც არ ერიდება, თუმც ზღვარგადასულ დაძაბულობამდე არასოდეს მიჰყავს საქმე. იგივე პერსონაჟები კიდევ უფრო მეტ გამომსახველობას იძენენ ერთფიგურიან კომპოზიციებში, სადაც ყველასა და ყველაფერს მიღმა მიჰყრობილი მზერა, საკუთარ თავში ღრმად წასული ქალის ფიგურები იდუმალების განცდას უტოვებენ მნახველს. ნამუშევარში „ფეხმძიმე ჩიტებზე მონადირე“ ამას სიუჟეტით შემოტანილი ახალი კონტექსტი ემატება. მუცელზე ხელებდაწყობილი ქალი, სადღაც შიგნით ჩაძირული მზერითა და თავზე შედგმული გალიით, ორსულობის საოცარი ფენომენის პერსონიფიკაციას ჰგავს. ჩიტებზე მონადირეობა სულზე მონადირეობის სიმბოლოდ გადაიქცევა და ჩიტის ბუდეში ჩაწყობილი კვერცხების გამოსახულებასთან ერთად, დამატებით ქვეტექსტს სძენს ნამუშე-

ვარს. ფიგურატიულობა, სიმბოლიზმი, თხრობითობა, კომპოზიციის მისტიკური ელფერი თუ კონტექსტი გია გუგუშვილის ამ ხანის შემოქმედებას 80-იანი წლების ქართული, ნეორომანტიზმის ნიშნების მატარებელი თემატური მხატვრობისადმი კუთვნილებაზე საუბრის უფლებას გვაძლევს.

80-იანი წლების ბოლოს, გია გუგუშვილის ფერწერული გამაუფრო თავშეკავებული, შეიძლება ითქვას, მონოქრომულიც კი ხდება. სამაგიეროდ, წინა პლანზე მოდის ფაქტურა. ფაქტურისადმი გამძაფრებული ინტერესი აშკარად ჩანს შემდეგი პერიოდის ნამუშევრებშიც. ერთი ან ორი ფერის გრადაციით, რთული მონასმებითა და თითქოს ბავშვური, გაუწაფავი ნახატით შესრულებული კომპოზიციები ცალკე ეტაპს ქმნის გია გუგუშვილის შემოქმედებაში. კლასიკური გაგებით გამოსახულება თანდათანობით ქრება, მას ბავშვის „ნაჯღაბნის“ ტიპის, ხშირად გაუგებარი გამოსახულებები ენაცვლება. ქრება ფორმები, სამაგიეროდ, მკვიდრდება თემა, ნამუშევრის ორიგინალურ სახელწოდებაში ჩატეული სიუჟეტი. ავტორის მიერ მსუბუქი იუმორით მონოდებული სათაურები გულწრფელ დიმილს ჰგვრის მაყურებელს და ერთიორად ზრდის მის სიმპათიას სურათის მიმართ. ნამუშევართა სერია „მატარებელზე დაგვიანებული მგზავრის სიზმარი“, სადაც სხვადასვა ფაქტურულ ფონზე, ბავშვური ნაკანრის სახით, მხოლოდ მარტივად მინიშნებულ ლიანდაგს ხედავს მნახველი, ყველაზე მეტად სწორედ სახელწოდების ორგინალობითა და ამ სახით,




ავტორის მიერ მაყურებელთან გაბმული ენა-
კვიმატი „დიალოგით“ ტოვებს შთაბეჭდილე-
ბას. ამდენად, მოცემულ ეტაპზე გია გუგუშ-
ვილის შემოქმედებაში შემოდის ე.ნ. თამაშის
ელემენტი, მხატვრის მიერ ნამუშევრის სა-
ხელნოდებით, როგორც მაყურებლისათვის
ნასროლი რეპლიკა-რე-მარკით თამაშის მო-
მენტი. ფერწერის ტრადიციის კარგი მცოდ-
ნე მხატვარი, უფრო მეტიც, ფერწერი, თანა-
მედროვე არტისტისტად გარდაისახება, იგითემე-
ბითა და სახელნოდებებით იწყებს თამაშს.

დღესდღეობით გია გუგუშვილის მხატ-
ვრობა მეტი ლაკონიზმისა და მინიმალიზ-
მისკენ ისწრაფვის. გამომსახველობითი სა-
შუალებების მაქსიმალურად შემცირება და
ფორმის სიმარტივე გია გუგუშვილის ფერწე-
რის ძირითადი მახასიათებლებია. ნათელი
ფერის საღებავით მთლიანად დაფარული,
დიდი ზომის ტილოები ფერწერული ნერის
საექსპერიმენტო დაზგას ჰგავს. ერთი შეხედ-
ვით, მარტივად, ერთ სქელ ფენად დადებული
საღებავის ქვეშ მთელი წყება ფერწერული
ფენაა. მნახველისათვის ხილული ფერის ნარ-
მოაებაში ძალიან ბევრი, მისთვის სარჩულად
დადებული ფერი იღებს მონანილეობას. აქე-
დან იკრებს ფერი ძალას და განსაკუთრებუ-
ლი სისავსისა და სიღრმის განცდას ტოვებს
მაყურებელში. გამოსახულება კი გრაფიკული
მანერით, სწრაფ-სწრაფი, უნესრიგოშტრიხე-
ბით, ნაკანრებითა და ფერადოვანი ლაქებით
იქმნება. ამ მხატვრული მეთოდებით შექმნილ
ნამუშევართა სერიაში განსაკუთებით გამო-
ირჩევა ფლეიტისტის თემა. ფლეიტისტის თე-
მა ერთ-ერთი უადრესია მხატვრისათვის, იგი



სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტენსივობით
გვხვდება გია გუგუშვილის შემოქმედებაში,
ამჯერად კი, როგორც ჩანს, ერთპიროვნულ
გამარჯვებულად გვევლინება. თავად მხატ-
ვრის ერთ-ერთი ბოლო დიდი ნარმატება კი,
2007 წლის დუბაის „არტ სიმპოზიუმში“ მი-
ღებული ჯილდო — ფერწერის დარგში აღე-
ბული | პრიზია. ვფიქრობ, სავსებით კანონ-
ზომიერია, რომ | პრიზი ფერწერაში ერგო
მხატვარს, რომლის შემოქმედებითი CREDO
სწორედ ფერწერის მთავარი საწყისების მაქ-
სიმალურად გამოვლენაა.





კაშვანის ჩაბიროთი

არ ვიცი, უნდა მოგიყვეთ თუ არა, რას განიცდის მხატვარი, როცა მასზე წერენ, აინტერესებთ, უყვართ ან ნახატს იძენენ (ყიდულობენ).

არ ვიცი, უნდა მოგიყვეთ თუ არა, სახელოსნოს ცარიელი კედლები წარმატებაზე მეტყველებს თუ მონატრებაზე.... არ ვიცი...

ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება „ნატურმორტით“ დაიწყო: სკამზე დაფენილი რუხი ფონი, თეთში, კიტრი და ხახვი... 1967 წელია(!) ეს ნახატი კედელზე კიდია—დრო გაჩერებულია!

ბოლო ნამუშევარი „საქსაფონისტის შავთერი ჯაზია“ 2007წ.

პირველი ოცნება: ნამდვილ მხტვრებთან ერთად ნახატი გამომეფინა გალერეაში. (იმსანად ერთადერთი გალერეა რუსთაველზე იყო). ეხლა კი ვფიქრობ, ჯერ ვენაში ნავიდე თუ თბილისში გავაკეთო გამოფენა(?)

მინიმალიზმით გატაცება: ცოტა გამიგრძელდა, თუმცა ამბობენ, ადამიანი ასაკში ძალიან იცვლება, ბრძენდება(?) და ფილოსოფიურ ჭვრეტას იწყებს — ემოციის ფრქვევა უფრო გამიზნულია, სიჩუმე-გარინდებაა-გრძნობათა „სიძუნნე“, ჩემთვის ესაა მინიმალიზმი!

რაღაც უცნაური პერიოდიც მქონდა: პალიტრაზე ყვითელი ფერი საერთოდ არ მესხა(!) ანუ ნაცრისფერი პერიოდი... 2-3 წელი გაგრძელდა.

შემდეგ კი 1983 წელი ოქროსფერის შემოსვლა (შეიძლება ყვითელიც კი) ძლიერი, აქტიური იმპულსები-მინიატურებით და აღმოსავლური მხატვრობით გატაცება და ჩემი მეგობრები... დღეს მთელ ქვეყანაში ცნობილი მხატვრები, უფროსები და უმცროსები, 80-იანები და 50-იანები...

პირველი სამსახური მხატვრის სახლში!

დრო სწრაფად გადის!

ეხლა მხატვრები კარჩაკეტილები გახდნენ — თუ მიაღწიეს სიმარტოვეს? მაგრამ ჩვენ მაინც ერთად ვართ! დაბოლოს: შემოქმედება უმშვენიერესილაბირინთია, საიდანაცარასოდეს არ ღირს გამოსვლა!...





1914.

წიგნის ცემობი

სამართლებრივი კურსი

ჩვენი და პოსტი

ამ წერილის საგანი არ არის გამოირკვიოს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ხელოვნებასა და რევოლუციას შორის; არც ის, თუ როგორ მოქმედებს ხელოვნებაზე რევოლუციის პროცესი, არც მისი შედეგების აღნიშვნა. ეს საგანი წინათაც და განსაკუთრებით ახლა დიდ ყურადღებას იქცევს და მოკლე დროში ამის შესახებ მთელი მონოგრაფიებიც დაიბეჭდა. არასდროს ამ საკითხს არ მისცემია მეტი გამნვავება და არასდროს ის არ ყოფილა ისე გადაჭრით დაყენებული, როგორც დღეს. რუსეთის რევოლუცია ამ საკითხის გადაჭრისთვის დიდ მასალას იძლევა და უფრო მეტს კიდევ შემდეგში მისცემს თავისი პრაქტიკით და გამოცდილებით. ამ წერილის საგანია აღნიშნოს, როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ საზოგადოდ პოეტები რევოლუციასთან, შეიძლება

ამ საგნისთვის ჯერ განსაკუთრებით არავისა მიექციოს ყურადღება, ყოველ შემთხვევაში ის წიგნები, რომელნიც მე აქამდე ნამიკითხავს, არ აღნიშნავენ ამას. არ იქნება სრული პარალელი იმის მტკიცება, რომ ყოველი დროისა და ყველა ქვეყნის პოეტები ყოველთვის იდგნენ რევოლუციის მხარეზე და ბევრი პოეტიც სამუდამოდ ყოფილა შთაგონებული რევოლუციის ცეცხლით, და რომ ამ რევოლუციის ქარიშხალი მათი პოეტური სტიქიისთვის დიდი სტიმული ყოფილა. თავი რომ დავანებოთ ანტიკურ ქვეყანას, რომელმაც არ იცის რევოლუციის მაგალითი თანამედროვე გეგმით, იქაც შევამჩნევთ ერთ ტენდენციას, რომელიც შემდეგში უფრო გარკვეულ ხასიათს მიიღებს და ადასტურებს ჩვენს მიერ ნარმოდგენილ თეზისს.

ანტიკური ქვეყნის პოეტები ოპოზიციაში უდგნენ თანამედროვე საზოგადოებას და მთავრობას და მთელი თავისი შეგნებით ცდილობდნენ არსებული ყოფის ფორმების გარდაქმნას. ეს ტენდენცია კი, როგორც შემდეგში დავინახავთ, გაიხსნება რევოლუციაში. ამიტომ ეს პოეტები ყოფილან დევნილნი როგორც ფილისტერი საზოგადოებისაგან, ისე მთავრობისგან. უმთავრესად ამის მაგალითს იძლევიან რომის პოეტები. მე არ ვიცი, თანამედროვე რევოლუციის რომელი პოეტი გაუძლებს იუვენალის შხამიან სატირას და მის აღმფოთებულ სარკაზმს. ამიტომ არის, რომ ბევრ უცხო ანთოლოგიებში, რომელშიც მოქცეული არიან მებრძოლი პოეტები, იუვენალს ყოველთვის დიდი ადგილი უჭირავს.

უფრო უახლოეს დროშიც შეიძლება ამის დამტკიცება ისეთი დიდი პოეტების მაგალითით, როგორიც არიან დანტე და ბაირონი. დანტე, რომლის გაჭედილმა ლექსმა გაუძლო ამდენ საუკუნეს, დევნილი იყო თავისი სამშობლოდან და უცხოელთა კარზე ხეტიალში ლევდა თავის სიცოცხლეს; ამიტომ არის, რომ ასე გასაოცარი გულწრფელობით გამოიტირა მან ემიგრანტების სიმწუხარე. მისი იდეალი კაცობრობისა ვერ ურიგდებოდა თანამედროვეთა ვიწრო ეგოისტურ შეგნებას. უფრო მეტის დამატებიც ბეჭდია ლორდ ბაირონის ცხოვრება და პოეზია. ბაირონი ნარსულ საუკუნეში ბაირობი იყო რევოლუციისა და ამბოხების, მასაც ნილად ხვდა სამშობლოდან განდევნა, — ინგლისი ვერ ურიგდებოდა მის მებრძოლ ტემპერამენტს. დიდხანს დარჩება უკეთილშობილეს ლეგენდად ბაირონის სიკვდილი ბერძენ ინსურიგენტებში, რომელთაც ააფრიალეს აჯანყების დროშა დესპოტური ოსმალეთის წინააღმდეგ. თითქმის ბაირონივით მღელვარედ გაატარა თავისი ცხოვრება მისმა თანამედროვემ და ინგლისის უზენაესმა პოეტმა პერსი ბიში შელიმ: ისიც განდევნილი იქნა ინგლისიდან, როგორც პროტესტანტი და ემიგრანტობაში შესწყდა უდროოდ მისი სიცოცხლე. შელის „განთავისუფლებული პრომეთე“ და „ირლანდიისადმი“ დიდხანს დარჩება მებრძოლი პოეზიის შედევრად.



საქართველოს მნერალთა სასახლის ბაღში. მარცხნიდან მარჯვნივ: ლეო ქიაჩელი, პაოლო იაშვილი,
ტიციან ტაბიძე, ვალერიან რუხაძე, უცნობი, კოტე მარჯანიშვილი

განა მარტო ბაირონი და შელი, ან შილერი, რომლიც აგრეთვე ცნობილია გერმანიის მნერლობის სახელოვანი პერიოდის „შტურმ უნდ დრანგის“ დამწყებად, — ისეთმა კონსერვატორმა პოეტმაც, როგორიც არის გოეთე, თავისი „მეტამორფოზებით“ პირველმა ჩაუყარა საფუძველი ევოლუციონიზმს, რომელიც შემდეგში ეპოქის მამოძრავებელი შეიქნა. შექსპირი ცხოვრობდა დედოფლის სასახლეში და თითქო მონარქისტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავის ნანარმოებებში იძლევა სანინაალმდევო შეგნებას და ლიტერატურის ბევრი ევროპიელი მეისტორიე იმ აზრისა არის, რომ შექსპირის იდეალი ადამიანისა და მისი პუმანიზმი უსწოროა მსოფლიო ლიტერატურაში. და განა პიპერბოლა იქნება იმის თქმა, რომ სერვანტესი თავისი „დონ კიხოტით“ უფრო რევოლუციურია, ვინემ ყველა ესპანელი ბომბისტი ანარქისტი ერთად შეკრებილი? ვოლტერი ერთ დროს დროშა იყო სკეპტიციზმისა და ათეიზმის ... უკანასკნელ დროს, როცა რევოლუცია თავის თანამედოვე სახით გვევლინება, განა ფრანგი პოეტები არ იბრძოდნენ ბარიკადებზე? ბარიკადებზე იბრძოდა შარლ ბოდლერი, უდიდესი ინდივიდუალისტი და დამწყები სიმბოლიზმის სკოლისა; ბოდლერივე სცემდა გაზეთ „ბარიკადს“ რევოლუციისას ყველაზე უფრო საგმირო დროს; პარიზის კომუნის დროს კომუნარებთან ერთად იბრძოდა რემბო და ვერლენი; რემბოს „დასახლებული პარიზი“ შედევრია რევოლუციური პატოსის და რემბოს იქითხომ ვერარ ნასულა პოეზია. და როგორც გვირგვინი ამ რევოლუციის პოეზიისა, როგორც უზარ-

მაზარი გოტიური ტაძრის ზარი, რევოლუციის დაფიდაფს სცემს ვიქტორ ჰიუგო, ეს ყველაზე დიდი და ყველაზე ნაციონალური პოეტი საფრანგეთისა. უახლოეს დროს ემილ ვერპარნი თუკის ლექსში აქანდაკებს ქალაქს. მისი პოეზია გამართლება რევოლუციისა და აჯანყებისა. საფრანგეთის რევოლუციის პოეტმა და კომუნარმა ეუენ პოტიემ შექმნა „ინტერნაციონალი“.

რუსეთის მნერლობა ყველაზე უფრო დამტკიცებელია ამ თეზისის. რუსეთის ახალი მნერლობა თითქმის რადიშჩევიდან ინყება და, რადიშჩევიდან დაწყებული, ყველა რუსი პოეტი ამტკიცებს თავის მებრძოლ ტემპერამენტს.

პუშკინი ამბობდა: „Вслед за Радищевым прославил я свободу“.

პუშკინის ცხოვრება ერთი გამნევი ოპოზიციაა ნიკოლოზ პირველის ოფიციალური მეშჩანობისა და ბეკენდორფის უანდარმერიის ნინაალმდევ. ამას მოსდევს მცირე რიგი უკეთილშობილესი რუსი ინტელიგენციისა და პოეტი დეკაბრისტებისა, რომელთა ნუებას ამთავრებს პოეტი რილევი და უდიდესი მოაზროვნე პ. ჩაადაევი. ყველასთვის ცნობილია აგრეთვე მ. ლერმონტოვის ხანმოკლე, მაგრამ მშფოთვარე პოეზია, რომელიც ბრძოლისათვის ამზადებდა მთელ თაობებს. ლერმონტოვს მოსდევს რისხვიანი და შურისმაძიებელი ნეკრასოვი, რომელმაც რუსული მტანჯველობით გამოიტირა რუსი ხალხის ბედი; შემდეგ პოლონეკი, რომლის ერთი საუკეთესო ლექსია „სოფია პეროვსკაია“.



პაოლო იაშვილი, ბორის პასტერნაკი და
ტიციან ტაბიძე

რუსული პოეზიის ლიბერალიზმი ისეთ კურიოზამდე მივიდა, რომ ლიბერალობდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე რომანვი, მხოლოდ იმიტომ, რომ იყო პოეტი კ-რი.; თუ ეს მებრძოლი პოეზია რუსეთის პოეზიის ტრადიცია იყო მეოცე საუკუნემდე, თვით უკიდურესი დეკადენტები და ინდივიდუალისტებიც ჩვენი დროისა — ბლოკი და ბრიუსოვი აგრძელებენ ამ ტრადიციას. ვალერი ბრიუსოვის „ხანჯალში“ არის ისეთი სტრიქონები, რომელიც შეიძლება ეპიგრაფად დაენეროს საზოგადოდ პოეზიას:

Он вырван из ножен и блещет вам в глаза,
Как и в былые дни, отточенный, острый;
Поэзия — с людьми, когда шумит гроза,
И песня — с бурей — вечно сёстры.

თებერვლის რევოლუციის დროს მოსკოვის რუსულ გაზეთებში პირველი მანიფესტით — ლექსით გამოვიდა ვ. ბრიუსოვი. დეპეშებს პეტერბურგში მომხდარი ამბოხების შესახებ წინ უსწრებს ლექსები. ვალერი ბრიუსოვი დღესაც ითვლება მთელი საბჭოთა რუსეთის „ლიტოს“ გამგედ. ამავე სკოლის პოეტმა ალ. ბლოკმა დასწერა თავისი „თორმეტნი“ და „სკვითები“ — ეს უკანასკნელი რუსეთის რევოლუციის აპოლოგია. ყველაზე უფრო მემარცხენე ჯგუფი თანამედროვე პოეზიისა — ფუტურისტები, მაიაკოვსკის მეთაურობით დგანან რევოლუციის ფრონტზე, მაიაკოვსკი დღეს უკეთესი პოეტია რუსეთში და მისი შემოქმედება თითქმის სულ შეენირა რევოლუციას.

საქართველოშიც სრულ ანალოგიებს ვხედავთ. ქართული მწერლობა თითქმის რუსთაველიდან იწყება და რუსთაველი დღემდე ინახავს ჰუმანიზმის სახეს. მის იდეებს თანასწორობისა და შრომის შესახებ დღესაც ისევე იყენებენ საქართველოში, როგორც სახარების ტექსტს. რუსთაველიც ვერგადაურჩათანამედროვეთა დევნას, კლერიკალებმა დასწეს მისი ნიგნი. და, გადმოცემით, მანაც იძულებითს ემიგრანტობაში დალია სული.

რუსთაველის მსოფლმხედველობა ამარ-ტობა თლებს როგორც პოეზიის პრინციპებს, ისე იმ თეზისს, რომელიც ამ ნერილშია ნამოყენებული. რუსთაველის შემდეგ პოეტებად გამოდიან მეფეები; ამ პოეტებზე შეიძლება ითქვას ის, რასაც ამბობდნენ ლუდოვიკ ბავარიელზე: ისინი იყვნენ თავისი თავის ოპოზიცია. მეცხრამეტე საუკუნეში პოეზია აკაკიმ და ილიამ ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად აქციეს. თითქმის საყოველთაოდ მიღებულია ისეთი აზრი, რომ მათ პოეზია მსხვერპლად მიუტანეს ამ მიზანს. აკაკის ხალხურობა დამტკიცებულია ყველასთვის.

მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ შექმნა მთელი იდეოლოგია შრომის განთავისუფლების პრინციპის. ისტორიისთვის დაუფასებელია აგრეთვე მისი ლექსი „კომუნის დამარცხება“. აქ არის გადმოცემული თანამედროვის მთელი აღმფოთება კომუნის თავგანწირული გმირების დამარცხების გამო. ქართული პოეზია რომ აგრძელებს ბრძოლის ტრადიციას, ეს აშკარაა, ქართველი პოეტები ასე ფიქრობენ: ეროვნული თავისუფლება დამოკიდებულია სოციალურ განთავისუფლებაზე, და რევოლუციის დაცვა ერის, ეროვნული იდეის დაცვააა, რადგან შრომის განთავისუფლებასთან ერთად განთავისუფლდება ერიც.




გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე და
ტიციან ტაბიძე

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა პირველი ცდა ხდება სოციალური გარდაქმნის, და ამას აქვს ოთხი ნლის ისტორია, შეიქმნა სრულიად ახალი — „პროლეტარული პოეზია“.

უნდა ითქვას, რომ პროლეტარული დიქტატურის დროს იქმნება კულტურის ახალი პერიოდი. რა სახეს მიიღებს შემდეგში ეს კულტურა ან რით განსხვავდება ნარსული კულტურისგან, ამაზე შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ლაპარაკი. დღეს ეს მხოლოდ შემოქმედების პროცესშია. ალბათ სხვა დროს ეს ახალი კვლევის საგანი იქნება.

1921 ნლის 20 ოქტომბერი, თბილისი.



ქართველი

ქართველი

რომ რუსთაველი

წუხელ, სიზმარეთში ბებერ ალავერდთან,
ხალხის სახელი და სახე,
მზეთა პოეზიის ერთი მამალმერთი
ორი რუსთაველი ვნახე.
უცებ... სპა მოსდგამდა დაფს და ნალარასა
სრულიად სააქაოს მხრიდან.
ერთგან ტახტს მითმობდა ბრძენი როსტევანი,
ერთგან — ტახტის გამო მღრღნიდა.
უცებ საქართველო უფრო დიდი იყო,
მაგრამ იმდენადვე მცირე,
ერთგან ვეფხვს ჰქოცნიდა შმაგი ტარიელი,
ერთგან მიდენიდა ვირებს.
უცებ... საქართველო უფრო უხვი იყო,
მაგრამ იმდენადვე ხარბი,
ერთგან ავთანდილი ხელჭუჭყს მიღნაოდა,
ერთგან ამღერებდა ბარბითს.
უცებ... საქართველო უფრო მეტი იყო,
და მამაძალლობაც მეტი,
სულ ფეხზე ეკიდა მულდანზაროელს
შენი გულანშაროს ბედი.

ალარც უცხო მოყმის ძებნა რაინდული,
ალარც ცხრა მთას იქით წასვლა,
ფატმანს ულრიჯოდა შენი ავთანდილი
ქაჯთა დაცალენვის ნაცვლად.
მტერი მიდიოდა... მტერი მოდიოდა,
ყოვლით და ყოველი მხრიდან,
იგი, მეორე შოთა რუსთაველი,
პირველს ძიძგნიდა და თხრიდა.
უცებ გამეღვიძა... შიშის სასთუმალზე
ცრემლის ცხელი კონა დავდე,
ლმერთმა დაგვიფაროს, ლმერთმა,
საქართველოს
ორი რუსთაველი ჰყავდეს!

რველი გაკვათილები

რომ მსახურებ, — ვის მსახურებ,
ვის ტახტს ვარცხნი,
ვის სოფელში ნვები...
უპირველეს! —
უნდილაძე გაიხსენე,
უნდილაძის უპატრონო ძვლები.
ჩანგის მეფე გაიხსენე!
ჩალმის ფარფლი თავსამკაულს ზედან,
სპარსის ენით გაბანგულმა და მღერალობა,
და... ისპაპანს დაგლეჯილი დედა.
მოურავიც გაიხსენე!
გულმძვინვარე ხმალ-ხაფი და კვერთხი,
დაცამხობილ ტახტებსა და სატახტოებს,
შაჰს და ხონთქარს რომ უფენდა ფერხთით.
გაიხსენე! —
მაშრიყიდან მაღრიბამდე
ახვეტილი ალაფიც და ღალაც,
ზურგში დანა, ყმობასა და ერთგულებას,
შვილის თავი, — უზენაეს ღალატს.
ყველაფერი ამოყარეს...
პატივის და პატივების ღირსი,
მაცოდინე! — რომელ ქართველს დაუფასდა
ულელი და სამსახური სხვისი.
მტრისას! მტრისას! რაც წაჲკიდეს,
რაც დამართეს! — ძმავ, შვილო და მამავ,
სხვის თეოზე აყეფებულ მგელ-ქოფაკებს,
სხვის ყოფაზე აყივლებულ მამალს.
სადროშოებს,
სამრეკლოებს,
საფიხვნოებს,
სისხლს აკლია! — ლხინად ვარ თუ მიჭირს,
სხვის ღორძინს და ძლიერებას გადაკლული,
შვილთა ჩვენთა სახსარიც და ნიჭიც.
კარგად გაისიგრძეგანე! —
შენი გმირიც, შენი ურჩიც, მხდალიც...
რას ეტყვიან თავმომწონე თაობები
ერთ ჩექმაში დაბერებულ სტალინს.
რაღა დროის...
დამტვრევიათ რქები ხარებს,
სხვის ულელში და გუთანში ნაპამთ
უპირველეს! — შენს ქვეყანას მოუარე,
დამბადებელს ემსახურე, ბაბა!

მშვიდობით!..

დიდხანს ვერაფერს მოგწერ,
კარდაკარ ვივლი ხმაგაემენდილი,
გავხდები ბევრი ავ-კარგის მოწმე,
და დროს შევხედავ შემცბარ ღმერთივით.
ვივლი, ბიბლიურ სამოსით ვივლი,
გავწევ კახაბრელ
გლეხის შეგნებით, —
და ლვთის სასწორზე შეგდებულ
გვირგვინს შემიმკობს შენი ეჭვის ეკლები.
ამაოებას ვერავინ აღვის,
ღმერთის პირმშოა ყველა
ლვიძილი, დავდევ ბახჩაში შეპარულ თაგვებს
და კატა სხვენში კვდება სიცილით.
არ ვიცი საით, ოცნების ნავი,
ამდენი ვაზიც ჯვარზე
დაწნული, სულში დაღლილი მუსიკა ყვავის თუ
კედლებს მიღმა ტირის ქალწული?
არ ვიცი!..
მე კი ვერაფერს ვყვედრი,
ლახვრებს განკითხვის უამად
მოღერილს, მღვრიე ფოთლებად
გუბდება მდედრი
და ცხელ ნესტოებს ხეთქავს ოხერი.
მშვიდობით!..

დიდხანს ვერაფერს მოგწერ, ვივლი,
ბიბლიურ სამოსით
ვივლი და შენ გახდები პირველი მოწმე,
სამშობლო
როგორ დამადგამს გვირგვინს.

პათუას

მიმოზების ბილიკებით
ზღვისკენ გამადევარო,
ცისფერო და ვარდისფერო,
ჩვენო ოქროს მტევანო,
ცით ქართულო, მზით ქართულო,
ხმლით და სისხლით ქართულო,
უძველესო, უახლესო, უმაღლესო ბათუმო.

ოჳ, რამდენჯერ დაგაობლეს,
ცა წაგართვეს მზიანი,
მოგაშორეს დედის კალთას
ღამით სამასწლიანით,
ან ვერავინ შემოგბედოს,
ან ვერავინ დაგძალოს,
ზღვათა ქვეყნის დედოფალო,
მგალობელო ტაძარო.

მიმოზების ბილიკებით
ზღვისკენ გამადევარო,
ცისფერო და ვარდისფერო,
ჩვენო ოქროს მტევანო...

შემოდგომის სირთულე

ვინ რა იცის, ეს ასაკი
რა სასწაულს მომიტანს,
ღმერთო ჩემო!
დედავ ღმერთო!
სიყვარული მომინდა.
გამოვშორდი გაზაფხულებს,
მადლიანს თუ ცოდვიანს,
შემოდგომას
სხვანაირი
აყვავება
სცოდნია...

სხვანაირად ზეობს იგი,
სხვა ბანგით და ტკბობითა,
და მეც!.. შემოდგომისფერი
აყვავება მომინდა.
სულში, რაღაც...
შორეული შუქი გადაფოფინდა,
კაი ქალი მომენატრა, — ისე,
ჩემთვის, იჩქითად,
ლამაზი და ხოშფანდურა აგერ,
რამდენიც გინდა...

არ გამოდის არაფერი
ამ ამღვრეულ თრობიდან,
მოკამკამე ღვინისფერი
სიყვარული მომინდა!..
არც არავინ არ ბრუნდება
ერთგულების ომიდან,
დალახვრული ციხისფერი
სიყვარული მომინდა!

დალახვრული, დანაღმული,
ისე, ჩემთვის, იჩქითად,
თორემ ქეველ წმაქანმუქი აგერ,
რამდენიც გინდა.
ვაი, სულო! ბრმა ვნებები
გამიკეთილშობილდა,
სულ სხვის სანთელს ვეჩურჩულე,
შენს ვარსკვლავზე
შობილმა.

განმგებელმა სასთუმალთან,
სულ სხვა ტაბლა მომიდგა,
სიყვარულით გამნარება! —
გამგზავრება მომინდა.
ნეტავ ვინ ხარ! ვინაც ხვალე,
ამ დიდებას მომიტან,
ღმერთო ჩემო!
სასიკვდილე
სიყვარული მომინდა!
გამოვშორდი გაზაფხულებს
მადლიანს თუ ცოდვიანს,
შემოდგომას
სხვანაირი
აყვავება სცოდნია.

საქართველოს მწერალთა კავშირი 90 წლისაა!



საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი და მისი მეუღლე თამარი

ყურადღება!

შურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება „სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მასშტაბით; ხოლო თბილისში რუსთაველის №31, „სახალხო ბანკი“, მთაწმინდა №2 სერვის-ცენტრი.

3 თვით 9ლ.

6 თვით 18ლ.

შურნალის გამოწერა ასევე შესაძლებელია სს „მაცნეს“ პუნქტებში.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ ნინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ამირან ჭანტურია

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42

ტელ.: (+995 32) 93 18 69; (+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge



សាន្តរ



ឆ្វោតុន្លែ



សាន្តរ

6/18/13

ព្រះរាជាណាចក្រកម្ពុជា
ជាតិ សាសនា ពូជា

